3

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ენის, ისტორიისა და მატერ. კულტურის ინსტიტუტი აკად. ნ. მარის სახ.
Ин-т языка, истории и матер. культуры им. акад. Н. Я. Марра

მასალები

საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის

МАТЕРИАЛЫ

ПО ИСТОРИИ ГРУЗИИ И КАВКАЗА

1942

ნაკვეთი IV выпуск

თბილისი
1942

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ენის, ისტორიისა და მატერ. კულტურის ინსტიტუტი აკად. ნ. მარის სახ.
Ин-т языка, истории и матер. культуры им. акад. Н. Я. Марра

მასალები

საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის

МАТЕРИАЛЫ

ПО ИСТОРИИ ГРУЗИИ И КАВКАЗА

1942

ნაკვეთი IV выпуск

100%

თბილისი
1942

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
პრეზიდიუმის განკარგულებით

რედაქტორი პროფ. ნ. ბერძენიშვილი

შ ი ნ ა ა რ ს ი

		გვ.
1.	ი ა ს ე ც ი ნ ც ა ძ ე. რამდენიმე ახალი ცნობა XVIII საუკუნის ქართლის ისტორიისათვის	1
2.	ვ. თ ო ფ უ რ ი ა. ქვაჯვარანი საქართველოში	27
3.	გ. ტ ი ვ ა ძ ე. შუასაუკუნეების ოსმალეთის შესახებ არსებული ლიტერატურა	65

ი ა ს ე ც ი ნ ც ა ძ ე

რამდენიმე ახალი ცნობა XVIII საუკუნის ქართლის ისტორიისათვის

ცნობილია, რომ XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ქართლის მფლობელ ბაგრატიონთა შტომ ქართლის სამეფო ტახტი დაჰკარგა და თავი რუსეთს შეაფარა. ქართლს ორმოციან წლებიდან კახთა ბატონები დაეუფლენ, ჯერ თეიმურაზ II, შემდეგ ერეკლე II. ისე რომ ვახტანგ VI შთამომავლობას ქართლის ტახტის დაბრუნება აღარ ეღირსა. რუსეთში თუ სხვაგან მყოფი ქართლის ბატონიშვილები შექმნილ მდგომარეობას არ შერიგებიან. არა ერთხელ სცადეს ქართლში დაბრუნება და გამეფება. ქართლის ახალი მფლობელები თეიმურაზ და ერეკლე ამ გარემოებით და გართულებულ საგარეო მდგომარეობით არა ერთხელ მძიმე პირობებში ჩავარდნილან. ქართლის ყოფილ მფლობელთა შთამომავლების პრეტენზიები თეიმურაზ II და ერეკლე II საშინაო პოლიტიკის საკითხებს ართულებდა, განსაკუთრებით ქართლში, სადაც საიმედო დასაყრდენი წრის შექმნა იყო საჭირო.

ყველა ზემოაღნიშნული საკითხის გარშემო არსებული, აქამდე ცნობილი მასალები სრული არ არის, ბევრი რამ საძიებელია. ქართული ნარატიული ძეგლები მოკლე ცნობებს იძლევიან, ისე რომ მკვლევარს მსჯელობის გასაქანი შეზღუდული აქვს. ამის გამო მიზანშეწონილად მივიჩნიეთ მოსკოვის არქივებში ნაპოვნი რამდენიმე ახალი ცნობა, ქართლის ყოფილ მფლობელთა შთამომავლობასა და თეიმურაზ—ერეკლეს შორის არსებული უთანხმოებისა და წინააღმდეგობის სიღრმის შესახებ, წინამდებარე წერილში წარმოგვედგინა. იმის გამო, რომ ჩვენთვის ამჟამად საინტერესო ცნობები სხვადასხვა საარქივო საქმეებში არის გაბნეული და ამ ცნობებს ერთიმეორესთან უშუალო ორგანული კავშირი არ აქვს, წინამდებარე წერილი უნებლიეთ ფრაგმენტალურ სახეს ღებულობს, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ სპეციალისტისათვის იგი მაინც საყურადღებო შეიძლება აღმოჩნდეს. დავიწყებთ ქრონოლოგიურად უძველეს საქმეში დაცული ცნობებიდან.

მოსკოვის ფეოდალური ეპოქის არქივში „Грузинские дела"-ს ფონდში დაცულია საქმე: „К—52 № 4 1752 июля 11-мая 1757 г. Приезд из Грузии митрополита Афанасия и князя Симеона Макаева присланных от грузинского и кахетинского царей с прошением избавить их земли от турецкого нападения...[1]".

---

[1] ყველა საბუთი ამ საქმიდან დამზადებული გვაქვს გამოსაცემად.

როგორც ამ საქმიდან ჩანს, 1752 წელს ქართველ მეფეებს, თეიმურაზს და ერეკლეს, რუსეთში ერთად გაუგზავნიათ ელჩები ათანასე ტფილელი და სვიმონ მაყაშვილი. რუსეთის იმპერატორს ელისაბედ I ორივე მეფე ერთ წერილს უგზავნიან. თხოვნაც ერთია: დახმარება აღმოუჩინოს რუსეთმა ქართლს და კახეთს ფულით და ლაშქრით. როგორც ჩანს, ათანასე ტფილელი (ამილახვარი) თეიმურაზ II ელჩია, სვიმონ მაყაშვილი კახეთის მეფის ერეკლე II. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქართველი მეფეების რუსეთის იმპერატორისადმი გაგზავნილი წერილიდან საფიქრებელი ხდება, რომ თავდაპირველად სვიმონ მაყაშვილის რუსეთში ელჩად გაგზავნა თითქოს არ უნდა ყოფილიყო განზრახული.

ამას გვაფიქრებინებს შემდეგი გარემოება: ცნობილია, რომ რუსეთში მიმავალ ქართველ ელჩებს საერთოდ საგანგებო მოწმობა ანუ მანდატი არ მიჰქონდათ იმის დასადასტურებლად, რომ ისინი ნამდვილად არიან ელჩები. მათ შესახებ ლაპარაკი არის იმ წერილში, რომელსაც ქართველი მეფეები უგზავნიან ელჩის ხელით რუსეთის იმპერატორს. ამ შემთხვევაშიაც ელჩების ვინაობის შესახებ ცნობა მოიპოვება თეიმურაზ—ერეკლეს რუსეთის იმპერატორისადმი წერილში. ამ წერილში სხვა ცნობათა შორის აღნიშნულია, რომ ქართველი მეფეების დავალებით რუსეთის სამეფო კარზე იგზავნება ათანასე ტფილელი და სვიმონ მაყაშვილი. წერილის ამ ადგილას შემდეგი გარემოება იქცევს ყურადღებას: ტექსტში აღნიშნულია „წარმოივლინა ჩვენისა მიერ სიმდაბლისა მომრთმელად საველრებელთა ჩვენთა სიტყვათა ყ´დ დიდებულისა თვითმპყრობელობისა შენისადა ყ´დ სამღუდელო ათანასე მიტროპოლიტი ტფილისისა, რომლისა მიერ მოერთმის შენსა ყ´დ მოწყალებასა ვედრება ჩვენი“ [1]. ამ ტექსტს იქ, სადაც სიტყვა „ტფილისისა“ არის, სტრიქონს ზემოთ წვრილი ხელით ჩამატებული აქვს შემდეგი სიტყვები: „კნიაზ სიმონით“. მაშასადამე, გამოდის ასეთი აზრი: „წარმოივლინა... ყ´დ სამღუდელო ათანასე მიტროპოლიტი ტფილისისა კნიაზ სიმონით“. რადგანაც სიტყვებით „მიტროპოლიტი ტფილისისა“ სტრიქონი თავდება, ჩანამატი ტექსტი ნაწილობრივ სტრიქონს ზემოთ მიწერილი, აშიაზე არის გადმოსული. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ წერილის ტექსტი თავიდან ბოლომდე ყოფილა დაწერილი, როცა სვიმონ მაყაშვილის

[1] К—52 № 4 1752—1757. Приезд из Грузии митрополита Афанасия и князя Симеона Макаева... ფურც. 50.

შესახებ ცნობის შეტანა მოუწადინებიათ. საფიქრებელია, რომ ეს მოვლენა მდივნის დაუდევრობით არ უნდა იყოს გამოწვეული. ასეთ შესწორებულ საბუთს მდივანი ხელმოსაწერად მეფეებს ვერ შეკადრებდა. უფრო მართებული იქნება თუ დავუშვებთ, რომ თავდაპირველად საბუთი დამზადდა ათანასეს ელჩად გაგზავნის გადაწყვეტილების საფუძველზე, მეფეებმა ამ საბუთს ხელი მოაწერეს და შემდეგ გადაწყდა სვიმონ მაყაშვილის გაგზავნაც. ამის შემდეგ კი მდივანს ტექსტი უნდა შეესწორებინა იმ სახით, როგორც იგი დღეს არის დაცული.

1752 წლის ნოემბერში ქართველი ელჩები რუსეთის მთავრობას წარუდგნენ. თეიმურაზისა და ერეკლეს წერილი განიხილა საგარეო საქმეთა კოლეგიამ, მაგრამ პასუხი მეტისმეტად დააგვიანა. ათანასე და სვიმონ მაყაშვილი კარგა ხანს პასუხის მოლოდინში მოსკოვში ცხოვრობდნენ. მალე ათანასესა და სვიმონ მაყაშვილს შორის უთანხმოება ჩამოვარდნილა. ზემოხსენებულ საარქივო საქმეში დაცული სვიმონ მაყაშვილის მოხსენებებიდან ირკვევა, რომ უთანხმოება ქართველ ელჩებს შორის პირად უკმაყოფილების ნიადაგზე აღმოცენებული არ არის, უთანხმოებას უფრო ღრმა და საელჩო საქმიანობასთან დაკავშირებული საფუძველი ჰქონია.

1753 წლის 17 აპრილს სვიმონ მაყაშვილს რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეების მინისტრისათვის ალექსი პეტრეს-ძე ბესტუჟევ-რიუმინისათვის წერილობითი მოხსენება წარუდგენია და სთხოვს ქართველ მეფეთა სათხოვარზე პასუხის დაჩქარებას. აღსანიშნავია, რომ ათანასე ტფილელი საქმის დაჩქარებაზე თავს არ იწუხებს, არსად მის მოხსენებაში 1753 წელს ამის შესახებ არაფერი არის ნათქვამი. სვიმონ მაყაშვილი იმავე წელს, დაახლოებით მაისიდან ივლისამდე, მეორე მოხსენებით ბარათს წერს და იმავე ბესტუჟევ-რიუმინს აწვდის. ამ მოხსენებით ბარათში, ისევე როგორც წინანდელში, მაყაშვილი ითხოვს: „ჩვენ რუსეთის საბრძანებელში მოვედით შარშან ჩღნბ წელსა ივნისის კᲂ და მორთმეულის წიგნის პასუხი ჯერაც არ გამოგვსვლია და აწ მდაბლად გევედრები რომე დაუგვიანებლად ხანისა გვყოთ მოწყალებრივ პასუხი საწადელის ჩვენის და ისევა ქვეყანას ჩვენს გაგვისტუმროთ“ [1]. ამის შემდეგ ამავე მოხსენებაში მაყაშვილი აღწერს იმ უთანხმოებას, რომელსაც ადგილი ჰქონია ათანასესა და მას შორის. იგი ითხოვს მინისტრისაგან ათანასესაგან განცალკევებით საცხოვრებელ ბინას, ვინაიდან მასთან ერთად ცხოვრება შეუძლებლად მიუჩნევია. ელჩებს შორის შექმნილი

[1] იქვე, ფურც. 73.

უთანხმოების მიზეზად მაყაშვილი ასახელებს შემდეგ ფაქტს: ქართველ მეფეებს ელჩებისათვის იმპერატორისადმი განკუთვნილ წერილს გარდა, გამოუტანებიათ ბესტუჟევ-რიუმინისათვის გადასაცემი წერილი. ეს წერილი ათანასეს ჰქონია ჩაბარებული, მაგრამ ათანასეს ეს წერილი დაუმალავს და ბესტუჟევისათვის არ გადაუცია და, რაც მთავარია, თურმე არც ფიქრობდა გადაეცა. სვიმონ მაყაშვილის ამ მეორე მოხსენებიდან ირკვევა, რომ ეს ამბავი მაყაშვილს ამაზე ადრე წერილობით უცნობებია[1] მინისტრისათვის. ათანასე ტფილელს მოუთხოვია სვიმონისაგან უარჰყოს თავისი განცხადება, მოხსენებითი ბარათი მინისტრისაგან უკან გამოითხოვეო, მაყაშვილი არ დათანხმებულა. რაკი სვიმონი თავისას არ იშლიდა, ათანასეს მაყაშვილთან რუსეთში მცხოვრები ქართველები მიუგზავნია. სახელდობრ, თვით ათანასეს ძმისწული, რუსეთის სამხედრო სამსახურში მყოფი, ეგორ ამილახვარი და სვიმონ ბატონიშვილის მეუღლე ანა პაატას ასული. სვიმონ მაყაშვილი ასე გადმოგვცემს თავის მოხსენებით ბარათში ხსენებულ ქართველთა რჩევა-დარიგებას: „მან კნიაზა იაღორ ამილახვრის შვილმან თითონ მეც პირშიგან მითხრა რომე მაღლის ღრაფობის ბრწყინვალებას რათ უნდა მივართვათო და მერე ქვრივმან სვიმონ ბატონის კნიაინმა ანამა პატას ასულმან წინათხსენებულის მიტრაპოლიტის ახლოვე ნათესავმან მიმიყვანა მე თავისთან და მრავლის ლაპარაკით მითხრა მე სიტყვანი ესრეთნი რათა მე მორთმეული ჩემი მოხსენება იგივე უარვყო და წინაშე თქვენის ბრწყინვალების ბოდიში მოვიტანო რომე ის ჩემი მოხსენება რუსეთის რიგის უცოდინარობით მომივიდა“. ამას გარდა, ანა პაატას ასული სვიმონ მაყაშვილს ასე არიგებდა: თურმე, როცა მოხსენებას უარჰყოფ და უკან გამოითხოვ, მინისტრს მოახსენე რომ დავით აბაზაძემ[2] შემიყვანა შეცდომაშიო და არავითარი სასჯელი მინისტრისაგან არ შეგემთხვევა გარდა იმისა, რომ ჭკუანაკლულად გამოგაცხადებენო. მაყაშვილი ამ ამბავს ასე აუწყებს მინისტრს: „რომლისათვის მე თქვენის ბრწყინვალებისაგან უფროსი არა დამემართება რა ამის მეტი რომე დურაკათ სახელდებული ვიქნებიო“[3]. სვიმონი ამ წინადადებებზე არ დათანხმებულა,

[1] მაყაშვილის ეს მოხსენება, სადაც პირველად აუწყებს მინისტრს ათანასეს ამ საქციელის შესახებ, საქმეში არ აღმოჩნდა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მაყაშვილის მოხსენებები უხეიროდ არის დაწერილი, მას აზრის გადმოცემა, მისი დალაგება უჭირს, მისი ნაწერიც გაუმართავი ხელით არის შესრულებული. არც დიპლომატიურ საქმიანობაში ეტყობა გაწვრთნილობა. შინაური საქმეები რუსეთის მინისტრს გადასცა გასარჩევად.

[2] დავით აბაზაძე რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიის თარჯიმანი იყო. ვახტანგ VI დროს რუსეთში გახიზნულ ქართველთაგანი.

[3] იქვე, ფურც. 73.

ათანასესაგან ხელწერილი მოუთხოვია, რომელშიაც ათანასეს უნდა აღენიშნა, რომ ქართველ მეფეთა წერილის დანიშნულებისამებრ გადუცემლობა თვით ათანასეს ინიციატივა არის და პასუხისმგებლობას მეფეების წინაშე ამის გამო ათანასეევე იკისრებდა. ასეთი ხელწერილი ათანასეს მისთვის არ მიუცია და სვიმონს თავის მინისტრისადმი წარდგენილ მოხსენებაში ყოველივე აღუწერია. სვიმონი ათანასეს ასეთ საქციელს იმ გარემოებით ხსნის, რომ ათანასეს საქართველოში დაბრუნება არ ეჩქარება, რომ მოსკოვში მცხოვრებნი მისი ნათესავებიც ათანასეს მოსკოვში დარჩენას ურჩევენ: „იმ ჩვენის მეფების მოწერილის წიგნის მოურთმეულობის მიზეზი ეს არის რომე მას მიტრაპოლიტს აქედამა წასვლა თავის ქვეყანაში მალე არ უნდა და ამასთან მგონია რომე ნათესავებიც მასვე ევედრებოდენ“ [1]. იმავე 1753 წლის აგვისტოში სვიმონ მაყაშვილს მესამე მოხსენება წარუდგენია მინისტრისათვის. აქ იგი კვლავ იმეორებს ათანასეს მიმართ იმავე ბრალდებას და აღნიშნავს: ათანასეს „მის იმპერატორობის დიდებულების მაღალი მოწყალებრივი პასუხი გამოიტანოს ამის ზრუნვა და ცდა არა აქვს და ყოვლის საქმითა ჩანს რომე მას ზემოხსენებულს მიტრაპოლიტს თავის ქვეყანას მალე წასვლა არ უნდა. ამიტომცა გამოიტანა თავისთვის ნება რომე აქ მოსკოვს წიროს და სახლიც მიეცა მას ზნამენცკის მონასტერში“ [2]. ათანასე ტფილელი სხვარიგად მოქცეულა. მისი არც ერთი მოხსენება არ ჩანს საარქივო საქმეში სვიმონ მაყაშვილის ბრალდების გამო. ეტყობა, რომ იგი საკმაოდ გაწვრთნილი ადამიანი ყოფილა. ათანასეს საქმე უფრო მარტივად და კარგად მოუგვარებია, სვიმონ მაყაშვილის შესახებ რაღაც ცნობა გამოუგზავნია საქართველოში, რომელშიაც, როგორც ჩანს, სვიმონის ზემოთ აღწერილი საქმიანობაც აუწერია, ქართველი მეფეები დაურწმუნებია, რომ სვიმონი თავისი საჩივრებით მას დავალებულ საქმის მოგვარებაში ხელს უშლის და საელჩო საქმეებიდან ჩამომაცილეთო. ასეთი დასკვნის გამოტანა შეიძლება იმ საბუთებიდან, რომელიც იმავე საარქივო საქმეში არის დაცული. ათანასეს ქართველი მეფეებისადმი ამ საქმის გამო გამოგზავნილი წერილის კვალი არქივში არ ჩანს, მაგრამ სხვა საბუთებიდან ათანასეს ღონისძიება გასაგები ხდება. ქართველ მეფეებს 1753 წლის ივნისში ბესტუჟევ-რიუმინისათვის და ვორონცოვისათვის წერილები გამოუგზავნიათ, რომელშიაც განმეორებით ითხოვენ დაჩქარებით დახმარებას. ამას გარდა, წერილის მთელი ტექსტი ისე არის აგებული,

[1] იქვე, ფურც. 73.
[2] იქვე, ფურც. 87.

რომ მიტროპოლიტი ათანასე გამოჰყავთ ელჩად, რომელსაც თით-ქოს სხვათა შორის სვიმეონიც გამოვაყოლეთო. წერილის დასას-რულს კი აღნიშნულია: „ჩვენნი ყოველნი საიდუმლოთ განზრახულ-ნი სიტყუანი ვარწმუნენით ყოვლად სამღვდელოსა ათანასის მიტ-როპოლიტსა ტფილისისასა, და მაგის მიერ მოიჴსენეთ: ხ' თუ სხვამან ვინმე, ანუ თვით ჩვენმან კნიაზმანცა სიმეონ, თუ სხვა რაჲ-მე სიტყვა მოგახსენოთ ყოვლად სამღვდელოსა ათანასის სიტყვა-თა გარდა ცთომილ არს ყოვლად და ნუმცაღა ისმენს“ [1]. ამ ამო-ნაწერიდან აშკარად ჩანს, რომ მაყაშვილს ფაქტიურად საელჩო უფლებები აჰყარეს. ზემოაღნიშნულ ქართველი მეფეების წერილს გარდა იმავე საარქივო საქმეში დაცულია თეიმურაზისა და ერეკლეს ათანასესადმი მიწერილი წერილის რუსული თარგმანი [2], რომელშიაც მეფეები სხვა ამბავთა შორის სწერენ: „А здесь слышно, что Се-мен Макаев некем обманут напрасно, якобы наши к министрам письма вы имели а не подали. И о сей бездельной лже Семену писменно подтверждено, чтоб в предь от такой глупой лжи воздержался. Оной Симеон и сам знает, что при высочайшем таком дворе ложь годна быть не может. Мы во всем тебе ве-рим“ [3]. ეს წერილი ისე არის შედგენილი, რომ ეტყობა წინასწარ გათვალისწინებულია მისი საგარეო საქმეთა კოლეგიაში წარდგენა და ათანასეს გამართლება. ამის შემდეგ სვიმონ მაყაშვილი დაჩუ-მებულა, მისი მოხსენებები აღარ ჩანს, ან რა უნდა ეთქვა, ქართ-ველი მეფეები მას ოფიციალურად უნდობლობას უცხადებენ. 1754 წელს სვიმონი, ელჩების სხვა მხლებლებთან ერთად, სათანადო პა-სუხით საქართველოში გამოისტუმრა რუსეთის ხელისუფლებამ. ათა-ნასემ კი ავადმყოფობა მოიმიზეზა და, ვითომ დროებით, მოსკოვში დარჩენა ითხოვა. მთავრობამ მისი თხოვნა დააკმაყოფილა. სვიმონ მაყაშვილს ათანასემ უბედურება არ აკმარა და საქართველოში გა-მომგზავრების წინ ერთხელ კიდევ შეურაცხყოფა მიაყენა. რუსეთის კანცლერს განცხადება მიართვა რუსულ ენაზე და სხვათა შორის სთხოვა: „...приказать князя Макаева отпустить толко ему подар-ков ежели возможно поручить не велеть“ [4].

საქმის შემდეგი ვითარება გვიჩვენებს, რომ სვიმონ მაყაშვილი ერთგულებისა და სიმართლისათვის დაისაჯა, მისი გამოუცდელო-

---

[1] იქვე, ფურც. 93.

[2] ქართული დედანი ალბად ათანასეს დაუბრუნეს.

[3] იქვე, ფურც. 97—98.

[4] იქვე, ფურც. 156—157. აქ ლაპარაკია იმ საჩუქრებზე, რომელთაც რუსე-თის მთავრობა ქართველ მეფეებს უგზავნიდა.

ბით ისარგებლა ათანასემ, თორემ სვიმონი უდაოდ მართალი იყო. ათანასეს რომ ქართველი მეფეების დავალებათა დაჩქარება და სამშობლოში დაბრუნება არ სურდა, ეს მალე გამოაშკარავდა. სინოდალური კონტორის ერთ-ერთ საბუთში ათანასეს 1755 წელს წარდგენილი განცხადების შინაარსი შემდეგი სახით არის მოყვანილი. „Он подал вновь челобитную прося, чтоб по настоящим в Грузии неспокойствам, и за слабостию его здоровья... дозволено было ему остаться в Росси в вечном ея императорского величества подданстве“ [1]. და მართლაც, როგორც ჩანს, მოსკოვში მყოფ გავლენიანი ქართველების დახმარებით სინოდში საქმე მოაგვარა და სინოდის მოთხოვნით საგარეო საქმეთა კოლეგია დათანხმდა ათანასესათვის რუსეთის ქვეშევრდომობა ეწყალობებინათ. ათანასეს რომ ქართველი მეფეების დავალების შესრულება არ აინტერესებდა და მათ საზიანოდ მოქმედებდა, საფიქრებელი ხდება არა მარტო სვიმონ მაყაშვილის მოხსენებებით და ათანასეს მოსკოვში დარჩენის ფაქტის აღნუსხვით, არამედ არქივში დაცულ ერთი საბუთიდანაც. ეს საბუთი წარმოადგენს თეიმურაზის და ერეკლეს წერილს ვორონცოვისადმი, 1755 წლის ნოემბერში დაწერილს, ე. ი. სვიმონ მაყაშვილის საქართველოში დაბრუნების შემდეგ გამოგზავნილს. ამ წერილში მეფეები მადლობას უხდიან რუსეთის კანცლერს საჩუქრებისათვის და იქვე საგანგებოდ თხოვენ მას: „...და ეს ზემორე მოხსენებული ტფილისის მიტროპოლიტი ათანასი სნეულების მიზეზით წამოსვლა რომ არ შესძლებოდა მანდავ დარჩომილიყო: ახლა ამას მოვახსენებთ მათს სიმაღლესა ეს ზემოხსენებული არქიერე წარმოგვივლინოთ რომ თავის ადგილს დავადგინოთ მაგისს ეკლესიას მაგისი აქ ყოფნა დიდათ ეჭირება და თუცა რომ მაგისი ნებაც არ იყოს მანდიდამ წამოსლვისა წყალობას ვითხოვ რომ მაინც არ დააყენოთ მანდა და წარმოგვივლინოთ“ [2]. სვიმონ მაყაშვილის საქართველოში დაბრუნების შემდეგ, ათანასეს რუსეთიდან კატეგორიული გამოთხოვა იმ გარემოებით უნდა აიხსნას, რომ სვიმონმა საქმის ნამდვილი ვითარება გაიცნო მეფეებს და სვიმონმა თავი გაიმართლა.

რა კვალი დასტოვა ათანასეს საელჩო მოღვაწეობამ რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიის არქივში? მიუხედავად იმისა, რომ ქართველი მეფეები ათანასეს უცხადებდნენ ნდობას და ელჩობის სათავეში იგი იდგა, მას, შეიძლება ითქვას, ქართველ ხელისუფალთა დავალების შესრულების საქმეში თავი ოდნავადაც არ შეუწუხებია.

---

[1] იგივე საქმე, ფურც. 236.

[2] იქვე, ფურც. 216.

რუსეთში მთელი მისი საქმიანობა საკუთარი საქმის მოგვარებით განისაზღვრა. ორი წლის განმავლობაში მისი არც ერთი მოხსენება, რომელიც საქართველოს მეფეების დავალებას შეეხებოდეს, არ ჩანს. მხოლოდ სვიმონ მაყაშვილის მოხსენებებია წარდგენილი. სვიმონის ოთხი მოხსენება თავიდან ბოლომდე ქართველ მეფეთა დავალების აღწერით არის გაჟღენთილი. საინტერესოა და დამახასიათებელი რომ, როდესაც რუსეთის მინისტრმა იმპერატორისათვის წარსადგენად მოხსენებითი ბარათი დაამზადა ათანასესა და სვიმონის ელჩობის გამო და პროექტი შეიმუშავა, თუ რა პასუხი უნდა გაეცა ქართველი მეფეებისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ, ქართველ მეფეთა სათხოვარი იმ მუხლებით გააცნო თავის მოხსენებით ბარათში იმპერატორს, რომელიც სვიმონ მაყაშვილს წარუდგენია ბესტუჟევ-რიუმინისათვის. მინისტრი მოხსენებით ბარათში ქართველი მეფეების წერილის მოკლე შინაარსის მოყვანის შემდეგ პირდაპირ აღნიშნავს: „А сверх того из помянутых присланных князь Симеон Макаев писменно здесь представил, что ему приказано от царей донести...“[1], და მოყვანილია სვიმონის ვრცელი მოხსენების ოთხი ძირითადი მუხლი. მაშასადამე, სვიმონის განცხადებათა საფუძველზე შეადგინა მინისტრმა თავისი მოხსენების ის ნაწილი, რომელშიაც ქართველ მეფეთა სათხოვარზეა ლაპარაკი. ათანასე ტფილელს მხოლოდ 1754 წლის თებერვალში შეუწუხებია თავი და ერთი მოხსენება წარუდგენია რუსულ ენაზე, რომელშიაც აღნიშნავს, რომ მეფეებმა ზეპირად, წერილს გარდა, ესა და ეს დამავალესო, და იმეორებს სვიმონ მაყაშვილის მიერ წინა წლებში არა ერთხელ წარდგენილ მოხსენების მუხლებს. ისე რომ, როდესაც რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ქართველი მეფეების საქმეს ეცნობოდა და სათანადო მოხსენებით ბარათს ამზადებდა, მიტროპოლიტი ათანასე აუჩქარებლად მაშინ აწერინებდა თარჯიმანს თავის მოხსენებას, რომელიც მინისტრს მოხსენებითი ბარათის შედგენის დროს, საფიქრებელია, არც გამოუყენებია სრულიად[2]. ასეთია ათა-

[1] იქვე, ფურც. 113.

[2] სამწუხაროდ, მინისტრის მოხსენებითი ბარათის შედგენის თარიღი არ არის. მოხსენებით ბარათს აქვს ერთი თარიღი, სახელდობრ, იმპერატორის რეზოლუციას 1754 წ. 21 მარტი. ათანასეს მოხსენებითი ბარათი დაუწერინებია იმავე წლის 28 თებერვალს. როდის დაასრულა და წარუდგინა მინისტრმა იმპერატორს მოხსენებითი ბარათი არ ჩანს. მაგრამ თუ ბიუროკრატიული რუსეთის კანცელარიის მუშაობის ჩვეულებრივ ტემპს ვივარაუდებთ და ამას იმასაც დავუმატებთ, რომ თვით მინისტრი თავის მოხსენებით ბარათში ათანასეს ამ მოხსენებას არ იხსენიებს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ათანასეს მოხსენება იმ დროს მივიდა სამინისტროში, როცა მინისტრს საქმე უკვე შესწავლილი და მოხსენებითი ბარათი დამზადებული ჰქონდა.

ნასე ტფილელის—ქართლელი თავადიშვილის, ამილახვართა გვარის წარმომადგენლის მოღვაწეობის კვალი კახელი ბაგრატიონების სამსახურის ხაზით მოსკოვის არქივში.

კითხვა იბადება, რატომ ასეთ გულგრილობას იჩენს ათანასე ტფილელი ქართველი მეფეების დავალების შესრულების საქმეში. ეს შემთხვევითი გულგრილობის ფაქტია, თუ განზრახ მიზანშეწონილი თანმიმდევრული საბოტაჟია ქართლ-კახეთის მაშინდელ მეფეთა საგარეო პოლიტიკის მიმართ?

ჩვენ იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ აქ შეგნებულ წინასწარ გათვალისწინებულ მავნებლობასთან უნდა გვქონდეს საქმე. უპირველეს ყოვლისა, აქ ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ათანასე ტფილელი ქართლელი თავადიშვილია. ქართლელი გაბატონებული წრეები იმხანად თეიმურაზისა და ერეკლეს მოწინააღმდეგე ბანაკში იყვნენ, თავს შევიწროებულად გრძნობდნენ კახელ ბაგრატიონების ხელში და ვახტანგ VI შთამომავლობის ქართლში დაბრუნების მოსურნე იყვნენ. იმ დროს მოსკოვი ქართლელ ემიგრანტთა ბუდეს წარმოადგენდა, აქ კი კახი ბატონების ქართლში გამეფება ყველაზე უფრო მწვავე გამოძახილს პოულობდა. მოსკოვის ქართლელ ემიგრანტთა წრეში ათანასე, რა თქმა უნდა, მათ გავლენის ქვეშ მოექცა და აქამდე დაფარული უკმაყოფილება აქ მთელის სიგრძე-სიგანით გამოააშკარავა და შესაძლებლობის ფარგლებში მავნებლობას შეუდგა. პირველ რიგში მას ბესტუჟევ-რიუმინისათვის მეფეთა წერილი არ გადაუცია. რა შეიძლებოდა წერებულიყო ამ წერილში?

თუ ანალოგიებით ვიმსჯელებთ, მინისტრებს ქართველი მეფეები იმასვე სთხოვდნენ, რაც რუსეთის იმპერატორის წერილებში იყო აღნიშნული, მაგრამ, ამას გარდა, მინისტრის პატივმოყვარეობას პატივს სდებდნენ და სთხოვდნენ იმპერატორის წინაშე შუამდგომლობას და საქმის დაჩქარებას. საფიქრებელია, ქართველ მეფეთა საქმის შესაფერხებლად ათანასე ტფილელმა მინისტრს წერილი არ გადასცა. არც პირადი მოხსენება წარადგინა დროზე, რომ საქმე გაჭიანურებულიყო, იმავე დროს დიდი ხნის წინათ გაყრილ მოსკოვში მყოფ თავის ნათესავებში ხანგრძლივ დარჩენილიყო. ერეკლეს ერთგულ სვიმონ მაყაშვილისათვის რაკი ათანასეს ეს განწყობილება და საქმიანობა შეუმჩნეველი არ დარჩა, ათანასემ საქართველოში დაბრუნება ვეღარ გაბედა და რუსეთის ქვეშევრდომობას შეაფარა თავი, რაც იმ დროს არც ისე ძნელი მოსახერხებელი აღმოჩნდა მისთვის. რუსეთში მყოფ ქართლელ ემიგრანტთა ქართლის და კახეთის ახალ მფლობელთა მიმართ მტრული განწყობილების შესახებ იმ დროის ქართლ-კახეთის მოწინავე წრეებს კარგად უნ-

და სცოდნოდათ სვიმონ მაყაშვილის რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ მაინც. და, საფიქრებელია, ამის გამოძახილს უნდა წარმოადგენდეს ისტორიკოს პაპუნა ორბელიანის უმისამართო ჩივილი საერთოდ მასკოვში მყოფ ემიგრანტებზე. პაპუნა ორბელიანი თავის თხზულებაში ერთ ადგილას აგვიწერს, თუ როგორ დაბრუნდა ხაჩუქრებით სვიმონ მაყაშვილი, დახმარების დიდი იმედი მოიტანაო, მაგრამ: „ჯარი კი არ მოეცათ, შურითა ვისმე დაეჩხუბა ისევ ქართველთა შვილსა, თორემ დიდი მოხმარებისა და ჯარის იმედი გვქონდა“. აქვე ავტორი აღნიშნავს, რომ პეტრე ხელმწიფის ანდერძი იყო, ვახტანგის თხოვნის თანახმად, ქართველებს ლაშქარი ათხოვეთო. მაგრამო, შენიშნავს ავტორი: „მას აქეთ ვინცა ხელმწიფენი დასხდენ რუსეთისა მპყრობელად იმათაც მოინდომეს... მაგრამ ვინა ქართველთა შვილნი რუსეთსა შინა იყოფებოდენ, იმათ ერთმანერთის მტრობა და შური არ მოშალეს და ამათის მიზეზით ქართლში მოხმარება რუსთა აღარ ინებეს“ [1]. როგორც ამ ამონაწერიდან ჩანს, საქართველოს იმ დროის მოწინავე წრეებში რუსეთში მყოფ ქართველებს აბრალიდნენ რუსეთიდან ლაშქრით დახმარების არ მოსვლას. კიდევ მეტი, ჩვენს ხელთ არის ისეთი ცნობები, რომ ქართლ-კახეთის იმ დროის პოლიტიკოსები რუსეთის ხელისუფლებას სავსებით არ ენდობოდნენ და შიშობდნენ, ვაი თუ რუსეთმა ქართლი თავისი ჯარების საშუალებით ისევ ვახტანგ VI შთამომავლობას დაუბრუნოსო. იმ ხანებში, როცა სვიმონ მაყაშვილი საქართველოში გამოისტუმრა რუსეთის მთავრობამ, მაშინვე გადაწყვიტა საქართველოში საიდუმლო აგენტი გამოეგზავნა და დაავალა თვალყური ადევნოს ქართველ მეფეებს—რუსეთის ერთგული იქნებიან თუ არა. ამ ცნობების შესაკრებად 1754 წელს რუსეთის სამსახურში მყოფი სომეხი ოთარ თუმანოვი გამოგზავნეს [2]. თუმანოვი ორი წლის განმავლობაში აქ, საქართველოში, ცხოვრობდა და საიდუმლო მოხსენებებს გზავნიდა რუსეთში. ერთ-ერთ მოხსენებაში საინტერესო ცნობა აქვს იმის შესახებ, თუ როგორ უცქერიან თეიმურაზ და ერეკლე რუსეთის ორიენტაციის საკითხს. თუმანოვი საგარეო საქმეთა კოლეგიას საიდუმლოდ მოახსენებს: „მე რომ მოვდიოდი მეფები ბრძანებდენ რუსეთის ერთგულობაზედ თავის დადებას მაგრამე სხვარიგად შინჯვენ მანდ რომ მოვალ ჯათებით მოვახსენებ“ [3]. პეტერბურგში ჩასვლისთანავე

---

[1] საქართველოს ცხოვრება. 1913 წ. ზ. ჰიჭ. გამოცემა, გვ. 217—218.

[2] ამის შესახებ იხ. ჩვენი წერილი ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგური ინსტიტუტის შრომებში II, 1941 წ. გვ. 83—96.

[3] Грузинские дела. К—53, № 4. 1756 апр. 11, фурц. 4.

თუმანოვს მოხსენება წარუდგენია, რომელშიაც სწერს: „ათას შვიდას ორმოცდათექვსმეტს მარტის ოცდასამის დაწერილს წიგნში მოვიწერე საქართველოს მეფეებმან მიბრძანეს რუსეთის ერთგულობაზედ თავის დადება მაგრამ სხვა რიგადაც შინჯვენ მეთქი მანდ მოვალ და ჯათებით მოვახსენებ მეთქი: ა) ეს ჯათი არის რომელიც ახლა კახ მეფე თეიმურაზ ზის იმას ეჭირა სამკვიდროდ ჩამამავლობით კახეთის სამეფო. ქართლის თბილისის სამეფო აქ რომ მეფე ვახტანგ მოვიდა იმასა და იმის ნათესავთ ეჭირათ ხვალმე სამკვიდროდ. თბილისის სამეფო, ეს მეფე ქართლის ვახტანგ რომე აქ რუსეთში მოვიდა თამასხანის დროს, ორივ ამ მეფე თეიმურაზს და იმის შვილს ერეკლეს დარჩა. ახლაც უჭირავს, თუმცა კახეთი უფრო მდაბალი იყო. ახლა რადგან ორივე ერთად არის კახეთს უფრო სამკვიდროდ ეჭიდებიან, ქართლი უფრო იჩაგრება. ამის გულისთვის ქართველი წყინობენ დაჩაგვრას დაფარვით, მაგრამ არა შეუძლიათ რა რომ გამოაცხადონ და არც ასრეთი სიმაგრე უჭირავთ რომ შეძლოთ რამე კახელებზედ. რომელიც ქართლში პირველი სიმაგრეა არაგვის საერისთო იმ სიმაგრეში კახი კაცი ჩოლაყასშვილი კნიაზ ჯიმშერ უზის... ბ) ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს ი ქ ჭ ო რ ე ბ ი გ ა ი შ ლ ე ბ ა რ ო მ ე მ ე ფ ე ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ძ ე ნ ი ა ნ უ ი მ ი ს ი ჩ ა მ ა მ ა ვ ლ ო ბ ა მ ო დ ი ა ნ ო. ა მ ა შ ი ი ს კ ა ხ ბ ა ტ ო ნ ებ ს ე ფ ი ქ რ ე ბ ა თ, თ უ მ ც რ უ ს ე თ მ ა ნ დ ა ი ჭ ი რ ო ს ო ი მ ა თ მ ი ც ე მ ე ნ ო თ ა ვ ა თ ს ა მ კ ვ ი დ რ ო ს ა ო. ამიტომ ბეჯითად არ ეჭიდებიან, კახეთს უფრო ხელს უწყობენ. ამიტომ დაფარული პარტიები არის... ე) აგრეთვე ამავ მეფის ვახტანგის ნათესავი ფერსიას დაფატული არის, აქედამ ცალკე ეფიქრება და იქედან ცალკე“ [1]. რა თქმა უნდა, პაპუნა ორბელიანი იმაში მართალი არ არის, როდესაც ასკვნის თითქოს რუსეთში მყოფმა ქართველებმა შეუშალეს ხელი თეიმურაზს და ერეკლეს და რუსეთმა ჯარის მოხმარება არ ინება. არც ათანასე ტფილელის საქმისადმი განზრახ გულგრილობას გაუფუჭებია საქმე. იმ დროს რუსეთს საქართველოს საქმეებში ჩარევის თავი არ ჰქონდა. ქართველი მეფეების თხოვნის გამო საგარეო საქმეთა მინისტრის საგანგებოდ შედგენილ საიდუმლო მოხსენებით ბარათში, რომელიც რუსეთის იმპერატორს წარედგინა დასამტკიცებლად, და 1754 წლის 21 მარტს დაამტკიცა კიდეცა, პირდაპირ არის აღნიშნული, რომ სანამ თურქეთთან რუსეთს მშვიდობიანი მდგომარეობა აქვს, საქართველოს საქმეში ჩარევით მის გაღიზიანებას მოვერი-

[1] იქვე, ფურც. 11.

დოთ—ეს საღ პოლიტიკას ეწინააღმდეგებაო [1]. მაგრამ ამას ამჟამად არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, ჩვენ ქართლის ყოფილი მფლობელების და გაბატონებული წრეების თეიმურაზ და ერეკლესთან დამოკიდებულება და ურთიერთგანწყობილება გვაინტერესებს, ამისათვის კი ის ცნობაც საინტერესოა, რის გაკეთებას ცდილობდა ათანასე ტფილელი, რუსეთში მივლენილი, ან როგორ ეშინოდა თეიმურაზს და ერეკლეს ვახტანგ VI შთამომავლობისა რუსეთიდან და სპარსეთიდან. ათანასე ტფილელმა, ან მოსკოვში მყოფმა ქართლელმა ემიგრანტებმა, რის გაკეთებაც შეეძლოთ საზიანოდ, ხელი არ დაუკლიათ, სულ სხვა საკითხია, რა გავლენა იქონია მათმა ცდებმა რუსეთის დიპლომატიაზე.

ქართლში XVIII საუკუნის მეორე ნახევარში რომ დინასტიური ხასიათის ბრძოლა გართულებული ყოფილა ამას, ზემოთ მოტანილ ცნობებს გარდა, სხვა, აქამდე უცნობი, ცნობებიც ადასტურებენ.

ცნობილია, რომ ქართლის კათალიკოსი ანტონ I რომის ეკლესიას მიემხრო და ამისათვის თანამდებობიდან გადააყენეს და შემდეგ რუსეთში გაისტუმრეს. ანტონ კათალიკოსის რუსეთში მისვლისა და მისი იქ საეკლესიო სამსახურში მოწყობის შესახებ მიმოწერა საგარეო საქმეთა კოლეგიის არქივში ინახება [2]. ერთ განცხადებაში, რომელიც ანტონის მიურთმევია რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიისათვის, აღნიშნავს, რომ იგი მართლმადიდებლურ ბერძნულ ეკლესიას არასოდეს გადგომია, და თუ ამის შესახებ ლაპარაკი იყო საქართველოში, ეს თითქოს მას მოუგონეს მისმა მტრებმა და პირველ რიგში თეიმურაზ II.

იგი აქ რუსეთის მთავრობას საქმის ვითარებას ასე აცნობს: „Ныне ж царствующие в Грузии не наследники престола нашего, а Грузия принадлежит деду моему и в наследство фамилии моей, хотя же я и монах был, но токмо не такой, которой бы жил всегда в монастыре, и затем все князя и почтенные люди кои воспитаны от дяди и отца моего, когда они обидимы бывали, комне прибегали и я их всегда утешал, к чему и звание мое тому дозволяло. Чего царь вытерпеть и снесть не возмогши и пожелав меня от престола моего отлучить восприял к тому причину и оклеветав обвинил меня напрасно, чем я от звания моего стал быть и свободен“ [3]. ანტონ კათალიკოსის აღმოსავლური

---

[1] იხ. ამის შესახებ ჩვენი წერილი ქუთაისის ა. წულუკიძის სახ. სახელმწიფო პედ-ინსტიტუტის შრომებში II, 1941 წ., გვ. 83—84.

[2] საბუთები დამზადებული გვაქვს დასაბეჭდად.

[3] Дела грузинские. К—53, № 5, 1756 июля. ფურც. 31.

ეკლესიიდან განდგომა ქართული წყაროებით საკმაოდ ცნობილი ფაქტია ამას, სხვა რომ არა იყოს რა, თვით ანტონ კათალიკოსის თეიმურაზ II მიწერილი წერილის შინაარსი ადასტურებს: „ჭეშმარიტებამ იცის, რ-ელი სჯად მომავალია, რომ წერილისაგან შევსცდი ამ ორს სიტყვაზე სულისა წმიდის საქმეზედ და პაპის უფროსობაზედ“ [1]. ანტონი რუსეთის სამეფო კარზე უდაოდ სიმართლეს მალავს ამ საკითხში. თეიმურაზისადმი მირთმეულ არზაში ანტონი გარკვევით გამოთქვამს შიშს, თუ ჩემი შეცოდებანი ჩამიწერეთ რუსეთში გასატანებელ „წიგნშიო“ მაშინ „იქაც რომ არ შემიწყნარონ სადღა წავიდეო“ [2]. ჩვენთვის ამჟამად ამ საკითხს არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, თუმცა თავისთავად ანტონის გაკათოლიკების საკითხი საინტერესო არის ჩვენი ისტორიისათვის. ანტონის ზემოთ მოტანილი განცხადების რუსული ტექსტი საყურადღებო არის იმ ნაწილში, სადაც მას საუბარი აქვს ქართლში შექმნილ მდგომარეობაზე. ქართლის ტახტის ძველ მფლობელთა შთამომავლობას რომ კარგი თვალით არ უცქეროდნენ კახეთის ბაგრატიონები, სადაო არ უნდა იყვეს. არც ის არის საეჭვო, რომ ქართლში უკმაყოფილო თავადები იყვნენ და ისინი ანტონის გარშემო მოიყრიდნენ თავს. ანტონის მიმართ კათოლიკობისათვის წარმოებული რეპრესიები უდაოდ გააძლიერა იმ წინააღმდეგობამ, რომელიც ქართლის ტახტის მემკვიდრეობის გარშემო წარმოიქმნა ვახტანგ VI შთამომავლობასა და თეიმურაზ—ერეკლეს შორის. ანტონის განცხადებაში მოცემული ცნობები ადასტურებენ წინამდებარე წერილში მოტანილ ასეთსავე ცნობებს. თეიმურაზ II და ერეკლე II, ანტონის გარდა, ქართლელ ბაგრატიონთა მეორე წარმომადგენელიც უჩივის რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიაში. ხსენებული კოლეგიის არქივში მოიპოვება ალექსანდრე ბატონიშვილის [3] თხოვნა რუსულ ენაზე. ამ საბუთში დაწვრილებით არის აღწერილი, თუ როგორ შეავიწროეს და იძულებული გახადეს ალექსანდრე თეიმურაზმა და ერეკლემ საქართველო დაეტოვებინა. ალექსანდრე ბატონიშვილიც სწერს: „Ныне царствующие тамошнего престола не наследники, а принадлежат тот престол фамилии отца моего по линии ближним. И ведая владеющие тем престолом фамилии нашей уменшение, однакож уповая и полагаясь на то что впредь когда ни-

---

[1] პ ო ლ ი ე ვ კ ტ ო ს კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი. იერარქია საქართველოს ეკლესიისა კათალიკოსნი და მღვდელთ-მთავარნი, 1900 წ., გვ. 157.

[2] იქვე, გვ. 156.

[3] ალექსანდრე ბატონიშვილი, კოლეგიაში წარდგენილი თხოვნის ავტორი, იესე მეფის „უკანონო“ შვილია, როგორც თვით აღიარებს ამ საბუთში.

будь по линии из ближних имеет быть возвращен по наследной свой престол и для того не проча себе то наше владение начали разорять и разорили до конца, что и ныне всеми способи тож разорение продолжают. В чем их реченой брат мой володимерской архиепископ.[1] в бытность ево в Грузии по должности своей воздерживал и увещевал и вступался и защищал природную свою нацию, за что ево без всякого праведного резону отлуча от своего архипастырского престола выгнали. По отлучении же реченного брата моего начали и меня утеснять и делать всякие обиды и раззорять, чтоб как нибудь оттуда из Грузии отлучить... и старались чтоб я как нибудь возвратился... в Персию"[2]. როგორადაც არ უნდა აჭარბებდნენ ანტონ კათალიკოსი და ალექსანდრე ბატონიშვილი ქართლში შექმნილი მდგომარეობის აღწერას, რაკი ოთარ თუმანოვის ცნობაც გვაქვს, ეჭვმიუტანლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ქართლში დინასტიურ ნიადაგზე აღმოცენებული წინააღმდეგობა საგრძნობლად გართულებული ყოფილა. და, საფიქრებელია, ქართლ-კახეთის სამეფოთა ამ პერიოდში სისუსტე, მიუხედავად იმისა, რომ თეიმურაზ II და ერეკლე II შეთანხმებულად და ერთად მოქმედებდნენ, ნაწილობრივ ამით უნდა ყოფილიყო გამოწვეული.

---

[1] მხედველობაში ჰყავს ანტონ I კათალიკოსი, იმხანად რუსეთში მყოფი.

[2] Дела грузинские. К—54, № 3, 1758, ფურც. 7.

* *

წინამდებარე წერილს თანდართული აქვს მოსკოვის ფეოდალური ეპოქის მთავარ არქივში დაცული რამდენიმე საბუთი. თავდაპირველად ქვემოთ მოთავსებული საბუთები განზრახული გვქონდა დაგვებეჭდა იმ საარქივო მასალასთან ერთად, რომელიც მოსკოვის არქივებში მუშაობის დროს ამოვკრიბეთ წარსულ წლებში. ეს მასალები კი რუსეთ-საქართველოს დიპლომატიურ ურთიერთობის ისტორიის გარკვეულ მონაკვეთს გვიშუქებენ, 1752—1762 წ.წ. მაგრამ, პატივცემულ პროფ. ნ. ბერძენიშვილთან პირადი საუბრის შედეგად, მართებულად მივიჩნიე ანტონ კათალიკოსის და ბატონიშვილ ალექსანდრე იესეს-ძის საბუთები ცალკე გამომეყო და წინამდებარე წერილისათვის დამერთო. ეს გადაწყვეტილება მიზანშეწონილად მივიჩნიეთ იმიტომ რომ, როგორც მკითხველი დაინახავს, ეს საბუთები ჩვენს წერილში გამოყენებულია როგორც დოკუმენტალური საფუძველი გარკვეული მოსაზრებების დასამტკიცებლად. ამას გარდა, ზემოხსენებული 1752—1762 წ.წ. საარქივო დოკუმენტები ძირითადად რუსეთ-საქართველოს დიპლომატიურ ურთიერთობას შეეხება (ათანასე ტფილელისა და სვიმონ მაყაშვილის ელჩობა, თეიმურაზ II რუსეთში მოგზაურობა და სხვ.), ხოლო ანტონ კათალიკოსის და ალექსანდრე ბატონიშვილის რუსეთში გამგზავრების შედეგად აღმოცენებული საარქივო საქმეები, თავისი შინაარსითა და ხასიათით, განსხვავებულია დიპლომატიური ურთიერთობის მასალებისაგან და მათი ცალკე გამოცემა უფრო რაციონალურია, მით უმეტეს, რომ წინამდებარე ჟურნალის რედაქტორმა პროფ. ნ. ბერძენიშვილმა მათი სახელდახელოდ გამოცემა გამიადვილა.

ქვემოთ დაბეჭდილი საბუთები ამოღებულია ანტონ კათალიკოსის და ბატონიშვილ ალექსანდრე იესე მეფის-ძის საარქივო საქმეებიდან. ამ საქმეებში, აქ დაბეჭდილ საბუთებს გარდა, სხვა საბუთებიც არის დაცული [1], მაგრამ მათ არსებითი მნიშვნელობა

---

[1] რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიაში ანტონ კათალიკოსს წარუდგენია ორი ბერძნული საბუთი, ერთი ანტიოქიის პატრიარქის სილიბისტროსი 1749 წლის, მეორე იერუსალიმის პატრიარქის პართენიოსის 1755 წლის. აღნიშნული წერილები ანტონისათვის გამოუგზავნია ხსენებულ პატრიარქებს. ორივე წერილი ანტონის წარუდგენია რუსეთის ხელისუფლებისათვის იმის დასამტკიცებლად, რომ იგი უფლებით პატრიარქი არის, მას რხსენიებს აღმოსავლეთის პატრიარქები ამ წერილებში. ამავე მოსაზრებით ანტონის წარუდგენია და საქმეში

P 2001

არ აქვთ. ანტონ I რუსეთში გამგზავრების შესახებ საარქივო მასალები მცირე არის გამოქვეყნებული და ამ ხარვეზის ნაწილობრივი[1] შევსება დროული იქნება. ბატონიშვილ ალექსანდრე იესეს-ძის შესახებ, თუ არ ვცდებით, აქამდე არაფერი გამოქვეყნებულა. საარქივო საქმეში მის შესახებ ქვემოთ დაბეჭდილი მისი არზის გარდა, არაფერია საყურადღებო, ეს არზა კი უკლებლად იბეჭდება აქ.

ქართველ ემიგრანტთა თუ ელჩთა მიერ რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიაში რუსულ ენაზე წარდგენილი არზა თუ ჩვენება რუსეთის სამსახურში მყოფი ქართველების მიერ არის დაწერილი და თარგმნილი. ამის გამო, ამ საბუთების რუსული ენა რუსი მოხელეების საკანცელარიო ენისაგან საგრძნობლად განსხვავდება. აქ ხშირია არა რუსული წესით წინადადების აგება, არა რუსული გამოთქმები, ხშირად მართლწერაც უგულვებელყოფილია. ეს მოვლენები „Грузинские дела"-ს ფონდისათვის დამახასიათებელია საერთოდ, განსაკუთრებით XVIII საუკუნისათვის. ქვემოთ დაბეჭდილი საბუთების ტექსტში ამ მხრივ ჩვენ არავითარი ცვლილებები არ მოგვიხდენია, შევეცადეთ დედნის სრული სახე დაგვეცვა. მხოლოდ ყველასათვის ცნობილი ვრცელი გამოთქმა შევკვეცეთ, ასე მაგ., „ея императорское величество"—ея имп-ое в-во. ტექსტი ახალი ორთოგრაფიით არის გადმოცემული. სასვენი ნიშნებიც დედანს არ ეკუთვნის.

დაცულია თეიმურაზ II წერილი, ასევე რუსთველ მიტროპოლიტის იოსების განკარგულება მღვდლების მიმართ ანტონ კათალიკოსის წირვის დროს მოხსენიების შესახებ.

[1] ნაწილობრივ იმიტომ, რომ ანტონის შესახებ ცნობები დაცული უნდა იყოს სინოდის არქივში, რომლის გადასინჯვა, სამწუხაროდ, წინა წლებში ვერ მოვახერხეთ, ხოლო ამ წლებში ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო ასეთი მუშაობა შეჩერებული გვაქვს.

№ 1. 1756 წ. ივლისის 17. კათალიკოს ანტონ I წერილი ყიზლარის კომენდანტ გენ. მაიორ ფონ-ფრაუენდორფისადმი, მისი საქართველოდან ყიზლარის ფორპოსტამდე მოსვლის და უცხოეთიდან რუსეთში მომავალთათვის დაწესებულ საკარანტინო ვადის თვით ანტონისათვის შემცირების შესახებ.

მაღალ შობილსა უფალს ღენერალ მაიორს ყიზლარის კამენდანტს ივან ლვოვიჩს. ანტონი ქართლისა კათალიკოსი მეფის-ძე მოვახსენებთ. ჩვენ ჩვენის ქვეყნიდან წარმოვედით, ყოვლად მოწყალის ველმწიფის საფარველსა და ჩემს ნათესავებთან. და აქ ორასყალას, სადაც კარაქთინის ბრძანება არის, მოვედით და ბრძანებისებრ დავსდეგით. თუ ჩვენის ქვეყნის ამბავს მოიხსენებს მაგათი მაღალი შობილობა, სნეულებისაგან მშვიდობა არის. და რომლისაც ჭირის მიზეზით კარაქთინის ბრძანება არის, ის ჭირი ქართლისა და კახეთის სამეფოებში მრავალი წელიწადი არის არავის გაუგონია იქ მყოფს რომ ყოფილიყოს. და ჩვენ რომ გამოვიარეთ არც ოსეთსა და ჩერქეზებში გაგვიგონია, ამაზედ სარწმუნოდ ბრძანდებოდეთ. რადგან ასრე იყო რომ ჭირი არსად იყო, ამ მიზეზით გავბედეთ ეს მოკსენება, რომ დიაღ გრძელმა მგზავრობამ შეგვაწუხა და აქ ერთი უცხო ჰავა არის ჩვენის ქვეყნის კაცისათვის; სრულიადი კარაქთინის პატივობა თუმცა არ იქნებოდეს, დღენი რაოდენიმე მოგვიჭერით განწესებულის ბრძანებისა კარაქთინის დღეებისასა, რომ უცხომ ჰავამ აგებულებას ვნება არ მისცეს. კვალად ჩვენი ვედრება ეს არის თქვენს მაღალ შობილებასთანა, რომ თქვენი ატუტანტი კნიაზ ალექსი ნიკოლავიჩი გვიბოძოთ, თუმცა ახლო ნახვა არ იქნება, შორით ვნახოთ და ჩვენი სიტყვა თქვენთან მოსაკსენები იმან მოგახსენოთ: ანტონი კ'სი. 1756. 17—7[1].

ფონდი *„Грузинские дела"*. საქმე, *К—53. 1756, июля 15—1757, № 5.* ფურც. 2.

---

[1] ამ საბუთის მეორე ცარიელი ფურცლის ზურგზე მიწერილია: „ვისოკოროდნი ღოსპოდინ: პრევოსხოდიტელნი ღოსპოდინ ღენერალ მაიორ ი კიზლარსკოი კრეპოსტი კამენდათ ი ეღო პრესხოდიტელსთვა ფონ ფრაუენდოროვ.

№ 2. 1756 წ. ივლისი. ყიზლარის კომენდანტის გენ. მაიორის ფონ-ფრაუენდორფის მოხსენების პირი საგარეო საქმეთა კოლეგიისადმი, ანტონ კათალიკოსის რუსეთში გამომგზავრებისა და საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ.

1756 году июля 24 дня приезжие из Грузии армянин римского закону Манучар Сааков с товарищем нижеследующе объявил. Жителство имеет он в Грузии вместечке Гори от Тифлиза растоянием полтора дни езды, откуда он назат тому полчетверта м-ца отбыл в Тефлис, а ис Тефлиза в купецком караване для продажи собственного своего товару фат и шелку сырцу в Кизляр, куда ехал горами чрез Осетию Малую Кабарду гунскую деревню; по прибытии к шадринскому форпосту задержан был в карантине, и повыстоянии указанного термина прибил в Кизляр. В Грузии же у них в прошлом 755 году в декабре мце царь грузинскои и кахетинской Теимураз на грузинского каталикоса Антония разгневался в том, якобы он оставя свою греческого исповедания принел веру католическую, за что все католицкие патеры выгнаты из Грузии и церковь их католическая обращена на греческую церковь, також и протчих грузинских армян католического исповедания живущих тамо всех принуждают, чтоб они веру православную принели, отчего многия разбежались а он каталикос сослан был вместо ссылки в село Кафтискевы и пожив тамо малое время, с позволения переехал в местечки Гори и от мелитинского цря требован он был, чтоб к нему прислан был, ибо он ему в близости своиством, токмо грузинскои царь отказал ему втом, и велено оному каталикосу ехать в Россию, о котором по отъезде их известились, что он прибыл в Еристов (sic) к тамошнему владетельнему князю Джимшеру. С ним же каталикосом имеется малое число людей. Что же до Грузии касается то от тавлинцов (sic) немалое раззорения ежечастым пленением людеи получает, а опаснои болезни как в Грузии и воколичных около онои ближних турецких местах не состоит, так же и скотского подежа не имеется. А беглои из России Грузинскои царевич Пата ныне находится в Генже у генжинского Шеверди хана и содержит ево в великом почтени и от нево никаких противностеи не произходит, а фармилия ево находится в Тефлизе. у подлинного подписано. Оные речи переводил переводчик Иб-

раим Бодиров. Василей Чириков. С копиею читал канцелярист Иван Заицев[1].

ფონდი *„Дела грузинские“*. საქმე *К—53, 1756, № 6. Доношение астраханского губернатора Жилина о прибывшем в Кизляр из Грузии римского закона армянине Манучаре Саганове и о полученном с оным о тамошних обращениях известии.* ფურც. 1.

№ 3. 1756 წ. ივლისის 30. ყიზლარის კომენდანტის გენ. მაიორ ფონ-ფრაუენდორფის პატაკი საგარეო საქმეთა კოლეგიისადმი, ანტონ I თავის ამალით რუსეთის საზღვრებთან საქართველოდან მოსვლის შესახებ.

В государственную коллегию иностранных дел, от генерал маиора кизлярскова коменданта Фон Фрауендорф. Покорны репорт. Сего июля 15-го числа прибыл при червленном казачьим гребенском городке ко учрежденному форпосту из города Тефлиз грузинской каталикос Антонии, и при нем архимандрит один, иероманах один, поп один, дяконов двоя, дьячков двоя, князей двоя, служителей шеснатцать чл҃вк, где постановлен в силу указов для выстаевания надлежащего карантина, которой каталикос на тот червленской форпост прислал следующее ко мне письмо, и оное по надлежности принето и выветривано и в уксусе держено и в Кизлар комне с тово форпоста прислано. А по переводе оного что касательно по прозбе ево каталикоса обретающего здесь полку тенгинского подпорутчик князь Садкадзе, умеющей по ево природе грузинскому разговору, посылан был, и по возврате, что ему от упоминаемого грузинского каталикоса из за ветру чрез огонь объявлено, о том репортом представил, с которого точная копия, а писмо с переводом у сего приноситца. И как по выстояни указного карантина по прозбе ево каталикоса об отпуске в Санкт-Питербург, для поклонения стопам ея императорского в-ва учинить в покорности моей прошу снабдить резолюцию с сим нарочно посланным, чего ожидать остаюс. Генерал маиор Фон Фрауендорф. В 30 июля 1756г.[2]

ფონდი *„Грузинские дела“*. საქმე *К—53. 1756, июля 15—1757, № 5. Приезд в Россию грузинского каталикоса Антония...* ფურც. 1.

---

[1] საბუთი წარმოადგენს ყიზლარის კომენდანტის ფონ-ფრაუენდორფის მოხსენების პირს, ასტრახანის გუბერნატორის გენ. მაიორის ჟილინის მიერ საგარეო საქმეთა კოლეგიაში განსახილველად გაგზავნილს. მოხსენება ივლისის ბოლო რიცხვებში უნდა იყოს დაწერილი.

[2] საბუთს დედანში მინაწერი აქვს: „О сем доношении в коллегии получено и от астраханского губернатора Жилина“.

№ 4. 1757 წ. მარტის 17. კათალიკოს ანტონ I მოხსენებითი ბარათი იმპერატრიცა ელისაბედ I, საქართველოდან მისი რუსეთში გამომგზავრების მიზეზების და საცხოვრებლად რუსეთშივე დარჩენის ნებართვის შესახებ.

Всепресветлейшей державнейшей великой гд́рне имп-це Елисавет Петровне Самодержце всероссиской гд́рне вемилостивейшей. От новоприезжего из Грузии, смиренного Антония, каталикоса кахетийского, картелийского и алванийского и всея Верхния Иверии, доношение. Как небезизвестно вашему имп-скому в-ву, что от иноплеменников бывают великие смятения, нестроения и волнения за грехи наши в наследии нашем. И хотяб для сего врученное мне от бога стадо и оставить не надлежало, однакож, когда я наставлял князей к обращению от грехов, а паче вразумлял дабы они от не правды отлучались, того снесть не хотели; и затем пожелали меня вовсе отпрестола моего отлучить, но токмо желаемого безпричины получить не могли и затем меня обвинили и выговорили чтобы я ехал куды похочю. Ныне ж царствующие в Грузии не наследники престола нашего, а Грузия принадлежит деду моему и в наследство фамилии моей. Хотя же я и монах был, но токмо не такой которой бы жил всегда в монастыре, и затем все князья и почтенные люди как воспитаны от дяди и отца моего, когда они обидимы бывали, комне прибегали и я их всегда утешал, к чему и звание мое тому дозволяло, чего царь вытерпеть и снесть не возмогши и пожелав меня от престола моего отлучить восприял к тому причину и оклеветав обвинил меня напрасно. Чем я от звания моего стал быть и свободен, и поехал к истине где она ныне находится, то есть верою и самым делом во всеславной российской империи, и прибегаю н́не к покрову нашего имп-ского в-ва, православной монархине, как и протчие страждующие прибегают. А когда я ехал сюда то получил от цря о свободном моем проезде грамоту: також восвидетельство титулования моего, как мы титулуемся прилагаю при сем от двух вселенних патриархов оригинальные греческие грамоты ж. А по н́не оставшей наместник, по повелению царскому, повелевает во всей моей епархии взносить так как я и прежде поминаем был, очем присем прилагаюж на грузинском диалекте оригинальное ево письмо також проезжую грамоту и с них переводы. И дабы вы-

сочайшим вашего императорского в-ва соизволением повелено было, о принятии меня, яко странного и выезжего от таких нестроениев и смятениев, и определении мне для житья моего принадлежащего учинить всевысочайшее вашего имп-ского в-ва разсмотрение. И во всем том полагаюсь на матерьнюю в-го имп-го в-ва к странным милость и протекцию, чтобы я также как и прочие выезжие в империи вашего имп-го в-ва высочайшею монаршескою милостью пользуются, оставлен не был. К поданию надлежит в г-дрственную коллегию иностранных дел. Марта 17 дня 1757 году. ანტონი[1].

ფონდი *„Дела грузинские“*. საქმე *К—53, 1756 июля 15—1757, Приезд в Россию грузинского каталикоса Антония с свитою для поклонения российской императрице и для избежания нападнов на него от грузинских царей.* ფურც. 31.

№ 5. 1759 წ. აპრილი. ბატონიშვილ ალექსანდრე იესე მეფის-ძის არზა იმპერატრიცა ელისაბედ I, რუსეთში მისი დასახლებისა და სათანადო ჯამაგირით სამსახურში მოწყობის შესახებ.

Все пресветлейшая державнейшая великая гд´рня императрица Елисавет Петровна самодержица всероссийская, гд´рня всемилостивейшая. Бьет челом вновь выезжей из Грузии ц´ря Иесея Леоновича с´н ево царевич Александр. А в чем мое прошение тому следуют пункты. 1. В бытность отца моего означеного ц´ря Иесея в Персии при шахском дворе на некоторое время, прижит я им царем Иесеем в столичном городе Испогании. И как он отец мой оттуда отъехал в Грузию, то я оставлен тамо при матери своей при шахском дворе, где я и воспитан вих нечистивои и поганой магометанс-

---

[1] კათალიკოსის ხელრთვა შესრულებულია მთავრული ასოებით. საბუთს ბოლოში მინაწერი აქვს: „С сего доношения и с упоминаемых приложении чистые копии посланы к его сиятельству канцлеру в 18 марта 1757 г.“

кой вере, и находился всегда тамо. Ведая я, что рожден от благочестивого отца, старался всеми возможностьми изыскивая время и употребляя к тому все способы, чтоб как уехать в Грузию и принять благочестие, хотяж, я шахом Надырем и был пожалован чином наипским и денежным жалованьем и довольными деревьями, однакож серце мое всегда не прилежало к тому, а желал ревнительно бысть благочестивым, почему, как скоро получил удобное время и уехал в Грузию к своему по отце родному брату, которой н́не здесь в России определен володимерским архиепископом, которой меня по прибытии моем к нему и окрестил совсем моим домом и привел в благочестивую веру гречского исповедания, и стою времени в той православной вере содержу себя безсумнения и до н́не. 2. А как и по прежним объявлением означенного по отце брата моего доволно известно, что н́не царствующие тамошнего престола не наследники, а принадлежат тот престол фамилии отца моего по линии ближним. И ведая владеющие тем престолом, что происходит фамилии нашей уменьшенне, однакож уповая и полагаясь на то что впредь, когда нибудь по линии из ближних имеет быть возвращен по наследной свои престол, и для того не проча себе то наше владение начали раззорять и раззорили до конца, что и н́не всеми способи тож раззорение продолжают, в чем их реченной брат мой володимерской архиепископ, вбытность ево в Грузии по должности своей, воздерживал и увещевал и вступался и защищал природную свою нацию, за что ево безвсякого праведного резону отлуча от своего архипастырского престола выгнали, которой по приезде своем сюда принят всемилостивейшим и всещедрым вашего императорского величества матерним милосердием и пожалован без числа. 3. По отлучении же реченного брата моего, начали и меня утеснять и делать всякия обиды и раззорять, чтоб как нибудь оттуда из грузии отлучить, что они по желанию их и зделали. И старались, чтоб я как нибудь возвратился и совсем моим домом на прежнее мое жилище в Персию, желая того чтоб я совсем не токмо отечества времянного, но и вечного б, издавно желаемого дражайшего благочестивого греческого исповедания лишился и совсеми домашними погиб бы до конца без всякой надежды. Впредь ко спасению токмо я не совсем отчаивался и знав твердо, что ваше императорское в-во общая всещедрая матерь и всенадежнейшая всем вбедстве прибегающим

тихое пристанище, а особливо за веру благочестивую, и уповая нато, принял смелость и выпросился у них с одним с'ном Фомою, которому отроду шестнадцат лет, а тамо в Грузии оставил жену и детеи двух с'новей и трех дочерей и прибил сюда стем желанием, чтоб я принят был в вечное в-го имп-го в-ва, и при мне сыном моим, подданство и службу с награждением чина противу протчих моих фамилцов и национов безобидно, (кои все, неисключая ни одного, столко матерным в-го и-го в-ва милосердием пожалованы, зачто и вечно отслужить им неможно), с награждением двоиного жалованья противу протчих чюжестранцов, как всемилостивейшая в-го и-ского в-ва указы повелевают, чтоб я мог себя и домашних моих тем жалованьем содержать безкраиней нужды. И дабы высочайшим в-го имп-го в-ва указом повелено было сие мое всеподданейшее прошение принять, и за вышеозначенными законными нужными моими резоны, и за такими нестерпимими мне притеснении, чтоб я вовсе доконца во отчаяние между ненавистними моими, то есть в Грузии от христиан, а в Персии от нечестивых варваров и здомашними моими погибнуть не мог, и пожаловать меня в высочайшей своей природной монаршей мл'сти, как и прежния фомильцы мои и национ принять и меня имянованного и с сыном моим Фомою принять ввечное вашего императорского в-ва подданство высокославную российскую службу, с награждением меня рангом противу протчих моих фамилцов и национов соопределением противу же протчих чюжестранцов двойного жалования в высочайшего в-го имп-го в-ва матерного милосердия. Такоже и находящегося при мне сна моего определить в сухопутной шляхетной кадетской корпус, також и тех оставших в грузии двух с'нов я вывезу и определить, как сна моего Фому так и оных двух сыновей в означенной кадетской корпус, дабы я мог избавится от всеконечной погибели душевной и телесной. А меня нижайшего определить по способности в астраханской или кизлярской корпусы, ибо в тех корпусах порозжие ваканции имеются, а по определении моем, оставленных в Грузии жену и детей дозволить мне оттуда вывесть, за что за все высочайшее ва-го и-кого в-ва вседрожайшее здравие и за всю вашу имп-скую фамилию здетмы моими всевышнего создателя должны молить за такое от вечной пагубы избавление. Всемилостивейшая гд'рня прошу в-го и-го в-ва о сем моем прошении решение учинить. Апреля дня 1759 году. И поданию надлежит в

государственную коллегию иностранных дел. Прошение писал медицинской канцелярии копеист Петр...[1].

ფონდი *„Дела грузинские“*. საქმე *К—54, 1758 № 3. Приезд в Россию царевича Александра Иессевича с прошением подданства российского и определения его в службу.* ფურც. 7—8.

---

[1] რუსი მოხელის ხელრთვა გაურკვეველია. დედანში რუსულ ტექსტს სტრიქონებს შორის ჩართული აქვს ალექსანდრე იესეს ძის ხელრთვა: „ამ არზაში მე, ცარევიჩი ალექსანდრე საქართველოსას ხელი ჩამირთავს“.

ვ. თოფურია

ქვაჯვარანი საქართველოში*

* მას შემდეგ, რაც ვ. თოფურიამ ეს შრომა დასწერა (ოცი წლის მანძილზე), მრავალი ახალი მასალა („ქვაჯვარა“ თუ „ჯვარი“) აღმოჩნდა. ისინი აქ გათვალისწინებული არაა. მიუხედავად ამისა, მასში წარმოდგენილი მასალის საპატიო სიუხვის გამო, რედაქციამ სასარგებლოდ დაინახა წინამდებარე ნაშრომის ამ სახით დაბეჭდვა.

რედაქცია.

მოხსენების* საგანია აღნუსხვა და აღწერა იმ ძეგლებისა, რომლებიც ქვაჯვარას სახელწოდებით საქართველოს სხვადასხვა კუთხეშია გაფანტული. მათი გავრცელების ტერიტორია არც ისე შემოფარგლულია, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლებოდა დაგვეშვა: ისინი საქართველოს საზღვრებს გარეთ სომხეთსა, ყუბანსა და სხვაგან გვხვდება. საქართველოში ქვაჯვარას სპეციალისტის ხელი არ მოხვედრია. ლიტერატურაში გაბნეული ცნობები მხოლოდ შემთხვევითია. არქეოლოგნი მათ ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ მაშინ, როცა ისინი მნიშვნელობას მოკლებული არ ჩანან. მათი წარმოშობისა და გავრცელების შემდეგ, შეიძლება ითქვას, საუკუნეებია გასული.

მოხსენება რეგისტრაციის ხასიათს ატარებს. „Зарегистрировать памятник древности—значит сделать его известным, дать ему общенародное бытие“—მიღებული დებულებაა არქეოლოგიაში (ა. სპიცინი. Арх. разведки, СПб. 1908, გვ. 6).

აქ წარმოდგენილია ჩემ მიერ სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობის დროს აღნუსხულ-აღწერილი ძეგლები. საკითხის გარშემო არსებული ლიტერატურაც, რამდენადაც ეს თბილისში ხელმისაწვდომი იყო, განხილულია. ცხადია, ქვაჯვარები აქ დასახელებულ კუთხეთა გარდა სხვაგანაც მოსალოდნელია.

მოხსენება მიზანს მიაღწევს, თუ ქვაჯვარა სპეციალისტთა ყურადღების ობიექტი გახდება და საკითხი მისი გენეზისისა და გავრცელებისა დაისმის და გადაიჭრება. მოხსენება განთავისუფლებულია ჰიპოთეზებისაგან: იგი ჩვენი საქმე არაა.

+ სპეციალური გამოკვლევებით დადგენილია, რომ ჯვრის კულტი მარტო ქრისტიანული მოვლენა არ იყო. მისი გენეზისი შორეულ წარსულშია ჩაფლული. ჯერ კიდევ ქრისტიანობის გავრცელებამდის იგი სხვადასხვა დანიშნულებისა და მნიშვნელობის ემბლემად იყო ცნობილი მრავალ ერთა შორის. ეგვიპტის იეროფანტთა სიმბოლიკაში ჯვარი უკვდავებისა და ბედნიერების ემბლემას წარმოადგენდა; ქურუმნი კი მას სიხარულისა და საიქიო ცხოვრების ნიშნად სახავდნენ. ეგვიპტიდან იგი აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებშიც ვრცელდება: ასურეთსა, სპარსეთსა და ფინიკიაში. ჯვრის სახე სხვადასხვა ნივთებზე, კატაკომბებსა და იეროგლიფებში იქნა აღმოჩენილი. ფინიკიურ ფულებს ჯვარი ამშვენებდა. იგი გარეგნულად

---

* წაკითხულია საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საჯარო სხდომაზე 17 დეკემბერს 1923 წელს. იბეჭდება თითქმის უცვლელად.

ბერძნულ-ლათინურ T (ტაუს) წააგავდა... დროთა ვითარებაში ჯვარი ზოგან პირვანდელ მნიშვნელობას ჰკარგავს. რომის იმპერიაში იგი გამოყენებულია როგორც დასასჯელი იარაღი, განსაკუთრებით მონათა და მძიმე დამნაშავეთათვის. ჯვარცმა, ანუ „დამოკიდება“ მეტისმეტად სასირცხო დასჯად ითვლებოდა. ბიბლიაში ნათქვამია: „წყეულ არს უფლისა მიერ ყოველი, რომელი დამოეკიდოს ძელსა“-ო (მეორე შჯ., XXI, 23). უთუოდ ამიტომ მიმართეს ებრაელებმა ამ საშუალებას. ამით მათ სურდათ ქრისტეს პრესტიჟის დაცემა, მაგრამ მიიღეს ამის საწინააღმდეგო: სწორედ ამ დროიდან იქნა აღიარებული ჯვარი ქვეყნის მხსნელ იარაღად ქრისტიანთა მიერ. მას თაყვანს სცემენ. მაგრამ პირველი სამი საუკუნის განმავლობაში იგი სხვა ქრისტიანულ ტრადიციებთან ერთად disciplinae arcanae-ს მიეკუთვნებოდა, რადგანაც ეშინოდათ წარმართთა დაცინვისა[1]. ქრისტიანთა მიერ ჯვრის ამგვარ ფარულ აღიარებას ალბათ ისიც აძლიერებდა, რომ ჯვრის ანალოგიური კულტი არაქრისტიანთა შორისაც იყო გავრცელებული. წარმართნი ქრისტიანებს დასცინოდნენ და მათ crucicolae ან religiosi crucis-ს უწოდებდნენ. III საუკუნიდან ჯვარი უფლებამოპოვებულია და ვრცელდება...

ჯვარს სამი ძირითადი სახე აქვს: ერთია crux decussata—ჰგავს გამრავლების ნიშანს: X. მასში ჩაქსოვილი იყო სიმბოლო ქრისტეს სახელისა და ჯვრისა. სახელმწიფო სარწმუნოებად ქრისტიანობის გამოცხადების შემდეგ იგი ხმარებიდან გამოდის. მეორეა crux commissa—ბერძნული T (ტაუს) მსგავსი და მესამეა crux immissa—ჩვენში გავრცელებული. ცნობილია ამათი მრავალი სახეცვლილებაც. ქრისტიანობის წინ და შემდეგ არსებული ჯვრები დაწვრილებითაა შესწავლილი და მდიდარი ლიტერატურაც მოიპოვება მათ შესახებ[2].

საქართველოში, რამდენადაც სათანადო ისტორიული წყაროები ამის თქმის საშუალებას გვაძლევს, ჯვარი ქრისტიანობის გავრცელებას სდევს თან[3].

---

[1] პალატინის ბორცვის გათხრის დროს 1857 წ. აღმოაჩინეს ოთახი, რომლის კედელზე დახატული იყო კარიკატურა ქრისტეს ჯვარცმისა. ჯვარზე ვირისთავიანი ადამიანია გამოყვანილი და გვერდით სალოცველად ხელებაპყრობილ მეორე ფიგურას აქვს წარწერა: „ალექსამანი თავის ღმერთს ევედრება“ (Христ. чтения, 1868, ч. II, გვ. 736).

[2] П. Гнедич. История искусств, т. I, СПб. 1897, გვ. 344-49; Н. Барсов-ის წერილი ბროკჰაუზისა და ეფრონის Энцикл. сл., 32, გვ. 654-8; Н. Покровский. Евангелие в памятн. иконографии, СПб. 1892, გვ. 318; Е. К. Крест в мире языч. и христ., 1912. ამ სამს უკანასკნელში სათანადო ლიტერატურაა ნაჩვენები.

[3] გეოგრაფიული ნომენკლატურა, როგორც მაგ., გორიჯვარი, გომიჯვარი (გორის რ.), მარიამჯვარი (მანგლისის მიდამოებსა და კახეთში), ბორცვისჯვარი

I

ეგრეთ წოდებული ქ ვ ა ჯ ვ ა რ ა გავრცელებული ყოფილა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მაგრამ განსაკუთრებით მის სამხრეთსა და სამხრ.-აღმოსავლეთ ნაწილში. ამგვარი სახელწოდება წარმოდგა იქიდან, რომ ჯვრის სახე, დიდი იქნება იგი თუ პატარა, გამოჭრილია ქვისაგან[1]; ქვა კი ძალიან ხშირად სუფთად გათლილია. ჯვრის დასაყრდნობი კვარცხლბეკი (ბაზისი) ისევ ქვაა, რომლის თავი ამოღრმავებულია და შიგ ჯვარი ან ჩაკირულია, ან ისე დგას. ქვაჯვარა შეიძლება სართულიანი იყოს, ე. ი. შედგებოდეს რამდენიმე ბაზისისაგან. ძირა კვარცხლბეკი (საძირკველი) ოთხკუთხი ან მრავალკუთხი მთლიანი დიდი ქვაა მიწაში ჩაფლული (ხშირად მიწაზედაც დგას) და მის ამონაღარ სიღრმეში (თუ ექნება ასეთი) ჩადგმულია მეორე, ნაკლები ზომის, მაგრამ ხშირად მომრგვალებული ან კუთხოვანი, ქვა. შეიძლება ესეც თავის მხრით ბაზისი იყოს მესამისა, რომელსაც ზოგჯერ იმგვარივე ფორმა აქვს, როგორც მეორეს, მაგრამ ნაკლები ზომისაა; უკანასკნელი კი ჯვრით არის ხოლმე დაგვირგვინებული. ჯვრის კვარცხლბეკი ამოღრმავებულია ოთხკუთხად. ზოგი ქვაჯვარა შიგ ეკლესიაშია მოთავსებული. საფიქრებელია, რომ ეკლესია შემდეგში იყოს აშენებული. ხშირად ერთსა და იმავე ადგილას სხვადასხვა ქვაჯვარას სხვადასხვა ნაწილია დაცული: ბაზისი ერთისაა და ჯვარი კი მეორისა. წარწერა იშვიათად გვხვდება. ზოგიერთი ქვაჯვარა განსაკუთრებულ სახელწოდებას ატარებს და სპეციალურად დღესასწაულიც იყო დანიშნული. მლოცველები შორი მანძილიდანაც კი მოდიოდნენ: ღამეს ათევდნენ, სწირავდნენ „სახვთოებს“ და სხვა. ზოგი მათგანი განთქმულია თავისი „სიძლიერით“ და „თუ შესაწირავი არ წაუღე, დაგაბამს“.

ამგვარ ქვაჯვარებთან ერთად, როგორც ეს ლიტერატურული ცნობებიდან[2] ირკვევა, გავრცელებული ყოფილა ქვისაგან გამოჭ-

---

(სამხრ.-ოსეთსა და მანგლისის ხევში), ციხისჯვარი (ბაკურიანთან) და სხ., ან იურიდიულ ენაზე ცნობილი crucē subscribere, ე. ი. ხელის მოწერის ნაცვლად სამი ჯვრის დასმა, ან კიდევ რომელიმე ძეგლზე წარწერის წინ ჯვარი, რასაკვირველია, ქრისტიანობის გავრცელების შემდეგაა წარმოშობილი. იგი არაფერს გვეუბნება ქართველთა წარმართობის დროინდელ ჯვარზე, რომელიც შეიძლება არც კი იყო შემოღებული ქრისტიანობამდე.

[1] ქვაჯვარას ეტიმოლოგია ფრიად მარტივია: მის შემადგენლობაში შედის ქ ვ ა და ჯ ვ ა რ ი. აქ აღწერილი ქვაჯვარები არსებითად განსხვავდებიან იმ ჯვრებისაგან, რომელნიც ამოჭრილი არიან ქვაზე და *խաչքար*-ის ან резной крест-ის სახელწოდებას ატარებენ და რომელსაც, სამწუხაროდ, ლიტერატურაში ზოგჯერ каменный крест-ს ურევენ.

[2] ზოგიერთი ქვაჯვარას შესახებ ლიტერატურაში გადმოცემული ცნობე-

რილი მთლიანი ჯვარი ან ზედ ჯვარამოჭრილი და მიწაში ჩასმული სვეტები. მათ აქვე მოკლედ მოვიყვანთ.

დავიწყოთ მანგლისით.

1. ძველი მანგლისის ეკლესიის შესავლის წინ, სამხრეთით, მარჯვნით, არის ქვის ჯვარი ქვისავე ბაზისში ჩადგმული[1]; კუთხოვანი თლილი ბაზისი კი მიწაშია ჩასობილი.

2. ძველსა და ახალ მანგლისს შუა, გზის პირად, არის მსგავსივე ჯვარი[2].

3. ე. წ. პატარა ბაზარში, ანუ Поляна-ს პირდაპირ, ყვეზრალების სახლის წინ, დაცულია ზევიდან ამოღარული ქვის ბაზისი, საიდანაც ჯვარი ამოუღიათ და წაუღიათ.

4. მანგლისის პირდაპირ მდებარე ე. წ. საკრისის, ანუ რუსუ-

ბი იმდენად ბუნდოვანია, რომ მათი ნდობა ცოტა არ იყოს სახიფათოა. სახიფათოა მით უფრო, რომ, როგორც ითქვა, არეულია ორი ცნება: резной крест-ი каменный крест-თან.

რუსული წყაროების მიხედვით ზოგჯერ ალბათ გეოგრაფ. ნომენკლატურა სისწორით ვერ იქნება გადმოცემული ქართულ ენაზე.

[1] Г. Н. Чубинов. Заметки о Манглисском храме: საქარ. მუზეუმის მოამბე, № 1, ტფ. 1919—20. გვ. 36—7; ფოტოგრაფიული სურათები დ. ერმაკოვის კოლექციაში შემდეგი ნომრებითაა აღნიშნული: 9793/19, 15352/304, 15353/305 (ამაზე ჯვარი ჰორიზონტალურად ჩანს), 18126/604, 18127/605, 18130/608, 18135/613; *Мат. по Арх. Кавказа*, вып. VII, Москва 1898, таб. IV, გვ. 68—69; С. Сливицкий. Древний храм в Манглисе, Тифлис 1902, წინა. სურათი წარწერით... после возобновления.

[2] С. А. Сливицкий. Op. cit., გვ. 46. ეს ჯვარი პროფ. გ. ჩუბინაშვილს მანგლისში ყოფნის დროს (1919 წ.) ვერ უნახავს და ჰკითხულობს: „...но где он теперь?“ (Заметки о Мангл. хр., გვ. 37); ხოლო პროფ. ა. შანიძე ამ ჯვრის შესახებ დაწვრილებითს ცნობებს გვაწვდის, რომლებიც მან 1922 წლ. გაზაფხულზე მანგლისში ყოფნის დროს შეკრიბა. თავის მოგზაურობის დღიურში იგი წერს: „კადეტთა კორპუსის მამულის თავზე, ნაძვნარში, გზის პირად, რომელიც ძველი მანგლისის დასაწყისში ჩამოდის, ტაძრის აღმოსავლეთით არის ჯვარი; ეს ალბათ ის ჯვარია, რომელიც ს. სლივიცკის სიტყვით 1856 წელს იყო „на половине дороги между новым и старым Манглисом“, ხოლო იგი უფრო ძველ მანგლისთან არის ახლოს, ვიდრე ახალთან. ამასთანავე იგი პირდაპირ შუაზე კი არ არის, არამედ ცოტა უფრო განზე. ახლა წამოქცეულია და კვარ ჯხლბეკი არა ჩანს სრულებით, თითქოს მიწაშია ჩარჭობილიო, მაგრამ მიწა თუ გადაითხარა, კვარცხლბეკი (ბაზისი) ალბათ გამოჩნდება. იგი დღესაც იქვეა, სადაც უნდა ყოფილიყო 1856 წელს“. ამ ჯვრის შესახებ პროფ. ლეონ მელიქსეთ-ბეგმა შემდეგი თქმულება გადმოგვცა, რომელიც მას ადგილობრივ გაუგონია: „ძველ მანგლელებსა და ოძელებს შორის საზღვრის გამო დავა ატეხილა. ორი ქალწული გაუშვიათ სირბილით და, სადაც ისინი შეყრილან, იქ ჯვარი ჩაუსვამთ და სამანიც დაუდვიათ“. ადგილობრივ მცხოვრებთა გადმოცემით ანალოგიური ჯვარი (ე. ი. უბაზისო) მდგარა ბარათაანთ წყაროს ახლოს ალგეთის. ხევისაკენ.

ლი ნომენკლატურით Желтая მთაზე არის სალოცავი—ხატი, რომელსაც ადგილობრივი რუსები каменная невеста-ს უწოდებენ, ხოლო მთიული ქართველები მარიამჯვარს და ოსები „მამიდა“-ს. ამ სალოცავის წინ სამი ქვაჯვარა დგას, რომელთაგან

ერთი, სიგრძით $3^1/_2$ არშ., სიგანით დაახლოებით 2 არშ. და სისქით $^1/_2$ არშ.[1], წამოყირავებულია ქვებზე;

მეორე, სიგრძით 1 არშ. 5 ვერშ., სიგანით 1 არშ-მდე, აღმართულია დიდ ქვაზე დიამეტრით $3^1/_2$ არშ. ჩრდ.-სამხ. და 2 არშ-მდე აღმ.-დას. და

მესამე კი სიგრძით დაახლოებით 2 არშინია, სიგანით 1 არშ. მეტი; ზედა მიმართულებით ტანი ვიწროვდება, სისქით 5 ვერშ. დგას პატარა ბაზისზე. ყველას თაყვანს სცემენ, მაგრამ მეტის მოწიწებით პირველს ეპყრობიან[2]. ფეხმოკიდებულია ცრურწმენა: გვალვის დროს თუ გადააბრუნე ქვაჯვარა, წვიმა მოვაო; ხოლო ხშირი წვიმების შესაწყვეტად მეორე გვერდზე უნდა გადმოაბრუნოო. ერთ- და ხუთ-ვერსიან რუკებზე „Крест Мариам-джвари“ არის აღნიშნული.

5. არხოტის მიდამოში (მანგლისის დასავლეთით) სამი ჯვარია. ორი მათგანი უბაზისოა და ლივადისაკენ (წალკისაკენ) მიმავალი გზის მარცხნითა და მარჯვნით (გზაზე და გზის ზემოთ) იმყოფება; ორივე საზღვრის აღმნიშვნელად ითვლება. ერთ- და ხუთ-ვერსიან რუკებზედაც ნაჩვენებია. მესამე ჯვარი სოფლის ეკლესიის გალავანში სამხ.-აღმოსავლეთისაკენ არის. მისი ბაზისი პატარაა: სიგრძით 3 ჩარექია, სიგანით 1 და სისქით $^1/_2$ ჩარექი[3].

6. ჩხიკვთის სამებაზე ორი ქვაჯვარა ყოფილა, რომელთაგან დღეს ერთი უბაზისო ჯვარია, ხოლო მეორე უჯვარო ბაზისი.

7. სოფ. ქსოვრეთიდან გუდარეხის მონასტრისკენ მიმავალი გზის მარცხნით, ერთ ადგილას, რომელიც ხალხში ცნობილია როგორც სალოცავი ადგილი კალავერის სახელწოდებით, ყოფილა სამი ქვაჯვარა. ამჟამად ჯვრები არ მოიპოვება: იგი ამოუგლეჯიათ და წაუღიათ, ბაზისები კი თავის ადგილას დარჩენილა. ისინი თანა-

---

[1] როგორც ლიტერატურაში, ისე ჩვენს აღწერაში ქვაჯვარათა ზომა არშინობითაა მოყვანილი.

[2] პირველის შესახებ გადმოცემა შემდეგს ღაღადებს: ერთ-ერთ თავადს ჰყოლია ლამაზი ასული. თავს დასხმიან ყაჩაღები და ქალის მოტაცება ნდომებიათ. იგი გაქცეულა შიშისაგან. აქამდის მოუღწევია და დაღლილობის გამო ნაბიჯიც ვერ გადაუდგამს წინ. შეუთხოვია და იქვე გაქვავებულა.

[3] მარიამჯვრისა და არხოტის ქვაჯვარების არსებობის შესახებ პროფ. ა. შანიძისათვის ცნობა მიუწოდებია ძველი მანგლისის მღ. ი. ჩიტაძეს.

ბარი ზომისა არ არიან. მთლიანი ქვებია, ორს სამ-სამი საფეხური აქვს, მესამეს კი—ორი. უდიდესი მათგანი სიგრძით 19 ვერშ., სიგანით 18—16 ვერშ., ამონაღარის სიღრმე უდრის 7 ვერშოკს; მეორე სიმაღლით 17 ვერშ., ამონაღარი 1 ვერშ. სიღრმისაა, სიგანით $16^1/_2$—13 ვერშ.; მესამე კი შედარებით პატარაა: სიმაღლით 6, სიგანით $8^1/_2$—$6^1/_2$ და სიღრმით 2 ვერშ.[1].

ახალციხის რაიონში მას შემდეგ ადგილებში ვხვდებით:

8. ურთხისუბანში, ზარზმის დასავლეთით ხუთი ვერსის მანძილზე, მთავრული წარწერით ქვის ჯვარი ყოფილა დაცული[2] და

9. ასეთივე ქვის დიდი ჯვარი ხუცური წარწერით მახაჭალაშიც არსებულა[2].

10. სოფ. ვალეში მეორე ეკლესიის გალავანში ზედ ჯვარამოჭრილ ბრტყელ ქვასთან ერთად ყოფილა საფლავზე ქვის ჯვარიც, ხოდჩახის ქვის მსგავსი[3].

11. სოფ. ბალაჯურის მეორე ეკლესიის ახლოს სასაფლაოზე მიწაში ჩასობილი ყოფილა ჯვრები ხოდჩახის ქვების მსგავსად[4].

ახალქალაქის რაიონში აღწერილია შემდეგი:

12. დიდი აბულის მაღლობზე დიდი ქვაა, სიგრძით ერთი საჟენი, რომელსაც, ივ. როსტომაშვილის სიტყვით, ადგილო-

---

[1] ვსარგებლობთ პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის მიერ შეკრებილი მასალებით. მათ იგი შეეხო ამავე საზოგადოების საჯარო სხდომაზე 10 დეკემბერს წაკითხულ მოხსენებაში. მის მიერ დასახელებული თხუთმეტი ქვაჯვარადან როგორც ლიტერატურაში, ისე ჩვენთვის, სრულებით უცნობი იყო რვა თავისი მასალები სათანადო გამოკვლევითურთ პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგმა დაბეჭდა შემდეგი სათაურით: „მანგლისის რაიონი ისტორიულ-არქეოლოგიური თვალსაზრისით“ (ჟურნ. „ახალ სკოლისაკენ“, 1924, № 2—3, გვ. 75, 76, 80); „მეგალითური კულტურა საქართველოში“, 1938, თავი: „ქვაჯვარა“—ობელისკები (გვ. 110—117).

პროფ. ა. შანიძესა და პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგს უღრმეს მადლობას მოვახსენებთ მასალების გადმოცემისათვის.

[3] Е. Такайшвили: *Сб. мат. для опис. местн. и племен Кавказа*, вып. XXXV, отд. I, გვ. 111, 112=Арх. экск., вып. I, Тфл. 1905 (იგივე გვერდები).

[3] Граф. Уварова. Кавказ, Абхазия..., ч. II, გვ. 262=*Мат. по Арх. Кавказа*, вып. IV, გვ. 71.

ამ ჯვრის სურათი (იხ. სურ. 1) პროფ. გ. ჩუბინაშვილმა გადმოგვცა, რისთვისაც მას დიდ მადლობას ვუცხადებთ. ჯვარს მთავრული წარწერა აქვს. სამწუხაროდ, იგი ვერ ირჩევა. ალბათ ამ ჯვარს არაფერი აქვს საერთო მ. ბროსეს მიერ ეკლესიის ახლოს ნაპოვნ ზედ ჯვარამოჭრილ (грузной крест) და ხუცურწარწერიან ქვის ნატეხთან (Е. Такайшвили. Надписи церкви в Вале: *Изв. Кавк. отд.*, вып. II, გვ. 72; Brosset. Rapp. II, p. 129).

[4] Граф. Уварова. Кавказ, Абх., ч. II, გვ. 259=*Мат. по Арх. Кавказа*, IV, გვ. 68.

ბრივი მცხოვრებნი დღესაც თაყვანს სცემენ. მაგრამ იგი ცდება, როდესაც ეს ჩვეულება სომხური წარმოშობისა ჰგონია[1]. ეგების ეს ქვა ჯვრის ბაზისი იყოს.

13. ბარალეთის ჩრდილოეთით, ორი ვერსის მანძილზე, ბარალეთსა და კაჭიოს შუა, ამართულია ე. წ. ამაღლების სვეტი, რომელსაც გარს ქვის გალავანი არტყია. სვეტი სიმაღლით ორ საჟენზე მეტია, ოთხკუთხია და თავზე ჯვარი აქვს ჩასმული. თვით სვეტი დგას ოთხკუთხ თლილ ქვისავე ბაზისზე, რომლის წინა გვერდზე ვარსკვლავია წრეში ამოჭრილი. კვარცხლბეკი კი თავის მხრით ქვებზეა დაყრდნობილი (იხ. სურ. 2)[2].

---

[1] И. П. Ростомов. Ахалкалакский уезд в арх. отношении: *Сб. мат.*, XXV, отд. I, გვ. 23—24.

[2] И. П. Ростомов. Op. cit., გვ. 43—45, სურათი 44-ე გვერდზე; იგივე ქართულად: „მოგზაური“ 1901 წ., № 1, გვ. 30—31, სურ. 29-ე გვ.

ქვაჯვარებში შესატანი არაა ივ. როსტომაშვილის მიერ აღწერილი ძუძუს ქვები, რომლებიც დაცულია განძასა და მურჯახეთში; სახელდობრ:

ა. განძის დასავლეთით, სოფლის განაპირას, არის ქვის სვეტი მიწაში ჩაჭედილი. მისი სიმაღლე უდრის 5 არშინს, განი კი $1^1/_2$ არშინს. სვეტის დასავლეთისკენ მიმართულ გვერდზე არის, როგორც ეს სურათიდანაც ჩანს, „სიცოცხლის მომცემის ემბლემის ქანდაკი“ (Op. cit., გვ. 53; „მოგზაური“ 1901 წ., № 1, გვ. 32, სურ. მე-11 გვერდზე).

ბ. ასეთივე „სიცოცხლის მომცემის ემბლემის ქანდაკის“ მქონე სვეტი მურჯახეთში ორი ყოფილა: ერთი მათგანი სოფლის ბოლოსაა ჩრდილო-დასავლეთით, ძველ სასაფლაოზე. სიმაღლე მისი 4 არშინია, განი კი ერთი. იგი ოთხკუთხია და მიწაში ჩასობილი. ერთ გვერდზე ამობურცულად გამოყვანილი ყოფილა ფალოსი (φαλλός || φαλλῆς), რომლის სიგრძე ერთი არშინია (სურათი „მოგზაურის“ მე-11 გვერდზეა). მეორე ამავე სიდიდის სვეტი დაშორებული ყოფილა პირველიდან 120—150 საჟენით („მოგზაურში“ კი ნაჩვენებია 150—200 საჟენი: გვ. 33). იგი წაქცეულია და ამიტომაც აუწერელი დარჩენილა (*Сб. мат.*, გვ. 93—94; „მოგზაური“, გვ. 31—32). სამსავე სვეტს ძუძუს ქვას ეძახიან. ავტორი ამათ უკავშირებს ფალოსის კულტს. ამავე აზრისაა ექვთ. თაყაიშვილიც, რომელსაც მურჯახეთის ორივე სვეტი აღწერილი აქვს. მისი სიტყვით, პირველ სვეტს ადგილობრივ მცხოვრები ქალები ყოველდღე სანთელს უნთებენ, უკმევენ და ერბოს სცხებენ. ხალხის რწმენით, ამ სვეტს შეუძლია რძის მიცემა დედათათვის.

სხვათა შორის, ე. ლალაიანციც შეხებია ფალოსის კულტის არსებობას კავკასიაში მის მიერ ჩატარებული გათხრების შედეგებზე წაკითხულ მოხსენებაში. მას ფალოსის კულტის მატარებელ ძეგლებად მიაჩნია: მურჯახეთის ძუძუს ქვა (რომელსაც იგი молоко-камень-ს ეძახის), განძის ქვის სვეტი, რომელიც, მისი სიტყვით, ბერწ ქალთა სათაყვანოს წარმოადგენს, და სოფ. თათევის [ყ. ზანგეზურის მაზრაშია] ახლო დაცული ფალოსის მსგავსი ჭიპის ქვა („...чтится «пупок-камень» с подобием фаллуса“), რომელსაც უნაყოფო ქალები მუცლით ეხებიან თურმე (Протокол № 20: *Известия Кавк. отд.*, вып. II, Тфл. 1907, отд. II, გვ. 25—26).

ამგვარად, ეს სამი ძეგლი ფალოსის კულტის მატარებელ ძეგლად ითვლებოდა აქამდის. მაგრამ მასში ეჭვი შეუტანია განსვ. ი. სმირნოვს, და, რო-

გორის რაიონში:

14. მეჯვრისხევის ეკლესიიდან რამდენიმე ნაბიჯზე ცალკე სამლოცველოში ყოფილა ქვის ჯვრის ნატეხი, სიგრძით 1 არშ. 2 ვერშ., სისქით $5^1/_2$ ვერშ. ზედ გამოყვანილი ყოფილა წმ. გიორგი, ნათლისღება, ანგელოზები და სხვ.[1]

15. ატოცის ახლოს, მინდორზე, ხნიერ მსხლის ხეების ქვეშ ყოფილა ქვის ჯვარი მხედრული წარწერით[2].

16. სახელმწიფო უნივერსიტეტის კარიბჭესთან დაცულია ყველის ციხიდან მოტანილი ქვის სვეტი* მთავრული წარწერით, რომელიც გაარჩია პროფ. ა. შანიძემ საისტ. და საეთნოგრ. საზოგ. სხდომაზე 1922 წლ. 23 მაისს წაკითხულ მოხსენებაში[3].

17. აქვე დაცულია ხუნამისიდან მოტანილი ძეგლი მთავრული წარწერით. პროფ. ა. შანიძემ იმავე მოხსენებაში აღნიშნა, რომ იგია „ბაზისი, ანუ კვარცხლბეკი ჯვრისა და არა სანათლო“ (каменная купель), როგორც ეს ექვთ. თაყაიშვილს ეგონა[4]. ამ დე-

---

გორც განსვ. ს. ლომიას ანგარიშიდან და ნ. მარის ცნობიდან ჩანს, ფალოსის ნაცვლად ამ ქვებზე თითქოს გამოყვანილია ვეშაპი (*Христ. Восток*, т. VI, вып. III, Птрг. 1922, გვ. 335). ამ ძეგლთა შესახებ ლიტერატურა დაწვრილებით აქვს მიმოხილული და თავისი მოსაზრება გამოთქმული პროფ. ლ. მელიქსეთბეგს („მეგალითური კულტურა საქართველოში“, გვ. 98—104).

[1] *Мат. по Арх. Кавказа*, IV, გვ. 189.

[2] ibid., 165.

* ამჟამად ეს ძეგლი საქ. მუზეუმშია დაცული.

[3] ექვთ. თაყაიშვილს მოყვანილი აქვს ამ სვეტის სურათი, მაგრამ წარწერის წაკითხვაში მას ზოგიერთი შეცდომა მოსვლია (Арх. экск.: *Изв. Кавк. отд.*, вып. II, გვ. 68, სურ. იქვე=Отд. отт., вып. III, Тфл. 1907, გვ. 6).

[4] *Изв. Кавк. отд.*, II, გვ. 68—69, სურ. იქვე=Арх. экск. III, გვ. 6—7, მეორე სურათი იქვე. ამ ქვების შესახებ ექვთ. თაყაიშვილს მოხსენება წაუკითხავს მოსკოვის საარქეოლ. საზოგ. კავკასიის განყ. სხდომაზე 1905 წ. 10 აპრილს (*Изв.* II, отд. II, გვ. 29, ოქმი № 23).

საფიქრებელია, რომ ქვემომოყვანილი ძეგლები, რომლებიც აღმწერ-ავტორთ სანათლოდ მიაჩნიათ, იყვნენ ჯვრის ბაზისები.

1. ბოდორნის ეკლესიის წინ ყოფილა ქვისგან გამოჭრილი სანათლო (А. С. Хаханов. Ксанское ущелье: *Мат. по Арх. Кавк.*, вып. VII, გვ. 61).

2. ურბნისის ეკლესიის ეზოში წაქცეულად გდებულა მომრგვალო ფორმის ძველი სანათლო (Дм. Бакрадзе. Кавказ в памятн. хр., გვ. 152=*Акты*, V, გვ. 1090; Муравьев. Грузия и Армения, ч. III, СПб. 1848, გვ. 111).

გრაფ. უვაროვისას კი მისი სანათლოდ მიღება ყოვლად შეუძლებლად მიაჩნია (*Мат. по Арх. Кавк.*, IV, გვ. 145).

3. შუამთის მონასტრის ახლოს, ჩრდილოეთით, გამართული ყოფილა ბავშვთა სანათლო (В. Кикнадзе. Памятники древности Телавского уезда: *Сб. мат.*, вып. VII, отд. II, გვ. 45).

4. სამშვილდის ციხის კედლიდან 30—40 საჟენით დაშორებული ეკლესიის

სურ. 1.

ქვაჯვარა სოფ. ვალეში.



სურ. 2.

ამაღლების სვეტი.

ბულებას ადასტურებს თვით წარწერა, რომლის დასაწყისი მანვე გაარჩია და ასე წაიკითხა: ᲬᲚᲘ ᲰᲘᲬᲘ[1], ᲥᲔᲰᲠᲘᲢ[2].

18. საისტორიო და საეთნოგრ. საზოგ. მუზეუმში (ახლა საქ. სახ. მუზეუმში) ინახება პ. თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ შემოწირული ქვის ჯვარი № 2856, სიმაღლით 1 არშ. 2 ვერშ., სიგანით 14 ვერშ., ხოლო სისქით $4^1/_2$ ვერშ. თუ საიდანაა მოტანილი იგი, გამორკვეული არ არის.

ქვაჯვარებს, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, საქართველოს სხვა კუთხეებშიც უპოვიათ გავრცელება; მაგ., იგი გვხვდება ლეჩხუმსა, სვანეთსა და აგრეთვე ძველ შავშეთსა და კლარჯეთში.

ლეჩხუმსა და სვანეთში შემდეგს ადგილებშია აღნიშნული მათი არსებობა:

19. სოფ. თაბორთან (ლაილაშის ახლოს) განცალკევებულ ბორცვზე რომ ჯვრის სახელობის ეკლესიაა აშენებული, მის მარჯვნით ხშირი ტყით დაფარულ საუცხოო წმიდა ადგილას, ჩრდილქვეშ, მიწაში ჩასობილი ყოფილა ქვის ჯვარი, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი შესაწირავს უძღვნიან[3].

20. ამავე სოფლის მეზობლად, ლაჯანურის ხევიდან ლეჩხუმისაკენ მიმავალი გზის პირად მიწაში ჩასობილი ყოფილა ქვის ჯვარი[4].

21. მესტიისაკენ მიმავალი გზის პირად, ბარშის (ეცერის საზოგ.) ახლო გორაკებზე, ამართული ყოფილა ქვის ჯვრები, რომელთაც ყოველი მგზავრი „კეთილ მგზავრობას“ შესთხოვდა ხოლმე[5].

22. სოფ. მაზაშიდან რამდენადმე დაშორებით ყოფილა ქვის გალავნით შემოზღუდული ჯვარი. გადმოცემით, ამ ადგილას გაჩერებულა მაცხოვარი სახარების ქადაგების დროს და საჭიროდ დაუნახავს არ განეგრძო გზა მისი უვარგისობისა გამო. ჯვართან მდებარე ქვაზე მაცხოვრის ნაკვალევს უჩვენებენ თურმე[6].

დასავლეთ კარიბჭეში მდგარა ქვის სანათლო (С. М а ж н и к о в. **Памятники** древности города Самшвилде: *Сб. мат.*, вып. XIII, გვ. 10).

5. საფარის მონასტრის მიძინების სახელობის ეკლესიის სტოაში ყოფილა ბიზანტიური ფორმის სანათლო. მისი ამონაღარის სიღრმე 6 ვერშ., ხოლო დიამეტრი $10^1/_2$ ვერშოკს უდრის. იგი დამყარებულია 11 ვერშ. სიმაღლის მსგავსსავე სვეტზე (*Мат. по Арх. Кавк.*, вып. IV, გვ. 87).

[1] ამ სიტყვის პირველი სამი ასო პუნქტირითაა აღდგენილი.

[2] იხ. საქ. საისტ. და საეთნ. სახ. 1922 წლ. 23 მაისის სხდომის ოქმი № 153. ამჟამად ხუნამისის ძეგლი დაცულია საქ. სახ. მუზეუმში.

პროფ. ა. შ ა ნ ი ძ ი ს მოხსენებამ აღძრა ჩვენი ინტერესი ქვაჯვარათა შესწავლის საკითხისადმი.

[3] Граф. У в а р о в а: *Мат. по Арх. Кавказа*, вып. X, Москва 1904, გვ. 31.

[4] ibid., 55.

[5] ibid., 45.

[6] *Мат. по Арх. Кавк.*, вып. X, გვ. 48.

23. ზემო რაჭაში სოფ. გლოლის ეკლესიიდან რამდენიმე ნაბიჯზე მეორე პატარა ბაზილიკის ეკლესიაა და მასში ყოფილა ქვის ტრაპეზი ზედ ჯვარდამაგრებული [1].

24. სოფ. გლოლიდან ერთ ვერსდაშორებით ტყეში მოიპოვება თურმე ამგვარივე ჯვარი მრავალი შენაწირით [2].

ძველი შავშეთისა და კლარჯეთის შემდეგს ადგილებში ვხვდებით ქვის ჯვრებს:

25. ბაკოს მიდამოებში (ზემო აჭარა), ძველ სასაფლაოზე ყოფილა ქვის დიდი ჯვარი, სიგრძით $3^1/_2$ ფუტი, სიგანით $2^1/_2$ და სისქით $^1/_2$ ფუტი [3].

ეგევე ცნობა გრაფ. უვაროვისას ციტატად აქვს მოყვანილი. თვითონ მას კი ხოდჩახში, ანუ შერიფ-ბეგის აგარაკში, ხირხათის მთის პირდაპირ, ტყეში, უნახავს საფლავების ახლოს ადგილობრივი ქვისგან გამოჭრილი ორი ჯვარი. ერთი სიმაღლით 5 ჩარექი ყოფილა, მეორე კი $^1/_2$ არშინი. ბოლო წაწვეტებული ჰქონიათ. ალბათ ამ ბოლოთი მიწაში ან ქვის ბაზისში იყვნენ ჩასმული [4].

26. ვანის [5] ეკლესიის საკურთხევლის მაღლობზე გდია ჯვრის ნატეხი და ქვის ბორბალი [6].

27. მახარობი-წორი სოფ. ოქრობაგეთის აღმოსავლეთით $^1/_2$ საათის სასიარულო გზის მანძილზეა. ვაკეზე ჯვარია და გარს მღვიმეები [7].

28. კოკიშაურის ეკლესიის აღმოსავლეთით გდია ჯვრიანი ქვის ბაზისი [8].

29. ენი-რაბათის ეკლესიის სამხრეთი ფრთის დასავლეთ კედელს მიყრდნობილია ორი ქვის ჯვარი. ერთი მათგანი დიდია და

---

[1] *Мат. по Арх. Кавк.*, вып. IV, გვ. 4.

შეიძლება ეს ზედ დამაგრებული ჯვარი ხისა ყოფილიყო. ბართოლომესა და დ. ბაქრაძეს, როდესაც ისინი ხის ჯვრების გავრცელების ადგილად ილორსა, რაჭასა და სამეგრელოს სვანეთს სახავდნენ (*Записки Кавк. Отд. Геогр. Общ.*, кн. III, გვ. 234; кн. VI, გვ. 36), ეგების რაჭის სახით გლოლა ჰქონდათ მხედველობაში.

[2] ibid., გვ. 4.

[3] Г. И. Казбек. Три месяца в Турецкой Грузии: *Записки Кавк. Отд. Геогр. Общ.*, кн. X, вып. I, Тфл. 1876, გვ. 25.

[4] Кавказ, Абхазия..., ч. II, გვ. 245—246.

[5] სახელად ვანი თურქების მიერ არის მიღებული, სომხები მას ტაუზეტის ჯვარს (*Տաւզեթոյ խաչ*-ს) უწოდებენ.

[6] Н Я. Марр. Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию (*ТР*, VII), გვ. 7.

[7] ibid., 10.

[8] ibid., 29.

მთელი, ზედ ამობურცულად ჯვარია ამოჭრილი, ხოლო მეორის ქვემო ნაწილი მოტეხილია[1].

30. ტანძრტის სომეხთა ეკლესიაში შესავლის კართან მიყრდნობილი ყოფილა ქვის სამი დიდი ჯვარი, რომელნიც თურქების სოფ. გულიჯიდან (|| გულიჯიდან) მოუტანიათ. ადგილობრივი მღვდლის მამის ცნობით, გულიჯში ასეთი ქვის ჯვარი კიდევ ყოფილა; ზედ ჯვარცმა იყო თურმე ამოჭრილი[2].

31. ანჩის პირდაპირ, მდ. იმერხევის მარჯვნით, მაღლის-უკანის მთაზე, ნანგრევები ყოფილა და იქვე ქვის დიდი ჯვარიცაა, სიმაღლით 2 არშ. 6 ვერშ. მიწიდან, სიგანით 1 არშ. 6 ვერშ., სისქით კი $6^3/_4$ ვერშ. როგორც ჩანს, მისი ამოთხრა სურვებიათ და ამიტომ გვერდზეა გადახრილი. იგი მთლიანი მოთეთრო ქვისგანაა გამოჭრილი. ესაა ნორგიელის ქვის ჯვარი[3].

32. ოპიზის მონასტრის მარჯვნით კლდეში გამოჭრილია მომრგვალო ჯვარი და ოვალურ ამონაღარშია მოთავსებული[4].

II

დასავლეთ საქართველოში ქვაჯვარა შედარებით ნაკლებად ყოფილა გავრცელებული, სამაგიეროდ ხის ჯვარი ქვის ბაზისში ბლომად მოიპოვება; მაგალითად, სვანეთში, როგორც ამას მთელი რიგი მკვლევრები აღნიშნავენ, პირველი ადგილი უჭირავს ხის დიდ ჯვრებს, სიმაღლით 1-დან 4 არშ. და 6 ვერშოკამდე, და იგინი სვანეთის მრავალ ეკლესიაში მოიპოვებიან. ზოგიერთი მათგანი თავის პირვანდელ ადგილზე დღესაც დაცულია, ე. ი. შუა ეკლესიაში, კანკლის პირდაპირ, აღსავლის კარების წინ[5]. ქვის კვადრატულ ბაზისში ჩასმული ხის ჯვარი ხშირად გვხვდება თურმე ილორსა, რაჭასა (გვ. 39, შნშ. 2) და სამეგრელოს სვანეთში[6]. ბ ა რ თ ო ლ ო მ ე ს ცნობა, თითქოს თავისუფალ სვანეთში არ იყოს არც დიდი ჯვრები და არც მაღლობიც, რომელზედაც დაყრდნობილია ჯვარი, სიმართლეს არ შეეფერება, რადგანაც მისივე სიტყვით:

1. მესტიის, ანუ როგორც უწოდებენ სეტის (თავისუფალ სვა-

---

[1] ibid., 102—103.

[2] ibid., 104.

[3] ibid., 112, სურ. 36.

[4] ibid., 157.

[5] К. К е к е л и д з е. Иерусал. канонарь, Тфл. 1912, გვ. 1, შნშ. 2; Граф. У в а р о в а. Сванетия: *Мат. по Арх. Кавк.*, вып. X, გვ. 79, ტაბ. XXI და სხ.

[6] Полк. Б а р т о л о м е й. Поездка в Вольную Сванетию в 1853 г.: *Записки Кавк. Отд. Географ. Общ.*, кн. III, Тфл. 1855, გვ. 234; Дм. Б а к р а д з е. Сванетия: იგივე კრებ., кн. VI, Тфл. 1861, გვ. 36.

ნეთშია) წმ. გიორგის სახელობის ყოფილი მონასტრის მთავარი ეკლესიის შუაში მდგარა ქვის ბაზისი ხის დიდი ჯვრით, რომელიც შემკული ყოფილა ვერცხლის პატარა ხატებით [1].

2. მდ. ენგურის მარცხენა ნაპირზე ამართულია მთელ სვანეთში ცნობილი წმ. კვირიკესა და ივლიტას მონასტერი (კალის საზოგადოება, თავისუფალ სვანეთშია), რომელსაც სვანები ლაგურკას უწოდებენ. მონასტრის ამბიონის წინ ორსაფეხურიან ქვიტკირის სვეტზე დამყარებულია ხის დიდი ჯვარი, სიმაღლით 3 არშ. 8 ვერშ., ბაზისის სიმაღლე კი 1 არშ. $11^1/_2$ ვერშოკია. ჯვარი ვერცხლითაა შეჭედილი [2].

3. სოფ. ჩუკულის საყდრის „ამბიონის წინ ერთი ადლის სიმაღლე, ალებასტრით გალესილ სვეტზე დგას დიდი ჯვარი, ასე სამი ადლის სიმაღლე, ვერცხლით შეჭედილი, წარწერით“ [3].

ხის ჯვრები დაცულია აგრეთვე სოფ. თეკალის, იფხის (ლატალის საზოგ.), ჟამუშის, ბოგრეშის (იფარის საზოგ.), მურყმელის, ჩვაბიანისა, ადიშისა და სხვა ეკლესიებში [4].

სვანეთს გარდა, ხის ჯვრები ქვის კვარცხლბეკში ჩასმული, სხვაგანაც გვხვდება.

4. ეხვევის ღვთისმშობლის დანგრეული ეკლესიის საკურთხევლის წინ, აღსავლის კარების მარჯვნითა და მარცხნით ამართულია ორი ოთხწახნაგიანი კვარცხლბეკი, სიმაღლით 1 არშ. და სამი ვერშოკი... ამ სვეტების ზედა თავი ამოღარულია ოთხკუთხად, უთუოდ ხის დიდი ჯვრის ჩასადგმელად [5].

---

[1] Бартоломей. Op. cit., გვ. 196. ეგევე ცნობა მოჰყავს დ. ბაქრაძეს: Кавк. в пам. христ., გვ. 101 = *Акты Кавк. Археограф. Комиссии*, т. V, გვ. 1055, ხოლო მის მოგზაურობაში (Сванетия: *Записки*, кн. VI, стр. 77, 96—99) ამაზე ხსენებაც არ არის. ა. სტოიანოვის სიტყვით, ეს ჯვარი ბაზისიდან მოუხსნიათ სასულიერო პირებს 1868 წელს და წინანდელ ადგილზე დარჩენილა მხოლოდ კვარცხლბეკი (Путешествие по Сванетии: *Записки*, кн. X, вып. II, стр. 289).

[2] Граф. Уварова: *Мат. по Арх. Кавк.*, X, გვ. 79, 84 (მონასტრის სურათი: ტაბ. XI, გვ. 35); პ. კარბელაშვილი, ორი კვირით სვანეთში: გაზ. „ივერია“ 1903 წლ., № 232, გვ. 2; Полк. Бартоломей: *Записки*, кн. III, გვ. 163. ბართოლომესავე ცნობით ამგვარი ჯვრები მოიპოვება ჭვემო სვანეთშიც. იგინი ბროსესაც უნახავს (ibid.).

[3] მდ. პ. კარბელაშვილი, გაზ. „ივერია“ 1903 წლ., № 197, გვ. 2; Граф. Уварова: *Мат. по Арх. Кавк.*, вып. X, გვ. 82, სურ. 17; დ. ერმაკოვის კოლექციიდან № 16862/10.

[4] იხ. ზემოდასახელებული ლიტერატურა.

[5] Георгий Церетели. Развалины Эхвевского храма: *Мат. по Арх. Кавк.*, вып. VII, გვ. 109.

5. ჭაბუკთ-მთის ეკლესიის საკურთხევლის აღსავლის კარის წინ, მარჯვნითა და მარცხნით, ამართულია ათწახნაგოვანი ბაზისები, რომელნიც თავის მხრით ეყრდნობიან კვადრატულ კვარცხლბეკს. თითოეული პიედესტალის სიმაღლე წარმოადგენს $1^3/_4$ არშინს და მათზე ამართულია ხის ჯვარი, ოდესღაც შეჭედილი და შემკული ძვირფასი ქვებით. ჯვარს პიედესტალითურთ სიმაღლე აქვს 4 არშ., სიგანე კი $1^3/_4$ არშინი [1].

6. საკვირაუდებელია, რომ სოფ. ჭალის ეკლესიის (მთაწმინდაზეა აგებული) კანკელზე, აღსავლის კარების აქეთ-იქით, ამართული ორი პატარა სვეტი ალბათ პიედესტალია ხის ჯვრისა [2].

7. სოფ. ჭალიდან 2 ვერსის მანძილით დაშორებულ კვირიკეს მთაზე, მდ. ყვირილას ნაპირის ერთ-ერთ მოვაკებულ ტერასაზე აშენებულ მაცხოვრის ძველ ეკლესიაში შესავლის წინ ამართულია ხის დიდი ჯვარი, რომლის ბაზისი წარმოადგენს ოთხწახნაგოვან პარალელეპიპედს, სიმაღლით 2 არშინსა და 4 ვერშოკს [3] და სხვ.

III

ქვაჯვარასა და ხის ჯვარს გარდა, როგორც ამის შესახებ ლიტერატურული წყაროები გვაწვდის ცნობებს, ყოფილა გავრცელებული ქვის სვეტებიც. ზოგიერთი მათგანი ქვისავე ბაზისშია ჩადგმული, ზოგი კი პირდაპირ მიწაშია ჩასმული. მათზე ხშირად ამოჭრილია წარწერა ან ჯვარი; მაგ.:

1. ქალაქ გრემში დაცული ერთ-ერთი ეკლესიის ახლოს, მდ. ინწობის პირად, არის ქვის მაღალი სვეტი, რომელზედაც ჯვარი და წარწერაა ამოჭრილი [4].

2. ველის ეკლესიასთან გდია ქვის რვაწახნაგოვანი სვეტი, რომლის ორ წახნაგზე ღრმად ამოჭრილია ხუცური წარწერა. ექვთ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს სიტყვით, სვეტის დანიშნულება გამოურკვეველია [5].

3. წალკის სამების ეკლესიაში საკურთხევლის კედელზე მიყრდნობილია სვეტის მსგავსი მაღალი ქვა, რომელზედაც ერთი დი-

---

[1] Г. Церетели. Развалины храмов Синагури, Дчабукт-мта и св. Георгия: *Мат. по Арх. Кавк.*, VII, გვ. 110, ტაბ. XIII, 114—5 გვერდებს შუა.

[2] ibid., 112.

[3] ibid., 113, ტაბ. XIV, 114—115 გვერდებს შუა.

[4] В. Кикнадзе. Памятники древности Телавского уезда: *Сб. мат.*, VII, отд. II, გვ. 42. სავსებით ამგვარივე აღწერა მოეპოვება ალ. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ს ა ც: Телавский уезд: *Мат. по Арх. Кавк.*, вып. VII, გვ. 3.

[5] *Мат. по Арх. Кавк.*, XII, გვ. 72.

დი და დანარჩენი პატარა ჯვრებია ამოჭრილი. იგი დგას მომრგვალო ბაზისზე, რომელიც თავის მხრით შემკულია ამოჭრილი ჯვრითა და წარწერით [1].

IV

ეგების აქ მოყვანილ ჯვრებს თუ სხვა ძეგლებს რამე საერთო აქვთ ქვაჯვარებთან: შეიძლება ისინი იყვნენ ან ჯვარი, ან მისი ბაზისი.

1. აგარიდან მიმავალი გზის მარცხნით ეკლესიაა, რომლის საკურთხეველში გდია გახვრეტილი ქვა. ხომ არ არის ეს ჯვრის ბაზისი? [2]

2. წინობის ეკლესიის ეზოში, სამხრეთით, უზარმაზარი გახვრეტილი ქვაა. ალბათ ესეც ბაზისია ქვის ჯვრისა [3].

3. ტბეთის ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთით ოთხკუთხ პიედესტალზე ამართულია მონოლითის სვეტი. იგი ორად გატეხილა: ერთი (მეტი) იქვე გდია და მეორე (პატარა) ფასადიდან 8 ნაბიჯზეა. ზედა თავის სიღრმეში ($2^3/_4$ ვერშ.) ალბათ ოდესმე ჯვარი იყო ჩასმული [4].

4. მდ. შავშეთზე ამართული ეკლესიის შუაში მდგარა, წინანდელი ადგილიდან დაძრული, მუქი წითელი ქვა, რომლის ზედაპირი არაღრმადაა ამოღარული [5].

5. კოკიშაურში დაცული ეკლესიის საკურთხევლის შუა კედელთან ტრაპეზის ქვაა, რომლის ზედაპირი ამოღარული ყოფილა ოთხკუთხად (1 არშ. $1^1/_2$ ვერშ. $\times$ $14^1/_2$ ვერშ. [6]).

6. შატბერდის ეკლესიის ჩრდილოეთით, ჩრდ.-აღმოსავლეთ კარიბჭესთან ყრია ქვები და მათ შორის მას ური ქვა, სიმაღლით $10^1/_2$ ვერშ., სიგანით 1 არშ. 10 ვერშ. და სქელით $14^1/_2$ ვერშ. ზედ ოთხკუთხი ამონაღარია $6 \times 5^1/_2$ ვერშ., სიღრმე $4^1/_2$ ვერშ. ეტყობა ბაზისია [7].

აი ის ცნობები, რაც საქართველოს ქვაჯვარათა შესახებ არსებულ ლიტერატურაში მოიპოვება. იგი საკმაოდ მდიდარია.

---

[1] Е. Такайшвили: *Сб. мат.*, XLIII, გვ. 26=*Известия*, III, отд. I, გვ. 26=Арх. экск., IV, გვ. 26.

[2] Н. Я. Марр. Дневник поездки (*ТР*, VII), გვ. 5—6.

[3] ibid., 6.

[4] ibid., გვ. 23—24, სურ. 6.

[5] Граф. Уварова. Кавказ, Абхазия..., ч. II, გვ. 290.
Н. Я. Марр. Op. cit., გვ. 29.

[6] ibid., 150.

V

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქვაჯვარა მარტო საქართველოს დამახასიათებელი ძეგლი არ არის. მას ბლომად ვხვდებით სომხეთში, ყუბანში. ჩრდილოეთ კავკასიის გარდა იგი გავრცელებულია ყოფ. ნოვგოროდის ოლქში, ესტონეთსა, ხერსონსა, ვოლინისა და პოდოლსკის ოლქში[1]. მათი დასაბამი XI საუკუნეს განეკუთვნება. ისინი არსებითად არ განსხვავდებიან საქართველოში დაცულ ქვაჯვარათაგან. რაც შეეხება კაზაკთა ჯვრებს (რასაკვირველია, უბაზისოთ), იგინი გაფანტული არიან სამხრეთ რუსეთში..მათ XVIII საუკუნიდან ეძლევათ დასაბამი[2].

სომხეთის ქვაჯვარები დიდად განსხვავდებიან ქართულისაგან. ჯვრები ბრტყელ დიდ ქვაზე ამობურცულად ამოჭრილია და გარშემო ორნამენტით შემკული. ასეთები უფრო საფლავის ძეგლად არის ჩვენამდე მოღწეული.

აქვე შერჩევით მოვიყვანთ რამდენიმე ცნობას ყუბანის ოლქსა და სხვაგან დაცულ ქვაჯვარათა შესახებ[3].

1. მდ. ყუბანის აღმა, ხუმარის ციხიდან ერთი ვერსის მანძილზე, მდ. შუნშურუკს იქით, წყაროს ახლოს, ყოფილა ქვის ჯვარი. ბერძნული წარწერიდან დარჩენილა NH-KA[4].

2. სენტის ახლოს ნაპოვნია მეორე უშნოდ გამოჭრილი ჯვარი[5].

3. ყუბანის მარჯვენა ნაპირზე, შუბერტის ღელის პირდაპირ, ფლატეს ქვემოთ მდინარის კენ, დგას ქვის ჯვარი, სიმაღლით 1 საჟ., სიგანით $^3/_4$ არშ. და სი[illegible]ით 5 ვერშ. მის ქვემო ნაწილში სწორკუთხოვანი ამონაღარია ჯვრითურთ, რაზედაც, ალბათ, ბერძნული წარწერა იყო, რადგანაც დარჩენილია მხოლოდ N´IKA ნაშთად[6].

4. სამსოვანის ხეკში, სიონის ეკლესიის აფსიდთან ერთად ამართულია ქვისგან გამოჭრილი კარგა მოზრდილი ჯვარი[7].

---

[1] А. Спицын. Арх. разведки, СПб. 1908, გვ. 84—86.

[2] ibid., 86.

[3] ჩვენს ლიტერატურული წყაროებიდან ამოღებულ ამონაწერებში საკმაოდ ბლომადაა წარმოდგენილი ქვის ჯვრები და ჯვარამოჭრილი სვეტები, აგრეთვე ჯვრის მსგავსი ძეგლებიც. მათი აქ მოყვანა ზედმეტად მივიჩნიეთ.

[4] В. Сысоев. Карачай...: *Мат. по Арх. Кавк.*, VII, გვ. 139, ტაბ. XXII, 1 = *Сб. мат.*, вып. XLIII, Тфл. 1913, отд. I, გვ. 113.

[5] *Мат. по Арх. Кавк.*, VII, № 26, გვ. 142, სურ. 35.

[6] В. Сысоев. Арх. экск.: *Мат. по Арх. Кавк.*, IX, გვ. 152.

[7] Граф. Уварова. Кавказ. Путевые заметки, Москва 1887, გვ. 245.

5. ხუმარაში, მხედრობის სადგომის ახლოს, ყოფილა ქვის ჯვარი ბერძნული წარწერის ნაშთით[1].

6. სოფ. გუბსკის (მაიკოპის რაიონშია) აღმოსავლეთით 5 ვერსზე, ნაპოვნია ქვის დიდი ჯვარი დაახლოებით 5 არშ. სიმაღლისა. ზედ ბერძნული წარწერა და ცხოვრებიდან ამოღებული ზოგიერთი ეპიზოდი ყოფილა ამოკვრილი[2].

7. სოფ. ზასოვში (მაიკოპის რაიონში) ე. ფ ე ლ ი ც ი ნ ს უნახავს ამგვარივე სახის ქვის ჯვარი ბერძნული წარწერით[3].

8. ე. ფ ე ლ ი ც ი ნ ი ს მიერ ფოტოგრაფიითა და გ. კ უ ლ ი კ ო ვ ს კ ი ს მიერ ხელით გადაღებული ქვის ჯვრების სურათები რედაქციის მიერ დართულია *Мат. по Арх. Кавк.*, VII, გვ. 140, სურ. 35, 36 (ბერძნ. წარწერით); გვ. 141, სურ. 33, 37, ტაბ. XXI, სურ. 1 (ბერძნ. წარწ.); ტაბ. XXII, სურ. 6...

9. შოანის კლდეზე, სენტის ახლოს, მდ. დიდი ზელენჩუკის ხეობაში დაცული ყოფილა ქვის ჯვარი ბერძნული წარწერით, რომლის მიხედვით ადგილობრივ ეკლესიათა შენობანი შეიძლება XI საუკუნეს მივაკუთვნოთო—ამბობს ე. ფ ე ლ ი ც ი ნ ი[4].

10. არგუნის ოლქში გავრცელებული მრავალი ქვის ჯვარი ზოგიერთ მკვლევარს ოდესღაც აყვავებული ქრისტიანობის მოწმედ მიაჩნია; მაგ., ნიხალოდს ახლოს, შატოის სიმაგრიდან 4 ვერსზე, გორაკთან, სწორ ადგილას, მდგარა უშნოდ გაკეთებული, ერთი საჟენის სიმაღლის ქვის ჯვარი[5].

11. ატაგ და ჩახკერი სოფლებთან, სადაც ვოზდვიჟენსკაიას ციხეა, ნაპოვნია ქვის დიდი ჯვარი, „მსგავსი ქართული ძველი ჯვრებისა", ამონაღარი სიღრმით ხატის ჩასადგმელად[6].

ეს ჯვარი დაახლოებით ამგვარადაა აღწერილი: მდ. არგუნის მარცხენა ნაპირზე, სოფ. ჩახკერიდან 40 ნაბიჯზე, მიწაში მაგრად ჩასმულია დიდი ქვის ჯვარი, სიმაღლით 3 არშინზე მეტი, სიგანით 7 და სისქით 4 ვერშოკი... წარწერა არა აქვს. მაჰმადიანები კრძალვით ეპყრობიან[7]...

---

[1] [ა. ფ ი რ კ ო ვ ი ჩ ი ს ცნობა: *Записки Арх. общ.*, IX, გვ. 385]: И. П о м я л о в с к и й. Сб. греч. и лат. надп. Кавк., СПб. 1881, ტაბ. 6, სურ. 16; В. Ф. М и л л е р. Древне-осетинский памятн.: *Мат. по Арх. Кавк.*, вып. VII, გვ. 137.

[2] რედაქციისაგან: *Мат. по. Арх. Кавк.*, VII, გვ. 137—8, ტაბ. XXI, I.

[3] ibid., გვ. 138.

[4] *Мат. по Арх. Кавк.*, IX, გვ. 85.

[5] Всев. М и л л е р. Арх. наблюдения в области Чеченцев: *Мат. по Арх. Кавк.*, вып. I, გვ. 6, სურ. იქვე.

[6] Ibid., 7.

[7] П. Х и ц у п о в. О чахкиринском кресте: „Весь Кавказ", *Сб. № 1*,

12. სოფ. ცორის ახლოს ბორცვზე ყოფილა მონოლითისგან გამოჭრილი, ხავსით დაფარული, დიდი ჯვარი[1].

13. მდ. სუკოსთან მინდორზე გდებულა ქვის ჯვარი, სიმაღლით 5 ჩარექი, სიგანით 3 და სისქით 1 ჩარექი. ჯვარი გამოჭრილი ყოფილა მოყვითალო რბილი ქვისგან, რის გამოც დროთა ვითარებაში გამოფიტულა... და

14. მეორე დიდი ჯვარი ყოფილა მდინარის მეორე მხარეს, ტყეში. ჩერქეზები თაყვანს სცემდნენ თურმე ამ ჯვრებს[2].

15. სოფ. თათევიდან ერთ ვერსზე, ჩრდილო-დასავლეთით, მაღალ ბორცვზე, ყოფილა მეუდაბნოე პეტროსის საფლავი, სადაც დაცულია ქვის ჯვარი. გვალვიან თვეში ახალგაზრდები (ქალები და ვაჟები) ამ ქვის ჯვარს აგდებენ მახლობელ წყაროში და ტოვებენ იქ წვიმის მოსვლამდის[3].

16. არჯაძორის (*Արջաձոր*) ეკლესიის ზღურბლთან ყოფილა წარწერიანი ქვის ჯვარი[4].

17. არკაზანის (ვაიოც-ძორის კანტონშია) ეკლესიის დასავლეთი კარის ახლოს დაცული ყოფილა სამი მშვენიერი ქვის ჯვარი, რომელთა წარწერა გადალეულა[5].

18. არაგაწში, ანუ ალაგეზში, იოანე წინამორბედის შესანიშნავ უდაბნოში, ოჰანა-ვანქში, უჩვენებენ ერთ ქვის ჯვრის ნატეხს, რომელზედაც მაცხოვარი ყოფილა გამოყვანილი, და თან დასძენენ თურმე, რომ ეს ჯვარი გრიგოლ განმანათლებლის სიმაღლე იყოო[6].

19. ჰასან-სუს მარჯვენა დალმართის კლდის ჭედელზე მოიპოვება თურმე გათლილი ქვის ჯვარი, სიმაღლით 1 საჟენი და სიგანით 2 არშინი, და მის შესახებ დაცული ყოფილა გადმოცემაც[7].

20. ბართოლომეს მიერ ბროსესადმი მინაწერ წერილში აღწერილია სომხეთში ნაპოვნი ქვის ჯვარი, სიმაღლით $3^1/_4$ არშ.,

---

Тфл. 1903, ч. II, отд. II, გვ. 9=გაზ. „Кавказ" 1846 г., № 15,. გვ. 59=*Сб. газ. Кавказ*, второе полугодие, Тфл. 1847, გვ. 121.

[1] Всев. Миллер: *Мат. по Арх. Кавк.*, I, გვ. 7 (ამოღებულია 1854 წლ. „Современник-одав", т. XLVII, отд. V, გვ. 41).

[2] В. Сизов. Восточное побережье Черного моря: *Мат. по Арх. Кавк.*, II, გვ. 172, სურ. 56.

[3] Н. Григоров. Село Татев: *Сб. мат.*, вып. XIII, отд. I, გვ. 67—68.

[4] Дм. Бакрадзе. Кавказ в памятн. хр., გვ. 29=*Акты Кавк. Археограф. Комиссии*, т. V, გვ. 1000.

[5] ibid.

[6] Муравьев. Грузия и Армения, ч. II, СПб. 1848, გვ. 175.

[7] Давид Б. Шульц. Обзор могильников Закавказья и древние пути передвижения народов: *Известия*, II, Тфл. 1907, отд. II, გვ. 6.

სიგანით $1^1/_2$ არშინი. იგი მიყუდებული ყოფილა ეკლესიის კედელზე ტრაპეზის მარცხნით. ზედ ცამეტსტრიქონიანი სომხური წარწერა მოიპოვება [1].

21. ხუმარის სიმაგრიდან რამდენიმე ვერსის დაშორებით, მდ. ზელენჩუკის ახლოს, იტალიელ არქიტექტორ გ. ბერნარდოცის გადაუღია რამდენიმე ქვის ჯვრის სურათი. ზოგიერთ მათგანზე წარწერა მოიპოვება თურმე [2].

22. გ. ბერნარდოცისავე ცნობით, წყარო კიბერდის სათავესთან, 35—40 ვერსის სიშორით მდ. ყუბანის შესართავიდან, ყოფილა ეკლესია, რომლის ახლოს სასაფლაოზე მოიპოვება თლილი ქვები და მათ შორის დიდი ქვის ჯვარი [3] და სხვ.

მომავალში ამაზე მეტი ცნობები შეიკრიბება. XV საუკ. I მეოთხედში მოგზაურს ვენეციელ იოს. ბარბაროს თუ დავუჯერებთ, თითქმის თითოეული ბორცვის წვერზე ბრტყელი ქვის ამონაღარში ჩასმული ყოფილა ქვის ჯვარი [4].

იოს. ბარბაროს ეს ლიტერატურული ცნობა თითქოს გამართლებას იმაშიც პოულობს, რომ საქართველოში ზოგიერთი მთა „ქვაჯვარას“ სახელწოდებას ატარებს; ასეთებია, მაგ., ხუთვერსიან რუკაზე აღნიშნული მთები შემდეგს ადგილებში:

თბილისის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ნორიოს ზემოთ მთა ქვაჯვარი; ბაკურიანის ახლოს აღმოსავლეთით მთა ქვაჯვარა.

აგრეთვე გამოჩინებულის გადმოღმა ერთ გორაკს ქაიჯვარა ჰქვია (ა. შანიძის ცნობა) და სხვ.

VI

1922 წელს, ზაფხულში, წალკასა და გომარეთის მიდამოებში (ლუქსემბურგის რაიონში) საენათმეცნიერო მიზნით მოგზაურობის დროს მქონდა შემთხვევა აღმეწერა ქვემოაღნუსხული ქვაჯვარანი, რომელნიც ფორმით თუ დანიშნულებით ლიტერატურაში ცნობილი ქვაჯვარების სრულს ანალოგიას წარმოადგენენ.

1. სოფ. ბეშტაშენის ჩრდილო-აღმოსავლეთით ქვიან გორაკზე დგას უბრალო ქვისგან ნაშენები ოთხკუთხი ეკლესია, რომლის სიგრძე უდრის 4 არშ. 4 ვერშოკს, განი—3 არშ. 2 ვერშ.,

---

[1] Mélanges Asiatiques, tirés du *Bull. Hist.-philol.*, t. II, SPt. 1856, p. 96—97.

[2] Хицунов. Об остатках древн. памятн. хр.: *Сб. газ. Кавказ*, второе полуголие, 1847, გვ. 121.

[3] ibid., 120.

[4] „Весь Кавказ“, *Сборник № 1*, ч. II, отд. II, გვ. 9.

ხოლო სიმაღლე 2 არშ. 14 ვერშ. ეკლესია ახალია. აქვს აღმოსავლეთითა და სამხრეთით თითო სარკმელი, დასავლეთით კი კარი. იატაკი ქვისაა, ჭერი—ფიცრისა. დახურულია ყავრით. შიგ კი აღმოსავლეთის კედელს მიყრდნობილია მოზრდილი, მაგრამ მომრგვალო გათლილი ქვა. იგი დგას ქვის იატაკზე და კიდურები დამაგრებული აქვს კირით. სიმაღლე მისი 17 ვერშოკია, განი—1 არშ. 5 ვერშ. წინა გვერდზე ჯვარია გამოყვანილი. ზედაპირი ოთხკუთხად არის ამოღრმავებული და შიგ დიდი ჯვარია ჩაკირული. ჯვრის სიმაღლე უდრის 1 არშ. და $2^1/_2$ ვერშოკს. განი—12 ვერშ. ზედ ორსტრიქონიანი ხუცური წარწერაა:



პირველი სამი ასო გაუგებარია, დანარჩენი კი შეიძლება ამგვარად წავიკითხოთ:... იოა[ნ]ე ნათლ'ს მცემელი[1]. როგორც გადმონაწერიდან ჩანს, ნუსხურს ურევია მთავრული, რაც გარდამავალი ეპოქის მაჩვენებელია, და, გარეშე ამისა, ასოთა მოხაზულობა ძალიან ახლოს დგას ამავე სოფელში დაცული ეკლესიის წარწერის ასოებთან, განსაკუთრებით: ε, ш, ɔ. შეიძლება ეკლესიაცა[2] და ეს ქვაჯვარაც ერთი დროისანი იყვნენ. ჯვარი ძლიერად ითვლება და საკმაო რიცხვი მლოცველებისა მოეპოვება[3]. დღეობა წელიწადში ერთხელ იმართება, მაგრამ დღესასწაულის დრო დანამდვილებით ვერ გამოირკვა, რადგან ზოგის თქმით პირველ სექტემბერს არის, ზოგისა კი—6 აგვისტოს, ხოლო ადგილობრივ ნამსახური მღვდლის ცნობით 14 სექტემბერს. ეს უკანასკნელი შეიძლება სწორი იყოს, როგორც ჯვრის ამაღლების დღე.

2. თ ე ჯ ი ს ი თათრების სოფელია და მდებარეობს ბეშტაშენის ჩრდილო-დასავლეთით ხუთი ვერსის მანძილზე. შიგ სოფელში დაცულია ოთხკუთხი პატარა ეკლესია თლილი ქვისგან ნაშენები და გარდა ამისა ორიც სხვა დანგრეული. სოფლის დასავლეთით მდებარე გორაკზე არის კიდევ ოთხკუთხი პატარა ეკლესია, რომლის სი-

---

[1] უკანასკნელ სიტყვაზე ქარაგმა ზედმეტია.

[2] ეკლესია აღწერილი და წარწერა წაკითხული აქვს ექვთ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ს: Археологические экск., разыск. и заметки, вып. IV, Тифлис 1913, стр. 15—17=*Сб. мат.*, вып. XLIII, გვ. იგივე=*Известия Кавк. отд.* III, გვ. 15—17. წარწერა წაკითხულია ზოგიერთი შეცდომით.

[3] ალბათ მლოცველთა მიერ შეწირული სანთლით არის გამურული ჯვარიცა და მისი კვარცხლბეკიც, რომ ორივე შავი ფერისაა.

გრძე უდრის 10 არშ. $13^1/_2$ ვერშ., განი კი 6 არშ. $10^1/_2$ ვერშ. დახურულია კრამიტით. სამხრეთით, ეკლესიის მთელს სიგრძეზე, მინადგამი არის უზარმაზარი თლილი ქვისგან ნაშენები, მაგ.: დასავლეთის კედლის ქვემო ქვა სიგრძით წარმოადგენს 4 არშ. 12 ვერშოკს სიმაღლით 2 არშ. 4 ვერშ. მინადგამიც, ალბათ, თავის დროზე ეკლესია იყო; ახლა იგი შუას ზემოთ ჩამონგრეულია. კარი აქვს სამხრეთით ძლიერ დაბალი, საიდანაც შეიძლება მინადგამის ეზოში შესვლა და იქიდან კი ეკლესიის სამხრეთის კარით—ეკლესიაში. მინადგამის სიგრძეა 9 არშ. $13^1/_2$ ვერ., სიგანე 5 არშ. $5^1/_2$ ვერშ. თვით ეკლესიის კედლები უბრალო ქვისგან არის ნაგები, შიგნით გალესილია და შეთეთრებული. აღმოსავლეთით ორი სარკმელი აქვს ერთიმეორის ჩამოსწვრივ. ქვედა სარკმლის ზემოთ მდებარე ქვაზე ჯვარი უნდა ყოფილიყო ამოჭრილი, რადგანაც ჯვრის დასაყრდნობი სიმრგვლე ამობურცულად არის დარჩენილი. სამხრეთით ერთი კარი და სარკმელი აქვს. კარის ზემოთ დიდი ქვაა სიმაღლით 1 არშ. $10^1/_2$ ვერშ., ხოლო საგანით 2 არშ. $13^1/_2$ ვერშ. ამის აღმოსავლეთით, კედელში ჩატანებულია კარნიზიანი ქვა. დასავლეთის კედლის ქვაზე ჯვარია გამოყვანილი. შიგნით ეკლესიის საკურთხეველი მომრგვალებულია და მის აღმოსავლეთ კედელს ტრაპეზი არის მიყრდნობილი. ტრაპეზი მთლიანი ქვაა, სიმაღლით 1 არშ. 6 ვერშ., ზედა ნაწილის სიფართე უდრის 15 ვერშ., ხოლო ქვედა ტანისა 12 ვერშ. მის გასწვრივ, ჩრდილო-აღმოსავლეთით, მიწის იატაკში ჩაფლულია დიდი ქვა, რომლის ზედაპირიღა ჩანს. მისი ზომა ამგვარია: ერთი მხარე (აღმ.-დასავლ. მიმართულებით) არის $2^1/_2$ არშ., მეორე კი (ჩრდ.-სამხრ.) 2 არშ. 12 ვერშ. ქვა ხუთკუთხია და ერთი გვერდი ეკლესიის ჩრდილო კედელს არის მიბჯენილი. შუა ადგილას ამოღრმავებულია და შიგ დიდი, სუფთად თლილი, ქვა არის ჩადგმული, რომლის უკანა (ე. ი. აღმოსავლეთით) ტანი ცოტათი მომრგვალებულია, როგორც ზედა ნაწილი (თავი), მაგრამ წინა (დასავლეთის) გვერდი ბრტყელია და ზედ სწორი და თხელი ხაზებით ლამაზი ჯვარი არის ამოჭრილი. ჯვარს ამგვარივე ხაზებით დასაყრდნობი აქვს ამოკვეთილი, რომელიც ზომით კვადრატს წარმოადგენს (1 არშ. × 1 არშ.). თვით ჯვრის სიმაღლე 2 არშ. $14^1/_2$ ვერშოკია, განი 1 არშ. 6 ვერშოკი. ქვა კი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, დიდია; სიმაღლით $5^1/_2$ არშ., სიგანით 1 არშ. და 9 ვერშ. ეკლესიაში ხატები არ მოიპოვება; არც წარწერა არის სადმე. ადვილი საფიქრებელია, რომ ეკლესია ქვაჯვარას გამო იყოს აშენებული[1]

[1] ეს ეკლესია ცოტა სხვანაირად აქვს აღწერილი ექვთ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ს: Арх. экск., вып. IV, Тфл. 1913, стр. 58—59 = *Сбор. мат.*, вып. XLIII, იგივე ბვერდი = *Известия*, III, გვ. იგივე.

(ასეთივე შესაძლებლობა არსებობს ბეშტაშენის ეკლესიის შესახებაც). ეკლესიას გალავნად არტყია უწესრიგოდ დაყრილი დიდი ქვები. მლოცველები, რასაკვირველია, სხვა სოფლებიდან მოდიან.

3. დიდი გომარეთის ჩრდილოეთით, სოფლის შესავალში, გზის პირად, ცოტათი ამაღლებულ ადგილას არის პატარა და დაბალი ქვა მიწაში ჩაფლული. სიმაღლე მისი დაახლოებით ნახევარი არშინია. ზედაპირის შუა ადგილი ამოღრმავებულია და შიგ საქონლის გაცვეთილი ნალები ჰყრია[1]. იქვე წაქცეულად ჯვარიც არის.

4. ამავე სოფლის თავში (ჩრდილოეთით) არის ქვაჯვარა „სამების“ სახელწოდებით. ამგვარი სახელწოდება დაკავშირებულია აქ დაცულ სამ ქვაჯვარასთან, რომელთაგანაც ორი ერთიმეორის გვერდითაა, ხოლო მესამე ამათ წინ.

a) ერთი მათგანი, სამხრეთით მდებარე, შედგება ორი ნაწილისგან: ბაზისისა და სვეტისაგან. ბაზისი ოთხკუთხი თლილი ქვაა და მიწაზე დგას. სიმაღლით იგი 10 ვერშოკია, მაგრამ წინა გვერდის (აღმოსავლეთის) განი უდრის 1 არშ. 4 ვერშოკს და სამხრეთის გვერდის განი—15 ვერშოკს. შუაში კარგა ამოღრმავებულია და შიგ ჩასმულია კვლავ ოთხკუთხი თლილი მთლიანი ქვა, რომლის სამი გვერდი ორნამენტით არის შემკული. ამ სვეტის სიმაღლეა 2 არშ. 14 ვერშ., ხოლო სიგანე ქვედა (აღმ.) ნაწილისა 10 ვერშ., ზედასი 9 ვერშ., ხოლო სამხრეთის გვერდის განი წარმოადგენს $8^1/_2$ ვერშ ამგვარად, ამ ქვაჯვარას მთელი სიმაღლე (ე. ი. მიწიდან) არის $3^1/_2$ არშ., თუ არ ჩავთვლით სიმაღლეს იმ ჯვრისას, რომელიც ერთ დროს უნდა ყოფილიყო ჩადგმული სვეტის $3^1/_2$ ვერშოკზე ამონაღარ სიღრმეში; ეს უკანასკნელი დღემდისაც შერჩენია სვეტს თავზე ნაშთად.

b) მეორე, ზემოაღწერილის გვერდით, ჩრდილოეთით მდებარე, შედგება კიდევ ორი ნაწილისაგან. ბაზისი ამოღრმავებული არაა და ზედ ისე დგას სვეტი, რომლის სამ გვერდზე მცენარეული ორნამენტია. სვეტის სიმაღლე უდრის 2 არშ. 12 ვერშ., წინა გვერდის ქვედა სიგანე $10^1/_2$ ვერშ., ზედასი—$9^1/_2$ ვერშ., ხოლო გვერდის განი $7^1/_2$ ვერშოკია. თავი სვეტისა ამოღრმავებული ყოფილა, რომელშიც უთუოდ ჯვარი იყო ჩადგმული, მაგრამ დღეს იგი მომტვრეულია და ნაშთიღაა დარჩენილი.

c) აღნიშნული ქვაჯვარების წინ (სამხრეთით) არის კიდევ მესამე, რომელიც შედგება სამი ქვისაგან. ბაზისი დიდია, ოთხკუთხად თლილი: სიმაღლით 12 ვერშ., წინა გვერდის განი არის 1 არშ. $5^1/_2$ ვერშ., გვერდის განი 14 ვერშ. ზედაპირი ამოჭრილია მარჩხად და

[1] ეს ჩვეულება ძალიან გავრცელებულია ამ რაიონში.

ფართოდ; ზედ სვეტი დგას, რომლის ძირი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ბაზისის ამოჭრილი სიღრმის სიფართე, რაც ცხადი მაჩვენებელია იმისა, რომ ესენი სხვადასხვა ქვაჯვარას ნაწილები არიან. სვეტის სიმაღლე უდრის 1 არშ. 2 ვერშ., წინა გვერდის განი ქვემოთ $9^1/_2$ ვერშ., ზემოთ $8^1/_2$ ვერშ. და გვერდის განი ქვემოთ $8^1/_2$ ვერშ., ზემოთ კი 8 ვერშ. ეს სვეტიც თავის მხრივ კვარცხლბეკია მესამისა, რომელიც ზედ დგას; იგი სიმაღლით $14^1/_2$ ვერშოკია, განით 8 ვერშ. ამ უკანასკნელის, ჯვრის დასაყრდნობის (კვარცხლბეკის), თავი ამოღარულია 4 ვერშოკის სიღრმეზე და გვერდები გარშემო მომრგვალებულია. ამ ამონაღარის დანიშნულება უნდა ყოფილიყო დამაგრება ჯვრისა, რომელიც ალბათ თავის დროზე კიდეც იყო. მთლიანი სიმაღლე ამ ქვაჯვარასი, რასაკვირველია, ჯვრის გამოკლებით, არის 2 არშ. $12^1/_2$ ვერშ.

ამის მარჯვნით (ჩრდილოეთით), ერთმანეთის გვერდით ძევს კიდევ ორი დიდი მთლიანი თლილი ქვა, რომელნიც შესაძლებელია ქვაჯვარას კვარცხლბეკებს წარმოადგენდნენ. აქვე, ამათთან ერთად, ბლომადაა მრგვალი ქვა და ქვისავე ჯვრის ნამტვრევები.

„სამებისათვის“ საგანგებოდ დღესასწაულიც არის დანიშნული კვირაცხოვლობას (აღდგომის სწორ კვირას). როგორც გადმომცემენ, ამ დროს ხალხი ბლომად იყრის თავს სხვადასხვა სოფლიდან: მოაქვთ შესაწირავი, ღამეს ათევენ, იკვლება „სახვთოები“. ჩვეულებრივ ძლიერ ჯვარად ითვლება და ამიტომ მლოცველნი ხშირი სტუმარნი არიან მისი. განსაკუთრებით ეს ქვაჯვარა განთქმულია ავადმყოფთა განკურნებით, რის გამოც მძიმე ავადმყოფი ხანდახან შორი მანძილიდანაც კი მოჰყავთ ხოლმე.

5. სოფლის ბოლოს, ერთ-ერთი მოსახლის ბოსტანში, მიწაში ჩასმულია ქვის უშნო სვეტი, რომლის სიმაღლე 1 არშ. და 15 ვერშოკს არ აღემატება. სამი გვერდი და ზედა ნაწილი გათლილი არაა, ხოლო წინა გვერდი ცოტათი სუფთაა და მობრტყო, რომელზედაც პატარა წრეში ჯვარია უხეიროდ ამოჭრილი; ამის ქვემოთ კი ნაფხაჭნი ხაზებია, რომელსაც ამ ქვის პატრონმა ქალმა „თავიანთი (ე. ი. წმინდანების) ენის ნაწერი“ უწოდა[1]. ამასაც ქვაჯვარას ეძახიან, თუმცა ჯვრის მსგავსი, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზემოაღნიშნულ წრეში ამოჭრილ ჯვარს, მას არაფერი აქვს. დღესასწაულობენ ჯ ვ ა რ ო ბ ა ს 23 აპრილს (ე. ი. გიორგობას), მღვდელი „ბარაკლისს“ იხდის. აუარებელი მლოცველი აწყდება და, რასაკვი-

[1] თვით ამის მთქმელი ქალი მრავალჯერ ყოფილა ქადაგად დავარდნილი. ამ ჯვრის მეოხებით მას თითქოს ბევრი „განუკურნავს და გაუთავისუფლებია მავნე სულებისაგან“...

რველია, შესაწირავიც საკმაოა[1]. მაშინ ქადაგადაც ეცემიან და წინასწარმეტყველებენ. გომარეთის ქვაჯვარათა შორის ეს უფრო „ძლიერ“ ჯვარად ითვლება[2].

6. სოფ. პატარა გომარეთის (მარღიანთ სოფლის) ჩრდილოეთით, კლდეისრისა და დიდი გომარეთის გზის პირად, არის მიწაში ჩაფლული ქვა და მის ამოღარულ სიღრმეში დგას გვერდებმომტვრეული ჯვარი. თვით ბაზისი პატარაა. იქვე ნალები ჰყრია.

7. სოფელ მამულა სოფელში დაცული ძველი ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხის გასწვრივ ოთხ ნაბიჯზე მოშორებით არის შუაზე გაბზარული ქვა. იგი დგას მიწაზე და მის ამოღრმავებულ ზედაპირზე დაყრდნობილია ოთხკუთხი, მაგრამ კიდეებჩამოთლილი, ქვა. სიმაღლე 14 ვერშოკს არ აღემატება. გვერდები თანაბარი ზომისა არ არის (რაც ხშირი მოვლენაა): განი აღმ. გვერდისა 13 ვერშ., დასავლეთისა 17 ვერშ., ჩრდილ. 14 და სამხ. 16 ვერშ. ესეც ამოღრმავებულია და შიგ კარგა მაგრად ჩასმულია კიდევ ოთხკუთხი ქვა, რომლის სიმაღლე უდრის 19 ვერშ., და თუ ამას მიუმატებთ 11 ვერშ.—სიმაღლეს ამისგან გადმონატეხი ქვისას, რომელიც იქვე გდია, მივიღებთ ამ სვეტის სიგრძეზე სრულ წარმოდგენას: იგი უდრის 30 ვერშ. სამი გვერდი შემკულია, მეოთხე კი (ჩრდილ.)—არა. შემკული გვერდის კიდეებზე ამოვლებულია სწორი ხაზებით ვერტიკალური დიდი ზოლი და გარდა ამისა აღმოს. გვერდს ამშვენებს ნაყოფიანი მცენარეული ორნამენტი, ხოლო დასავლეთ გვერდზე: ქვემოთ ორი წმინდანია ამოჭრილი, ზედ მცენარე და აქეთ-იქით ჰორიზონტალურად ორი ცხოველი; ზემოთ კი ხუთი წმინდანი უნდა ყოფილიყო: სამი ქვევით და ორი ზევით. სამხ. გვერდზე ცხრა წმინდანია გამოყვანილი შემდეგ რიგად (ქვემოდან): ორი+სამი+სამი+ერთი. გადმონატეხის ერთი გვერდი სუფთაა, ორ გვერდზე სამ-სამი წმინდანია და მეოთხეზე მცენარეული ორნამენტი უნდა ყოფილიყო, რაც ახლა აღარ აჩნია. თუ ამ გადმონატეხს დავადებთ სვეტს ისე, რომ სუფთა გვერდი გადმონატეხისა მოხვდეს სვეტის ამგვარივე გვერდს, მივიღებთ დასავლეთ გვერდზე რიცხობრივად ათი წმინდანის სახეს (2+3+2+3) და სამხრეთისაზე კი—თორმეტს (2+3+3+1+3). გადმონატეხის ზედა ნაწილი (თავი) ამოღრმავებული ყოფილა ჯვრისათვის, მაგრამ ახლა ისიც მომტვრეულია.

---

[1] შენაწირი მღვდლისა და ამ ქვის პატრონის საკუთრებას შეადგენს.

[2] ჩემმა მხლებელმა მის სიძლიერეში ეჭვი შეიტანა და ღიმილით თქვა: „თუ შესაწირავი არ წაუღე, კაცს აბამს; მიუტან თუ არა, განთავისუფლდება. მე არ მიმიტანია, მაგრამა არ დაუბმივარ“ო.

8. სოფლის ჩრდილოეთით, გორაკზე, მიწაში ჩაფლულია მთლიანი ოთხკუთხი ქვა, სიმაღლით 12 ვერშ., სიგანით კი 1 არშ. 2 ვერშ. ზედა ტანი მოვიწროებულია ოთხკუთხად და ამოღარულია კარგა მოზრდილ სიღრმეზე. ჯვარი არა აქვს. მიაჩნიათ „ძლიერ“ ქვაჯვარად და დღესასწაულობენ აღდგომასა და გიორგობას.

9. ადგილობრივი მცხოვრების ღრმა მოხუცის სიტყვით, ასეთივე ქვაჯვარა არის სოფლის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე მთაზე. მე არ მინახავს.

10. სოფ. კ ლ დ ე ი ს რ ი ს სამხრეთით ორ ვერსზე, დიდი გომარეთისკენ მიმავალი გზის პირად მდგარ ხნიერ მუხაზე მიყუდებულია დიდი ჯვარი. იგი თლილი ქვისაგან არის გაკეთებული და კარგად დაცული. ესეც ქვაჯვარას ზედა ნაწილი (ჯვარი) უნდა იყოს.

11. სოფ. ა ხ ა შ ი დაცული ეკლესიის სამხრეთით გალავნის ერთ-ერთ ქვად მოხმარებულია ქვაჯვარას კვარცხლბეკი. მისი ზედაპირი ფართოდ ამოღრმავებულია და შიგ თავისუფლად დგას პატარა ქვის ჯვარი. „თავისუფლად“-მეთქი, რადგანაც ბაზისი დიდია და ჯვარი პატარა; უნდა ვიფიქროთ, რომ ესენი სხვადასხვა ქვაჯვარას ნაწილებია.

1923 წლის გაზაფხულზე პატივც. ლეონ მ ე ლ ი ქ ს ე თ-ბ ე გ თ ა ნ ერთად ახალციხისა და ახალქალაქის რაიონებში მოგზაურობის დროს მქონდა შემთხვევა ზოგიერთი ქვაჯვარა აღმეწერა.

12. ქვემო ოშორაში დაცული ეკლესიის[1] სამხრეთ-აღმოსავლეთით, 4 ნაბიჯის მანძილზე მიწაზე დგას მთლიანი თლილი დიდი ქვის ბაზისი, რომლის ამონაღარში ჩადგმულია თორმეტწახნაგოვანი მომრგვალო მაღალი სვეტი; ზედა თავი მომტვრეულია. ამას ალბათ ოდესმე ჯვარი ამკობდა[2].

13. ზ ა რ ზ მ ი ს მონასტრის გალავანში მიწაზე ძევს ორი თლილი ქვის ჯვარი.

ე რ თ ი მათგანის თავი, ბოლო და ერთი ფრთა მომტვრეულია. დარჩენილი ჯვრის სიგრძე 45 სანტ. წარმოადგენს; სიგანე კი, თუ ფრთის სიგრძეს აღვადგენთ, 52 სანტ. უნდა ყოფილიყო. ჯვარი ოთხგვერდიანია, მაგრამ წახნაგები ჩამოთლილი აქვს.

მ ე ო რ ე ჯვრის, რომელიც ცოტა მოშორებით ძევს, ქვედა ნაწილი და ერთი ფრთა მომტვრეულია; სიგანით 37 სანტ. იქნებო-

---

[1] ეკლესია აღწერილი აქვს ექვთ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ს. წარწერის წაკითხვაში შეცდომები მოსვლია: *Мат. по Арх. Кавк.*, вып. XII, Москва 1909, გვ. 8—9.

[2] ამის დათვალიერების დროს იქვე მყოფმა ტყისმცველმა აღნიშნა, რომ მსგავსი ქვები ახალციხის რაიონში ბლომად მოიპოვებაო; ადგილი კი ვერ დააზუსტა.

და, ხოლო სიგრძით, თუ ქვედა მომტვრეულ ნაწილს არ ვიანგარიშებთ, 60 სანტიმეტრია.

14. სოფ. კუმურდოში დაცული ცნობილი ეკლესიის სამხრეთ მინადგამის მარცხენა კედელზე, რომელიც დარჩენილია 1—$1^1/_2$ არშ. სიმაღლით, დგას ორი მოზრდილი ოთხკუთხად თლილი ქვის ბაზისი. პირველი მათგანის ორ გვერდზე წრეში ამობურცულად ამოჭრილია ჯვარი. სიმაღლე მისი 31 სანტ-ს არ აღემატება; სიგანით კი $35^1/_2 \times 3^1/_2$ სანტ. არის. ოთხკუთხი ამონაღარის სიღრმე 12 სანტ., ხოლო სიგრძე-სიგანე $20 \times 18^1/_2$ სანტ. ამონაღარში რომ ჯვრის სვეტი იდგა, ამაში ეჭვი არ შეიტანება. ანალოგიური სვეტიანი ბაზისი იქვე 16 სანტ. მანძილზე დგას. იგი ოთხკუთხად გათლილი ქვაა. სამხრეთისა და ჩრდილოეთის გვერდები ამობურცულად ამოჭრილი ორნამენტით შემკულია, ხოლო ორი დანარჩენი—ორხაზიან წრეში ჯვრით. სიმაღლით $34^1/_2$ სანტ., სიგანით $30^1/_2 \times 30^1/_2$ სანტ.; ოთხკუთხ ამონაღარში (15×15 სანტ.) ოთხკუთხად თლილი სვეტი მაგრადაა ჩადგმული. გვერდების სამკაულს სამ-სამი სწორად ამოჭრილი ხაზი შეადგენს. სიმაღლით $1^1/_2$ საჟ. აღემატება, სიგანით კი $13 \times 14^1/_2$ სანტ. სვეტის გაგრძელება—ჯვარი—გადამტვრეულია. ქვებ ერთი ჯიშისაა. ეს ქვაჯვარები სხვა ადგილიდან უნდა იყოს მოტანილი, რადგანაც შემკული გვერდები კედელში ყოფილა ჩაშენებული და დაფარული [1].

15. ამავე ეკლესიის სამხ. პატარა ამბრაზურში, აღმ. მომრგვალებულ კედელს მიყუდებულია ოთხკუთხი თლილი ტრაპეზი. წინა გვერდზე ჯვარია ამოჭრილი. ზედ ძევს $14^1/_2$ სანტ. სიმაღლისა და $13 \times 13^1/_2$ სანტ. სიგანის ოთხკუთხი პატარა ქვა. ორ გვერდზე წრეში ამობურცულად ჯვარია ამოჭრილი, დანარჩენ ორზე—ვარსკვლავი. ზედა თავი ამოღარულია ოთხკუთხად 6×5 სანტ.; იგი ბოლოში გასულა თითქმის მრგვლად. ამაში უთუოდ ჯვარი იდგა ოდესმე.

16. დასავლეთით მინადგამის სამხ. კარის მარჯვნითა და მარცხნით კედელში ოთხკუთხად ამოღარული ორი მოზრდილი ქვაა ჩაშენებული. ისინი ალბათ ბაზისნი იყვნენ ჯვრისა; შემდეგში კედლის ასაშენებელ მასალად გამოუყენებიათ.

17. ბარალეთში დაცული ქართული ეკლესიის აღმოსავლეთით გარს შემოვლებული ქვის გალავანს მიყრდნობილია ოთხკუთხი თლილი ქვის დიდი ბაზისი, რომლის სამი გვერდი შემკულია ამო-

---

[1] იხ. სურათები: И. Ростомовъ. Ахалк. уезд в арх. отношении: *Сб. мат.*, в. XXV, გვ. 79; Е. Такайшвили: *Мат. по Арх. Кавк.*, в. XII, таб. VI, а; ლ. მელიქსეთ-ბეგი. მეგალითური კულტურა საქართველოში, გვ. 116, სურ. LVIII в.

ბურცულად ამოჭრილი ჯვრით წრესა და კვადრატში. იგი ქვებზე დგას, ჩანს, სხვა ადგილიდანაა მოტანილი, რადგანაც ჯვრიანი გვერდი გალავნისკენაა მიქცეული, ხოლო უჯვრო სამხრეთით. შუაზე გაპობილია. ფერით მუქი ყვითელია. ამონაღარ ოთხკუთხ სიღრმეში ბოლო წაწვეტებული სხვა ბაზისის მოზრდილი ჯვარი დგას. „სხვა ბაზისისა“-მეთქი, რადგან ჯვარი მოშავო ფერისაა; წაწვეტებული ბოლო უფრო პატარაა, ვიდრე ახლანდელი მისი ბაზისის ამონაღარი. ჯვარი უშნოდ გათლილია. წინა გვერდზე ჯვარი და ქვეშ წრეა ამოჭრილი [1].

1923 წლის ივლისის პირველ რიცხვებში პროფ. აკ. შანიძის ხელმძღვანელობითა და არნ. ჩიქობავასა და ჩემი მონაწილეობით საარქეოლოგიო მასალების შესაკრებად თბილისისა და ლუქსემბურგის რაიონში მოწყობილი ექსკურსიის დროს აღწერილ იქმნა შემდეგი ქვაჯვარები:

18. სოფ. კოშკებში, რომელიც თეთრი წყაროს (აღბულაღის) ჩრდილოეთით 7—8 ვერსის მანძილზე მდებარეობს და ხუთვერსიან რუკაზე „Башня“-თი არის აღნიშნული, აღმოჩნდა ორი მთლიანი ქვაჯვარა.

პირველი იყო კოშკის აღმოსავლეთით $1^1/_2$ ვერსზე, აღბულაღ-ბოგვის გზის პირად, მარჯვნით ტყეში. მისი ბაზისი თლილი კვადრატი ქვაა ხავსით დაფარული. ამონაღარში ბოლომოვიწროებული სუფთა ბრტყელი ქვა [2] დგას, რომლის დასავლეთ გვერდზე მთელი სიგრძით ამობურცულად კიდეებმომრგვალებული და შიგ გრეხილი ჩუქურთმით შემკული ჯვარია ამოჭრილი.

ამის გვერდით ჩრდილოეთით დგას ალბათ სხვა ქვაჯვარას ბაზისი [3]. იგიც ოთხკუთხი თლილი ქვაა მომრგვალებული ამონაღარით, რომლის სიღრმე 6 ვერშოკია. შიგ ჯვარი უნდა მდგარიყო. ერთი კიდე მომტვრეული აქვს და ჩამოვარდნაზეა.

ამ ქვაჯვარათა გარშემო, როგორც ეს ნაშთად დარჩენილი საძირკვლისაგან ჩანს, ქვითა და კირით ნაშენები გალავანი უნდა ყოფილიყო. როგორც სალოცავი წმინდა ადგილი შესაფერისად შემორაგული ყოფილა.

---

[1] ბარალეთსა და კოთელიაში ყოფნის დროს გადმომცეს, რომ ე. წ. ამაღლების სვეტის მსგავსი (გვ. 35, № 13) ქვის ჯვარი დაცული ყოფილა სოფ. ხანდოსა და პტენაში.

[2] დაახლოებითი ზომა შემდეგია: ბაზისის სიმაღლე 14 ვერშ., სიგრძე-სიგანე $1^1/_2$ არშ. $\times$ 2 არშ. 3 ვერშ.; ამონაღარი ოთხკუთხია 17 ვერშ. $\times$ 7 ვერშ. ჯვარ-ამოჭრილი ქვის სიმაღლე საჟენს აღემატება, სიგანე ქვემო ნაწილისა 1 არშ. 4 ვერშ., ზედასი—$1^1/_2$ არშ., სისქე 8—$8^1/_2$ ვერშ.

[3] სიმაღლით 13 ვერშ., სიგრძე-სიგანით 10 $\times$ 9 ვერშ.

მეორე ქვის ჯვარი წახრილად დგას კოშკის სამხრ.-დასავლეთით, გუდარეხის გზის პირად, კოშკიდან რამდენიმე ათეული საჟენის მანძილზე. იგი ქვისგან გამოჭრილი მთლიანი დიდი ჯვარია რვაწახნაგოვანი. ზედა თავი და ფრთები მომტვრეული აქვს[1]. ჯვრის ძირს გადაკვრია მუხის ფესვი და ამიტომ მოსალოდნელი წაქცევისგან იგი უზრუნველყოფილია.

ამგვარივე ფრთებმომტვრეული მაღალი ქვაჯვარა, როგორც ეს ადგილობრივმა მცხოვრებმა ჩვენმა მხლებელმა გადმოგვცა, კოშკებსა და გუდარეხს შუა მდებარე ბედემის მთაზე ყოფილა[2].

19. სამშვილდეში, ციხის დასავლეთით, მდ. ჭივჭავის მარჯვენა ნაპირზე, არის სომხების პატარა ეკლესია ღვთისმშობლის სახელობაზე აშენებული. ეკლესია ოთხკუთხია. დახურულია კრამიტით. იატაკი ქვისა აქვს. აღმ. ნაწილი (საკურთხეველი) და ჭერი მომრგვალებულია, კედლები შეთეთრებული. კარი სამხრეთით ერთი მოეპოვება, ხოლო სარკმელი ხუთი: ორი აღმ. ერთმანეთის ასწვრივ, ორიც დასავლეთით და ერთი მოზრდილი რკინის საფარით სამხრეთით. საკურთხევლის იატაკი ორი საფეხურით უფრო მაღალია ეკლესიისაზე. ხისგან გაკეთებულ დიდ ტრაპეზზე ხატები აწყვია. ამის ქვეშ პატარა ქვის ტრაპეზიც არის. ეკლესიის ჩრდილოეთის კედლიდან $^1/_4$ არშ. მოშორებით ქვის იატაკში ჩაკირულია თლილი დიდი ქვა ცოტათი მობრტყო და მომრგვალებული. მისი სამი გვერდი საკურთხევლის იატაკშიც არის ჩაკირული. სიმაღლით საჟენზე ცოტათი მეტია, განი 18—20 ვერშ. და სისქე $^1/_2$ არშინი. ამ ქვას სომხები „ხაჩქარს“ უწოდებენ. ამის გვერდით კედელში ჩატანებულია ამოღარული ქვა ალბათ აიაზმისათვის. ქვა ფიცრისგან გაკეთებულ ყუთშია მოქცეული. წინა გვერდი, რომელზედაც ჯვარია ამოჭრილი, ყუთზე გაკეთებული პატარა სარკიანი ფანჯრიდან ჩანს... ღრმად ამოჭრილი ჯვრის გარშემო მთავრული სომხური წარწერაა, რომელიც ამოშიფრა პროფ. აკ. შანიძემ.

აღნიშნული „ხაჩქარი“ აღწერილი და წარწერა ცოტა სხვანაირად წაკითხული აქვს აკად. ბროსეს[3].

1923 წ. ქართლური კილოს შესწავლისას აღიწერა ქვაჯვარები.

---

[1] დარჩენილი ჯვრის სიმაღლე 3 არშ. 12 ვერშ., სიგანე 1 არშ. 4 ვერშ. დაახლოებით.

[2] სოფ. ზრბითში გადმოგვცეს, რომ ახლობელ ორბეთის მთაზე მუხის ძირას ქვაჯვარა არისო. მაგრამ პროფ. გიორგი ნიკოლაძის სიტყვით (გ. ნიკოლაძემ ნახა), იგი ოთხკუთხი თლილი ქვა ყოფილა გვერდზე ჯვარამოჭრილი.

[3] Mélanges Asiat., t. II, p. 97—8, Е. Такайшвили. Арх. экск., в. II, стр. 41—2.

გ ო რ ი ს რაიონში:

20. კავთისხევის სამხრეთით რამდენიმე ვერსზე, მაღალაანთ ეკლესიის სამხრეთი ეგუტერის აღმ. კედელს მიყრდნობილია ქვა, სიმაღლით 1 არშ. $6^1/_2$ ვერშ. ქვედა ნაწილი მოვიწროებულია ოთხკუთხად და ჩადგმულია ოთხკუთხადვე ამოღრმავებულ ქვაში, რომელიც შუაზე გატეხილია. ქვის ზედაპირი ფართოა, სიგრძით $13^1/_2$, სიგანით $9^1/_2$ ვერშ.; ამოღარულია $3 \times 3^1/_2$ ვერშ., ხოლო სიღრმით 2 ვერშ.

21. იკორთის მონასტრისკენ მიმავალ გზაზე, საიდანაც ხელისგულივით ჩანს იკორთის ციხე და ეკლესია, დაახლოებით $^1/_2$ ვერსზე, მუხის ძირას, გზის მარჯვნით (ჩრდ.) არის ნიში. მოწითალო ქვა, წინ წრეში ჯვარამოჭრილი, მიწაზე დგას. გარს ქვები უწყვია. ზედ ნაჩვრეტებიანი თხელი ქვა აძევს. შუა ადგილას ოთხკუთხად ამობურცულია და ოთხკუთხადვე ამოღარული, რაც მეორე გვერდში გადის. ეს ჯვრის ბაზისი უნდა იყოს. იკორთის მლოცველი აქ სანთელს ანთებდა.

22. მეღვრეკისის ქებაანთ უბნის ციხის დასავლეთით, გზის პირად, პატარა მოედანზე, რომელიც მრგვალი ქვებით თითო-ორ-ორ ცალად შემორაგულია, დგას სამი თლილი ქვა. მათ ატოცის ნიშს უწოდებენ. ორი ქვა ერთი ზომისაა, ერთმანეთის გვერდით დგას, ოთხკუთხია და თლილი. ფერით მოწითალოა. სიმაღლით 1 არშინზე მეტია. ნაწიბურები მომრგვალებულია და გვერდებზე ორ-ორი ხაზი აქვს ამოღებული. ზედა თავი ამოღარულია 1×1 ჩარექზე. ამათ უკან მრგვალ ქვაზე მსგავსივე ქვა დგას. გვერდებს ხაზები არ უმკობს. თავი გადამტვრეულია და ამიტომ ამონაღარიც არ ეტყობა; ამათ წინ კი ხის ჯვარი ყოფილა მიწაში ჩასმული. იგი გადაუმტვრევიათ და დაუწვავთ. დღესასწაულობენ აღდგომის 50-ე დღეს, ე. ი. სული წმიდის მოფენას.

შეიძლება ამათ ისიც დავუმატოთ, რომ მოგზაურობის დროს ხშირად გვხვდებოდა ზოგიერთი ეკლესიის კედელში ჩაშენებული ამოღარული ქვები, რომელნიც უთუოდ ქვაჯვარას ბაზისები იყვნენ ოდესმე, როგორც, მაგალ., ზრბითის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის კედლებში ოთხი ქვა: სამი გარეთ და ერთიც შიგნით; ამავე სოფლის აღმ. დანგრეული ეკლესიის კედელში; ჩხიკვთაში დაცული სიონის კედელში; სამშვილდეში ქართული წმ. გიორგის ეკლესიის სასაფლაოს ქვებს შორის, სომხების ეკლესიის სასაფლაოზე.

ამგვარად, ლიტერატურული ცნობებისა და ჩვენ მიერ შეკრებილი მასალების მიხედვით, ქვაჯვარათა რიცხვი საქართველოში შემდეგს ციფრებში გამოიხატება დაახლოებით:

a) ბაზისიანი ჯვრები (აქვე შემოდის ორსართულიანი ბაზისები, რომელნიც დღეს უჯვრონი არიან) 22 ცალი;

b) მხოლოდ ჯვრები (უბაზისოდ ან მიწაში ჩასმული, ანდა ისე გდებული) 32 ცალი;

c) მარტი ბაზისები (მხედველობაში არა გვაქვს ეკლესიის კედლებში ჩაშენებულები, გარდა ორისა) 26 ცალი;

d) უბაზისო სვეტები (მიწაში ჩასმული ან ისე) 5 ცალი;

e) ბაზისიანი სვეტი 1 ცალი და

f) ბრტყელ ქვაზე ამობურცულად ამოჭრილი ჯვარი (ბაზისიანი) 1 ცალი. სულ 87 ცალი[1].

თუ გავრცელების მხრივ მივუდგებით, მაშინ პირველ ადგილს დაიჭერს თბილისის რაიონი, შემდეგ ლუქსემბურგისა, ტაო-კლარჯეთი და სხვა.

VII

დასასრულ, კითხვა ისმის, თუ რა დანიშნულებისაა საერთოდ ქვაჯვარა? როგორც ზემოთ გზადაგზა იყო ნაჩვენები, ქვაჯვარა თუ მსგავსი სვეტი უმთავრესად სალ ცავ ძეგლად ყოფილა მიჩნეული; მაგრამ საჭიროა აქაც აღინიშნოს, რომ აქაც (მაგ., წალკასა და გომარეთის მიდამოებში), სადაც ქვაჯვარა მხოლოდ სალოცავ ძეგლად არის მიღებული, ქვაჯვარას დაუკარგავს თავისი პირვანდელი დანიშნულება და მნიშვნელობა: ახლა ანალოგიურ სვეტებს აკეთებენ და მიწაში ასობენ, როგორც სახსოვარ ძეგლს ან როგორც სამიჯნო ნიშანს; მაგ.:

ა) მანგლისისა და წალკის მიჯნაზე, გზის პირად, მიწაში ჩასმულია უზარმაზარი ქვა, საკენზე მეტი სიმაღლისა, და მიჩნეულია როგორც სამიჯნო ნიშანი.

ბ) ამგვარივე დანიშნულებისაა მდ. ქციაზე გადებული ხიდიდან მოშორებით, ყაზარმების აღმოსავლეთით, გზის პირად, ამაღლებულ ადგილზე, მიწაში ჩაფლული ოთხკუთხი თლილი ქვა, სიმაღლით 1 არშ. $13^1/_2$ ვერშ., ხოლო სიგანით $9^1/_2$ ვერშოკი. ზედაპირის შუა ადგილი კარგა ამოღრმავებულია[2]; მაგრამ

---

[1] ამ რიცხვში არ შედის ათიოდე ბაზისიანი თუ უბაზისო ჯვარი თუ სვეტი, რომლებიც აღწერილი აქვს პროფ. ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ-ბ ე გ ს („მანგლისის რ. ისტ.-არქ. თვალსაზრისით“ და „მეგალითური კულტურა საქართველოში“). ამათი ჩათვლით 97 ცალამდე იქნება.

[2] პროფ. ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ - ბ ე გ მ ა სამიჯნო ძეგლი მანგლისის რაიონში მხოლოდ ორი აღნიშნა თავის მოხსენებაში (შდრ. მისივე „მეგალითური კულტურა საქართველოში“, გვ. 111, შნშ. 5).

გ) ასეთივე ფორმის, ოღონდ ნაკლები ზომის, ქვა გამოყენებულია, როგორც სახსოვარი ძეგლი, სიმაღლით 1 არშ. 6 ვერშ. და სიგანით $9^1/_2$ ვერშ. იგი მიწაშია ჩასმული მდ. ქციას მარცხენა ნაპირზე, ხიდთან. ძეგლის გვერდებზე ამოჭრილი ჯვრის გარდა რუსული წარწერაა პოლკის უფროსის სახელზე.

პროფ. გ. ჩუბინაშვილი, ეხება რა მანგლისში დაცულ ქვაჯვარას, აღნიშნავს, რომ: „Указывают на существование подобных камней в окрестности (Манглиса) и означают их межевыми знаками“ [1].

ვ. მილერის ცნობით, ოსეთში ბერწი ქალები ლოცვით მიმართავენ ე. წ. ბაჲრემს (დიდ ქვებს), რომ შვილი გაუჩნდეთ [2]. მაგრამ ზოგი სვეტი, რომელზედაც ადამიანის სახეა ამოჭრილი, წარმოადგენს სახსოვარ ძეგლსო და სურათებსაც ურთავს [3]; ად. ბერეჟეს სიტყვით, ამგვარი ძეგლები ან სვეტები ოსეთს გარდა გავრცელებული ყოფილა თუშეთში, ფშავ-ხევსურეთში და ღალღაელთა შორის [4]. ისინი, მისი აზრით, ამართული უნდა იყვნენ ნომადთა ან ოჯახის უფროსთა მიერ... ხოლო დარალაგეზში (ყ. ნახიჭევნის მაზრაში) ამართული ქვის სვეტების შესახებ, რომელნიც ადგილობრივ მცხოვრებთ სამიჯნო ნიშნებად მიაჩნიათ, იგი ამბობს: „...нередко служили в былое время указателями древних путей“ [5].

ფ. ბაჲერნი ეხება ყველა იმ ძეგლს, რომელნიც ად. ბერეჟეს აქვს აღწერილი, და აღნიშნავს, რომ: „...пограничные и придорожные столбы... с крестами... жителями по преимуществу считаются межевыми знаками... устроены для указания дороги от одного монастыря к другому... поставлены на случай глубокого снега“ და სხვ. [6].

როგორც მოყვანილი ცნობებით ირკვევა, ქვაჯვარას საქართველოში ორი დანიშნულება ჰქონია: მეტი წილი (და შეიძლება ითქვას, თითქმის ყველა) გამოყენებული და მიჩნეულია როგორც სალოცავი ძეგლები, ხოლო მცირე ნაწილი (სულ 4)—როგორც სა-

---

[1] Op. cit., გვ. 37.

[2] Археол. наблюд: *Мат. по Арх. Кавк.*, I, გვ. 74.

[3] ibid., გვ. 32—34, სურ. 47, 48, 49.

[4] პირველი ორი ცნობა (თუშეთისა და ფშავ-ხევსურეთის შესახებ) რამდენად სწორია, ძნელი სათქმელია.

[5] Кавказ в эрх. отношении: *Записки Общ. Любителей Кавказской археологии*, кн. 1, Тфл. 1875, გვ. 8—9.

[6] *Сборник сведений о Кавказе*, т. 1, გვ. 309—310.

ხის ჯვართა შესახებ იხ. კ. კეკელიძე. Иерусалимский канонарь, გვ. 1, შნშ. 2.

მიჯნო თუ სახსოვარი[1]; საფლავის ქვად არც ერთი ზემოაღნიშნულთაგანი არ არის ცნობილი. ამიტომ თუ ეკლესიის გალავანში ქვაჯვარა მოიპოვება, მას, როგორც საფლავის ძეგლს, ვერ ჩავთვლით[2]. რომ სვეტებს (ქვებს) მიჯნის აღმნიშვნელ ძეგლადაც იყენებდნენ, ამის საბუთს თითქოს ვ ა ხ ტ ა ნ გ მ ე ე ქ ვ ს ი ს „დასტურლამალის“[3] „თრიალეთის სოფლების საზღვრებისათვის“ თავში ვკითხულობთ: „სამადლოველნი და ქვემო ბეშკენაშელნი ცილობდნენ ტახტის გორა და გზამდისინ ჰსწორად გარდმოჭერით: და ქ ᲩᲐ ჩ ა უ ს ვ ი თ“, „იმის შესწორ მაღლა რომ სამი ქᲩᲐ კაცი ზის, პირზედ იქამდინ“[4]; „გიორგი მეფის ჟამში ჩასმული ქᲩᲐ მოეგლიჯათ, ისევ ისრე ჩავსვით“ (გვ. 37); „ბოლოს ქ Ჩ Ა ჩაგვისვამს, თავსაც ქ Ჩ Ა ჩაგვისᲩამს“ (გვ. 37); „ყოველგან ქᲩᲐ ა გ ვ ი მ ა რ თ ა ვ ს, ზემო გორაზედაც ქᲩᲐ ა გ ვ ი მ ა რ თ ა ვ ს“ (გვ. 39) და სხვ. ამგვარად, იქ, სადაც სამანი დაუდვიათ და საზღვარი დაუნიშნავთ, უბრალო ქვა ან ქვის სვეტი ჩაუსვამთ. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ საზღვრის აღმნიშვნელ სვეტად ჩვეულებრივ უბრალო ქვაა და არა ჯვრის სახის ქვები. ამის მაგალითი დღესაც ბლომად მოიპოვება ჯავახეთში, ახალქალაქსა და

---

[1] ამათში ორი ჯვარია, მესამე უბრალო სვეტი და მეოთხე სახსოვარი ძეგლი და ისიც ახალი წარმოშობისა. ამიტომ უკანასკნელს ქვაჯვარათა ისტორიისათვის მნიშვნელობა არა აქვს. ამდენად რჩება ორი ჯვარი, როგორც სამიჯნო ძეგლი.

[2] სომხეთში, რამდენადაც ვიცით, ქვაჯვარები საფლავის ძეგლია და ამიტომ განსხვავდებიან ისინი ქართული ქვაჯვარებისაგან. რუსეთში გავრცელებულ ქვაჯვარებს სამი დანიშნულება აქვთ: სალოცავი, სახსოვარი და საფლავისა. იქ ქვაჯვარები უფრო გვიანდელი წარმოშობისაა და ამიტომაც შერეულია მათი გამოყენება (А. Спицын. Op. cit.).

[3] პ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, ტფ. 1886.

[4] „სამი ქᲩᲐ კაცი ზის“, ან „ქᲩᲐკაცას ზეით“ ანდა „ქᲩᲐკაცას ჩასწორ“—აქ სახელი „ქᲩᲐკაცა“ პირდაპირი მნიშვნელობით ალბათ ვერ გაიგება, რადგანაც ქვისგან გამოჭრილი ადამიანის ფიგურა ძეგლად ჩვენში გავრცელებული არ ყოფილა (იგი თერგის ოლქში გვხვდება: *Мат. по Арх. Кавк.*, I). მაგრამ მიწაში ჩასმული უბრალო ქვის ამგვარი სახელწოდება ლეგენდარული თქმულებით აიხსნება, როგორც ეს ზემოთ მანგლისის რაიონში დაცული ქვაჯვარას შესახებ მოვიყვანეთ (გვ. 32, 33, შნშ. 2). ანალოგიური გადმოცემები ქვასთან დაკავშირებით არაიშვიათი მოვლენაა საქართველოსა და მის გარეთაც, როგორც მაგ.: ხინზირაჭიდან ოცი ვერსით დაშორებულ გოჩას ბორცვზე ყოფილა ჯვრის მსგავსი დიდი ქვა, 1/4 არშ. მიწაში ჩაფლული. მას *Ագուսախաչ* („ყვავის ჯვარს“) უწოდებენ. გადმოცემით, მის ქვეშ მარხია ყვავი, რომელსაც ორასზე მეტი ქრისტიანი გადაურჩენია აუცილებელი სიკვდილისაგან (*Сб. мат.* XXXIV, отд. I, გვ. 197—8). ეგევე თქმულება ეხება თათევის (*Թաթև*) ახლო მდგარ კაცის სიმაღლის ჯვარამოჭრილ სვეტს (*Сб. мат.*, XIII, отд. I, გვ. 66-67). გორის ახლოს დანგრეული „ყვავის საყდარი“ ამავე ლეგენდითაა ცნობილი. ამიტომ „ქᲩᲐკაცა“ უბრალო ქვის სვეტი გვგონია.

კუმურდოს შუა გაშლილ ველზე. ხოლო თუ დღეს სადმე ქვაჯვარაც ითვლება სამიჯნო (სასაზღვრო) ძეგლად, ეგ გვიანდელი მოვლენაა და ისიც შემთხვევით, მისი ადგილმდებარეობით, გამოწვეული. ამას თვით „დასტურლამალი“ გვიმოწმებს: ამართული ქვა თუ საზღვარზე ხვდებოდა, მას ნიშნავდნენ სამიჯნოდ, იქნებოდა ის უბრალო სვეტი თუ ჯვრიანი; მაგ.: „მაღლა მთაში... დიდი ქუა არის, სამძღურად გაგვიჩენია“ (გვ. 39)... „ქუშმო სათიბში თეზელებმა ორი ჯუარიანი გვიჩვენეს, დავიჯერეთ“ (გვ. 37). ამიტომ, მანგლისში ორი ჯვრის სამიჯნო ნიშნად მიჩნევა შედარებით ახალი მოვლენაა. ამგვარად, დასკვნა ასეთი გამოდის: ყველა ქვაჯვარა საქართველოში ერთი დანიშნულებისაა: სალოცავი (სათაყვანო) ძეგლია. დროთა ვითარებაში მისი მნიშვნელობა სუსტდება და ზოგან შემთხვევით სამიჯნო ძეგლად იქცევა[1].

რა დროიდან უნდა ვეძიოთ დასაბამი ქვაჯვარათა? სამწუხაროდ, ამ კითხვაზე გადაჭრილი პასუხის გაცემა ძნელია. ჩვენთვის ცნობილი ისტორიული წყაროები ქვაჯვარას არ იხსენიებენ; დღემდე მოღწეული ძეგლები კი თავიანთი სიძველის შესახებ ვერაფერს გვაუწყებენ. მაგრამ საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში მათი გავრცელება, ყველგან თანაბარი თაყვანისცემა, ცხადია, მოწმობს იმას, რომ მათი დასაბამი შეიძლება საუკუნეთა სიღრმეში გადავიტანოთ.

ზევით უკვე აღინიშნა, რომ ჯვარი საქართველოში ქრისტიანობასთან ერთად უნდა შემოდიოდეს. ისტორიული ცნობა ასეთია: „ხოლო ესე სასწაულითა ზეცისა ჩუენებით ჯუარი პატიოსანი მცხეთას იპყრეს ველითა კაცობრივითა მივედით ბორცუსა მას ქუეშე და წყაროსა მას ზედა... და დასდვა ველი ერთსა ქუასა... და მუნ აღემართა ჯუარი იგი“[2]. ცნობა ეხება საქართველოს მოქცევის პირველ ხანებს. „მცხეთის პირდაპირ ბორცვზე აღმართული იყო ჯვარი“, მაგრამ არა ეკლესიაში, არამედ ცის ქვეშ, „თავისუფალ ადგილას“ და „ადგილობრივ საგანგებო დღესასწაული იყო დაწესებული მცხეთის ჯვარისა“ (გ. ჩუბინაშვილი: ტფ. ენის. მოამბე, II, გვ. 24—26). მის თაყვანისაცემად, როგორც ეს სომხურ-ქართული წყაროებიდან ჩანს, ქართველებთან ერთად სომხებიც მოდიოდნენ. ანალოგიური ჯვარივე მანგლისშიც ყოფილა ამართული ქრის-

[1] ამდენად ვერ გავიზიარებთ პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის მოსაზრებას იმის შესახებ, თითქოს „ბაზისიანი ჯვრები თაყვანისსაცემელი ჯვრებია, ხოლო უბაზისო ჯვრები—საზღვრების მაჩვენებელი ნიშნები“ („მანგლისის რ. ისტ.-არქ. თვალსაზრისით“, გვ. 80).

[2] მრ^აბ^ალ^ას ქართლის ცხ. ვარიანტი, გვ. 103=E. Такайшвили. Опис., II, გვ. 791—2.

ტიანობის პირველ ხანებში, ისიც ცის ქვეშ, თავისუფალ ადგილას, და აქაც სომხები მოდიოდნენ სალოცავად. ამ უკანასკნელის საბუთს *Գիրք թղթոց*ში ვპოულობთ, საიდანაც ირკვევა, რომ აბრამ სომეხთა კათალიკოზი სომხებს უკრძალავს ქართველებთან მჭიდრო კავშირის დაჭერას და მცხეთა-მანგლისის ჯვრების თაყვანისაცემად სიარულს: „... *մի աղաւթիւք երթալով ի խաչն, որ ի Մցխիթայի տեղաւքն համբաւի, մի ի Մանգղեայ խաչն*[1]. შემდეგში ამ ჯვრების ადგილას, როგორც ეს პროფ. გ. ჩუბინაშვილმა გამოარკვია (ყოველ შემთხვევაში მცხეთის ჯვრის მიმართ), აღაშენეს ტაძარი, რაც „საქართველოს სწრაფი კულტურული ზრდის მაჩვენებელია“ (ibid., 26). ჩანს, ჯვარს შეენაცვლა ჯვარის ტაძარი. ამგვარად, არსებული ქვაჯვარები არ გვაძლევს საშუალებას, რომ ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ მათი დასაბამის განსაზღვრულ საუკუნეზე, სამაგიეროდ ისტორიული წყაროები გვავარაუდებინებს, რომ მათი წარმოშობა შორეულ წარსულს, მოქცევის პირველ ხანებს უკავშირდება და მოღწეული ქვაჯვარები მათს ტრადიციულ გაგრძელებას წარმოადგენენ.

დასკვნა

1. ქვაჯვარა საქართველოში შემთხვევითი მოვლენა არ არის: იგი გავრცელებულია თითქმის ყველა კუთხეში. ჯერჯერობით აღრიცხულ-აღწერილია 97-მდე. ამათგან ყველაზე მეტი რიცხვი თბილისისა და ლუქსემბურგის რაიონზე მოდის.

2. ქვაჯვარები სხვადასხვა ფორმისა და ზომისა გვხვდება. ყველაზე ხშირია უბაზისო ჯვარი crux immissa სახისა, შემდეგ ბაზისიანი ჯვრები და ყველაზე ცოტაა ბაზისიანი თუ უბაზისო სვეტები. უჯვარო ბაზისები ანდა, პირიქით, უბაზისო ჯვრები დროთა ვითარების შენაძენი ჩანს. ქვაჯვარას პირვანდელი სახე ბაზისიანი ჯვარი უნდა ყოფილიყო (ამას ადასტურებენ ხის ჯვრები). ფორმით საქართველოში დაცული ქვაჯვარა არსებითად განსხვავდება სომხური ხაჩქარისაგან.

3. ქვაჯვარა პირველად მხოლოდ სალოცავი (სათაყვანო) ძეგლი იყო. დროთა განმავლობაში მისი დანიშნულება ნელდება და დღეს ზოგან სამიჯნო ნიშნადაც მიაჩნიათ. ამ მხრითაც განსხვავდება იგი რუსეთში დაცულ ქვაჯვარათაგან, თუ დღევანდელი მათი რეალური მნიშვნელობით ვიხელმძღვანელებთ.

---

[1] პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი. მეგალითური კულტურა საქართველოში, გვ. 112—113.

4. ისტორიული წყაროებით ქვაჯვარათა დასაბამი საქართველოში მოქცევის პირველ ხანებს უკავშირდება. ქრისტიანობის გავრცელებისთანავე ჯვარმა მოიკიდა ფეხი. შემდეგში მის ადგილს იჭერს ტაძარი და, რაც საგულისხმოა, სწორედ ჯვარის ტაძარი. ამდენად, ჯვარის ტაძარი უშუალო გაგრძელებაა ჯვრისა თუ ქვაჯვარასი და ქვეყნის კულტურის აყვავების მაუწყებელია.

გ. ტივაძე

შუასაუკუნეების ოსმალეთის შესახებ არსებული ლიტერატურა

(ზოგიერთი შრომის მოკლე მიმოხილვა)

დღემდე ძნელი ხდება იმ საკითხის გარკვევა, თუ რა შედეგები მოუტანეს დასავლეთ ევროპას აღმოსავლეთთან აღებ-მიცემის, კულტურული ურთიერთობის და მათი ურთიერთ დამოკიდებულების სფეროში იმ ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა, რომლებმაც იმსხვერპლეს უამრავი ადამიანის სიცოცხლე და მათი ძვლებით ახლო აღმოსავლეთის ველები გაანოყიერეს. ერთი რამ კი ცხადია: არაბთა და ბიზანტიელთა ვაჭრობის განადგურებით, რაც ჯვაროსნული ომების შედეგს წარმოადგენდა, ჩრდილო იტალიის ცნობილმა ქალაქებმა გენუამ, ფლორენციამ და ვენეციამ აღმოსავლეთთან ურთიერთობაში მნიშვნელოვანი პრივილეგიები მოიპოვეს. დასავლეთ ევროპის მოზარდი მოთხოვნილების საფუძველზე ფართოდ გაშალეს ვაჭრობა აღმოსავლეთთან, მრავლად ააგეს ფაქტორიები მიმოსვლის ყველა მნიშვნელოვან ადგილზე და თავიანთ შემდგომ განვითარებისათვის მეტად მნიშვნელოვანი ეკონომიური ბაზა შეჰქმნეს.

დასავლეთ ევროპაში საწარმოო ძალთა შემდგომი განვითარების შედეგად სოფლის მეურნეობა თავისი კულტურებით უფრო მრავალფეროვანი გახდა. ჯვაროსანთა ომების პერიოდში სოფლის მეურნეობა უკვე იცნობს ბრინჯს, საზამთროს, ლიმონს და სხვ. შაქარი ფართო მოხმარების საგანი ხდება; აღმოსავლეთის ნარნარა ქსოვილები და სურნელოვანი ნაწარმოებნი ევროპის გაბატონებული კლასის აუცილებელ მოთხოვნილებად იქცევიან. თანდათანობით ბატონდება ევროპაში მარტივი სასაქონლო მეურნეობა. კომუტაცია ვრცელდება დასავლეთ ევროპის ისეთ ჩამორჩენილ სახელმწიფოებშიაც-კი, როგორიც იყო იმდროინდელი გერმანია.

მეთხუთმეტე საუკუნის მეორე ნახევრისათვის საქონლის ბრუნვის სფეროს გაზრდასთან დაკავშირებით მოთხოვნილება ფულზე, როგორც ბრუნვის საშუალებაზე, სწრაფი ტემპებით მატულობს. ოქროს მარაგის სიმცირე ამ დროისათვის მეტად საგრძნობი ხდება. „ოქროს მოპოვება“—აი რა არის მთავარი საზრუნავი იმდროინდელ ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებისათვის. „თუ რამდენად—ამბობს ენგელსი—XV ს. ბოლოში ფულმა ძირი გამოუთხარა და შიგნიდან გამოღრნა ფეოდალიზმი, აშკარად ჩანს ოქროს იმ წყურვილით, რომელმაც ამ ეპოქაში მოიცვა დასავლეთი ევროპა; ოქროს დაეძებდნენ პორტუგალიელები აფრიკის სანაპიროებზე, ინდოეთში, მთლიანად შორეულ აღმოსავლეთში; ოქრო იყო ის მაგიური სიტყვა, რომელიც მიერეკებოდა ესპანელებს ატლანტიკური ოკეანის მიღმა”

ოქრო—აი რას მოითხოვდა უპირველეს ყოვლისა თეთრკანიანი, როგორც კი გაჩნდებრდა ის ახლად აღმოჩენილ ნაპირზე".

„კარჩაკეტილ" ნატურალური მეურნეობის ნაცვლად ვითარდება ბაზრები, ვაჭრობა, რომელიც ვეღარ თავსდება დასავლეთ ევროპის ტერიტორიის ჩარჩოებში და გზას იკაფავს მსოფლიო მოვლენად გადაქცევისაკენ. ამასთან ერთად საზოგადოებრივი შრომის განაწილების შემდგომი ზრდა დასავლეთ ევროპას და ახლო აღმოსავლეთს ერთი მთლიანი ეკონომიკის შემადგენელ ნაწილებად ხდის, რის გამოც უკვე XV საუკუნის პირველი ნახევრისათვის მათი ურთიერთისაგან მოწყვეტა წარმოუდგენელი და შეუძლებელიც ხდება.

სწორედ ასეთ ვითარებაში დაეცა ყოფილი ბიზანტიის იმპერიის უკანასკნელი დასაყრდენი—„ხიდი" აღმოსავლეთთან ურთიერთობის საქმეში — კონსტანტინოპოლი. 1453 წლიდან ოსმალებმა ხელში ჩაიგდეს და თავის საკუთრებად გადააქციეს იმ დროისათვის ვაჭრობის საქმეში უდიდესი მნიშვნელობის მქონე შავი ზღვა, რომელიც რკინიგზის უქონლობის პირობებში მიმოსვლის ერთ-ერთ უდიდეს ფაქტორს წარმოადგენდა. შავი ზღვის მნიშვნელობას კიდევ უფრო ზრდიდა ის გარემოება, რომ მის სფეროში მოქცეული იყო ისეთი მდინარეები, როგორიც არიან: დუნაი, დნესტრი, დნეპრი და დონი. უფრო მეტიც: შავი ზღვის მოწყვეტა ნიშნავდა კასპიის ზღვის სავაჭრო მნიშვნელობის თითქმის სრულ გაუქმებას, რამდენადაც ამ მხრივ ეს უკანასკნელი, გეოგრაფიული პირობების გამო, თითქმის სავსებით დამოკიდებული იყო პირველზე.

„დუნაი და ვოლგა, ევროპის ორი გიგანტური მდინარე, დნესტრი, დნეპრი და დონი — ყველა ესენი ჰქმნიან შინაგანი პროდუქტების ბუნებრივ არხებს შავ ზღვაზე გადაზიდვისათვის; ჩვენ ვამბობთ—შავ ზღვაზე, რადგან კასპიის ზღვამდე მისვლაც შეიძლება მხოლოდ შავი ზღვის საშუალებით. ევროპის ორი მესამედი, ე. ი. გერმანიისა და პოლონეთის ნაწილი, მთელი უნგრეთი, რუსეთის უნოყიერესი ნაწილები და ყველა ამის გარდა თურქეთის მთელი ევროპული ნაწილი თავის ექსპორტისა და პროდუქტების გაცვლის მხრივ ბუნებრივად დაკავშირებული არიან შავ ზღვასთან, მით უმეტეს, რომ ყველა ეს ქვეყანა უმთავრესად მიწათმოქმედების ხასიათისაა და მათი ნაწარმოების სიდიდე (громоздкость) სამდინარო გადატანას აუცილებლად აქცევს ტრანსპორტის ძირითად სახედ"[1].

შავი ზღვის ხელში ჩაგდებით ოსმალებმა ჩაჰკეტეს სავაჭრო გზა აღმოსავლეთთან როგორც ჩრდილოეთის მიმართულებით, ისე ტრაპიზონის — სამხეთის მიმართულებით. დასავლეთ ევროპას XV

[1] Маркс и Энгельс. Соч. т. IX, стр. 382.

საუკუნის მეორე ნახევრისათვის ჯერ კიდევ ჰქონდა აღმოსავლეთთან დაკავშირების ერთი შესაძლებლობა — სამხრეთის მიმართულებით არსებული სავაჭრო გზა, რომელიც სირიაზე და შუამდინარეზე გავლით ინდოეთში გადადიოდა. მაგრამ ევროპის ვაჭრობა აქაც დიდ წინააღმდეგობებს აწყდებოდა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ არაბები, რომლებიც კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ თავიანთ თავს მონოპოლისტებად სთვლიდნენ აღმოსავლეთთან ვაჭრობის შუამავლობის საქმეში, ერთი ათად ზრდიდნენ საქონელზე ფასებს და მეორეც იმიტომ, რომ ხმელთაშუ, ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილებიც მალე თურქი მეკობრების სათარეშო ასპარეზად გადაიქცა.

მიუხედავად ამისა, გენუელები და ვენეციელები მაინც ახერხებდნენ აღნიშნული მიმართულებით აღმოსავლეთთან სავაჭრო ურთიერთობის დამყარებას.

თურქეთის მიერ მოპოვებულ გაბატონებული მდგომარეობის შენარჩუნებისათვის საჭირო იყო დაუცხრომელი ბრძოლა იმ მოვლენის წინააღმდეგ, რომელიც ევროპისათვის დაკარგული აღმოსავლეთის მდიდარი ბაზრის შენარჩუნებას ახალი სავაჭრო გზების აღმოჩენით ლამობდა. თურქებს არ შეეძლოთ გულდამშვიდებით ეცქირათ გენუელების, ვენეციელების და სხვ. ასეთი ცდებისათვის. ჯერ კიდევ პორტუგალელების მიერ 1498 წელს აღმოჩენილმა ინდოეთის სავაჭრო გზამ ოსმალეთში აღშფოთება გამოიწვია. ამიტომ სულთან სელიმის დროს ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა მნიშვნელოვნად შეიცვალა. სელიმი ძშვენივრად ხედავდა იმ ეკონომიურ და პოლიტიკურ უპირატესობას, რომელსაც თურქებს შავი ზღვის ხელში ჩაგდება და ამგვარად იმდროინდელი აღმოსავლეთის სატრანზიტო გზებზე გაბატონება ანიჭებდა. მაგრამ ამავე დროს სელიმი იმასაც ხედავდა, რომ ევროპის სრული მოწყვეტა აღმოსავლეთიდან არ მოხერხდებოდა, უკეთუ არაბთა სახელმწიფოები შემდეგშიაც განაგრძობდნენ თავიანთ მოქმედებას აღმოსავლეთთან ვაჭრობაში. ამიტომ ოსმალეთმა გადაწყვიტა თვით ამ აღმოსავლური ქვეყნების დაპყრობა. ამ მიზნით მან ჯერ კიდევ 1509 წელს პირველად სცადა სუეცის არხის გათხრა, მეორე ცდა კი 1524 წელს მოეწყო. როგორც პირველი, ისე მეორე განზრახვა უშედეგოდ დამთავრდა. მიუხედავად ამისა, ეგვიპტე და სხვ. მაინც ოსმალეთის ხელში აღმოჩნდა და ამგვარად დასავლეთ ქვეყნების ვაჭრობა აღმოსავლეთთან დიდად დაზიანდა.

ყოველივე ამის შემდეგ ოსმალეთი შეეცადა სასტიკი ბაჟები დაეწესებია ყოველგვარ შემოტანილ საქონელზე. მთელი XVI საუკუნის მანძილზე ოსმალეთის სულთნების პირადი ხაზინისა და სახელმწიფო შემოსავლის ზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს ზემოაღ-

ნიშნული გარემოება წარმოადგენდა. ოსმალეთის ჰარამხანების გაუგონარი ხარჯები თითქმის მთლიანად საბაჟო შემოსავლით იფარებოდა. ამგვარად სავაჭრო ურთიერთობის საქმის შემდგომი განვითარებისათვის თვით ოსმალეთშიც ძალზე არახელსაყრელი პირობები იქმნებოდა. უცხოელი ვაჭრების უფლებრივი მდგომარეობა აუტანელი გახდა. ოსმალეთში შემოღებული სასტიკი წესი,—უცხოელი ვაჭრების გარდაცვალების შემთხვევაში დარჩენილი მისი ქონების კონფისკაცია ოსმალეთის სახელმწიფოს სასარგებლოდ, რასაც რუსეთში „ზაუმორშჩინას“ უწოდებდნენ, უფრო მეტად ართულებდა უცხოელ ვაჭართა მდგომარეობას ოსმალეთის ტერიტორიაზე. აი რას სწერდა „ზაუმორშჩინის“ შესახებ რუსეთის დიპლომატია სულთან ბაიაზეთ მეორეს: „Да Пиши Каврижкина племянник (родственник) Самаило Ярцов шел с товаром Тышинным за море, и в Бурсе (Бруссе) его не стало, а товару за ним было на полтретьядцать (15) тысяч денег, а тот товар весь зауморщики поимали на Царя, а Тише Коврижкину тот товар не отдали“[1]. ეს წესები ბაიაზეთის შემდეგაც განაგრძობდა არსებობას.

დასავლეთ ევროპასთან განუწყვეტელი ომების მწარმოებელ ოსმალეთის სახელმწიფოს სურდა ბოლომდე მიეყვანა დასავლეთის აღმოსავლეთისაგან გათიშვის გეგმა. ამიტომ დასავლეთის სახელმწიფოთა დიპლომატიური ურთიერთობაც კი XV საუკუნის ბოლოს და XVI საუკუნეში ოსმალეთთან მეტად გაძნელებული იყო. მაგალითად, როცა სულთან ბაიაზეთ მეორემ გაიგო, რომ ვენეციის ბაილიო (დიპლომატიური წარმომადგენელი) ჯეროლამო მარჩელო წერილებს უგზავნიდა თავის მთავრობას, მას უბრძანა — სამი დღის განმავლობაში დაეტოვებია კონსტანტინოპოლი. ამის შემდეგ ვენეციის დიპლომატიურ წარმომადგენლობას კონსტანტინოპოლში დიდი ხნით აღარ ამოოაჩნდა ხელმძღვანელი.

1591 წელს ავსტრიის დიპლომატიურმა წარმომადგენლობამ ოსმალეთის ხელისუფლების მხრით სასტიკი დევნა განიცადა. წარმომადგენელთა ცალკე წევრების დატუსაღება, მათთვის საჭირო პირობების შექმნისათვის ხელის შეშლა, საელჩოების ჩხრეკა და სხვ.,— აი რა ახასიათებდა ოსმალთა მმართველობას საერთაშორისო ურთიერთობის საკითხში (ყელაფერ ამას დეტალურად აღწერს ჩეხელი ვრატისლავი ავსტრიის წარმომადგენლობაში მუშაობის დროს). მხოლოდ რუსეთთან არსებობდა შედარებით ლოიალური დამოკიდებულება დიპლომატიურ ურთიერთობაში.

---

[1] Неклюдов. Начало сношении России с Турцией, стр. 45.

ცნობილი მკვლევარი ვ. ს მ ი რ ნ ო ვ ი კონსტანტინოპოლში მყოფ რუსეთის პირველი წარმომადგენლის პლეშჩეევის უხეში გამოსვლის და სულთნის სასახლის მისდამი ლმობიერი დამოკიდებულების აღწერისას აღნიშნავდა, რომ ოსმალების მხრით ასეთი ლმობიერი დამოკიდებულება პლეშჩეევის მიმართ ხდებოდა „მაშინ, როცა უფრო გვიან, XVII საუკუნის ნახევარში, საფრანგეთის წარმომადგენლებსაც კი თურქი ჩაუშები, ისიც არა სულთნის, არამედ უზენაესი ვეზირების აუდენციებზე, კბილებს ამტვრევდნენ“-ო [1].

ამგვარად, იმდროინდელ ოსმალეთში იქმნებოდა ისეთი პირობები, რომლებიც სრულებით არახელსაყრელი იყო დასავლეთ ევროპის ცივილიზაციის გადმოტანისათვის ოსმალეთში. „კონსტანტინოპოლი, — ეს მარადიული ქალაქია, ეს — რომია აღმოსავლეთის. დასავლეთის ცივილიზაცია და აღმოსავლური ბარბაროსობა, არსებული ბერძენთა იმპერატორების დროს, აღმოსავლური ბარბაროსობა და დასავლეთის ცივილიზაცია თურქების ბატონობისას ისე მჭიდროდ გადაიხლართნენ ურთიერთშორის, რომ თეოკრატიული იმპერიის ეს ცენტრი გადაიქცა ნამდვილ ზღუდედ ევროპული პროგრესის გავრცელებისათვის“ [2].

XV საუკუნის მეორე ნახევარი და თითქმის მთელი XVI საუკუნე—ეს არის ხანა ოსმალეთის სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფოს ძლიერებისა და მისი ტერიტორიის გაფართოების უმაღლესი საფეხური. ეს ხანა, ამავე დროს, არის დასავლეთ ევროპის სოციალურ-ეკონომიური და კულტურული გარდაქმნის ეპოქა. დასავლეთ ევროპაში დაწყებულმა აღორძინებამ ფართო გასაქანი ჰპოვა მთელ რიგ მოწინავე სახელმწიფოებში (იტალია, საფრანგეთი, ინგლისი და სხვ.).

ამ დიდი მოძრაობისათვის იმდროინდელი ოსმალეთი სავსებით კარჩაკეტილი აღმოჩნდა. თურქი მეცნიერები არ მიილტვოდნენ დას. ევროპის კლასიკური მემკვიდრეობის ათვისებისაკენ და თუ ზოგადად იცნობდნენ მას, ეს მხოლოდ არაბების მიერ თარგმნილი კლასიკოსების საშუალებით. საერთოდ, ანტიკური ფილოსოფია, იურისპრუდენცია, ლიტერატურა და სხვა, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ევროპის აღორძინებაში, ოსმალეთისათვის მიუწვდომელი დარჩა.

მეთექვსმეტე საუკუნის ოსმალეთის მხატვრული ლიტერატურაც კი აღორძინების ყოველგვარი გავლენის გარეშე რჩება. „ოსმალეთის

---

[1] В. Д. Смирнов. Крымское ханство под верховенством Оттоманской порты до начала XVIII века.

[2] Маркс и Энгельс. Соч. т. IX, стр. 440.

პოეზიის ისტორიკოსი ე. გიბი სრულიად საჯუძვლიანად წინასწარ აფრთხილებს მათ, ვინც მოისურვებდა გარეგნული ქრონოლოგიური დამთხვევით ეძია შინაგანი კავშირი ევროპის აღორძინებასა და ლიტერატურის ოსმალეთში წარმატების მოპოვებას შორის; ევროპის აღორძინების იდეებსა და ოსმალეთის ლიტერატურის აყვავებისა, და შემდეგ, მის ოქროს ხანას შორის“ [1]. თითქოს მართლდებოდა შლოსერის დებულება, რომელიც წამოაყენა მან „История XVIII века“-ს შესავალში იმის შესახებ, რომ „რელიგია, წესები, ლიტერატურა, საერო სახელმწიფოებრივი წყობა, ხელოვნებაც კი დამყარებულია იმაზე, რომ ყველა არსებული რჩებოდეს უცვლელად, რომ არ იქნეს დაშვებული არც საკუთარი კულტურის შემდგომი განვითარება და არც უცხოელების კულტურის გავლენა“ [2].

აღმოსავლური ქვეყნების ასეთი კარჩაკეტილობის გამო „ოსმალეთი ბერძენთა აჯანყებამდე წარმოადგენდა terra incognita-ს (უცნობი მიწა) ყოველმხრივ, და მასზე გავრცელებული წარმოდგენები ემყარებოდა უფრო მეტად ზღაპრებს „ათას ერთი ღამიდან“, ვინემ ისტორიულ ფაქტებს“ [3]. ოსმალეთის „შესწავლის“ პირველი ცდები იწყება ევროპელი დიპლომატების იმ წარმომადგენლების მიერ, რომელთა რიცხვიც კონსტანტინოპოლში XVI საუკუნის მიწურულისათვის თანდათანობით მატულობდა. მაგრამ ეს შესწავლა უფრო მეტად ზერელე იყო, რადგან: ჯერ ერთი აღნიშნულ პირებს, რომლებიც უფრო მეტად გატაცებული იყვნენ დიპლომატიური ინტრიგების მოწყობით, საკუთარი პირობების გაუმჯობესებით და დიდი ქონების შეძენის შემდეგ თავიანთ ქვეყნებში დაბრუნების სურვილით, აღარ რჩებოდათ საკმარისი დრო ოსმალეთის ყოფაცხოვრების ყოველმხრივი შესწავლისათვის. გარდა ამისა, მათ არ იცოდნენ აღმოსავლური ენები და საკითხის შესწავლაში მეტ წილად ემყარებოდნენ არა ძირითად წყაროებს, არამედ ზეპირად გადმოცემულ ნათქვამს თარჯიმანებისას, რომლებიც აგრეთვე ძალზე შორს იყვნენ ოსმალეთის ნამდვილი ისტორიიდან.

ოსმალეთში ჯერ კიდევ გაბატონებული იყო არაბული ენა. ამავე დროს არაბული ენა ოსმალეთის ფართო მოსახლეობისათვის გაუგებარი იყო. ამის გამო თვით ოსმალეთში იშვიათად მოიპოვებოდა ოსმალეთის ისტორიის ცოტად თუ ბევრად დამაკმაყოფი-

---

[1] А. Крымский. История Турции и ея литература от расцвета до начала упадка.

[2] Бартольд. История изучения Востока в Европе и России, стр. 22—23.

[3] К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. IX, стр. 387.

ლებლად მცოდნე პირი. ასეთ პირობებში ევროპელ სწავლულებს ეგვიპტესა და წინა აზიაში დამოუკიდებლად უნდა მოენახათ გასაღები ამ ქვეყნების რთულ სოციალ-ეკონომიური ვითარების სათანადო ახსნისათვის.

მაგრამ დასავლეთ ევროპის არა ყველა სახელმწიფოსათვის აღმოსავლეთ ზღუდე ევროპისა და აღმოსავლური ქვეყნის—თურქეთის კულტურის ურთიერთობის საქმეში. მაგალითად, ამ ზღუდის გადალახვას გაფაციცებით ცდილობდნენ ოსმალეთთან ომების წარმოების საშუალებით ისეთი სახელმწიფოები, როგორიც იყვნენ: ავსტრია, გერმანია, იტალია, ინგლისი და სხვ. მაგრამ მათი ცდები თითქმის მთელი XVI საუკუნის მანძილზე მარცხით თავდებოდა, ამავე დროს საფრანგეთი იქითკენ მიისწრაფოდა, რომ ოსმალეთში ეკონომიურად შეჭრილიყო და ამ გზით იგი დაემორჩილებია. საფრანგეთი თავიდანვე ოსმალეთთან კავშირის აქტიურ მომხრედ გამოდიოდა, ვინაიდან მისი წინააღმდეგობა კარლოს V-ის ჰაბსბურგთა მონარქიასთან, რომელიც თავის მხრით ოსმალეთის დიდ მოწინააღმდეგედ ითვლებოდა, საფრანგეთს აიძულებდა მოკავშირე ეძია ოსმალეთის სახით. გარდა ამისა, საფრანგეთს მნიშვნელოვანი ეკონომიური ინტერესები ჰქონდა ოსმალეთის იმპერიის ფართო მომხმარებელ ბაზარზე. როგორც ცნობილია, XVI საუკუნეში ყველა ევროპული სახელმწიფო მოწყვეტილი იყო ზემოაღნიშნულს. თვით ოსმალეთის ჩამორჩენილი მრეწველობა-კი მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებდა პირველი მოთხოვნის საგნებით თავის ბაზარს. ამგვარად საფრანგეთის სავაჭრო კაპიტალისათვის ოსმალეთში საუკეთესო და მიმზიდველი პირობები იშლებოდა.

საფრანგეთ-ოსმალეთის პირველი დაახლოება ხდება 1508 წელს, როცა სულთან ბაიაზეთ მეორემ გასცა პირველი ფირმანი ანუ კაპიტულაცია საფრანგეთის ელჩის ჟან პიერ ბენეტის სახელზე. „კაპიტულაციები არის იმპერატორის დიპლომები, სიგელები და პრივილეგიები, რომლებიც გაცემულია სულთანის სასახლის მიერ სხვადასხვა ევროპის ნაციაზე, რომლებითაც ამ ნაციათა ქვეშევრდომებს ეძლეოდათ დაუბრკოლებლივი შესვლის უფლება მუსლიმანთა მიწა-წყალზე, უფლება, დამშვიდებით ეწარმოებიათ თავიანთი საქმეები და ჩაეტარებინათ ხვთისმსახურება“ [1]. ამგვარად, საფრანგეთმა კაპიტულაციების საშუალებით ოსმალეთში მოქმედების უფრო ხელსაყრელი პირობები მოიპოვა, ვინემ ევროპის სხვა სახელმწიფოებმა თავიანთი დაუსრულებელი ომების წარმოებით ოსმალეთთან.

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс. Сочинения, т. X, стр. 8.

საფრანგეთის ასეთმა შეუმჩნეველმა ექსპანსიამ ახლო აღმოსავლეთში უფრო მეტად გააძლიერა საფრანგეთის მეცნიერთა და სხვების ლტოლვა ამ ქვეყნების შესწავლისადმი. ჯერ კიდევ XVII საუკუნეში გაძლიერდა და გაიზარდა აღმოსავლეთისაკენ მოგზაურთა რაოდენობა. ცნობილმა მოგზაურმა ტავერნიემ აღმოსავლურ ქვეყნებში დაჰყო 1636 წლიდან 1663 წლამდე. ამ ხნის განმავლობაში მან ექვსჯერ იმოგზაურა აღმოსავლეთში და მნიშვნელოვანი მასალა დააგროვა. ამას მოჰყვა პროტესტანტ შარდენის მოგზაურობა ოსმალეთიდან საქართველოზე გავლით სპარსეთში და შემდეგ ინდოეთშიც (1664—1670 და 1671—1677 წ.). შარდენმა შესძლო მთელი რიგი კუთხეები აეწერა. მან თავის ნაშრომებში, თუნდაც შეცდომებითა და არასრულად, იმდროინდელი საქართველოს ყოფა-ცხოვრების სურათი მოგვცა. კერძოდ, უფრო დეტალურად შეეხო იგი თავის ნაშრომებში შავი ზღვის სანაპიროებს, სამეგრელოს, ნაწილობრივად სამცხე-საათაბაგოს და ქართლს. მიუხედავად შარდენის შრომების ნაკლისა, მაინც უნდა ითქვას, რომ XVII საუკუნის მოგზაურ პირებიდან შედარებით უფრო ღირებულების მქონე ისტორიული მასალა მან შეაგროვა.

აღსანიშნავია აგრეთვე ფრანსუა ბერნეს მოგზაურობა, რომელმაც შეისწავლა სირია, ეგვიპტე და ინდოეთი. XVII საუკუნის ბოლოს საფრანგეთის ორიენტალისტი დერბელო აღმოსავლური ქვეყნების შესწავლას ლამობდა ისე, რომ არც ერთი მოგზაურობა მას აღმოსავლეთში არ ჩაუტარებია; პირველწყაროების გამოყენების გარეშე შეადგინა მან ენციკლოპედიის ლექსიკონისმაგვარი კრებული მუსლიმანურ აღმოსავლეთზე. აღმოსავლური ქვეყნების ისტორიის შესწავლის საქმეში გაცილებით მეტი სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა ფრანგი მეცნიერის, აღმოსავლეთში XVIII საუკუნის მოგზაურის, დიუ-პერონის ნაშრომებს. მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე აღმოსავლეთის მკვლევარს დ'ოსონს, რომელმაც კაპიტალური შრომა დაწერა ისლამის სამყაროს შესახებ და დეტალურად განიხილა მისი არა მარტო რელიგიური მხარე, არამედ სოციალ-ეკონომიური წყობაც.

მიუხედავად ამისა, ამ მკვლევართა უმრავლესობა თავიანთ ნაშრომებში ხშირად, ენების უცოდინარობის გამო, ან არ ეყრდნობოდნენ პირველწყაროებს, ანდა, უკეთეს შემთხვევაში, იძლეოდნენ მხოლოდ მუსლიმანური ქვეყნების ცალკეულ მხარეებს სოციალურ-ეკონომიურ ვითარებასთან სრულებით განცალკევებულად. აქედან „საქებარ გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ოსმალეთის გერმანელი ისტორიკოსი იოსებ ფონ-ჰამერი"[1], რომლის ნაშრომებიც

[1] К. Маркс и Ф. Энгельс. Сочинения, т. IX, стр. 337.

ძირითადად დამყარებულია პირველწყაროებზე და, მიუხედავად მთელი რიგი ფაქტიური შეცდომებისა, ფართოდ იხილავს ისტორიულ მოვლენებს ოსმალეთის სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებასთან დაკავშირებით.

„მაგრამ იმ დროს, როცა ინგლისი, საფრანგეთი, რამდენიმე ხანს ავსტრიაც-კი, თავიანთ აღმოსავლური პოლიტიკის წყვდიადში დაეხეტებოდნენ, ყველა მათგანს ეშმაკობით აჯობა სხვა სახელმწიფომ. რუსეთში,—რომელიც თვითონ წარმოადგენს ნახევრად აზიურ ქვეყანას თავისი პირობებით, ხასიათით, ტრადიციებითა და დაწესებულებებით,—მოინახა ადამიანთა საკმაო რაოდენობა, რომელთაც სწორად ესმოდათ ოსმალეთის ნამდვილი მდგომარეობა და ხასიათი. ისინი იმავე რელიგიის მატარებელი იყვნენ, რომელსაც აღიარებდა ევროპული თურქეთის მოსახლეობის ცხრა მეათედი, მათი ენა თითქმის იგივეა, რაც ოსმალეთის შვიდმილიონ ქვეშევრდომთა ენა; ხოლო ცნობილმა სიადვილემ, რომლითაც რუსები სწავლობენ უცხოურ ენებზე ლაპარაკს, იმ შემთხვევაშიაც-კი, როცა არა სრულად აქვთ ის დაუფლებული, ასე კარგად ფულით ანაზღაურებულ რუს აგენტებს მისცა საშუალება თურქეთის საქმეების სრული ათვისებისა“ [1]. რუსეთის მკვლევართა მიერ აღმოსავლეთის და, კერძოდ, ოსმალეთის ისტორიის კარგად შესწავლის საქმეს აღნიშნავს ცნობილი რუსი მეცნიერი ს. ოლდენბურგი:—„აღმოსავლეთის მეზობელი, რუსეთი ყოველთვის კარგად იცნობდა მას და კარგად ესმოდა მისი“ [2].

მცირე აზიის კულტურის შესასწავლად უკეთესი პირობები რუსი ორიენტალისტებისათვის, როგორც ცნობილია, შეიქმნა XIX საუკუნის დასაწყისში—1833 წელს რუსეთსა და ოსმალეთს შორის დადებულ საიდუმლო ხელშეკრულების შედეგად. ოსმალეთისათვის „დახმარების“ გაწევის მიზნით, რაც აჯანყებული ეგვიპტის მაჰმედ ალი ფაშას დასჯით უნდა გამოხატულიყო, რუსეთმა თავისი ჯარები ბოსფორთან მიიყვანა. ამ გარემოებამ ოსმალეთის შესწავლის საქმე უფრო გააადვილა იმ მხრივ, რომ შესაძლებელი გახადა სამხედრო პირების სახით უფრო ფართო მასების ჩაბმა მცირე აზიის გაცნობის საქმეში.

ჯერ კიდევ XVII საუკუნიდან დაწყებული რუსი მკვლევარები გაფაციცებით ცდილობენ შეაგროვონ სათანადო მასალები აღ-

---

[1] იქვე, გვ. 387—388.

[2] Бартольд. История изучения Востока в Европе и России, стр. 295. თუმცა თვითონ ბარტოლდი ამ აზრს არ იზიარებს.

მოსავლეთის ქვეყნების შესახებ. 1828 წელს სენკოვსკის ინიციატივით ყოფილ პეტერბურგში გადმოტანილი იქნა მდიდარი ბიბლიოთეკა არდებილიდან (ირანი). მალე პეტერბურგი გადაიქცა აღმოსავლური ქვეყნების უმდიდრესი მასალების თავმოყრის ცენტრად. „აღმოსავლური ხელთნაწერების რაოდენობა, რომლებიც ლენინგრადში ინახება, იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ამ მხრივ ლენინგრადს ეკუთვნის ერთ-ერთი პირველიადგილი ევროპულ ქალაქებს შორის“[1], ამასთან ერთად შეიქმნა სათანადო კერები აღმოსავლური ენების (არაბულის, ირანულის, თურქულის და სხვ.) შესწავლისათვის. ამ ამოცანას წარმატებით წყვეტდა იმდროინდელი პეტერბურგის აღმოსავლური ენების, სპეციალურად ჩამოყალიბებული, ფაკულტეტი. სულ მოკლე ხნის განმავლობაში ასეთივე ამოცანა დაისახა და ასევე წარმატებით გადაწყვიტა მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტმა. ყოველივე ამისშედეგად აღმოსავლური ქვეყნების შესწავლის პროცესში შეიქმნა კაპიტალური შრომები, რომელთა ავტორებიც არიან: სენკოვსკი, სმირნოვი, კრიმსკი, გორდლევსკი, კონდაკოვი, მარი, გირგასი, კაზემ-ბეგი, ბარტოლდი, ტუმანსკი, როზენი და სხვები.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, როგორც დას. ევროპის, ისე რუსეთის მკვლევარებიც კვლევა-ძიებით საქმიანობაში აშკარად შეზღუდული იყვნენ თავიანთ ხელისუფალთა გარკვეული საგარეო პოლიტიკით აღმოსავლური ქვეყნების მიმართ. ამდენად ისტორიული ობიექტურობის სრული დაცვა, რასაკვირველია, მათ არ შეეძლოთ. მარქსისტული მეთოდით აღმოსავლური ქვეყნების შესწავლა და მათი გამორკვევა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან იწყება. რაც შეეხება ოსმალეთის შუასაუკუნეების ისტორიას, შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ დღეისთვისაც უმნიშვნელო რამაა გაკეთებული.

ოსმალეთის ისტორიული ლიტერატურიდან XVI საუკუნის მიწურულისათვის აღსანიშნავია ჩეხელი თავადის ვრატისლავის შრომა, სათაურით: Приключения чешского дворянина Вратислава в Константинеполе и в тяжкой неволе у турок, с австрийским посольством 1591 г. ეს „თავგადასავალი“ ჩეხურიდან გადმოთარგმნილია კ. პობედონოსცევის მიერ. იგი მნიშვნელოვანი მოცულობისაა და იხილავს თურქების ყოფა-ცხოვრების სხვადასხვა საკითხს.

---

[1] Бартольд. История изучения Востока в Европе и России, стр. 186.

ავტორი თავის გადმოცემაში, როგორც ჩანს, უმთავრესად ეყრდნობა მის მიერ ნახულ ფაქტებს და მასთან იმ ნაამბობს, რაც გაგონილი ჰქონდა ცალკეული პირებისაგან. მთელ მის შრომაში არსად არაა გამოყენებული რაიმე პირველადი წყარო ოსმალეთის ისტორიიდან, რაც აიხსნება უმთავრესად მის მიერ თურქული ენის უცოდინარობით. თავის მდგომარეობას ტყვეობაში ავტორი ყოვლად აუტანელად სახავს იმისათვის, რომ საკუთარი დამსახურება ავსტრიის ხელისუფალთა მიმართ უაღრესად გაზარდოს და დასავლეთ ევროპის მოსახლეობაში გამოიწვიოს თურქებისადმი მეტი ზიზღი და ამით მოამზადოს ევროპის „საზოგადოების აზრი“ ოსმალეთის წინააღმდეგ ჯვაროსნული ომების წარმოების აუცილებლობისათვის. თუ ყოველივე ამას დავუმატებთ იმ გარემოებასაც, რომ თვითონ ავტორი კარგად ვერ ერკვეოდა ოსმალეთის იმდროინდელ ყოფა-ცხოვრებაში და ძალიან სუსტად ერკვეოდა ამ სახელმწიფოს ისტორიაში, აშკარა გახდება ამ შრომის გამოყენების შეუძლებლობა მისი კრიტიკული განხილვის გარეშე.

ამის დამადასტურებელია ვრატისლავის მოგონებიდან თუნდაც შემდეგი მაგალითი: მისი კონსტანტინოპოლში ყოფნისას მცირე აზიაში მოხდა მნიშვნელოვანი აჯანყება ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ. ვრატისლავი ამის შესახებ სწერდა: „ამ დროს (სათანადო თარიღის ჩვენების გარეშე, ვ. ტ.) მოხდა არა მცირე დაბნეულობა, რაც გამოწვეული იყო სადღაც აზიაში მომხდარი აჯანყებით; როდესაც ზოგიერთი მეამბოხე ხელში ჩაიგდეს, იბრაჰიმ ფაშამ უბრძანა ისინი მოეთავსებინათ ჩვენთან ციხეში, მეორე საპყრობილეში, რომელიც ჩვენ ზევით იყო. ხოლო ერთი წარჩინებული ქართველი კაცი, რომელიც მათ შეიპყრეს მოტყუებით, ჩვენთან მოათავსეს საპყრობილეში; ის თავისთავად ყოჩაღი და მაღალი ტანის იყო“ [1].

რასაკვირველია, ავტორის მიერ აღმოჩენილი ფაქტი იმდენად, რამდენადაც ის სოციალურ მოძრაობას შეეხება, ისტორიულ თვალსაზრისით საყურადღებოა. მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ზემონათქვამიდან ჩანს, არაა დასახელებული კონკრეტულად არც თარიღი, არც შეპყრობილი პიროვნების გვარი ან სახელი და არც ადგილი ამ მნიშვნელოვანი აჯანყებისა, რომელსაც, ავტორის ნათქვამს თუ გავიზიარებთ, გამოუწვევია „არა მცირე დაბნეულობა“,

[1] К. Победоносцев. Приключения чешского дворянина Вратислава в Константинополе и в тяжкой неволе у турок, с австрийским посольством 1591 г., стр. 185.

ალბათ თვით ოსმალეთის მმართველთა წრეებში. ამ შემთხვევაში მხოლოდ ვარაუდის შესაძლებლობა-ღა რჩება: რადგან აჯანყებულთა შორის „ერთი წარჩინებული ქართველი კაცი იყო“, რომელიც სწორედ მათთან მიიყვანეს (სხვა აჯანყებულთა ვინაობა გამოურკვეველი დარჩა ავტორისათვის, რადგან ისინი მეზობლად მოათავსეს), მკითხველმა აჯანყების ადგილად უნდა იგულისხმოს მხოლოდ საქართველოს ის ნაწილი, რომელიც ამ დროს ოსმალთა ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა.

მეორე ადგილას, იმ მიზნით, რომ ოსმალეთის წარმატებებით დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მორალურად დაცემული ჯარების სულისკვეთება განამტკიცოს, ვრატისლავი სწერს: „თურქებს ამ დროისათვის სამხედრო საქმეებში ბედი არ სწყალობდათ და მათ სურდათ შემდეგისათვის არა ომი, არამედ მშვიდობიანობა, რადგან უნგრეთში მათ დაეღუპათ საუკეთესო ადამიანები, ჯარის საუკეთესო ნაწილი“[1]. არსებითად კი ოსმალეთი სწორედ „ამ დროისათვის“ უფრო ფართოდ შლიდა ექსპანსიის პოლიტიკას დასავლეთ ევროპის ქვეყნების მიმართ და ამდენად თურქები მშვიდობიანობაზე ჯერ არც კი ფიქრობდნენ. ოსმალეთის სიძლიერის დაცემა და მასთან ერთად ექსპანსიის შესუსტება უფრო გვიანდელი ამბავია. მართალია, მას ამ დროისათვისაც ჰქონდა ცალკეული მარცხი ბრძოლების პროცესში, მაგრამ ეს იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ არ შეეძლო გამოეწვია თურქეთის ლტოლვა მშვიდობიანობისაკენ.

მიუხედავად ამისა, შრომის ავტორი მაინც ახერხებს იმდროინდელი ოსმალეთის ძლიერი სახელმწიფოს შემდგომში დასუსტების ზოგიერთი სიმპტომის აღნიშვნას. „აქ საუკეთესო ქვეყანაა, მხოლოდ უყურადღებოდაა დატოვებული, იმიტომ რომ თურქები ნაკლებად ამუშავებენ მიწას, სამაგიეროდ ანადგურებენ და აპარტახებენ მას, მხოლოდ ქრისტიანობის დაბალი მასა მისდევს სამინდვრო საქმიანობას“[2]. მართლაც, დაიპყრეს თუ არა ევროპის უზარმაზარი ტერიტორია, აზიისა და აფრიკის მნიშვნელოვანი ნაწილები, თურქებმა ხელუხლებლად დასტოვეს იქ არსებული ფეოდალური წარმოების წესი. საკუთარი განვითარების დაბალი კულტურის გამო მათ ვერ მოახერხეს დაპყრობილი ქვეყნების ეკონომიური ვითარების ხელში ჩაგდება და დაკმაყოფილდნენ მხოლოდ გადასახადებით, ხარკითა და კონტრიბუციით.

ამ გარემოებას ოსმალეთის სახელმწიფოს სიძლიერის შემდგომი განმტკიცება-შესუსტებისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონ-

[1] იქვე, გვ. 206.
[2] იქვე, გვ. 34.

და, რადგან: „დაპყრობებს ყველგან ძალიან სწრაფი დასასრული გააჩნიათ, და როდესაც აღარაფერი რჩება დასაპყრობად, მაშინ უნდა აწარმოონ“ [1]. ოსმალეთის სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფო კი იმგვარად იყო აგებული, რომ წარმოების განვითარება თვითონ არ შეეძლო. ოსმალეთის ფეოდალებს საკუთარ მეურნეობაზე ზრუნვით თავის შეწუხებას დაპყრობილი გლეხობის ექსპლოატაციით ცხოვრება ერჩივნათ.

ნაშრომში ასეთივე წარმატებითაა დასურათებული ოსმალეთის მოხელეების მექრთამეობა, თანამდებობებით სპეკულაცია და სხვ. ბერძნებით დასახლებული ადგილების ბეგლარბეგის შესახებ აქ ნათქვამია: ქალაქ სოფიის „ბეგლარბეგი ამ მიზეზის გამო დიდად მოყვარული იყო ფულის, რადგან ცოტა ხნის წინათ მიიღო თავისი თანამდებობა და ამისათვის უნდა გადაეხადა ფულის არა მცირე რაოდენობა; თურქებში ფულით ყველაფრის გაკეთება შეიძლება“ [2]. მართლაც, ეს მოვლენა XVII საუკუნეში იმდენად გავრცელდა ოსმალეთის სახელმწიფოში, რომ, როგორც ქვევით დავინახავთ, ოსმალეთის ავტორიტეტიანი პირები, კერძოდ კოჩუბეი გომურჯელი, ოსმალეთის დაცემის მიზეზს უმთავრესად ამ მოვლენაში ეძებდნენ.

როგორც ცნობილია, იმდროინდელი სამხედრო სიძლიერე ეყრდნობოდა იმ შეიარაღებულ ძალებს, რომლებიც ეგრეთწოდებულ იენიჩარებისაგან შედგებოდნენ და რომლებიც უმთავრესად დაპყრობილ ქრისტიან მოსახლეობისაგან ივსებოდნენ. თუ პირველ ხანებში იენიჩართა სისტემა ამტკიცებდა თურქეთის სამხედრო-ფეოდალურ სახელმწიფოს, შემდეგ ხანებში ის სახელმწიფოებრივი აპარატისათვის შემსუსტებელ ძალად გადაიქცა. ოსმალეთს ახსოვს იენიჩარების არა ერთი აჯბოხება, რომლებიც დროთა მსვლელობაში თანდათანობით უფრო მეტად ემუქრებოდა ცენტრალიზებულ ხელისუფლებას განადგურებით. ეს დეკლასირებული ელემენტები მთლიანად საზოგადოების პარაზიტებად გადაიქცნენ. იენიჩარული სისტემის ცალკეულ მხარეებზე უფრო დეტალურად ქვევით შევჩერდებით, აქ კი აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მისი რღვევისა და გახრწნის ჩანასახები XVI საუკუნის ბოლოსათვის თანდათან აშკარავდებოდა. ეს გარემოება, თუმცა გაკვრით, მაგრამ მაინც მოცემულია ვრატისლავის ნაშრომში.

---

[1] „Архив Маркса и Энгельса“, т. I, стр. 284.

[2] Победоносцев. Приключения чешского дворянина Вратислава в Константинополе и в тяжкой неволе у турок, с австрийским посольством 1591 г., стр. 37.

„მოჰყავთ ისინი — ლაპარაკია იენიჩარებზე — რამდენიმე ასეულობით ყოველ სამ წელიწადში ერთხელ. პატარა ბავშვები 8 წლის, 9 წლისა და 10-წლიანი...“ და შემდეგ: „საუკეთესოებს — ამბობს ვრატისლავი — თურქეთის კეისრის სამსახურისათვის არჩევენ, სხვები მიჰყავთ ფაშებს და თურქების უფროსებს; დანარჩენნი, ბრიყვი თავები. ეძლევათ ერთ დუკატად ანატოლიას და აზიას, განსაზღვრული დროის განმავლობაში—18 წლამდე და არა უგვიანეს 20-ისა და ცხოვრობენ იქ გაჭირვებაში, იზრდებიან სიცივეში, შიმშილში, სიცხეში, სიტიტვლეში და ყველა მათ ეპყრობა ისე, როგორც ძაღლებს; მხოლოდ ვინც მათ მიიღებს პასუხისმგებელია მათ სიცოცხლეზე და ზემოაღნიშნული დროის განმავლობაში მათ მეფის სასახლეში წარდგენაზე, და თუ მოკვდებიან-ამის შესახებ უნდა აცნობოს ყადის, ან მოსამართლეს, რომელიც იმყოფება მის მხარეში და რომელსაც ჩაწერილი ჰყავს ის ბიჭები, რათა მან ამოშალოს ისინი სიიდან, და ყველა მათ შეუსრულდებათ თუ არა დაახლოებით ოცი წელი... ყველა ადგილებიდან მოიყვანენ კონსტანტინოპოლში, სადაც ისინი პირველად გაანაწილეს“[1].

როგორც ამონაწერიდან ჩანს, იენიჩარებისათვის ასაკი თანდათანობით მეტი წლოვანებით ისაზღვრებოდა. მანამდე კი საიენიჩაროდ შერჩეული ბავშვების ასაკი 7 წელს არ აღემატებოდა. ამ მოვლენას უსათუოდ უარყოფითი მნიშვნელობა ექნებოდა ქრისტიან ბავშვების გათურქების საქმეში, რადგან მეტი ასაკის პირების მიერ მიღებულ ქრისტიანული ზნე-ჩვეულების სრული ამოშლა შედარებით ძნელი იყო. გარდა ამისა, მანამდე ყველა მოყვანილი ბავშვი თავს იყრიდა კონსტანტინოპოლში და აღზრდის სისტემაც ერთნაირი იყო. ვრატისლავის დროს კი, როგორც ჩანს, მოყვანილი ბავშვების უმრავლესობა იგზავნებოდა „ანატოლიასა და აზიაში“, სადაც, ვიდრე ოცი წელი შეუსრულდებოდათ, სხვადასხვა სამუშაოზე იყენებდნენ და ამგვარად ამ ხნის განმავლობაში ოსმალურ აღზრდას მოწყვეტილი იყვნენ. მაჰმადიანური სარწმუნოება 20 წლის ასაკში ადვილად ვეღარ გადააქცევდა მათ ფანატიკოსებად და არაადამიანური დამოკიდებულება, რასაც მანამდე მათდამი იჩენდნენ, ნაცვლად ოსმალეთისადმი ერთგულებისა, მათში, უეჭველია, მეამბოხეთა სულისკვეთებას გამოიმუშავებდა.

ვ. სმირნოვის ცალკე შრომა, რომელიც ეხება ოსმალეთის სახელმწიფოებრივ ურთიერთობას XV საუკუნის ბოლოსა და XVI-ის დასაწყისში — არის „Грамота султана Османа II-го семейству иудейки Киры“. ამ შრომის უპირატესობა ისაა, რომ ის

[1] იქვე, გვ. 5.

მთლიანად გადმოთარგმნილია რუსულ ენაზე თვით ოსმალური წყაროს, „სიგელის“ სახით. ამავე შრომაში იქ, სადაც ლაპარაკია ოსმალეთში არსებული გადასახადების შესახებ, თანდართულია თურქი პუბლიცისტისა და ისტორიკოსის ჰუსენ ჰეზარ-ფენის შეხედულებაც ამ გადასახადებზე. უკანასკნელი კი თავისი აზრის დამტკიცებისას ემყარება ცნობილ შეიხ-ულ-ისლამის აბუსუდა ეფენდი ფეტვას.

მოცემული შრომის დასაწყისში განხილულია ებრაელთა მდგომარეობა ოსმალეთის სახელმწიფოში. ესპანეთში წარმოებული რეკონკისტის შედეგად პირენეის ნახევარ კუნძულიდან მაჰმადიანებთან ერთად განდევნილი იქნენ ებრაელებიც. მათი დიდი უმრავლესობა წავიდა ოსმალეთში საცხოვრებლად. ჯერ კიდევ 1590 წელს მარტო კონსტანტინოპოლში სულადი გადასახადი 11.300 მოზრდილმა ებრაელმა მამაკაცმა გაიღო. ვაჭრობა, ხელოსნობა, მუსიკა, მოხელეობა, დიპლომატია და სხვა უმთავრესად ებრაელების ხელში იყო. ოსმალეთის ხელისუფლების ხელშეწყობით ზოგიერთი მათგანი ძალზე გამდიდრდა. მაგალითად, დონ იოსე ნასიმ სულთანისაგან მიიღო არქიპელაგის 12 კუნძულის შემოსავალი და ღვინის შემოსავლის მეათედის აღების უფლება, რისთვისაც სახელმწიფოს სასარგებლოდ უნდა გაეღო პირველისათვის 14000 დუკატი და მეორისათვის— 2000 დუკატი.

ამავე დროს სმირნოვი აღნიშნავს, რომ ხანდახან მათი დარბევაც ხდებოდაო. მაგრამ ებრაელთა დარბევების მიზეზს ავტორი ხსნის სრულებით შემთხვევითი მოვლენებით. ტრაპიზონის ებრაელთა დარბევის მიზეზების განმარტებისათვის სმირნოვს მოჰყავს XVII საუკუნის თურქი ისტორიკოსის და მოგზაურის ევლი-ჩელების განმარტება ამ საკითხზე. მისი აზრით ტრაპიზონში სულთან სელიმ I-ის დროიდან ებრაელები აღარ მოსახლეობენ, რადგან ქალაქში ერთ დროს ასეთი ამბავი მოხდა. ერთმა დერვიშმა ბაზარზე გასასყიდლად გამოტანილ ხალიჩას შეამჩნია რაღაც არაჩვეულებრივი წარწერა, რომლის წაკითხვაც ყველას არ შეეძლო. დერვიშმა კი თითქოს ამოიკითხა, რომ—დამწერი მოუწოდებს ყველა კეთილმორწმუნე მაჰმადიანს დაეხმაროს იმ ორ ახალგაზრდას, რომლებიც ებრაელების სახელოსნოებში არიან დატუსაღებული და ყოველდღიურად წამებას განიცდიან. ეს ამბავი მთელ ქალაქს მოედო. თურქებმა დაარბიეს ებრაელების ყველა სახელოსნო და როდესაც იქ აღმოჩნდა არა მარტო ორი გაწამებული მაჰმადიანი, არამედ უფრო მეტიც, მაშინ ებრაელთაგან მრავალი სიკვდილით დასაჯეს, ხოლო დანარჩენი ქალაქიდან გაასახლეს.

ევლი-ჩელების ასეთ განმარტებას ავტორი ყოველგვარი კრიტიკის გარეშე უცვლელად ღებულობს. ნამდვილი მიზეზი კი ებრაე-

ლების დარბევისა არსებითად ის იყო, რომ ოსმალეთის სულთნებს უნდა დაეფარათ თავიანთი ჰარამხანებ ს გაუგონარი ხარჯები და სახელმწიფოს სალაროს ის დანაკლისი, რომელიც მეტად ხშირი ომიანობის შედეგად იქმნებოდა. ცნობილია, რომ ოსმალეთში, და მეტადრე დასავლეთ ევროპის მთელ რიგ სახელმწიფოებში, ებრაელების დარბევას ყოველთვის მათი ქონების კონფისკაციაც თან სდევდა. ებრაელების დარბევა მათთვის მეორე მხრივაც იყო სასარგებლო. ვინაიდან იმ დროს ვაჭრებსა და მევახშეებს უმთავრესად ებრაელები შეადგენდნენ (მით უმეტეს ეს ითქმის ოსმალეთზე, სადაც ამ საქმეში პირველი ადგილი ებრაელობას ეკავა), ამიტომ მმართველი წრეებისთვის მათი დარბევა ამავე დროს კრედიტორების თავიდან ადვილად მოცილებასაც წარმოადგენდა.

ასეთივე გულუბრყვილობას იჩენს სმირნოვი მეფის მოხელის აჰმედ-მიდხატ ფაშის თავის ხელქვეშეთ პირებისადმი დამოკიდებულების საკითხშიც. შრომაში მოყვანილია სხვადასხვა სახის გადასახადები, რომელსაც დაპყრობილი ადგილების მოსახლეობა გამოიღებდა ხოლმე და აღნიშნულია, რომ მოხელეებს უფლება ეძლეოდათ დაუპატიჟებლად მისულიყვნენ სტუმრად. მასპინძელი ვალდებული იყო მიეცა ბინაც და კვებაც. ხანდახან ფულსაც კი ართმევდნენ მოხელეები მასპინძელს იმისთვის, რომ პურის ჭამის დროს კბილები „გაუცვდათ“, ამას ეწოდებოდა „დიშ ფარასი“ — კბილის ფული. ავტორი დასძენს: „ამბობენ, რომ როდესაც ბულგარეთში მმართველად დაინიშნა აჰმედ-მიდხატ ფაშა, მან თავის ხელქვეით მოხელეს, რომელიც ოსტატურად იყენებდა „კბილის ფულს“, ყველა კბილები დააძრო, რომ აღარ გაემეორებინა ასეთი საძაგლობა“-ო[1].

რასაკვირველია, აჰმედ-მიდხატ ფაშა სრულებითაც არ ფიქრობდა დაპყრობილი მოსახლეობის გულისათვის თავის მოხელის „კბილის ჩამტვრევას“. პირიქით, ისტორიული ფაქტები მოწმობენ, რომ სწორედ ამ ფაშის მოსვლის შემდეგ გაუარესდა უფრო მეტად ადგილობრივი რაიების მდგომარეობა და თუ მაინცადამაინც ფაშამ თავისი მოხელისადმი ასეთი დამოკიდებულება გამოიჩინა, ეს იმიტომ, რომ ამ მოხელემ ხალხის ნაძარცვიდან შედარებით უმნიშვნელო წილი მასაც არგუნა.

კირასადმი გაცემული „სიგელი“, რომელიც სმირნოვის მიერ ესე გულდასმით არის თარგმნილი, საუკეთესო წყაროს წარმოადგენს იმდროინდელი ოსმალეთის მდგომარეობის შესწავლისათვის.

---

[1] В. Д. Смирнов. Грамота султана Османа II-го семейству иудейки Киры, стр. 69.

ამ დოკუმენტში, გარდა იმისა, რომ იგი არკვევს ებრაელების მდგომარეობას ოსმალეთში, მოცემულია რიგი გადასახადების სახეობა და სხვა. ასახულია აგრეთვე იმუნიტეტის გაცემის თავისებურობა ოსმალეთის პირობებში. აქედან ჩანს, რომ იმუნიტეტის უფლებები ოსმალეთშიაც ცალკე პირებზე იცემოდა. მხოლოდ ოსმალეთის პირობებში გაცემული იმუნიტეტი იმით განსხვავდებოდა დასავლეთ ევროპის იმუნიტეტისაგან, რომ პირველში ცენტრალიზებულ ხელისუფლებისათვის დიდი ზიანის მოტანა მას არ შეეძლო, რადგან გაცემული სიგელი, თანახმად არსებული წესისა, ხელახლად უნდა ყოფილიყო დამტკიცებული სამეფო ტახტზე ასულ ახალი სულთნის ხელმოწერით. კირას ოჯახობის მიერ მიღებული სიგელი ჯერ კიდევ 955 წ. (1548 წ.) სულთან სულეიმან კანუნის დროს გაიცა, შემდეგში რამდენიმეჯერ იქნა დადასტურებული სულთნების მიერ და უკანასკნელად იგი ერთხელ კიდევ 1618 წელს იქნა დამტკიცებული სულთან ოსმან II-ის მიერ.

ვ. სმირნოვის მეორე სპეციალური ნარკვევი, რომელიც აგრეთვე ოსმალეთის ფეოდალური ურთიერთობის გვიანდელ პერიოდს ეკუთვნის, ცნობილია სათაურით: Мнимый турецкий султан, именуемый у европейских писателей XVII века Calepinus Cyris-celebes,—შედარებით უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანია. აქ აღსანიშნავია მხოლოდ ის, რომ ავტორი XV საუკუნის დასაწყისში მომხდარ რელიგიურ მოძრაობას, ამავე დროს, სხვა ბურჟუაზიული მკვლევარების წინააღმდეგ, სოციალურ მოძრაობადაც სთვლის. ის აღნიშნავს: „პირველი თვითმარქვია იყო რომელიღაც ფანატიკოსი—დერვიში ბიორქმოჯე მუსტაფა, რომლის ზურგს უკან ამოფარებული იყვნენ სწავლული მოსამართლე ბედრ-ედ-დინ-სიმავნა-ოღლი და მისი მიმდევარი ებრაელებიდან ხუდბინ თორლაქი. მათ მიერ დაწყებული ამბოხება უმთავრესად წარმართულ იქნა რელიგიურ-სოციალისტური გზით მათი მიმდევარი დერვიშების მონაწილეობით 1414—1418 წ., სულთან მუჰამედ I-ის დროს, და მალე დამთავრდა ამბოხებაში მონაწილე ზემოხსენებული მეთაურების დაჭერითა და სიკვდილით დასჯით“[1].

ავტორი სწორად ერკვევა თურქების დაპყრობების ხასიათშიც. ოსმალების მიერ წინა აზიის ხელში ჩაგდების შემდეგ თურქები უფრო დაუახლოვდნენ ბერძნულ მოსახლეობას. მაგრამ ვინაიდან თურქებს არ გააჩნდათ მაშინ საკმაოდ განვითარებული კულტურა, ამიტომ მათთვის შეუძლებელი ხდებოდა დაპყრობილი ქვეყნების შინაგანი მმართველობა. ისინი იძულებული იყვნენ ამ ადგილების მოვლა

[1] იქვე, გვ. 6.

კვლავ ადგილობრივი მოსახლეობისათვის დაეთმოთ და ხარკითა და კონტრიბუციებით დაკმაყოფილებულიყვნენ. ამგვარად, თურქები ვერ შეიჭრენ ადგილობრივი მოსახლეობის ურთიერთობაში. იქმნებოდა სურათი: ერთი მხრით იდგა ადგილობრივი მოსახლეობა თავისი რელიგიითა და ზნე-ჩვეულებით, მეორე მხრით გამარჯვებული, ახლად მოსული, მაჰმადის სარწმუნოების მიმდევარი მეხარკენი.

„თურქები არამც თუ არ ურევდნენ თავიანთ სახელწოდებას ბერძნების ან სხვა ნაციის სახელწოდებებში, თუნდაც მათში, რომლებიც ცხოვრობდნენ თურქების გვერდით ერთ და იმავე ადგილზე, რომელიც ატარებდა გეოგრაფიულ სახელწოდებას—რუმი—روم, არამედ კიდეც სცდილობდნენ ცოტად თუ ბევრად შეგნებულად გაეტარებინათ ეროვნული განსხვავება თავიანთ რელიგიურსა და პოლიტიკურად მოწინააღმდეგე ქრისტიანებს შორის. მაგალითად, „თქმულება მელიკ დანიშმენდზე“-ში განუწყვეტლივ გვხვდება შემდეგი სახის აღნიშვნები: „დიმიტრი ბერძენი“, „პეტროს ბერძენი“, „ათოსი ფრანგი“... „ფრანგების ჯარი“; کورلر „ქართველები“, „ქართველთა ჯარი“; „სომხების მეფე“[1].

ამავე შრომაში განხილულია ჩელების ტიტულის წარმოშობაც, თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ საკითხში მთლად სწორი განმარტება მას არა აქვს მოცემული. მისი აზრით ეს ტიტული წარმოიშვა ბაიაზეთ I-ის შვილების წოდებასთან დაკავშირებით (ისა ჩელები, კასიმ ჩელები, მუსა ჩელები) და გავრცელდა იმიტომ, რომ XV საუკუნეში ევროპის სახელმწიფოები ოსმალეთის შესწავლით იყვნენ დაინტერესებულიო.

XVII საუკუნის დასაწყისისათვის ოსმალეთის სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფოს რღვევა და შესუსტება იმდენად თვალსაჩინო გახდა, რომ მასზე ალაპარაკდნენ თვით გაბატონებული კლასის ცალკეული წარმომადგენლები, დიდი თანამდებობის მქონე მოხელეები, იმდროინდელი მწერლები და სხვ. თუ VXII საუკუნ ემდე კრინტიც კი არავის დაუძრავს ოსმალეთის მმართველობის უვარგისობაზე, ახლა არსებულ ნაკლოვანებათა კრიტიკამ იმდენად სასტიკი და ფართო ხასიათი მიიღო, რომ ის თვით სულთნის საქმიანობასაც კი შეეხო. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კრიტიკა წარმოებდა არა მარტო სიტყვიერად, არამედ წერილობითაც.

---

[1] იქვე, გვ. 57.

ვ. სმირნოვის ცალკე შრომა — Кочубей гомюрджинский и другие османские писатели XVII века о причинах упадка Турции, მაგალითად, მიძღვნილია ზემოთ აღნიშნული საკითხისადმი. ამ შრომაში განხილულია კოჩუბეის რისალე, სელიანიკის ისტორია, რამაზან-ზადეს ისტორია, ნეფის სატირული ნაწარმოები და სხვა.

კ ო ჩ უ ბ ე ი გ ო მ უ რ ჯ ო ე ლ ი იყო ფეოდალ-არისტოკრატი, სასახლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოღვაწე, რომელმაც წარუდგინა „რისალე“ — მოხსენებითი ბარათი სულთან მურად IV-ეს (მეფობდა 1623—1640). ეს მოხსენებითი ბარათი ფართო მოცულობისაა და დაყოფილია 17 თავად. ამ რისალეში კოჩუბეი დაწვრილებით ჩამოთვლის არსებულ სახელმწიფოებრივი მმართველობის მთელ რიგ ნაკლოვანებებს, მათ გამომწვევ მიზეზებს და ამასთან ერთად სახავს იმ ღონისძიებებსაც, რომელთა განხორციელების შედეგად, მისი აზრით, შესაძლებელი გახდება უარყოფითი სახელმწიფოებრივი მოვლენების შემდგომში თავიდან აცილება და ოსმალეთის სახელმწიფოს ძველი სიძლიერის აღდგენა. იმდენად, რამდენადაც ის თავის მოხსენებაში ეხება იმ დროისათვის თითქმის ყველა მნიშვნელოვან სოციალ-ეკონომიურ და პოლიტიკურ საკითხს, ეს მოხსენება ოსმალეთის ისტორიის შესწავლისათვის საუკეთესო მასალას წარმოადგენს. ეს რისალე მისი თარგმანითურთ მოთავსებულია სმირნოვის შრომაში.

კოჩუბეი ოსმალეთის დაცემის მიზეზებს ეძებს ჯერ კიდევ სულთან სულეიმანის მმართველობის ხანაში. იგი აღნიშნავს: „მისსავე (ლაპარაკია სულთან სულეიმანზე, ვ. ტ.) დროს წარმოიშვა ის პირობები, რომლებიც სახელმწიფოს რღვევის მიზეზებად გადაიქცნენ. მაგრამ რადგანაც იმ დროს სახელმწიფო საუკეთესო მდგომარეობაში იყო, ამიტომ მაშინ ვერც კი ამჩნევდნენ მის ნიშნებს: მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ გამომჟღავნდა ეს ნიშნები“[1].

სულთან სულეიმანის დროს არსებული ასეთი „პირობები“ გამოიხატა იმაში, რომ ოსმალეთის ცენტრალიზებული ხელისუფლება ცდილობდა უფრო მეტად შეეზღუდა ცალკეული ფეოდალების თვითნებობა და მათი პოლიტიკური უფლებების ხარჯზე უფრო მეტად თავისი მდგომარეობა განმტკიცებია. ამ მიზნით სულთან სულეიმანმა 937-(1530) წელს გამოსცა სპეციალური განკარგულება, რომლის მიხედვითაც ადგილობრივ მსხვილ ფეოდალ ხელისუფალთ ჩამოერთვა თიმარებისა და ზიამათების დარიგების უფლებანი და

[1] В. Д. Смирнов. Кочубей гомюрджинский и другие османские писатели XVII века о причинах упадка Турции, стр. 176.

ამ საქმის მოგვარება უშუალოდ მეფის სასახლეს მიანდო. ამ გარემოებამ უკმაყოფილება გამოიწვია მმართველ ფეოდალურ წრეებში და სწორედ ამიტომ იყო, რომ კოჩუბეი აქეთ მიმართავდა თავის კრიტიკას.

ერთი სიტყვით, მსხვილი და წვრილი მამულების ასეთ ცუდ პირობებში ჩავარდნის მიზეზი არის ის, რომ მამულებში გახსნილ ვაკანტურ ადგილებზე პირებს თვით სასახლის უზენაესი ვეზირი ნიშნავდა, თუკი თავისუფალ ადგილებზე ბეგლარ-ბეგები უღირსებს დანიშნავდნენ, მაშინ დანიშვნის ღირსი პირები საჩივლელად მეფის სასახლეში მიდიოდნენ. მაგრამ როცა თვით უზენაესი ვეზირი ნიშნავს ისეთ პირებს, რომლებსაც ეს არ დაუმსახურებიათ, მაშინ ვისღა უნდა მიმართონ საჩივრით ღირსეულმა პირებმა?[1].

კოჩუბეის, როგორც ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენელს, არ მოსწონს ასეთი წესის შემოღება და მიუთითებს წარსულზე, როცა „მამულების და მათზე დამატებების გაცემა ვისმესადმი მეფის სასახლის მხრით შეუძლებელი იყო“[2]. კოჩუბეის, როგორც ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლის, ტენდენციური დამოკიდებულება ცენტრალიზებული ხელისუფლების მიმართ გამოიხატა აგრეთვე უზენაესი ვეზირის თანამდებობაზე კანდიდატის წამოყენების საკითხშიც. როგორც იგი აღნიშნავს, წინათ „იყო ოთხი მცოდნე, გამოცდილი და ბრწყინვალე თავის მქონე ვეზირი, რომელთაგანაც ყველა, რამდენიმე ხნის განმავლობაში სანჯაყის ბეგად და ბეგლარ-ბეგად ყოფნისას, ზრუნავდა თავის საჯაბადროზე და სხვა აუცილებელ საჭიროების საგნებზე, რომლებიც მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული მის სარწმუნოებრივი და სახელმწიფოებრივი სამსახურის მოვალეობასთან. მას შემდეგ, რაც შეიძენდნენ საათანადო ცოდნას სახელმწიფოებრივ საქმეებში, ისინი ანატოლიის ბეგლარ-ბეგებად ხდებოდნენ. შემდეგ, როცა რუმელიის ბეგლარ-ბეგობასაც განვლიდნენ, ისინი უკვე ვეზირებად ხდებოდნენ“[3].

როგორც აქედან ჩანს, ძველად უზენაესი ვეზირის თანამდებობას იკავებდა მხოლოდდამხოლოდ ყოფილი ბეგლარ-ბეგი, რომელიც ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენელი იყო. ვეზირობა კი იმდროინდელი ოსმალეთის სახელმწიფოებრივ მმართველობაში ერთ-ერთ (თუ არა ერთადერთ, გ. ტ.) უდიდეს თანამდებობას წარმოადგენდა. 992 (1584) წლამდე უზენაესი ვეზირები სრულებით

---

[1] იქვე, გვ. 127.

[2] იქვე, გვ. 89.

[3] იქვე, გვ. 177.

დამოუკიდებელი იყვნენ და სავეზირო საქმეში არც ერთ სხვა ვინმეს არ შეეძლო ჩარევა[1]. მაგრამ ეს ტრადიცია სულთან სულეიმანმა პირველმა დაარღვია, როცა მოულოდნელად უზენაესი ვეზირის თანამდებობაზე თავისი ჰარამხანის მოხელე იბრაჰიმ ფაშა წამოაყენა. ამით დასაწყისი მიეცა შემდგომისათვის ვეზირის დანიშვნას არა მარტო ფეოდალური არისტოკრატიის შემადგენლობიდან, არამედ სხვა წრეებიდანაც. ამას კიდევ დაემატა ის, რომ ამიერიდან თვით სანჯაყებისა და ყაზების მმართველებად ნიშნავდნენ არა ადგილობრივი ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენელთ, არამედ „მოსულთ“.

რა თქმა უნდა, ყველა ამან დიდი უკმაყოფილება გამოიწვია თიმარიოტებისა და ჩიამთების მეპატრონეებს—ფეოდალებს შორის: საჭირო გახდა ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ გალაშქრება. ამ ბრძოლაში მოკავშირის ძებნისას ფეოდალურმა არისტოკრატიამ რაიების თავის მხარეზე გადაბირების მიზნით დროებით შეუმსუბუქეს მათ გადასახადების გაღება. გაავრცელეს ხმები იმის შესახებ, რომ მოსულთაგან ახლად დანიშნული მოხელეები არ ზრუნავენ ადგილობრივ მოსახლეობაზე, რომ საჭიროა რაიების მდგომარეობის გაუმჯობესება და სხვა.

კოჩუბეისაც სწორედ ასეთი მიდგომით აქვს აგებული თავისი მოხსენებითი ბარათი. ერთ ადგილას (თავი IX) ის აღნიშნავს: „990 (1582) წლამდე ღარიბ რაიებისაგან იღებდნენ 40—50 თეთრს თითო კაცზე სულად გადასახადში“ და მის დროს კი ამ გადასახადმა 300 თეთრამდე მიაღწია, რაც ექვსჯერ და უფრო მეტად გაზრდას ნიშნავს. ამავე დროს „გაიზარდა რაიების შევიწროვება და სახელმწიფოც დაირღვა“. „ერთი სიტყვით, ასეთი შევიწროვება და ჩაგვრა, როგორსაც ღარიბი მოსახლეობა განიცდის, არასოდეს, ქვეყნის არც ერთ მხარეში, არც ერთ სახელმწიფოში არ არსებობდა“... „ურწმუნოებისაგან სამყარო არ დაინგრევა, არამედ იდგომება თავისათვის; შევიწროებისაგან კი ვერ გასძლებს“[2]. ამგვარად „რისალეს“ ავტორი სახელმწიფოსაგან მოითხოვს რაიებისადმი სათანადო ყურადღების მიქცევას, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ეს გამოწვეული იყო სურვილით, რათა არისტოკრატიას გლეხების გადაბირებით მოკავშირე მოეპოვებინა ცენტრალური ხელისუფლების საწინააღმდეგოდ.

---

[1] იქვე, გვ. 102—103.

[2] იქვე, გვ. 142—143.

სწორედ ასეთი მიდგომით ახერხებდნენ თავიანთ მხარეზე გლეხების ზოგიერთი ნაწილის გადაბირებას ისეთი მეამბოხეები, როგორიც იყვნენ: ხუსეინ ფაშა—ყოფილი ბეგლარ-ბეგი, კალენდერ ოღლი—ყოფილი ჩაუში, ყარა იაზიჯი, დელი ჰასან—ყარა იაზიჯის ძმა, ყარა საიდი, თავლი, იუსუფ ფაშა, ჯან-ბულად-ოღლი ალი ბეი, ყველაზე უფრო თავზე ხელაღებული, რომელმაც შეჰქმნა მთელი ჯარი იენიჩართა სისტემის მიხედვით და რომელმაც გაძარცვა ჰალაბიდან კონსტანტინოპოლში მომავალი ხაზინა.

მაგრამ, რომ ეს პირები და თვითონ კოჩუბეი არსებითად შორს იდგნენ რაიების მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მათი ინტერესების რაიმე ოდნავ დაკმაყოფილებისაგან, ეს კოჩუბეის სიტყვებიდანვე ჩანს. აი, როგორ აფასებს ის ნამდვილ გლეხურ აჯანყებებს: „ანატოლიის პროვინციებში გაჩნდნენ არამზადა-მეამბოხეები; ანატოლიის პროვინციის სოფლები და დაბები: ყარამანი, სივასი, მერაში, ჰალაბი, ურფა, დიარბექირი, არზრუმი, ვანი და მოსული გაძარცული და დანგრეული იქნენ; ზოგიერთი უბანი (ქ. ბრუსისა) გადამწვარია“[1].

ცენტრალური ხელისუფლებისადმი მიმართული კრიტიკა თავის უმაღლეს წერტილს აღწევს იქ, სადაც კოჩუბეი ეხება თვით ფადიშაჰის მოვალეობას. „წესრიგი და კეთილმოწყობა მჭიდროდ დაკავშირებულია ფადიშაჰების კეთილშობილ გულთან. ფადიშაჰი—ეს სახელმწიფოს სულია: თუ სული ჯანმრთელია, მაშინ სხეულიც ჯანმრთელია. თუ მეფეები მიილტვიან სიკეთისაკენ, მაშინ ქვეყანაზე მყარდება სრული წესრიგი. თუ ისინი მიილტვიან ბოროტებისაკენ, მაშინ მდგომარეობა ცუდი იქმნება. ხეებს არ მოაქვთ ნაყოფი; მიწაზე არ ამოდის ბალახი. ფადიშაჰების არსებობა—დიდი თილისმაა. ასეთია ნამდვილი ვითარება“[2].

ოსმალეთის სამხედრო-ფეოდალურ სახელმწიფოს შესუსტების ძირითად მიზეზებს უფრო სხვა გარემოება წარმოადგენდა. ექსპანსიის პოლიტიკის პირობებში ეკონომიური საფუძვლების განმტკიცებას სათანადო ყურადღება არ ექცეოდა. ოსმალეთის ფეოდალური ურთიერთობის შემდგომ განვითარებას მოუსწრო სავაჭრო და სავახშო კაპიტალის განვითარებამ. იმ დროს სავახშო კაპიტალი ანადგურებდა რა ამ საწარმოო ძალებს, ამასთან ერთად კონსერ-

---

[1] იქვე, გვ. 145.

[2] Проф. Грацианский и проф. Сказкин. Хрестоматия по истории средних веков, т. II, ч. II, стр. 346—347.

ვაციას უშვრებოდა ფეოდალურ ურთიერთობას ოსმალეთში. სავახშო და სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენლები (უმთავრესად ბერძნები, სომხები, ებრაელები) ცდილობდნენ გამოეწურათ მოსახლეობისაგან არა მარტო ჭარბი პროდუქცია, არამედ ის მინიმუმიც, რაც აუცილებელი იყო სახალხო მეურნეობის შემდგომი ზრდისათვის. ამგვარად, ოსმალეთის ეკონომიკის თითქმის ყველა სათავე, როგორც კოჩუბეი აღნიშნავს, „გიაურების“ ხელში გადავიდა“. „მეოთხე მიზეზი (სახელმწიფოს დაუძლურებისა, გ. ტ.) ის იყო, რომ სამეფოს საკუთარი მამულები და შემოსავლიანი წყაროები, რომლებიც წარმოადგენდა ყველა მორწმუნის კუთვნილებას, უზენაესმა ვეზირმა რუსტემფაშამ, სახელმწიფო ხაზინის შემოსავლის ზრდის მზრუნველობიდან გამომდინარემ, წმინდა კანონის წინააღმდეგ, იჯარით გასცა. კეთილსინდისიერი და პატიოცემული პირები არ ღებულობენ იჯარას, რისთვისაც ყველა ეს უმსგავსოთა, ბილწ ებრაელთა და გიაურ-მმართველების ხელში გადავიდა“[1].

სავაჭრო და სავახშო კაპიტალი ფართოდ შეიჭრა თურქების ყოფა-ცხოვრების ყველა დარგში. გაბატონდა საშინელი მექრთამეობა. „ამდენი ბოროტებისა და აჯანყების, ამბოხებისა და მღელვარების, მოსახლეობისა და მხარეების განადგურების, ხაზინისა და ფულის შემცირების მიზეზი მექრთამეობაა. მანამ, ვიდრე არ გაიცემა უზენაესი განკარგულება დედამიწის პირიდან მექრთამეობის სენის აღგვის შესახებ, სამართლიანობის არსებობა შეუძლებელია და სახელმწიფოს კეთილმოწყობაც ასეთივე შეუძლებელი დარჩება“[2]. მექრთამეობასთან ერთად ძალზე გავრცელდა თანამდებობათა ყიდვა-გაყიდვაც. კოჩუბეი აღნიშნავს, რომ მის დროს მთელ რიგ თანამდებობათა გაყიდვასთან ერთად იყიდებოდა აგრეთვე მეცნიერების, სწავლულების, მოსამართლეების და სხვა თანამდებობანიც. ამ გარემოებამ, მისი აზრით, მეცნიერება ოსმალეთში დააქვეითა და უმეცრება გააბატონა.

ოსმალეთის სოციალურ, ეკონომიურ და პოლიტიკურ დაცემასთან ერთად კოჩუბეი აღნიშნავს სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების შესუსტებასაც. მისი აზრით ფეოდალური ჯარი, სიფაებისცხენოსანთა რაზმების სახით, ყოველთვის ამართლებდა მასზე დაკისრებულ ნდობას. ამ ჯარების მეშვეობით შესძლო ოსმალეთმა თავისი ტერიტორიის გაფართოება და სახელმწიფოს შემდგომი განმტკიცება. ავტორი ამ საქმეში იენიჩარების ჯარს მხოლოდ მე-

---

[1] В. Д. Смирнов. Кочубей гомюрджинский и другие османские писатели XVII века о причинах упадка Турции, стр. 259.

[2] იქვე, გვ. 167.

ორე ადგილს უთმობს. მართალია, იენიჩარები დახმარებას უწევ-დნენ სიფაებს, მაგრამ ეს კარგი იყო მანამ, სანამ იენიჩართა რაოდენობა პირველთან შედარებით მცირე იყო. „ერთი სიტყვით, ძველ დროში ისლამის ჯარები (როგორც მისი შემდგომი მსჯელობიდან ჩანს, ამ შემთხვევაში იგულისხმება მხოლოდ იენიჩარები, გ. ტ.) თუმცა მცირე იყო, სამაგიეროდ კარგი, საუცხოო და დისციპლინის მქონე"... ახლა კი „თუმცა ეს ორი კორპორაცია უსაზღვროდ დიდი რაოდენობისაა, სამაგიეროდ არავითარი სარგებლობა აქედან არ ჩანს"[1].

ამ შემთხვევაშიაც კოჩუბეი ცდილობს ისტორიის ვითარება უკუღმა შეატრიალოს. გასაგებია ის გარემოება, რომ პარტიკულარისტულად განწყობილი ფეოდალებისათვის იენიჩართა რაოდენობის ზრდა საშიში გახდებოდა, რადგან იენიჩარები ცენტრალური ხელისუფლების განკარგულებაში იყვნენ და მის მტკიცე დასაყრდენს წარმოადგენდნენ. იენიჩართა სისტემის შემოღების შემდეგ ფეოდალურ ჯარებზე სულთანის დამოკიდებულებამ თანდათან იკლო. უფრო მეტიც—იენიჩარების საშუალებით ცენტრალიზებული ხელისუფლება ძალიან ხშირად ლაგმავდა ფეოდალების თვითნებობას, თუმცა პირველ ხანებში ეს ხდებოდა ძირითადად კონსტანტინოპოლსა, ადრიანაპოლსა და ბრუსას შორის მდებარე ტერიტორიაზე, სადაც დაბანაკებული იყვნენ იენიჩარები. ამიტომ მაშინ ეს გარემოება აოც ისე დიდად აწუხებდა ფეოდალურ არისტოკრატიას სახელმწიფოს სხვა ადგილებში. მაგრამ „ჯარის წყობის არსებული კანონი, რომლის მიხედვითაც ისინი (იენიჩარები, გ. ტ.) დაბანაკებული უნდა იყვნენ სოფლებსა და დაბებში, რომლებიც სტამბოლსა, ადრიანაპოლსა და ბრუსას შორის მდებარეობენ, ამჟამად სრულებით დავიწყებულია. ისინი (იენიჩარები, გ. ტ.) გაბნეული არიან—ზოგი ბუდინის საზღვრებზე, ზოგი ბოსნაში, ზოგი მორეაში, ზოგი საქართველოში და სპარსეთის საზღვრებზე"[2].

გარდა ამისა, კოჩუბეი გომურჯოელი, როგორც ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენელი, დიდ ტენდენციურობას იჩენს სხვა საკითხებშიაც. თავის მოხსენებაში ის აღნიშნავს ოსმალეთის სახელმწიფოს დაცემის კიდევ მთელ რიგ მიზეზებს, მაგრამ ამასთან ერთად უნდა ითქვას ისიც, რომ სახელმწიფოს დასუსტების მის მიერ ჩამოთვლილი მიზეზები არსებითად წარმოადგენენ შედეგებს და

[1] Проф. Грацианский и проф. Сказкин. Хрестоматия по истории средних веков, т. II, ч. II, стр. 355.

[2] В. Д. Смирнов. Кочубей и другие османские писатели XVIII века о причинах упадка Турции, стр. 131.

არა მიზეზებს. ოსმალეთის სახელმწიფოს დაქვეითების ძირითადი მიზეზი მისი სოციალ-ეკონომიური განვითარების თავისებურება იყო.

3. სმირნოვის აღნიშნულ შრომაში, თუმცა გაკვრით, განხილულია აგრეთვე რამაზან-ზადეს ისტორიული ნაშრომი, რომელიც უმთავრესად ოსმალეთის ფეოდალური ურთიერთობის გვიანდელ პერიოდს შეეხება. როგორც ავტორი გადმოგვცემს, მისი ხელთნაწერი (XVII საუკ.) ინახება ლენინგრადში (№ 5901). აღნიშნული შრომა საინტერესოა იმ მხრივ, რომ მასში მოცემულია ყველაზე უფრო სრულად სელიმის დაპყრობითი პოლიტიკა, კერძოდ — ბრძოლა საქართველოს წინააღმდეგ, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ის ტრაპიზონის მმართველად იყო. რამაზან-ზადეს ისტორიაში აღნიშნულია აგრეთვე ნაკლოვანებანი სახელმწიფოს მმართველობაში, თუმცა აქ მოცემული კრიტიკა შედარებით კოჩუბეის გამოსვლებთან მოკლებულია სიმკვეთრეს და მრავალმხრივობას.

ამ საკითხში შედარებით უფრო მკაცრი ხაზის გამტარებელია ს ე ლ ი ა ნ ი კ ი, რომლის „თარიხი“ განხილულია სმირნოვის ზემოდასახელებულ შრომაში. ოსმალეთში ზნე-ჩვეულებათა დაცემის შესახებ ის ამბობს: „ბიზანტიის სახელმწიფოს და მთავრობის გარეგნული ბრწყინვალება განახლდა და გადაიქცა ძველი ჩვევებისა და ბედნიერების სასახლის წესრიგის შეცვლისა და გაფუჭების მიზეზად: სახელმწიფოებრივმა ხარჯებმა გადალახეს ყოველგვარი საზღვარი; მფლანგველობამ და ფუჭუნებამ უკიდურეს ფარგლებს მიაღწიეს.... ციურმა და სახელოვანმა ჭეშმარიტებამ—ღმერთმა—გამოგვიგზავნა არევ-დარევა ჩვენს საქმეებსა და მოქმედებაში; მოაკლო (მათ) თავისი კურთხევა“[1].

სელიანიკისათვის ოსმალეთის დასუსტების მთავარ მიზეზს წარმოადგენს ის გარემოება, რომ თურქებმა დაჰგმეს მამა-პაპის ზნე-ჩვეულება სახელმწიფოს მმართველობის საქმეში და მის ნაცვლად გააბატონეს ყოფილი ბიზანტიის სასახლის ბრწყინვალე მორთულობა და ბიზანტიური ცერემონიალები პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მმართველობის სხვა საკითხებში. იენიჩარების სისტემის რღვევის მიზეზად, სელიანიკი ეთანხმება რა ამ საკითხში სავსებით კოჩუბეის აზრს, ასახელებს იენიჩართა რიგებში ადგილობრივი მოსახლეობის, რაიებისა და ქალაქის მცხოვრებთა მიღებას. წინათო,—ამბობს სელიანიკი,—იენიჩარების რიგების შესავსებად სხვადასხვა ადგილიდან მოჰყავდათ საუკეთესო ბავშვები. მაგალითად, 1576 წელს

[1] იქვე, გვ. 191.

ბურჯისტანის ხაკიმმა სულთან მახმუდ III-ის გამეფებასთან დაკავშირებით მისალოცად გააგზავნა კონსტანტინოპოლში თავისი მოხელე და თან გააყოლა 17 საუკეთესო ყმაწვილი საჩუქრად.

იენიჩართა რიგების შესავსებად სხვადასხვა ადგილიდან მოყვანილი ბავშვები სხვადასხვა ეროვნებისანი იყვნენ, მაგრამ ამას არ ჰქონდა მნიშვნელობა, ვინაიდან მანამდე თურქების სახელმწიფოს გამაერთიანებელ ძალას წარმოადგენდა უმთავრესად არა ნაციონალური მომენტი, რაც შედეგია მხოლოდ კაპიტალიზმის განვითარებისა, არამედ ცენტრალიზებული ხელისუფლება, რომლის მძლავრ საშუალებადაც ამ საქმეში რელიგიური ფანატიზმი გადაიქცა. ამიტომ იყო, რომ თურქებისათვის, თუ ვინმე კი მაჰმადის სარწმუნოებას აღიარებდა, სულ ერთია — იქნებოდა ის ბერძენი, პოლონელი, ფრანგი თუ სხვა—ღირსი იყო მათთან (თურქებთან) ნიველირებისა.

თურქების მოწინავე ელემენტები და სხვებიც ამ გარემოებას ბუნებრივად სთვლიდნენ და არც კი უცდიათ უცხო ეროვნების პიროვნებათა შეცვლა სახელმწიფო აპარატში. ამ ეპოქაში ცენტრალიზებულ ხელისუფლებას თავისი შემდგომი განმტკიცებისათვის უფრო მეტად გამოადგებოდნენ უცხო ეროვნებათა წარმომადგენელნი, ვინემ თურქები, რომლებიც თავიანთი ნათესაობრივი ქსელით, ფეოდალური განდიდების ტენდენციითა და საკუთარ ბატონ-პატრონად გადაქცევის სურვილებით შეუპოვარ წინააღმდეგობას გაუწევდნენ ცენტრალურ ხელისუფლებას. სულთნებისათვის აშკარა იყო, რომ მათთვის საპასუხისმგებლო თანამდებობათა ჩაბარება სახელმწიფო აპარატში, და მით უმეტეს ვეზირად მათგან დანიშვნა, იმდენად გაზრდიდა ფეოდალური სახელმწიფოს დეცენტრალიზაციის ძალებს, რომ შემდეგში მათთან ბრძოლა არც ისე ადვილი საქმე იქნებოდა. ამ დასკვნის გამოტანისათვის კი ოსმალთა ხელისუფალთ საკმაო მაგალითები ჰქონდათ მიღებული როგორც საკუთარი ემირების, ისე დასავლეთ ევროპაში მაორდომებისა, და მსხვილი ფეოდალების მეფესთან ბრძოლებით აღსავსე ისტორიისაგან.

ამ პირობებით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ კოჩუბეიმდე სხვა ეროვნებათა წარმომადგენლების წინააღმდეგ არც ერთხელ არ ყოფილა მიმართული რაიმე მნიშვნელოვანი ლიტერატურული კრიტიკა. მაგრამ სავაჭრო და სავახშო კაპიტალის განვითარებას მოჰყვა ნაციონალური შუღლიც. XVII საუკუნის ოსმალური მწერლობა ოსმალეთის დაცემის მიზეზად იმ გარემოებას აღიარებდა, რომ სახელმწიფო აპარატი უცხო ეროვნებათა წარმომადგენლებით გაივსო. ამ მხრივ განსაკუთრებით მკაცრად გაილაშქრა ოს-

მალეთის XVII საუკუნის მწერალმა ნ ე ფ ი მ, რომელმაც დასწერა შრომა „ბედის ისრები“. ის თავის სატირაში აკრიტიკებს ოსმალეთის უზენაეს ვეზირს, წარმოშობით ქართველს, „ბურჯი-მაჰმუდ-ფაშას და დასძენს:

„ვაი უბედურებავ, ახლოსაა ჩვენი დასასრული!

ეს დაწყევლილი ცხოველი გვჩაგრავს და გვავიწროებს ჩვენ, მზად არის ოსმანის სამპყრობელოში ყველაფერი შთანთქას[1]“!

როგორც აქედან ჩანს, ნეფის აზრით სახელმწიფოს ძლიერების დაცემის მიზეზი ისაა, რომ მმართველობის ორგანოებში უცხო ეროვნებათა წარმომადგენლებია. ამავე აზრისა იყვნენ ოსმალეთის XVII საუკუნის ცნობილი მწერალი ნ ა ი მ ა ც და ზოგიერთი სხვა პოლიტიკური მოღვაწეც. „თუმცა ისინი უძლურნი იყვნენ უკუეგდოთ უკვე საშინლად განვითარებული და ფესვმოკიდებული ბოროტება, მაგრამ მათგან ისიც საკმარისია, რომ მიუთითეს ამ ბოროტების ნამდვილ მიზეზზე. მათ გაიგეს, რომ სარწმუნოება სხვაა და ნაციონალობა კიდევ სხვა“.

მიუხედავად იმისა, რომ სმირნოვმა კარგად შენიშნა ნაციონალობისა და რელიგიის სხვადასხვაობა, ის მაინც მთლად მართალი არ არის, ვინაიდან „ბოროტების“ მიზეზი უფრო სოციალ-ეკონომიური განვითარების თავისებურება იყო და არა სხვა ნაციის წარმომადგენლის მიერ საპასუხისმგებლო თანამდებობის დაკავება.

სმირნოვი თავის შრომაში—Крымское ханство под верховенством Оттоманской порты до начала XVIII века—იხილავს ყირიმის სახანოს წარმოშობას და შემდეგ მისი განვითარების ისტორიას XVIII საუკუნის დასაწყისამდე. შრომის ძირითად მიზანს კი წარმოადგენს ის, რომ გარკვეული იქნეს ნამდვილი დამოკიდებულება ოსმალეთსა და ყირიმის სახანოს შორის. ავტორი აკრიტიკებს ევროპის ისტორიკოსების აზრს იმის შესახებ, თითქოს მენგლი გირეის გამეფება ყირიმში დაკავშირებულია მაჰმუდ II ფატიხთან დადებულ ხელშეკრულებასთან, რომელიც შემდეგი შინაარსისა იყო:

„1. სულთანმა არასოდეს არ უნდა დანიშნოს ხანობის თანამდებობაზე არავინ, გარდა ბატონიშვილებისა ჩინგიზ-ყაენის საგვარეულოდან.

2. სულთნის სასახლეს არასოდეს არავითარი საბაბით არ შეუძლია სიკვდილით დასაჯოს ვისმე გერაების გვარეულობიდან.

3. ხანის სამფლობელოები და გერაების ოჯახის წევრების სხვა საცხოვრებელი ბინები უნდა ცნობილი იქნენ ხელშეუხლებელ თავშესაფარად ყველა მათთვის, ვინც მონახავს მათში ადგილს.

---

[1] იქვე, გვ. 262.

4. პარასკეობით საზოგადოებრივი ლოცვის დროს, ხუტბაში, სულთნის სახელის შემდეგ უნდა იხსენიებოდეს ხანის სახელიც.

5. ხანს არც ერთ წერილობითი თხოვნის შესრულებაზე უარი არ უნდა ეთქვას სულთნის სასახლიდან.

6. ლაშქრობის დროს ხანს აქვს ხუთთუღიანი ჯიღა.

7. ყოველ გალაშქრებისას ხანმა უნდა მიიღოს სულთნისაგან ას ოცი ქისა ოქრო თავის ლეიბგვარდიის შესანახად და ოთხმოცი ქისა თავისი მურზებისა და ყაფი-ყულებისათვის"[1].

სმირნოვი დასძენს, რომ არ შეიძლებოდა დადებულიყო რაიმე ხელშეკრულება ოსმალეთის სულთნებთან, რადგან უკანასკნელებს, მეტადრე კი მაჰმუდ II-ეს, ასეთი რამ არ სჩვეოდათო.

შეიძლება მართლაც მაჰმუდ II-ეს არ ჰქონდა დადებული ზემოაღნიშნული შინაარსის ხელშეკრულება, მაგრამ ოსმალეთის იმდროინდელ საგარეო პოლიტიკისათვის ვასალურ ქვეყნებთან ხელშეუხლებლობა მაინც დამახასიათებელი იყო. მით უმეტეს ეს გარემოება უნდა გავრცელებულიყო ყირიმის სახანოს მიმართ. ვინაიდან ტერიტორიულად იგი ოსმალეთს დაცილებული იყო და რუსეთის ახლო მეზობლობა კი ოსმალეთს აიძულებდა უფრო ლმობიერი პოლიტიკა ეწარმოებია ყირიმის მიმართ. ამის შესახებ ერთ-ერთი უცნობი ავტორი სულთან იბრაჰიმ I-სადმი (1640—1648) მიძღვნილ წერილში სულთანს შემდეგნაირად მიმართავს:

„ზეციურმა მეფემ დაიცვას ჩემი კეთილშობილი, ქველმოქმედი და ბედნიერი ფადიშაჰის პიროვნება ცდომილებისაგან, და განამტკიცოს ის სულთნის ტახტზე! თვითმპყრობელო მეუფევ ჩემო! იმას, ვისაც თემურს უწოდებენ, თათარია. სპარსეთის მიღმა არის თათართა ტომი, უზბეკებად წოდებულნი, სწორედ მათგან წარმოიშვა ის ბოროტსვიანი კოჭლი, რომელსაც თემურს ეძახიან. ის ჩინგისყაენის შთამომავალია. არის სამეფო, რომელსაც ხათაი და ხუთანი ეწოდება. ახლა რომ საჭირო ყოფილიყო აქედან იქ წასვლა, ორი წლის შემდეგ მიხვიდოდი. თემური იყო ურწმუნოთა ფადიშაჰი. სძლია რა მან ისლამის ფადიშაჰებს, ჩამოართვა (მათი სამფლობელოები). შემდეგში მისმა შვილებმა მიიღეს მუსლიმანობა. ეს ხანები იმ შთამომავლობისა არიან. ხოლო თათართა ხალხში სიმართლე არ არსებობს; მაშასადამე, ეს ისეთი ხალხი არაა, რომ მათგან დიდი სიკეთე გამოვიდეს. როცა ხანი მოკვდება და მისი ადგილი განთავისუფლდება, მაშინ კანდიდატები მიემგზავრებიან თქვენი ბედ-

[1] В. Д. Смирнов. Крымское ханство под верховенством Оттоманской порты до начала XVIII века, стр. 294.

ნიერების სასახლეში, და რომელიც პირველთაგანი კურთხეულ ბაირამზე თავის მოხრით თაყვანს სცემს თქვენს უზენაესობას, ის უნდა გახდეს ხანად. როდესაც საჭირო გახდება ხანის განთავისუფლებული ადგილის გაცემა, მაშინ კეთილი ინებეთ უთხრათ ასე: „შენ აღზრდილი ხარ ჩემი სიუხვით; მე შენ განიჭებ ხანობას და ვნახავ, როგორი იქნები. შენ უნდა სულითა და სხეულით იმოქმედო ჩემი უავგუსტოესი მფარველობით. მე მოველოდები შენგან სამსახურს". შემდეგ, ვუბრძანებ თუ არა, ჩაიცვას მან სიასამურის ქურქი და შეირტყას მურასა ხმალი, უბოძეთ მას მოვარაყებული (ძვირფასი ქვებით) ლუქი და ასეთნაირად გააფრთხილეთ: „მოიქეცი ჩემდა სასიამოვნოდ და ერიდე ჩემს წყროშას. ჩემში ბევრია შენდამი კეთილგანწყობა, მაშ შენ იყავი მართალი".—თვითმპყრობელო მეუფევ ჩემო! უკიდურეს აუცილებლობის გარეშე საჭირო არ არის მათი გამოცვლა: მათი ადგილსამყოფი ყირიმია, უდაბნო მხარე, ურწმუნო რუსებისა, მოსკოველებისა და ლიახების მეზობელი"[1].

სულთნის ასეთი გაფრთხილება მისი უახლოესი თანამშრომლის მიერ სრულებითაც არ იყო უადგილო, რადგან ხშირ შემთხვევაში ყირიმის ხანები, მიუხედავად მათი ვასალური დამოკიდებულებისა, სარგებლობდნენ რუსეთის მხარის-დაჭერით, თავიანთი ტერიტორიული მდგომარეობით და ურჩობას იჩენდნენ. მაგალითად, ღაზი-გირეი თავის დროზე არ ცხადდებოდა ბელგრადთან ოსმალეთის მიერ წარმოებულ სამხედრო ოპერაციებში. „არსებითად,— ამბობს იბრაჰიმ-ეფენდი ფეჩევი, — ხანის წასვლა ამ ლაშქრობაში და მისი უკან დაბრუნება უაღრესად გაუგებარი იყო: მოვიდა ლაშქრობის დამთავრების შემდეგ, წავიდა მის დასაწყისში; ზამთრად დაბანაკებისას გაანადგურა ექვსი სანჯაყის მოსახლეობა რაიები, და თავდასხმებში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთხელ; უფრო მეტი საქმე მას, მაინცდამაინც, არ გაუკეთებია. მეფის ყველა იმ წყალობის გარდა, რომლითაც სარგებლობდა სასახლეში, ერთხელ მას ცხონებულმა (ფაშამ) ჩემი საშუალებით გაუგზავნა ორმოცი ათასი, მეორეჯერ კი ცამეტი ათასი ყურუში, რომლებიც ძალად მივაღებინე მე მას... გარდა (ხანის) მსგავსი უხეშობისა, ჯერ არ გასულა არც ერთი დღე, რომ მას არ მოეთხოვნა ახალი ბეგლარ-ბეგობა და სანჯაყი ერთი ან ორი (უცხო) კაცისათვის... ერთი სიტყვით, რამდენჯერაც ის არ წავიდა უნგრეთის ლაშქრობებში, არ გაგვიწია არც ერთი მოგონებად ღირსი დახმარება"[2].

---

[1] იქვე, გვ. 302—303.
[2] იქვე, გვ. 462.

როდესაც ყირიმში მაჰმუდ-გირეისა და ჯანი-ბეკ-გირეის შორის ყირიმის ხანად გაყვანის საკითხში ქიშპობა ჩამოვარდა, როგორც ჩანს, გვირჯი-მაჰმუდ-ფაშამ ამით ისარგებლა და ხანად გაიყვანა თავისი კანდიდატი ჯანი-ბეკ-გირეი. ამის გამო მაჰმუდ-გირეი არ დაემორჩილა ამ გადაწყვეტილებას, მოიმხრო შეიარაღებული ძალები, და ნაიმას თქმით, სულთანს თავისი უკმაყოფილობა შემდეგი სიტყვებით აცნობა: „სულთნის მთავარ მოხელეს დელიავერაღას გაეგზავნა ასზე მეტი მონა, და მისი შუამდგომლობით ყაიმაყამ გვირჯი-მაჰმუდ-ფაშასთან და მთავარი საჭურისის დახმარებით, ხანის წოდება გაეგზავნა ჯანი-ბეკ-გირეის და არა ჩვენ, რომლებსაც გვქონდა მასზე უფლება“[1].

ამავე ნაშრომში სმირნოვს განხილული აქვს სულთან სელიმის გამეფების (1512 წ.) საკითხიც. სელიმმა ჯერ კიდევ მამის, ბაიაზეთ II-ის, სიცოცხლეში მოახერხა გამეფება იმით, რომ ოსტატურად გამოიყენა მამის ხასიათის სისუსტე. ავტორის თქმით, ბაიაზეთ II იმდენად სუსტი ხასიათის პატრონი იყო, რომ ის დიპლომატიურ ურთიერთობას არ სწყვეტდა შაჰ ისმაილთან, ისეთ კაცთან, რომელსაც სასახლეში ჰყავდა ღორი სახელად „ბაიაზეთი“ და განაგრძობდა ცდას მასთან მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებისათვის. იმ მიზნით, რომ ბაიაზეთ II-ეს თავიდან მოეცილებია სელიმი „ეს თრიაქის მჭამელი, გალუცინატი და პოეტი“, იგი დანიშნა შორეულ პროვინციაში, ტრაპიზონის გუბერნატორად. სელიმი კი თავის მხრით ჯიუტობდა და მოითხოვდა კონსტანტინოპოლთან ახლო პროვინციაში ყოფნას იმ იმედით, რომ მამის სიკვდილის შემდეგ ის მიიღებდა სულთნობას. მან იმდენი მოახერხა, რომ თავისი შვილი სულეიმანისათვის (სულთან სულეიმანი) პაპას მცირე აზიის ქალაქ ბოლისის ნაცვლად კაფის გუბერნატორობა მიაცემინა. სელიმის ამოცანა—კონსტანტინოპოლთან ახლოს ყოფნა—უნდა განხორციელებულიყო რუმელიის ძალით დაპყრობით. ამიტომ ის გადავიდა კაფაში თავისი შვილის ნახვის საბაბით. აქ მან შვილის დახმარებით შეაგროვა საჭირო ჯარი და რუმელიაში შეიჭრა. მამასთან (ბაიაზეთ II-სთან) ჩატარებული ბრძოლების შედეგად იგი დამარცხდა და იძულებული გახდა ხელახლად გაქცეულიყო კაფაში.

„ყირიმის სახანო ოტომანების სასახლის უზენაესობით XVIII საუკუნის დასაწყისამდე“ იკვლევს აგრეთვე რუსეთთან დამოკიდებულების საკითხსაც. ამგვარად, ეს ნაშრომი საუკეთესო სახელმძღვანელოს წარმოადგენს ზოგიერთი შესწორების შეტანით, როგორც,

[1] იქვე, გვ. 488.

რუსეთთან და ოსმალეთთან დამოკიდებულების საკითხში, ისე თვით ყირიმის ისტორიის შესწავლაშიც.

სმირნოვის შრომა: „Христианство турок и дервишский суфизм“ 1897 წელს გამოიცა. იგი მხოლოდ საკითხის რელიგიურ მხარეს იხილავს და რამდენადაც ეს სოციალურ-ეკონომიურ ვითარებისაგან მოწყვეტით ხდება, ამდენად არ შეიძლება ითქვას, რომ სრულფასოვანი შრომაა მეცნიერული თვალსაზრისით. მხოლოდ მისი დადებითი მხარე ისაა, რომ ავტორმა თავი მოუყარა ამ საკითხის შესახებ არსებულ მნიშვნელოვან ფაქტიურ მასალას. დასახელებული შრომის მიზანია დაამტკიცოს მაჰმადიანობის ქრისტიანიზმისაკენ გადახრა. ჯერ კიდევ XIII საუკუნის პირველნახევარში მანიქეველობა, რომელიც გავრცელებული იყო ეგვიპტესა, მესოპოტამიასა და წინააზიაში თანდათანობით დაუკავშირდა მუსლიმანების იმ მიმდინარეობას, რომელიც გაფორმდა დერვიშების, თუ შეიძლება ასე ითქვას, ორდენების სახით. მათ შორის ყველაზე დიდი გავრცელება ჰპოვა ერთ-ერთმა მევლევის სახელწოდებით. ამ ორდენის დამაარსებელი იყო სპარსეთის ქალაქ ბალხის მცხოვრები ჯალალ-ედინი. იგი იძულებული იყო მიენებებია თავი ამ ქალაქისათვის და გადასახლებულიყო თურქ-სელჯუქთა სამეფოში სულთან ალა-ედინ-ქეი-ყობადთან, რომელმაც დაუთმო საცხოვრებელი ადგილი კონიაში. აქ გადმოსვლისას მისი მიმდევრების რიცხვი თანდათან გაიზარდა. მათ შორის აღმოჩნდნენ ისეთებიც, როგორნიც იყვნენ ახი-თურქი, შეიხ-ხუსამ-ედინ-ჩელები, თავრიზელი მევლიან შემს-ედინი და სხვა. ჯალალ-ედინმა თავისი მოძღვრება ჩამოაყალიბა თხზულებაში—„მესნევი“, რომელიც 40,000-მდე ტაეპს იტევს. იგი დაწერილია სპარსულ ენაზე.

აღნიშნული „მესნევი“ შემდეგში გადაკეთებულ იქნა ჯალალ-ედინის შვილის სულთან ველედის მიერ. უკანასკნელმა თავის თხზულებას სახელად „რებაბ-ნამე“ უწოდა. სმირნოვი აღნიშნავს, რომ „რებაბ-ნამე“ დაწერილი იყო ნაწილობრივად თურქულ და ნაწილობრივად ბერძნულ ენაზე, მხოლოდ თურქული ტრანსკრიფციით, მაგრამ არ განმარტავს ამის მიზეზს. საფიქრებელია, რომ ეს უნდა გამოწვეული ყოფილიყო მხოლოდდამხოლოდ ამ ნაწარმოების შინაარსის ქრისტიან ბერძნებს შორის გავრცელების მიზნით, მით უმეტეს, რომ „ეს უკანასკნელნი შეიცავენ არა განვითარებას, არამედ, ასე ვთქვათ, ვარირებას, ილუსტრაციას იმავე ძირითად იდეისას, რომელიც წარმოადგენს იოანეს სახარების პირველ თავს, პირველი ცხრა ტაეპის შინაარსს, რომელიც ნაწილობრივად შეიდა აგრეთვე

ნიკეის სარწმუნოების სიმბოლოში, ამ სიმბოლოს მეორე წევრის სიტყვების სახით „ნათელი ნათლისაგან“ [1].

როგორც ჩანს, ეს მიმდინარეობა იმდენად გავრცელდა, რომ ოსმალეთის ზოგიერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოღვაწეც კი მზად იყო მისთვის მხარი დაეჭირა. ოსმალეთის XVI საუკუნის ნოველისტი ლიამი გადმოგვცემს საუბარს სულთან მურად პირველის (1359—1389) სარდალ სარიჯა ფაშისას (სულთან ბაიაზეთ I ილდირიმის დროს ვეზირად მოღვაწეობდა), რომელიც ამბობდა: „მეორე პარტია კი, ასევე დიდად სწავლული პირებისა, ამტკიცებს, რომ მესიის რწმენა არის ნამდვილად უძველესი რწმენა, მაჰმადის რწმენა კი შემდეგ წარმოშობილი წესია. ჰო და, ჩვენ საქმე გვექნება ამ ორივე რწმენასთან და მივყვებით ორივე წინასწარმეტყველს, რომლის სიტყვებიც აღდგომის დროს და საშინელ სამსჯავროს წინაშე გამართლდება, ე. ი. ორიდან, რომელიც უფრო სასიამოვნო იქნება ღმერთისადმი, იმ რწმენის მიხედვით ჩვენი კეთილი საქმეები ჩვენ აღმოგვიჩენენ მფარველობას“ [2].

ქრისტიანობასთან ისლამის შემდგომ დაახლოებას აგრძელებს სწავლული შეიხი სიმავნა ოღლი ბედრ-ედინი. იგი თავდაპირველად თემურ-ლენგის სასახლეში სარწმუნოების საკითხების გადაჭრაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. როდესაც თემური ოსმალეთის სამფლობელოს შეესია, ბედრ-ედინი ოსმალეთში სათავეში ჩაუდგა დერვიშებისა და დანიშმენდების მოძრაობას. ამ მოძრაობის ლოზუნგად იქცა: მაჰმადის მიმდევრებისა და ქრისტიანების ძმობა და გაერთიანება. ეს აჯანყება ჩახშობილ იქნა 1418 წელს და ბედრ-ედინიც სიკვდილით დაისაჯა.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოძრაობა შემდეგშიც ფართო ხასიათს ღებულობდა. მასში ჩაებნენ ისეთი პირნიც, რომლებიც ოფიციალურად ცნობილი იყვნენ ყურანის და, მაშასადამე, კანონების განმმარტებლადაც. სულთან სულეიმანის დროს (1527 წელს) ერთ-ერთი ასეთი მუსლიმანი განმმარტებელი სახელად კაბიზი, რომელიც ქრისტეს უფრო მაღლა აყენებდა მაჰმადზე და სახარებას ყურანზე, გასამართლებულ იქნა ორ ყადიესკერის მიერ, მაგრამ, რადგანაც უკანასკნელებმა თავიანთი ბრალდება—მაჰმადის უპირატესობა ქრისტეზე—ვერ დაამტკიცეს, ამიტომ პირველმა ვეზირმა იბრაჰიმ ფაშამ არ სცნო ყაბიზი დამნაშავედ. შემდეგში, ხელახალი გასამართლების დროს, რომელშიც სტამბოლის მოსამართლეები საად-ედინი და მუფთი ქემალფაშა ღებულობდნენ მონაწილეობას, მას სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს.

---

[1] В. Д. Смирнов. Христиан. турок и дервишский суфизм, გვ. 143.

[2] იქვე, გვ. 139.

სმირნოვი დაასკვნის, რომ მაჰმადიანობა, ამგვარად, დიდ მომთმენობას იჩენდა სხვა რელიგიების მიმართო. მაგრამ, რადგან ავტორს ეს „მომთმენობა“ არა აქვს მოცემული თურქეთის პოლიტიკის „დროსა და სივრცეში“, ამიტომ ასეთი დასკვნის გამოტანა ყველა ეპოქისათვის არ იქნებოდა საკმაოთ სწორი. სანამ თურქები დაპყრობით ბრძოლებს რელიგიურ სამოსელში ატარებდნენ, მანამდე ზედმეტი იყო „მომთმენობაზე“ ლაპარკი. თურქები ქრისტიანობისადმი ლმობიერ დამოკიდებულებას იჩენდნენ მხოლოდ მაშინ, როცა ხედავდნენ, რომ ქრისტიანობის თვით ქრისტიანეთა დასამორჩილებელ იარაღად გამოყენება შეიძლებოდა, როცა ამ რელიგიის მიმდევართა რაოდენობა ოსმალეთის ტერიტორიაზე, შედარებით თურქების რაოდენობასთან, სახიფათო გახდა, და ბოლოს, ვიდრე მაჰმადიანობაში შიგნით გაძლიერდებოდნენ ოპოზიციური ჯგუფები.

ქრისტიანეთა მდგომარეობის საკითხს იხილავს აგრეთვე ვ. გ ი რ გ ა ს ი თავის სამაგისტრო შრომაში „Права христиан на востоке по мусульманским законам“. აღნიშნული შრომა უმთავრესად დამყარებულია პირველ წყაროებზე და ამ მხრივ ფრიად მნიშვნელოვანია. შესავალში ავტორი მუსლიმანურ სამყაროს ზნე-ჩვეულებებს, უფლებრივ მდგომარეობას, წესებს და სხვათ ყურანის მიხედვით იკვლევს. ამის შემდეგ გადადის უშუალოდ ქრისტიანეთა უფლებრივ მდგომარეობაზე ისლამის სამყაროში. აღნიშნულია, რომ ქრისტიანეთა შევიწროება დაიწყო ჯერ კიდევ მაჰმადმა ნეჯრანში, თუმცა დროგამოშვებით ეგვიპტისა და სხვა სახალიფოებში ქრისტიანების მიმართ ლმობიერებასაც იჩენდნენ. ეს გარემოება, ავტორის აზრით, დამოკიდებული იყო ქრისტიანეთა სასარგებლოდ გამოყენების შესაძლებლობაზე. მაგალითად: „ძალა-უფლების აბასიდების საგვარეულოს ხელში გადასვლიდან ქრისტიანებმა მიიღეს მეტი მნიშვნელობა იმიტომ, რომ ხალიფა მანსურმა მათ დაავალა— მოენახათ ბენი უმეის საგვარეულოდან გაქცეული პირები და მათი თანამიმდევარნი“[1].

ასეთივე გარემოებას ჰქონდა ადგილი ოსმალეთშიც. კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგ მაჰმუდ II-ემ იმ ქრისტიანების მიმართ, რომლებიც გადახვეწილი იყვნენ სხვადასხვა ადგილში, სრული ამნისტია გამოაცხადა და დაბრუნებულთ დაჰპირდა, რომ ოსმალეთში ცხოვრებისათვის მათ დამაკმაყოფილებელ პირობებს შეუქმნიდა. ბერძნებმა სულთნის დასტურით პატრიარქად გიორგი სქოლარი აირჩეს. პატრიარქმა მალე მიიღო ფირმანი, რომლის მიხედვითაც არავის ჰქონდა უფლება მათთვის შეურაცხყოფის

[1] В. Г и р г а с. Права христиан на востоке по мусульманским законам, გვ. 70.

მიყენებისა ან შევიწროებისა. ამავე ფირმანით უზენაესი სამღვდელოება თავისუფლდებოდა გადასახადებისაგან. კონსტანტინოპოლის პატრიარქს სასამართლოს ზოგიერთი უფლებაც მიენიჭა, მას ჰყავდა თავისი წარმომადგენელი სულთნის სასახლეში ყაფუ-ყაიად წოდებული. ამავე უფლებებით მაჰმუდ II-ის განკარგულებით ბრუსიდან მოწვეულ იქნა სომხების არქიეპისკოპოსი იოახიმე.

მაგრამ იმავე მაჰმუდ II-ემ სასტიკად დასაჯა კონსტანტინოპოლის პატრიარქები იოსები და მაქსიმე, სიმონი გადააყენა, რაფაელი კი საპყრობილეში გარდაიცვალა.

ბ ა რ თ ო ლ დ ი ს „Мусульманский мир“ მაჰმადიანურ რელიგიას აღიარებს საერთაშორისო ხასიათის მქონედ იმდენად, რამდენადაც ის თავისში იტევს თითქმის ყველა სარწმუნოების ელემენტებს. ყურანის მიერ ქრისტე ცნობილია ღვთაებად, ამიტომ ქრისტიანობა მაჰმადიანობისათვის სავსებით მიუღებელი არაა. ისლამი, ისე როგორც ქრისტიანობა, თუმცა სხვა სახით, აღიარებს საიქიოს არსებობას. მაშასადამე, წინააღმდეგობა ამ ორ რელიგიურ მიმდინარეობას შორის არც ისე დიდია, რომ გარდაუვალ უფსკრულს ჰქმნიდეს. ისლამი დაპყრობილ ხალხისათვის განთავისუფლების ერთგვარ იმედს წარმოადგენდა, მით უმეტეს, რომ იგი (ისლამი) წარმოიშვა გვაროვნული ურთიერთობის წიაღში და ითვალისწინებდა ღარიბებისადმი დახმარებას, თემის კეთილმდგომარეობის განმტკიცებაზე ზრუნვას და სხვა.

ამასთან ერთად, თუ ქრისტიანულ ქვეყნებში ინკვიზიცია სასტიკად სდევნიდა სხვადასხვა მიმდინარეობის შექმნას თვით ქრისტიანული რელიგიის შიგნით და ამის შედეგად უამრავი ხალხი ესალმებოდა სიცოცხლეს, სამაგიეროდ ქრისტიანების ეს მიმდინარეობანი თავისუფლად არსებობდნენ მუსლიმანთა სამყაროში. „ეხლოლოდ ისლამის ბატონობის ქვეშ იყო შესაძლებელი მომთმენობის პრინციპის ზეიმი თვით ქრისტიანეთა შორის“[1]. ბართოლდი ქვევით განაგრძობს: „ევროპის ქრისტიანე მლოცავებიც კი მუსლიმანთა სამყაროში თავიანთი სიცოცხლისა და ქონების უფრო მეტ უშიშროებას ჰპოვებდნენ, ვინემ ქრისტიანულ სამშობლოში“[2]-ო.

ამ მიზეზებმა მისცეს წარმატება მუსლიმანების უდიდეს დაპყრობებს. მაგრამ, მეორე მხრით, თურქების მიერ ჩატარებული ბრძოლების საბოლოო გამარჯვებას ხელი შეუწყო აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ ამ პერიოდში ფეოდალური ევროპა დაქუცმაცებული და დაქსაქსული აღმოჩნდა. „თურქების სამხედრო წარმატებები შუასაუკუნეებშიაც თურქებისათვის სიამაყეს წარმოადგენდა... სიამაყით

[1] ბ ა რ თ ო ლ ბ ლ. Мусульманский мир, გვ. 22.
[2] იქვე, გვ. 22.

შოჰყავთ წინასწარმეტყველის მიერ გადმოცემული თქმულება, რომელიც თვით ალლაჰს მიეწერებოდა: „მე მყავს ჯარი, რომელსაც ვუწოდე თურქები და დავასახლე აღმოსავლეთში; როცა მე გავწყრები რომელიმე ხალხზე, მე მათ ვაძლევ მასზე ძალა-უფლებას“[1].

თურქების დაპყრობათა ხასიათს ბართოლდი აღნიშნულ შრომის მე-40 გვერდზე ასხვავებს მონღოლთა დაპყრობებისაგან და აღნიშნავს, რომ პირველნი უფრო ხალხთა გადმოსახლებას წარმოადგენდნენ. თურქები უფრო დიდი რაოდენობით წამოვიდნენ წინა აზიაში, სადაც შეხვდათ მოსახლეობის შედარებით თხელი განლაგება ტერიტორიაზე; ამიტომ, მიუხედავად მათი განვითარების დაბალი დონისა შედარებით ადგილობრივ მოსახლეობასთან, მაინც შესძლეს თავიანთი ნაციონალური დამოუკიდებლობის შენარჩუნება და კიდეც მოახერხეს თურქული ენის განმტკიცება ადგილობრივ მოსახლეობაში.

უნდა ითქვას, რომ აღნიშნული დებულება ვერ პოულობს სათანადო დამტკიცებას. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ საკითხი თურქების წინა აზიაში მოსვლისა ჯერაც არ არის საბოლოოდ გადაწყვეტილი. აკადემიკოსი მ ა რ ი, თურქ-სელჯუქების ისტორიის მონაცემებიდან გამომდინარე, თავის მოგზაურობის ანგარიშებში გადაჭრით უარჰყოფდა თურქების მოსვლას და მათ ადგილობრივ მცხოვრებლებად აღიარებდა, და მეორეც — თურქები მოსვლისას ჯერ კიდევ არ იყვნენ ჩამოყალიბებული ნაციად და ამიტომ იმის შენარჩუნება, რაც მათ არ გააჩნდათ, გაუგებარია. თავიანთი სახელმწიფო გაერთიანება თურქებმა შეინარჩუნეს ძლიერი ცენტრალიზებული ძალა-უფლებისა და იმ რელიგიური ფანატიზმით, რომელიც ამ გაერთიანებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. გარდა ამისა, ეს დებულება ფაქტიურ თვალსაზრისითაც, თურქული ენის ადგილობრივ მოსახლეთა შორის განმტკიცებაზე, არაა სწორი, რადგან ცნობილია, რომ დღესაც მთელ რიგ ხალხებს, რომლებიც ოსმალეთის სახელმწიფოში იმყოფებიან, შენარჩუნებული აქვთ მშობლიური ენა.

მუსლიმანური რელიგიის წარმოშობა და შემდგომი განვითარება ცალკე სექტების ჩამოყალიბებით მოცემულია ნ. ს მ ი რ ნ ო ვ ი ს ნაშრომში „Мусульманское сектантство“, რომელიც გამოიცა 1930 წელს. ავტორი საკითხის განხილვას იწყებს ისლამის განვითარების ზოგადი მიმოხილვით და აღნიშნავს, რომ ისლამის წარმოშობის მიზეზი იყო არაბეთის მეურნეობის კრიზისი, რაც მოხდა

[1] იქვე, გვ. 40.

VII საუკუნეში და მეურნეობის ახალი ფორმების წარმოებაში. ისლამი არაბების ახალ დაპყრობებთან ერთად სწრაფად გავრცელდა სპარსეთშიც. მაგრამ, რადგან ჯერ კიდევ ისლამი მთლიანად ჩამოყალიბებული არ იყო და, მეორე მხრით, სპარსეთის უკმაყოფილო ელემენტები ცდილობდნენ არაბების ბატონობის თავიდან აცილებას, ამიტომ დაიწყო ისლამში ისეთი მომენტების შეტანა, რომლებიც სპარსეთის ადგილობრივ მოსახლეობას ახასიათებდა. ამგვარად, ისლამის სახეც მას შემდეგ მნიშვნელოვნად შეიცვალა.

ყოველგვარი მუსლიმანური სექტანტობა წარმოიშვა გარკვეულ სოციალ-ეკონომიურ პირობებში. ეს თვალსაჩინოდ ჩანს პროფესორ კრიმსკის შენიშვნებიდანაც (სუფიზმის განვითარების მიმოხილვა ჰიჯრის III საუკუნის ბოლომდე). „სუფიების ნაწარმოებთა კეთილსინდისიერმა შესწავლამ,—ამბობს პროფ. ა. კრიმსკი,—მე მიმიყვანა იმ რწმენამდე, რომ დოქტრინის გავრცელების ყველა მიზეზი თავს იყრის სოციალ-ეკონომიურ მიზეზებთან. ამ აზრში მარწმუნებდა ის ისტორიული ფაქტიც, რომ სუფიზმის მთავარი აყვავების ეპოქები ყოველთვის ემთხვევიან ხალხების საშინელ უბედურებათა ეპოქებს“-ო[1].

აღნიშნულ შრომაში მოცემულია, თუმცა სქემატურად, შემდეგი მუსლიმანური სექტები: დერვიშიზმი, იშანიზმი, მიურიდიზმი, ისმაილიზმი, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან—ბაბიზმი, ბეხაიზმი, შეიხიზმი და სხვები. პოპულარულად აღწერილია მათი შინაგანი სტრუქტურა, მათი მოქმედება მოსახლეობაში, მათი დამოკიდებულება სექტების მიმდევრებთან და სხვა.

თითქმის ანალოგიურ საკითხებს იხილავს პ. პოზდნეევიც თავის შრომაში, „Дервишизм в мусульманском мире“. ეს გამოკვლევა, მიუხედავად იმისა, რომ მთლიანად იდეალისტურ საფუძვლებზეა აგებული, წარმოადგენს კაპიტალურ შრომას და მდიდარ კონკრეტულ მასალას შეიცავს. გარდა იმისა, რომ ავტორი ემყარებასათანადო პირველ წყაროებს, მას აგრეთვე საკუთარ დაკვირვებათა საფუძველზე შეუსწავლია თურქისტანის დერვიშები და აღნიშნულ შრომაში გამოუყენებია დერვიშიზმის ისეთი საუკეთესო მკვლევარების შრომები, როგორიც იყვნენ: დ'ოსონი, ბრუკერი, გრემი, სერ ვილიამს ჯონი, მალკოლმი, ფონ ჰამერ პურგასტალი, თოლუკი, სილვერსტ დე-სასი, დ'ერბელო, დელინგერი, ჯონ ბროუნი, მადენი, უბისინი, იბნ-ხალდუნი, ბადენშტედტი, ვამბერი, ოსმან ბეი და მრავალი სხვა.

[1] В. Д. Смирнов. Мусульманское сектантство, გვ. 11.

ავტორის აზრით იმდენად, რამდენადაც დერვიშიზმი მჭიდრო ურთიერთობაში იყო ისლამთან და ამ უკანასკნელის საფუძვლები კი არაბეთში ისლამის სარწმუნოებამდე არსებულ სხვადასხვა რელიგიურ მიმდინარეობას ემყარებოდა—დერვიშიზმის საფუძველებიც უნდა ვეძიოთ ამ სხვადასხვა მიმდინარეობაშიო. „დერვიშობა, ანუ სუფიობა არაბეთსა და სპარსეთში არსებობდა დიდი ხნით ადრე მაჰმადამდე, მხოლოდ სხვა სახელწოდებით, და ამასთან ერთად არაბეთში სხვა და სპარსეთში სხვა სახელით". „სახელწოდებებში არსებული სხვაობა—ამბობს ავტორი—დამოკიდებული იყო იმ ფილოსოფიურ ელემენტზე, რომლისაგანაც მან თავისი დასაწყისი მიიღო"[1]. ავტორის თქმით „ჯერ კიდევ ადრე ქ. დ-მდე არაბეთში შემოტანილი იყო რელიგიური იდეები სპარსეთიდან, ეგვიპტიდან, იუდეიდან, საბერძნეთიდან და არაარაბული წარმოშობის სემიტური ტომებიდან, როგორიც არიან ადიტები, იდომიტელები და სხვა"[2]. უფრო ქვევით იგი აღნიშნავს: „ამ პერიოდში არაბებს ურთიერთობა ჰქონდათ უმთავრესად ქრისტიანობასთან, კერპთაყვანისმცემლობის ხასიათის მქონე ერებთან, საბერძნეთ-რომაულ კერპთაყვანისმცემლობასთან, სპარსეთის მაგიურობასთან და ებრაელობასთან".

მაჰმადიანობაში შემოჭრილ ნესტორიანელობის გავლენით ერთი მხრით, და მეორე მხრით კი ყურანის არაბეთში ფართო გავრცელების გამო მაჰმადიანობამდე არსებული არაბეთის ფილოსოფიურ-რელიგიური სექტები გარდიქმნა და უფრო მეტად განმტკიცდა აბასიდების ბატონობის დროს, როცა სექტების რიცხვი მნიშვნელოვან რაოდენობას აღწევს. მაგრამ ყველა ეს სექტა უმთავრესად უნდა დაყვანილი იქნეს სამ კატეგორიამდე. პირველ კატეგორიას მიეკუთვნებიან ისინი, რომლებიც არისტოტელეს მსოფლმხედველობის პრინციპს მისდევენ და აზროვნების უფლებას აღიარებენ. მათი წარმომადგენლები არიან მუტაზელიტები; მეორე კატეგორია აზროვნების საფუძვლად სთვლის რელიგიურ ჭეშმარიტებას, მათი წარმომადგენლებია მოთაგალიმები; და ბოლოს — მესამე ჯგუფში თავს იყრიან მისტიკური სექტები.

დერვიშიზმის ორდენთა საერთო რაოდენობა შრომაში გამოურკვეველი რჩება „მთელ რიგ სხვადასხვა მიზეზის გამო". მაგრამ აქ მოცემულია სია იმ ორდენებისა, რომლებიც ოსმალეთის იმპერიის ჩამოყალიბებამდე არსებობდნენ. სიაში დასახელებულია 37-მდე ასეთი ორდენი. სია იმითაა მნიშვნელოვანი, რომ აქვეა მოცემული დასახელებული ორდენების დამაარსებელი პირები, ორდენთა სახელ-

[1] П. Позднеев. Дервишизм в мусульманском мире, стр. XXXVI.
[2] იქვე, გვ. 5.

წოდებანი და დაარსების თარიღიც. ავტორი მის დროს (XIX საუკუნის სამოციანი წლები) არსებულ ორდენთა რაოდენობის საბოლოო დაზუსტებას შეუძლებლად სთვლის და აღნიშნავს მხოლოდ იმას, თუ სად და რომელ ორდენს აქვს მოხვეჭილი სახელი. მაგალითად, მისი აზრით, შუა აზიაში დიდი გავლენით სარგებლობს ნაქშიბენდის ორდენი, ინდოეთსა და სპარსეთში—ნიგმეთ-ულაღის და ჰაიდარის ორდენი, თურქეთში—კადრიეს, რუფაის, ჯელვეთის, ხალვეთის და განსაკუთრებით კი მევლევის ორდენი, ეგვიპტეში—რუფაის, ყადირის, ბედევისა და სხვა.

დერვიშიზმის მოძღვრების დასახასიათებლად ავტორს მოჰყავს ორიენტალისტ ჰარსენ დე-ტასის ნათქვამი იმის შესახებ, რომ მუსლიმანების ფილოსოფ-სუფიებმა, რომლებიც ინდოეთის პანთეიზმსა და ყურანს შორის აღმოჩნდნენ, დაარსეს პანთეისტური სკოლა... „პანთეიზმს, როგორც მორალურ მოძღვრებას, მივყევართ იმავე დასკვნამდე, როგორც მატერიალიზმს,—ადამიანთა თავისუფლების უარყოფამდე, ინდეფერენტიზმამდე მოქმედებებში და დროებითი სიამოვნების კანონიერად აღიარებამდე. ამ სისტემაში ყველაფერი—ღმერთია, თვითონ მის გარდა, ვინაიდან სწორედ ამის გამო, ის უკვე იქცევა არა ღმერთად. სუფიზმის სპირიტიზმი თუმცა მატერიალიზმის საწინააღმდეგო მოვლენაა, მაგრამ არსებითად მასთან იგივეობაშია“[1]. პოზდნეევის აზრით დერვიშები, როგორც სუფიზმის მიმდევარნი, ბუნების ყოველგვარ მოვლენაში ხედავენ ღმერთს, ღმერთი არსებობს მინდორში, იგი იმყოფება ხესა და ქვაში. ერთი სიტყვით, ღვთაება გათქვეფილია ყველა საგანში. ყველაფერი ეს სიყალბე ავტორს ჰარსენ დე-ტასისთან და მეორე ორიენტალისტ უბისინისთან ერთად მატერიალიზმად მიაჩნია და ამიტომ სასტიკად ილაშქრებს დერვიშიზმის წინააღმდეგ.

შრომაში დაწვრილებითაა მოცემული ორდენების აგებულობის სურათი. ავტორი აღნიშნავს, რომ დერვიშების ურთიერთობა ორდენთა სტრუქტურაში დამყარებულია იერარქიულ პრინციპზე. ყველაზე დიდი პატივისცემით ამ სისტემაში სარგებლობენ შეიხები, შემდეგ მათი მემკვიდრეები რაისულ-მეშეიხები. მაგრამ ოსმალეთში მევლევის ორდენის უფროსი ატარებს აგრეთვე ჩელები ეფენდის სახელწოდებასაც. თურქეთში ჯონ ბროუნის თქმით—ამბობს ავტორი—მურშიდების საგვარეულოში შეიხის თანამდებობა საერთოდ სამემკვიდრეო მოვლენად გადაიქცა, თუმცა შვილისა და მემკვიდრის უყოლობის შემთხვევაში ორდენის წევრებს შეუძლიათ აირჩიონ თავიანთ ხელმძღვანელად თავის შემადგენლობიდანაც“ და დასძენს,

[1] იქვე, გვ. 78—79.

რომ სწორედ ასევე იქცევიან თურქისტანის დერვიშებიც მიურშიდის, ანუ შეიხის თანამდებობაზე ამა თუ იმ პირის წამოყენებისას.

ყოველივე ამის შემდეგ ავტორი მართებულად აყენებს საკითხს ორდენების დამოკიდებულებისას ხელისუფლებასთან მუსლიმანურ ქვეყნებში. კერძოდ, ოსმალეთის შესახებ ნათქვამია, რომ აქ ორდენები ემორჩილება არა დერვიშს, არამედ წმინდა მუსლიმან შეიხულ-ისლამს, რომელიც წარმოადგენს მუსლიმანური სარწმუნოების სულიერ ხელმძღვანელს. უკანასკნელს ნიშნავს თვით სულთანი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დერვიშების ორდენები თავის მხრით საკმაო გავლენით სარგებლობდნენ ოსმალეთის სახელმწიფო აპარატში. ამის დამადასტურებელია ბექტაშობის ორდენის წარმოშობა და მისი შემდგომი განვითარება. ფონ ჰამერის თქმით იენიჩართა ჯარების ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია ბექტაშის ორდენმა. ამიტომ იყო, რომ ბექტაშის ორდენის ყველა ხელმძღვანელი იმავე დროს იენიჩარების მეოთხმოცდაცხრამეტე პოლკის (რომელსაც სახელად ჯემაჰათს უწოდებდნენ) უფროსებად ითვლებოდნენ. ბექტაშის ორდენი ასეთი გავლენით სარგებლობდა ოსმალეთში 1826 წლის 15 ივნისამდე, როდესაც სულთან მაჰმუდმა თვით იენიჩარები გაანადგურა.

შემდეგ, შრომაში განხილულია ორდენების მატერიალური ბაზა. „დერვიშთა ორდენები ყველა მუსლიმანურ სახელმწიფოში ცნობილი არიან კანონიერ დაწესებულებად; მაგრამ მათ არ უთმობენ მიწებს ისე, როგორც გლეხებსა და მემამულეებს, არ ენიშნებათ თანხა სახელმწიფო ფულებიდან, როგორც ეს ხდება სხვა სახელმწიფო დაწესებულებათა მიმართ, მაგალითად, სასწავლო დაწესებულებების მიმართ“[1]. მიუხედავად ამისა, რეის-ულ-შეიხებს და შეიხებს აქვთ დიდძალი კაპიტალი და მასთან ერთად უზარმაზარ მამულებს ჰფლობენ. ავტორის აზრით ეს სიმდიდრე ორდენებმა ეგრედწოდებულ ვაკუფის საშუალებით დააგროვეს. ვაკუფების ორდენებისადმი გაცემაში ყველაზე მეტად განირჩეოდნენ სელჯუქების სულთნები, რომლებიც „ანდერძის“ სახით უტოვებდნენ ორდენებს (განსაკუთრებით მევლევიასს) მთელ რიგ სოფლებსა და ხანდახან ქალაქსაც კი. ასე იყო ოსმალეთშიც. მურად IV-ემ 1044 წ. (=1634 წ.), როდესაც სპარსეთზე გაილაშქრა, იკონიაზე გავლით მცირე აზიაში ერთ-ერთი დაპყრობილი ქალაქის სულადი გადასახადი მთლიანად მევლევის ორდენს უბოძა. მაგრამ სულთნებს ამ საქმეში არ ჩამორჩებოდა მსხვილი მემამულეები და გლეხობაც კი.

---

[1] П. Позднеев. Дервишизм в мусульманском мире, стр. 153.

ორდენების ურთიერთ განმასხვავებელ ნიშნებად შრომაში მოცემულია ორდენების გარეგნული სხვაობა. თითოეულ ორდენს სხვადასხვა ფერის დროშა გააჩნია. მაგალითად, რუფაის ორდენის დროშა შავი ფერისაა, კადრიესი — თეთრი, ბეკტაშის, ნახშიბენდისა და სხ.—მწვანე და ასე შემდეგ. თითოეული ორდენის დერვიშიც სხვადასხვა ფერის ტანსაცმელსა და ქუდს ატარებს. სამწუხაროდ, ავტორი თავის გამოკვლევაში ვერ იძლევა სხვადასხვა ფერის წარმოშობის მიზეზს. აღნიშნული ნაშრომის მიხედვით ორდენებმა XII საუკუნეში უკვე გამოიყენეს მუსიკა, რომლის ხმარებასაც ყურანი საერთოდ ჰკრძალავს. პირველი, რომელმაც მიიღო ის თავის ორდენის პრაქტიკაში, „იყო საჰათ შემს-ედინი ყადრიეს ორდენის დამაარსებელი აბდულ-ყადირ ჰილიანის უშუალო მემკვიდრე. 1170 წელს მან თავის დერვიშებს ნება დართო გამოეყენებიათ დოლი მხოლოდ იმისათვის, რომ ხელი შეეწყოთ „ნაბიჯების თანაზომიერებისა და მოძრაობის სიმკვირცხლისათვის“. გადმოიღო რა მევლევიმ ყადრიესაგან თარი, მან ამას მიუმატა კიდევ ფლეიტა, რომელსაც ნაი, ანუ არგული ეწოდება“[1].

ყველა ამასთან ერთად ნაშრომში განხილულია აგრეთვე მიურიდების ორდენში მიღების წესები და ის ფორმალური მხარეები ახალ მიმდევართა მიღებისა, რომლებსაც დერვიშიზმის მიმდინარეობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ. შემდეგ მოცემულია მიურიდების ყოფა-ცხოვრების განმსაზღვრელი წესები, მათი დამოკიდებულება (უფრო სწორად რომ ვთქვათ დამორჩილება) შეიხებთან. საინტერესოდაა აღწერილი დერვიშების მიერ ეგრედწოდებული ზიქრის შესრულების პროცესი და სპირიტუალიზმის ის მოვლენები, რომლებსაც დერვიშები ახდენენ სათანადო წინასწარი გავარჯიშების შემდეგ. ნარკვევის ავტორი აღნიშნავს, რომ ყველაფერი ეს დერვიშებს ესაჭიროებათ იმისათვის, რათა ცრუმორწმუნე მოსახლეობაში სათანადო ავტორიტეტი და გავლენა მოიპოვონო.

იქ, სადაც ლაპარაკია იმ დერვიშების განცალკევებულ ცხოვრებაზე, რომელნიც მუსლიმანთა წმინდანების ძეგლებს ემსახურებიან, ავტორი ხაზს უსვამს შემდეგ გარემოებას: „მუსლიმანური რელიგიის პირდაპირი მითითების,—არ სცენ ღვთაებრივი თაყვანი არაფერს და არავის ღმერთის გარდა,—საწინააღმდეგოდ მაჰმადიანურ ხალხებს შორის ფართოდ და ღრმად გავრცელდა წმინდანებისადმი თაყვანისცემა, რაც იმ ზომამდე მივიდა, რომ ღმერთის ნაცვლად ისინი ახლა თაყვანს სცემენ ადამიანებს და თითქმის ცხოველებსა და

[1] იქვე, გვ. 188.

უსულო საგნებსაც კი"[1]. პოზდნეევი ამ გარემოებას, თუმცა სხვა თვალსაზრისით, სასტიკად აკრიტიკებს. ამ შემთხვევაში მას მოჰყავს ჯ ო ნ ბ რ ო უ ნ ი ს ნაშრომიდან ისეთი ადგილი, სადაც მუსლიმანური წმინდანის როლში გამოყვანილია სახედარი. დამახასიათებელია ამ ადგილის შინაარსი. მცირე აზიის ერთ-ერთი ქალაქის მახლობლად გარდაცვალებულ წმინდა შეიხის საფლავს ემსახურებოდა და იცავდა გარდაცვალებულის მემკვიდრე შეიხი, რომელსაც ადგილობრივ მოსახლეობაში სახელი ჰქონდა განთქმული თავის ღვთისმოსაობით. ვინაიდან ამ მიდამოებში სხვა წმინდანი არ მოიპოვებოდა, ამიტომ მხოლოდ მასთან მოდიოდა გლეხობა სალოცავად და შეიხისათვის საკმაოდ დიდი რაოდენობის საჩუქრები მოჰქონდა. მას ჰყავდა მიურიდი (მოწაფე), სახელად ალი, რომელსაც შეიხი ამზადებდა ღვთისმსახურებისათვის. როცა ალი საკმაოდ გაიწვრთნა ღვთისმსახურების საქმეში, შეიხმა აცნობა მას ღვთის გადაწყვეტილება მისი წასვლის შესახებ ქ. მექაში მაჰმადის, ჰასანისა და ჰუსეინის საფლავთათვის თაყვანსაცემად. შეიხმა ალის თან გააყოლა თავისი სახედარი, რომელიც შეიხს დიდხანს ემსახურებოდა. უნდა ითქვას, რომ ალის ეს სახედარი ვერ შეუმსუბუქებდა მგზავრობას, რადგან ჯერ ერთი, სახედარი დიდი ხნისა აღმოჩნდა და მეორეც — იმდენად დასუსტებული იყო, რომ ძლივსძლიობით მიათრევდა ფეხებს.

რამდენიმე დღის მგზავრობის შემდეგ, უდაბნოში, სახედარი დაეცა. ალიმ გზის ნაპირიდან ის ცოტა მოშორებით გადაათრია. ამ დროს შორიდან მან გზაზე ოთხმოცი ცხენოსანთა ჯგუფი შეამჩნია. იმის შიშით, რომ ალისათვის სახედარის მოკვლა არ დაებრალებიათ, მან გათხარა ქვიშა და სახედარს ზედ გადააყარა. მალე მზგავრებიც მოვიდნენ. ერთ-ერთი მათგანი აღმოჩნდა ამ მიდამოების ბეგი, რომელმაც მტირალა დერვიშს ალის მიუსამძიმრა ძმის სიკვდილი და აღუთქვა, რომ თავის ხარჯით აქვე აუგებდა გარდაცვალებულს სამლოცველოს. ალის დასტოვებდა ამ გარდაცვალებული წმინდანის ნეშთის მომვლელად და მთელ მის სიცოცხლეში უხრუნველჰყოფდა მას მატერიალურად.

ბეგმა დაპირება კიდეც შეასრულა. ალი უვლიდა თავის „ძმის" ნეშთს და ამავე დროს უხვ შემოსავალს ღებულობდა მასთან მომსვლელ უამრავ მლოცველებისაგან. მალე ალის წმინდანობის სახელი მთელ მხარეს მოედო, ისე რომ, ამ ამბავმა ალის მასწავლებლამდეც მიაღწია. დერვიში გაკვირვებას მიეცა, რადგან ასეთი წმინდანი, თავის გარდა, ამ მიდამოებში არავინ ახსოვდა და ამიტომ გა-

[1] იქვე, გვ. 271—272.

დაწყვიტა მასთან წასვლა და ნახვა. ეს გადაწყვეტილება მან კიდეც მოიყვანა სისრულეში. ალი პირველად ვერ იცნო. შემდეგ საუბარში გამოირკვა, რომ იგი მისი ნამოწაფარი იყო. დერვიშმა სთხოვა ალის მოეთხრო იმის შესახებ, თუ იქ დასაფლავებული წმიდანი დერვიშების რომელ საგვარეულოს ეკუთვნის. ალი იძულებული გახდა ეთქვა დერვიშისათვის სახედრის სიკვდილის შესახებ და თავის მხრით დაჟინებით სთხოვა თავის მასწავლებელ დერვიშს ეცნობებია მის სამლოცველოში მყოფ წმიდანის ვინაობა, დერვიშმა გულახდილად უპასუხა, რომ იმ სამლოცველოში, სადაც ალიმ თავის მიურიდობა გაატარა, დამარხულია სწორედ მამა იმ სახედრისა, რომელიც ამჟამად ალის „ძმად“ და წმინდანად არის გადაქცეულიო.

როგორც ზევით გაკვრით იყო აღნიშნული, ავტორის ასეთი მკაცრი კრიტიკა დერვიშიზმისა გამოწვეული იყო არა იმით, რომ იგი (ავტორი) ანტირელიგიურად იყო განწყობილი, არამედ იმით, რომ დერვიშიზმი რუსეთში ერთგვარ ოპოზიციურ მიმდინარეობას წარმოადგენდა მეფის რუსეთის მიმართ. „1868 წ. დერვიშები აქეზებდნენ ორენბურგის ყირგიზებს—სწერს პოზდნეევი—არ მიეღოთ ხელმწიფის მიერ ახლად დამტკიცებული დებულება მოხეტიალე ხალხის მმართველობის შესახებ; იმავე წელს აღმოლელ ყირგიზებს მოუწოდებდნენ—არ მიეღოთ კანონები თანამდებობის პირთა შესახებ. მიმდინარე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში, როცა რუსები უკვე ჰფლობენ ტაშკენტს, დერვიშები ჯგუფებად ხეტიალობენ ამ ქალაქში და სთხოვენ რა მოსახლეობას ყოველგვარ შეწირულებას, მათში აღვივებენ შურლსა და მტრობას რუსეთის მიმართ“[1].

რაც შეეხება მუსლიმანურ სახელმწიფოთა დამოკიდებულების საკითხს დეერიშებიან და ამ უკანასკნელთა გავლენას სახელმწიფოებრივ აპარატზე—ნარკვევში ის შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: დერვიშობა გაცილებით იოლად ეგუებოდა შიიზმის მიმდევარ ხალხებს და სპარსეთში დერვიშები სახელმწიფოს სათავეშიაც მოექცნენ. სამაგიეროდ მან დიდი წინააღმდეგობა ჰპოვა სუნიტებში, კერძოდ, ოსმალეთში. დერვიშები ასეთ მდგომარეობაში იყვნენ სპარსეთში XVIII, ხოლო ოსმალეთში XV საუკუნეებამდე. XV საუკუნის ნახევრის შემდეგ დერვიშების გავლენა ოსმალეთში თანდათან მატულობს. ასეთი გარდატეხა ამ საკითხში მოხდა „თვით დერვი-

[1] იქვე, გვ. 121—322.

შების მიერ საკუთარი დოქტრინის მაჰმადისა და ყურანის ავტორიტეტით მოხერხებულად დაფარვის შედეგად"[1].

სულთან მურად II დერვიშებთან დაახლოების მიზნით მაგნეზიაში წავიდა. ოსმან პირველის შვილმა სულეიმან ფაშამ თავისი თავისათვის, ჯარების ხელმძღვანელებისა და მოხელეებისათვის მევლევის ორდენის ფორმის ქუდები შემოიღო. მაგრამ XVII საუკუნიდან დერვიშების მდგომარეობა შეიცვალა, რადგან მათ წინააღმდეგ მოლები და ულემები ამხედრდნენ, რომელთაც სულთანი დაარწმუნეს იმაში, თითქოს დერვიშობა მაჰმადიანობის საწინააღმდეგო მოვლენაა, რომ დერვიშები თავისი დიდი გავლენით ხალხში, საშიშ მდგომარეობას ჰქმნიან საზოგადოებრივ ცხოვრებისათვის და რომ, საერთოდ, ისინი სახელმწიფოებრივი აპარატის ძირგამომთხრელ საქმიანობას აწარმოებენ. „როგორც არ უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში მთავრობისათვის უფრო ძლიერ და საშიშ მტერს დერვიშობა წარმოადგენს, იმიტომ რომ ის უდიდესი სულიერი გავლენით სარგებლობს ხალხის მასებზე"[2].

დერვიშიზმის საკითხზე არსებულ თანადართულ თურქული ლიტერატურიდან აღსანიშნავია ა ჰ მ ე დ რ ე ფ ი კ ი ს ნარკვევი — Osmanlı devrinde Rafızilikikve Bektatilik, რომელიც მოთავსებულია Darülfünun edebiyat fakultesi mecmuasi-ის 1932 წლის აპრილის ნომერში. გამოკვლევასთან თანდართულია დოკუმენტალური მასალები რაფიზილიკობისა და ბეკტაშობის შესახებ ოსმალეთში.

ამ ნარკვევის მიხედვით თურქეთში სარწმუნოების შემდგომი განვითარება ორი მიმართულებით წარიმართა. თავდაპირველად რუმილიაში უფრო მეტად განვითარდა ბეკტაშობა, მის შემდეგ კი, ანატოლიაში — რაფიზილიკობა. ოსმალეთის პირობებში ბეკტაშობამ მოიპოვა სახელი და განმტკიცდა, ხოლო რაფიზილიკობას, რომელიც მისი მტრის — ირანის იარაღად გადაიქცა, ოსმალეთში არასოდეს გასაქანი არ ეძლეოდა და იგი ცეცხლითა და მახვილით იდევნებოდა. ასეთი დებულების წამოყენების შემდეგ ავტორი იწყებს ბეკტაშობის წარმოშობისა და მის შემდგომი განვითარების უფრო კონკრეტულ მიმოხილვას.

ავტორის აზრით ოსმანის შვილების დროს სარწმუნოების დაზუსტებისა და საბოლოო გაფორმების მოძრაობა რუმელიიდან დაიწყო. ამ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა სახელგანთქმული შეიხი ბედრ-ედინი. იგი დაიბადა სიმავნიაში, რომელიც რუმილიაში ესკი

---

[1] იქვე, გვ. 306.
[2] იქვე, გვ. 315.

ზაგრასთან ერთად დაბა ადგილს წარმოადგენდა. ბედრ-ედინის მამა—ისრაელი სიმავნიის ყადი იყო. ჯერ კიდევ ბავშობისას მას სამარყანდამდე უმოგზაურნია. ბედრ-ედინიც მამის მსგავსად იზრდებოდა. თავისი ცოდნის დამთავრება-განმტკიცებისათვის მისრეთში წასვლისას კონიაზეც გაიარა. იქ ვინმე ფეიზულასთან სასწავლებლად ოთხი თვე დარჩა. მისრეთში მან და შეიხ ჯერჯანმა მუბარექ შაჰისაგან საჭირო დარიგება მიიღეს, რის შემდეგ ორივე მექაში წავიდნენ.

შემდეგში ბედრ-ედინი თავრიზში მოჰყვა და თემურ-ლენგის საბჭოში სარწმუნოების საკითხების გარშემო არბიტრის როლში გამოდიოდა. თავრიზიდან იგი ანატოლიაში გადავიდა, სადაც იმ დროისათვის ყველაზე განათლებულ და მცოდნე პირად იქნა ცნობილი. ამ დროს ოსმალეთის სახელმწიფოს ილდირიმ ბაიაზეთის ერთ-ერთი შვილი—მუსა ჩალაბი მართავდა, რომელმაც კაზიასაკერის თანამდებობაზე სამუშაოდ ბედრ-ედინი მიიწვია. სულთან მაჰმადმა თავისი ძმის მუსა ჩალაბის დამარცხებისა და განადგურების შემდეგ შეიხ ბედრ-ედინს თვიურად 1000 აღჩა დაუნიშნა და იზმეთში გაგზავნა საცხოვრებლად.

ბედრ-ედინს ამ დროს ორი მგზნებარე მოწაფე ჰყავდა: ბიუ-რექმოჯე მუსტაფა და თორლაკ ჰუ-ქემალი. შეიხმა მოწაფეებზე და მიმდევრებზე მეტი გავლენის მოპოვების მიზნით თავის სამოქმედო პროგრამაში მიწების განაწილების საკითხიც შეიტანა. გარდა ამისა, მას გათვალისწინებული ჰქონდა მოესპო განსხვავება უფლებრივ და სარწმუნოებრივ მდგომარეობაში ქრისტიანებსა და მაჰმადიანებს შორის. ბედრ-ედინმა თავი წმინდანად გამოაცხადა და რომ ქრისტიანები თავისკენ მიეზიდა—ყველა ანგელოზი უარჰყო და თავის მიურიდებს „მუჰამედ რასულ-უ-ლაჰის“ ნაცვლად „ლა ილ ალ აჰს“ აძახებინებდა. ყოველივე ამის შედეგად მის გარშემო, მართლაც მუსლიმანებზე მეტად ქრისტიანებმა მოიყარეს თავი. 1421 წელს ჯელალ სულთან მაჰმუდის განკარგულებით ბედრ-ედინი ჩამოხრჩობილ იქნა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს მოძრაობა შემდეგში უფრო მეტად განვითარდა.

ავტორის აზრით რაფიზილიკობის განვითარებას ხელი შეუწყო შაჰ ისმაილის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენამ, მაგრამ ძირითადი მიზეზი ამ მეორე მიმდინარეობის განვითარებისა უნდა ვეძიოთ ოსმანის შვილების პოლიტიკაში. მაჰმუდ II დამპყრობელმა ანატოლია ოსმალეთის სახელმწიფოს შეუერთა ისე, რომ არ გაითვალისწინა ანატოლიის ხალხის კეთილმდგომარეობა და ბედი. შიშველ კლდეებს შუა, „დიდ გადატრიალებასა, სამხედრო პირობების შექმ-

ნასა და მძიმე მდგომარეობაში“ მყოფი ხალხი აღელდა და წინააღმდეგობა ოსმალეთის მიმართ სარწმუნოებრივ მოძრაობაში გამოხატა. შაჰ ისმაილის შემოსევები კი, თავის მხრით, ამ ხალხს „გამარჯვების რწმენას უმტკიცებდა.

სარწმუნოებრივი ხასიათის აჯანყებები ფართოდ იწყება ოსმალეთში. მის ხელმძღვანელად ყარაბუიუქ ოღლი გახდა. მოძრაობის ცენტრად გადაიქცა თექეს სანჯაღი. ყარა ბუიუქ ოღლის ათასობით კაცი შეემატა. ხალხი მას შეიხ ოღლუს უწოდებდა, ოსმანის შვილებმა კი შეითან ყულუ დაარქვეს. ამ მოძრაობამ უკანასკნელნი ცუდ მდგომარეობაში ჩააყენა. მოძრაობის ჩახშობა ანატოლიის ბეგლარ-ბეგს—ყარაგვეზ ფაშას დაევალა, მაგრამ აჯანყებულებმა ის სასტიკად დაამარცხეს. ამის შემდეგ მათ წინააღმდეგ გაიგზავნენ ბაიაზეთ II-ის შვილი აჰმედი და მასთან ერთად ალი ფაშა. მეამბოხეებს თექეს მთელი რაიონი ხელში დაეჭირათ და მტკიცედ იდგნენ ყიზილ ყაის სიმაგრეში. ბრძოლამ 38 დღეს გასტანა. ამ ბრძოლაში ალი ფაშა მოკლულ იქნა, ხოლო ყარა ბუიუქ ოღლი ტყვედ წაიყვანეს.

მაგრამ მოძრაობა ამით საბოლოოდ არ დამარცხებულა. ანატოლიაში აჯანყებები გრძელდებოდა შემდეგშიც. სელიმ პირველის დროს ნურალის მეთაურობით ახალმა ამბოხებამ იფეთქა. ამ შემთხვევაში მოძრაობის ცენტრებად გადაიქცნენ: ყარაჰისარი და ნიქსარი (Niksar). ნურ ალის გარშემო 20,000-მდე თურქი შემოკრბა. ანატოლიის მმართველმა (სელიმის ძმა იყო) აჰმედმა აჯანყებულთა წინააღმდეგ სინან ფაშა გაგზავნა. მაგრამ ამ შემთხვევაშიც აჯანყებულებმა გაიმარჯვეს და ოსმალეთს მთლიანად თოქათი და ამასია ჩამოაცილეს. როგორც იქნა შემდეგში მოხერხდა აჯანყების ჩახშობა, რასაც თან მოჰყვა შ უბრალებელი რეპრესიები ხელისუფლების მხრით.

თურქეთის ისლამის სამყაროში რელიგიებისა და სასულიერო წოდებათა საკითხები განხილულია აგრეთვე პროფესორ მ ე ც ი ს ნაშრომში, რომელიც თურქულ ენაზე სთარგმნა ჯემალ ქვეფრულუმ და მოათავსა „Ülkü halkevleri dercisi“-ის №№ 57, 58, 59 და 60-ში სათაურით: Ortazaman Türk islam Dünyasinda Vahudiler ue Hivristiyanlar.

ამ ნაშრომის შესავალში ლაპარაკია იმაზე, რომ რადგან ქრისტიანობის, ისრაელობისა და წარმართობისათვის ოსმალეთში თავისებური პირობები იყო შექმნილი, ამიტომ სარწმუნოებათა ეს სხვადასხვა მიმდინარეობა ურთიერთშორის ნახულობდა საერთო ენას და ამიტომ ისტორიის მთელი ხნის მანძილზე, ჯერ კიდევ ადრინდელ ფეოდალური ხანიდან დაწყებული, მათ შორის რაიმე სე-

რიოზული შეხლა-შემოხლა არ მომხდარა. ავტორის აზრით დასახელებული სამივე სარწმუნოება ოსმალეთში მფარველობის ქვეშ მყოფ სარწმუნოებად იყო ცნობილი.

ამ სარწმუნოებათა მიმდევარნი ირჩევდნენ თავიანთ სასულიერო ხელმძღვანელებს კათალიკოსის, რაბინის და სხვათა სახით. არჩეულ მეთაურებს ამტკიცდებდა ხალიფი ან სულთანი; ისინი ღებულობდნენ განსაკუთრებულ ფირმანს, რომლის მიხედვითაც სასულიერო უფლებებთან ერთად, საერო უფლებებითაც სარგებლობდნენ. 533/1139 წ. ერთ ასეთ ფირმანში აღნიშნული იყო: „... უფლებების მქონე ქრისტიანე ხალხმა საკუთარი ხელმძღვანელობის ამოცანის გადასაწყვეტად, ვაკუფების ხელმძღვანელობისათვის და ხალხის სუსტ და მძლავრ ნაწილებს შორის არსებულ წინააღმდეგობათა წაშლისათვის, სამართლიანი მდგომარეობის შექმნისათვის და გათანასწორებისათვის ის აირჩიეს“[1].

აღნიშნული გარემოება, ე. ი. სხვა სარწმუნოებათათვის ისლამის მხრით მფარველობის აღმოჩენა, ავტორის აზრით, ხელს უწყობდა ქრისტიანების, ებრაელებისა და სხვა ეროვნებათა გამრავლებას ისლამის სამყაროში. თავისი დებულების დასამტკიცებლად ავტორს სტატისტიკური ცნობებიც მოჰყავს. მაგალითად, მარტო ბაღდადში 1000 ებრაელი იყო. ევფრატზე მყოფ ქალაქებიდან ბასრა 10.000 ებრაელ მოსახლეობას შეიცავდა. ისპაჰანში—15.000, ჰაზნაში—80.000, ხოლო სამარყანდში—30.000 ებრაელის არსებობა დასტურდება. „ხორასანში ბევრი ებრაელია, ქრისტიანები ნაკლებია“ და „მედინაში ქრისტიანებზე უფრო მეტად ებრაელები ცხოვრობენ“. სპარსეთში წარმართები ებრაელებზე მეტი არიან, ხოლო ქრისტიანებზე უფრო ნაკლები“. ავტორი ემყარება ვინმე ბენიამინის ცნობას და აღნიშნავს, რომ ქაირში შვიდი ათასი ებრაელი იყო, ისკენდერიაში—3.000, ხოლო დელტის ქალაქში დაახლოებით სამ-სამი ათასი.

ზემოჩამოთვლილი ეროვნებანი უმთავრესად ვაჭრობას მისდევდნენ. ბევრი მათგანი ექიმები გამოდიოდნენ. მწერლები ხშირად ქრისტიანები იყვნენ. მათვე ეკუთვნოდა ისეთი ხელობანი, როგორიც იყო: მეტყავეობა, მეჩექმეობა და განსაკუთრებით მღებრობა და სხვა. შემდეგ ნაშრომში მოცემულია ხელოსნების გადასახადების რაოდენობა. როგორც ჩანს, გადასახადების მნიშვნელოვანი რაოდენობა ეკლესიების სასარგებლოდ მიდიოდა. გარდა ამ შემოსავლისა, ქრისტიანების ეკლესიებს და ებრაელების სამლოცვე-

[1] Ülkü, halkevleri dercvisi, saü: 58, გვ. 351.

ლოებსაც საკუთარი მამულები ჰქონდათ. მაგალითად, დაახლოებით ბაღდადიდან ას კილომეტრის მანძილზე მყოფ დაირ კურაში, დიჯლის აღმოსავლეთით ერთი მილის მანძილზე „ლამაზი, მბმზიდველი და კეთილმოწყობილი მონასტერია, რომელიც პაპების ადგილსამყოფოდან დაცილებულია ასი პატარა სახლით... ყველა სახლი ხეხილშია მოთავსებული; აქ ყოველგვარი ხილი მოდის; ხურმისა და ზეთისხილის ხეები იზრდება; ამ ხილეულიდან 50—200 დინარამდე შემოსავალი აიკრიბება. ძალიან დიდი კედლებით გარშემორტყმულ მონასტერთან მიწის წიაღიდან წყალი გამომდინარეობს, დღესასწაულის დროს ჯვრის დღეობა ეწყობა და ხალხი ყოველმხრიდან აქ, ამ დღესასწაულზე მოედინება“[1].

ეკლესიები და მონასტრები საკუთარი სასამართლოთიც სარგებლობდნენ. შრომაში აღნიშნულია ის, თუ რა და რა ღონისძიების მიღება იყო შესაძლებელი დამნაშავის წინააღმდეგ. გარკვეულია ამ სასამართლოების დამოკიდებულებაც ყადის მიმართ. მოცემულია უამრავი მაგალითი უშუალო მწარმოებლების დავალიანებისა, როგორც მაჰმადიანურ გაბატონებულ კლასის, ისე საკუთარი ბატონების მიმართ. როგორც ჩანს ვალში ჩავარდნილი მოსახლეობის დაბალი ფენი გარეგნულადაც ატარებდა დავალიანების სათანადო ნიშანს, რომლის მიხედვითაც გაქცევის შემთხვევაში დავალიანებულ პირს ადვილად მონახავდნენ. აქვე ავტორი თვალსაჩინოდ ამტკიცებს, რომ სასულიერო წოდება, რა სარწმუნოების წარმომადგენელიც არ უნდა ყოფილიყო, განთავისუფლებული იყო თითქმის ყოველგვარ გადასახადისაგან.

თურქი ხალხის წარმოშობისა და მისი განშტოებების ისტორიასთან დაკავშირებულია L. Rasonyi-ს მცირე გამოკვლევა სათაურით: Tuna havzasinda kumanlar, რომელიც მოთავსებულია 1939 წლის Belleten-ში (№ 11/12) და რომელიც ეხება პაჭანიგების, კუმანებისა და ყივჩაყების ვინაობის საკითხს.

ავტორი აღნიშნავს, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ხალხი თურქების მოდგმისა არიან. მათი კულტურა თურქულია და ამიტომ ის ადგილები, რომლებშიაც აღნიშნული ხალხები მოსახლეობდნენ, თურქული კულტურის გავლენას განიცდიდნენ და თურქული ელემენტები ამ ადგილებში ცხოვრების წინ წამყვან მოვლენას წარმოადგენდა. ნაშრომში ამ ხალხების მოქმედების ასპარეზი ძალიან ფართოდაა მოცემული. აქ ნაგულისხმევია მთელი ბალკანეთის ნახე-

[1] Ülkü, halkevleri dercisi, sain: 59, გვ. 435.

ვარკუნძულის მოსახლეობა: ბულგარელები, რუმინელები და სხვ. ავტორი უნგრელების წარმოშობასაც თურქებს უკავშირებს. რაც შეეხება აღმოსავლეთს, ამ შემთხვევაში თურქული მოდგმის ხალხების შორეულ ადგილსამყოფად აღებულია მანჯურია. „დიდი ევრაზიის ველის მიდამო დიდი ბილიარდის მაგიდას ძალიან წააგავს. ამ ადგილას ხელახლა მოძრაობა დაიწყო. 1115 წელს შორიდან, მანჯურიის საზღვრებიდან ევროპისაკენ ახალი ტალღა დაიძრა. საქართველოს საიმპერატოროს ჩამოყალიბების ხანაში, ჩინეთის წყაროების მიერ ჰი-ს სახელწოდებით ცნობილმა ერთ-ერთმა ხალხმა დასავლეთისაკენ დენა დაიწყო“[1].

რაც შეეხება რუსეთს, ავტორის აზრით, აქ უფრო ფართო სარბიელი არსებობდა თურქთა მოდგმის ხალხებისათვის. მაგალითად: მათ დაკავებული ჰქონდათ დონისა და ყუბანის მიდამოები, ჩრდილოეთით ნოვგოროდამდეც აღწევდნენ, რუს მთავრებთან მჭიდრო ურთიერთობაში იმყოფებოდნენ და მათზე სისტემურად თავიანთ გავლენას ახდენდნენო. ავტორის თქმით „ტუნას აუზის ყველაზე უფრო ახლოს ყირიმი იყო, სადაც დამადასტურებელი ადგილების სახელები გვხვდება. ამ პატარა გარემოში (ეს ადგილი, მას რომ შესაბამისად აიგურები და თობები გამოვაკლოთ, მთლიანად თურქების წმინდა სისხლით ნაკურთხი იყო და ამ ადგილას მომხდარ გადატრიალებას თურქობა განადგურებისაკენ მიჰყავდა) ასი წლის წინათ თურქების 24-მდე ხალხი ცხოვრობდა, მათ შორის ყიფჩაყების და ყარაყიფჩაყების სახელებიც ცნობილია“[2].

თურქული კულტურის გავლენა ავტორს საქართველოზეც გადმოაქვს. ის ამბობს, რომ „უნგრეთის გარდა კუმის კულტურის ელემენტების გაბატონება ხდება აგრეთვე არსებულ ოთხ სახელმწიფოშიც: ბულგარეთსა, რუმინეთსა, რუსეთსა და საქართველოში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ტუნას აუზში არ შედიოდა, კუმანები XII საუკუნეში აქ ერთგვარ როლს ასრულებდნენ და, საქართველოს ბრწყინვალე ხანაში დიდ მთავრად ყიფჩაყი ყუბასარია, ყიფჩაყის სისხლი განთქმულ თამარ დედოფლის ძარღვებში სჩქეფდა“[3].

როგორც აღვნიშნეთ, ავტორის ყველა ეს მტკიცება დამყარებულია ადგილებისა და ცალკე პირების თურქული წარმოშობის სახელების დადგენაზე და ამა თუ იმ თურქის სხვა ეროვნების ინდი-

---

[1] იქვე, 1939, № 11/12, გვ. 406.
[1] იქვე, გვ. 417.
[2] იქვე, გვ. 415.

ვიდუმებთან ნათესაურ დამოკიდებულების დაჭერაზე და სხვა, რაც არსებითად თურქული კულტურის გავლენის შესახებ არაფერს გვეუბნება. რამდენადაც ცნობილია, დაბალი კულტურის გაბატონება მაღალ კულტურაზე იშვიათია ისტორიაში. პირიქით, დაბალი კულტურის მატარებელი ხალხები, რომლებმაც კი მოახერხეს ძალით შეჭრა მაღალი კულტურის მქონე ხალხებში, თვითონ გაითქვიფნენ უკანასკნელებში. ასე მოხდა, მაგალითად, ბულგარეთში, ასეთი იყო ვარიაგებისა და ყიფჩაყების ვითარება რუსეთში, ასევე მოხდა საქართველოში გადმოსახლებულ ყიფჩაყთა გათქვეფა ქართულ კულტურაში.

ფეოდალური ოსმალეთის ისტორიას და მის ლიტერატურას მიუძღვნა სპეციალური შრომა—«История Турции и ея литература от разцвета до начала упадка» სახელწოდებით ცნობილმა უკრაინელმა მკვლევარმა ა. კრიმსკიმ. ავტორი თავის შრომას ჰყოფს სამ ნაწილად; პირველ ნაწილში მოცემულია ოსმალეთის ისტორია, დაწყებული მაჰმუდ II დამპყრობელიდან, დამთავრებული—სულთან სულეიმანით და ხორემსულთან რაქსოლანის ინტრიგებით, მეორე ნაწილში—თურქეთის ლიტერატურის აყვავება და მესამეში—თურქეთის ლიტერატურის ოქროს ხანა XVI საუკუნეში. შრომას ბოლოში, დამატების სახით, თანდართული აქვს საკითხი „თურქოფილობისა“ ევროპასა და მოსკოვის რუსეთში XVI ს.

უნდა ითქვას, რომ ის ნაწილი, რომელიც შეეხება თურქეთის ისტორიას, ოსმალეთის მხოლოდ გარეგნულ პოლიტიკურ სახეს წარმოადგენს. აქ არაა განხილული არც სახელმწიფოებრივი წყობა, არც მისი ეკონომიური მხარე. სოციალურ ურთიერთობაზე და, მით უმეტეს კლასობრივ ბრძოლებზე, თითქმის არაფერია ნათქვამი. რაც შეეხება მეორე და მესამე ნაწილს—აქ უფრო მდიდარი ფაქტიური მასალაა მოცემული. განხილულია XVI საუკუნის თითქმის ყველა ცნობილი მწერლის ცალკეული ნაწარმოები. მიხრი-ხათუნის, მესიხის, ჯაფარ-ჩელების, სელიმ პირველის, ილიაზ რევანის, ისხაკ ჩელების, დელი ბირადერის, ლიამის, ხიალის, ზათის, ფეზლისა და სხვების ნაწარმოებნი მოცემულია კრიტიკული თვალსაზრისით.

ავტორი ამტკიცებს, რომ არც ერთ მათგანს არ ამჩნევია რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა დასავლეთ ევროპის აღორძინებისა, მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთის ლიტერატურის აღორძინება და მისი განვითარების უმაღლესი საფეხური—ოქროს ხანა—უშუალოდ დასავლეთ ევროპის აღორძინების ხანას ემთხვევა. „და რომ ოსმანების პოეტურ, მხატვრულ ლიტერატურაზე ჰქონებოდა გავ-

ლენა ევროპულ აღორძინებას, ასეთ წარმოდგენაზე არც კი უნდა ხდებოდეს მსჯელობა. ოსმალეთის ლიტერატურის განმასხვავებელი თვისება ისაა, რომ ის თავიდანვე ყველაფერს ღებულობს სპარსულისაგან: თურქული ლიტერატურა არის მხოლოდ შტო სპარსული ლიტერატურისა"[1].

ოსმალეთის მეთვრამეტე საუკუნის დიპლომატიურ ურთიერთობაზე უცხო ქვეყნებთან და ზოგიერთ სამხედრო ოპერაციის მომზადება-ჩატარებაზე თურქი დიპლომატის რ ე ს მ ი-ა ხ მ ე დ-ე ფ ე ნ დ ი ს მიერ დაწერილია შრომა, რომელიც სთარგმნა გრიგორევმა სათაურით: „Записка Сами Эль-хадж Ахмед-эфенди о посольстве его в Пруссию 1763—1764 году". ჩანაწერების ავტორი აღწერს დასავლეთ ევროპის იმ ქვეყნების ყოფა-ცხოვრებას, რომლებშიაც თვითონ მოუხდა გავლა და ყოფნა. აგვიწერს პოლონეთის, ავსტრიისა და გერმანიის სოციალ-ეკონომიურ მდგომარეობას. რუსინებისა და ებრაელების მდგომარეობის შესახებ იგი აღნიშნავს: „დაიმორჩილეს რუსინები და ებრაელები. პირველთ ასრულებინებენ მძიმე სამუშაოებს: თესვას, ხვნას და სხვ... მეორეებს კი დააკისრეს ქალაქის ყველა ხელობა, რომლებიც მოითხოვენ ეშმაკობასა და დამცირებას, როგორიცაა ვაჭრობა, გადასახადების აკრება და სხვა". ავტორს ადგილობრივი წესები (ზოგიერთის გამონაკლისით) არ მოსწონს და ოსმალეთში არსებულ წესებთან შედარებით ისინი მიუღებლად მიაჩნია.

თურქეთის ევროპაში ამ პირველ წარმომადგენლისათვის ადგილობრივი პირობები ძალზე აუტანელია და ამ სახელმწიფოთა ხელისუფლების მიმართ დამოკიდებულებაც ნაძალადევი. „ჩვენც ანდაზის მიხედვით ვიქცეოდით: ეფერე მათ, სანამ მათთან სცხოვრობ, ყოველნაირად ვცდილობდით, რომ დრო რაც შეიძლება სასიამოვნოდ გაგვეტარებია".

ზემოაღნიშნული ჩანაწერები საინტერესოა უფრო ევროპის ხსენებული ქვეყნების ისტორიის თვალსაზრისით. რაც შეეხება ამავე ავტორის მეორე ჩანაწერებს (როცა ის უკვე ოსმალეთის საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე იყო) ოსმალეთის რუსეთთან შვიდწლიანი ომის (1769—1776) შესახებ სათაურით: Сок достопримечательного, записки Ресми-Ахмед-эфендия турецкого министра иностранных дел, იგი ღირსშესანიშნავია ისტორიული ფაქ-

---

[1] А. К р ы м с к и й. История Турции и ея литература от разцвета до начала упадка, გვ. 41.

ტების ასახვით და ისეთი საკითხების განხილვით, რომლებიც ორივე შეომარ მხარეს ეხებოდა. აღწერს რა ოსმალეთის ჯარების მზადებას სამხედრო ოპერაციებისათვის, იგი ირონიით აკრიტიკებს ოსმალეთის მოხელეების მიერ ჩატარებულ ღონისძიებებს. ამ შრომაში ოსმალეთის სახელმწიფოს ხრწნის თითქმის მთელი სურათია მოცემული. ისეთი დაცინვისა და ოსმალეთის გამასხარავების კილოთია მოცემული ყველაფერი ეს, რომ ო. სენკოვსკის, რომელმაც მონახა დედანი და შემდეგ რუსულ ენაზე სთარგმნა, ცილი დასწამეს—თითქოს მან (სენკოვსკიმ) შესთხზა იგი და მისი დედანი ხელნაწერის სახით არ შეიძლება სადმე არსებულიყო.

XVIII საუკუნის დასაწყისისათვის დაიწერა და შემდეგ პოლონურიდან რუსულ ენაზე ითარგმნა და გამოიცა (1741 წ.) რ ი კ ო ტ ი ს შრომა: Монархия турецкая описанная чрез Рикота бывшаго английского секретаря посольства при Оттоманской порте. აღნიშნული შრომა მნიშვნელოვანია ორი მხრით: ა) თარგმანი მოცემულია სლავური ენით და ამიტომ იგი წარმოადგენს საუკეთესო მასალას ფილოლოგებისათვის და ბ) ავტორი ოსმალეთის სახელმწიფოს საკითხებს ყოველმხრივად ეხება და მათ მისთვის თანადროული მოვლენების თვალსაზრისით აშუქებს. ამგვარად, ეს შრომა წარმოადგენს არა მარტო ოსმალეთის ისტორიას, არამედ სლავური ენისათვის შესასწავლ წყაროსაც.

პირველ თავში აღნიშნულია ოსმალეთის შინაგანი მოუწესრიგებლობა. ამიტომ, ავტორის აზრით, ამ სახელმწიფოს არ შეეძლო დიდი ხნით არსებობა, რომ არ ჰქონებოდა მტკიცე ცენტრალიზებული ხელისუფლება აბსოლუტური მონარქიის სახით. ეს მონარქია წარმოიშვა ბრძოლის პირობებში და ამიტომ მას, სამხედრო წესრიგის გარდა, სხვა სამოქალაქო კანონმდებლობა, ევროპული გაგებით, თითქმის არ გააჩნია. იმ დროს, როცა თურქეთი ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, ფეოდალურმა საგვარეულოებმა ურთიერთ ბრძოლის პროცესში დაჰკარგეს თავიანთი ძლიერება, რითაც ხელი შეუწყვეს 1300 წელს ოსმანს შთაენთქა ოგუზების ყველა სამფლობელო და მათი გაერთიანებით შეექმნა ძლიერი მონარქია.

მეორე თავში ჩამოთვლილია ოსმალეთის მიერ დაპყრობილი ქვეყნები, მაგალითად: მცირე აზია, ნილოსის მიდამოები, კორინთი, პელოპონესი, ათენი, ხივა, ლემნოსი, მიტილინა, ეგეოსის ზღვის კუნძულები, არაბული ქვეყნები, სპარსეთის მნიშვნელოვანი ნაწილი, სომხეთი, საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი და სხვა ადგილები სულთნის სრულ განკარგულებაშია. მამულების ნამდვილი მესაკუთრეებია მხოლოდ მეჩითები (სამლოცველო ადგილები), რომ-

ლებსაც სულთანი ხელს არ ახლებს იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც მისი ორგული თიმარის, ან ზიამათის მეპატრონე ვაკუფად აქცევს სულთნის ნაბოძებ მამულს. ავტორის აზრით მამული არ წარმოადგენს ისეთ საკუთრებას, რომელიც მამიდან შვილზე გადადის, თიმარი და სხვ. დროებითია და მთლიანად დამოკიდებულია სულთნის სურვილზე. „მე მომისმენია —ამბობს ავტორი— ოსევრით მონათხრობი და ფიცით დამტკიცებული თურქების საუბარი იმის შესახებ, რომ სულთანმა დაასაჩუქრა ერთი გლეხი, რომელმაც ჭიქით წყალი მიართვა მონადირე და მოწყურებულ სულთანს, ის არა მარტო გაათავისუფლა თავის ბატონისაგან, არამედ უბოძა მას მიწის ნაკვეთი, რომელზედაც ის წინათ მუშაობდა...“[1]. კანონმდებლობას სულთანი ჰქმნის, ამდენად ის კანონებს გარეშეა. მართალია, ხანდახან მუფთის სთხოვს რჩევა-დარიგებას ზოგიერთ საკითხში, მაგრამ მუფთიც ხომ სულთნის მიერაა დანიშნული.

როგორც ჩანს, XVIII საუკუნის დასაწყისშიც სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა მონაწილეობა ოსმალეთის სახელმწიფოებრივ აპარატში წინააღმდეგობას ხვდებოდა თურქი მაღალი თანამდებობის მქონე პირების მხრით. შრომის მე-24 გვერდზე აღნიშნულია: მუფთი ქენან ფაშას აკვირვებდა, რომ იმ ხანებში ჩვეულებად ქცეულიყო—სულთნის ოთახში ელაპარაკნათ „ქართულად, მეგრულად, ბოსნურად“ და სხვა. ავტორი აღნიშნავს, რომ სამინისტროდ კანდიდატების შერჩევის შემთხვევაში სულთანი არ უწევს ანგარიშს არც კეთილშობილობას და არც სიმდიდრეს, ოღონდ პიროვნება ერთგული იყოსო და შემდეგ ამით ხსნის სულთნის მიერ შერჩეულ ორგული ვეზირების ადვილად განადგურებას.

შრომის მეხუთე თავში განხილულია იჩოღლანების მდგომარეობა, მათი განაწილება აღზრდის თვალსაზრისით სულთნის 3 სახლში, რომლებიც სპეციალურად აშენებული იყო ფერესა, ადრიანოპოლსა და კონსტანტინოპოლში. აქვე მოცემულია მათი აღზრდის მეთოდები. ავტორის თქმით იჩოღლანები უმთავრესად ინიშნებოდნენ დიდ და საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. შემდეგ ჩამოთვლილია სასახლესთან არსებული თანამდებობანი და თანამდებობის პირთა ურთიერთ დამოკიდებულება. ცალკეა გამოყოფილი საჭურისების თანამდებობანი, მათი როლი მმართველობაში, მათი საქმიანობა ჰარამხანაში, და სულთნის ქალიშვილების ყოფა-ცხოვრება. ავტორის თქმით სულთნები თავიანთ ქალიშვილებს სხვადასხვა პოლიტიკური მოსაზრებით მცირეწლოვნებს ათხოვებდნენ. „სულთანმა

[1] იქვე, გვ. 5.

იბრაჰიმმა, ამჟამად მყოფ მეფის მამამ, ასეთ ასაკში გაათხოვა თავისი სამი ქალიშვილი. ერთ მათგანს ჰქვიან ჯეალერხან სულთანი, რომელმაც აქნობამდე ხუთი ქმარი გამოიცვალა, და ამბობენ, რომ ისევ ქალწულად დარჩა; უკანასკნელი მისი ქმარი იყო ისმაილ ფაშა, რომელიც გარდაიცვალა... და ახლა გათხოვილია ბუდიმელ გურჯი მაჰმუდ ფაშაზე, რომელიც ოცდა ათი წლისაა, ძალიან მდიდარია და შეუძლია შესაფერისად აცხოვროს მისი უმაღლესობის შთამომავალი, თუმცა მას (ქალის მცირეწლოვანობის გამო) არა აქვს უფლება მიუახლოვდეს საცოლეს, ისე როგორც არ ჰქონდათ უფლება ამ ქალიშვილის პირველ ქმრებს"[1].

უზენაესი ვეზირი, ფაქტიურად მეფის მოადგილე, სარგებლობს დიდი უფლებით. ავტორის აზრით ეს თანამდებობა პირველად შემოღებულ იქნა ჯერ კიდევ მურად III-ის დროს. ხანდახან ამ თანამდებობის პირს ლიალას უწოდებენ. ვეზირის შემოსავალი ძალიან დიდი და მნიშვნელოვანია, მაგრამ XVIII საუკუნის დასაწყისისათვის უზენაესი ვეზირები ძალიან სწრაფად იცვლებიან. იშვიათია ისეთი შემთხვევა, რომ უზენაესი ვეზირი თავის თანამდებობას ბუნებრივი სიკვდილით მოსცილდეს. უზენაესი ვეზირის თანამდებობის შემდეგ დგას ბეგლარ-ბეგი, რომელიც თავის სამფლობელოში აგრეთვე დიდი უფლებებით სარგებლობს. ჩამოთვლილია ოსმალეთში არსებული მათი სამფლობელოები. დაწვრილებითაა განხილული მათი შემოსავლის წყაროები და ხელისუფლებისადმი დამოკიდებულების საკითხი.

მე-14 თავში ავტორი გვიხატავს დაპყრობილ ქვეყნებში ხარკის აღების სისტემას. მოხარკე ქვეყნებს შორის ნაჩვენებია აგრეთვე საქართველოს ცალკე ნაწილები, რომლებიც დაქვემდებარებული იყვნენ ოსმალეთისადმი, სახელდობრ: „ივერია" და სამეგრელო. „თურქებს უხდის ხარკს აგრეთვე ღატაკი სამეგრელო, იგი ყოველ სამ წელიწადში ერთხელ უგზავნის თავის ღატაკ ელჩებს სულთანს ხარკითურთ, რომელიც შედგება შვიდი ყმაწვილისა და ამდენივე ქალიშვილისაგან, გარდა იმ მონებისა, რომელთაც აძლევენ საჩუქრად მაღალ თანამდებობის მქონე თურქ მოხელეებს"[2].

შრომის მე-16 თავი მიძღვნილია მაღალი თანამდებობის პირებისადმი, კერძოდ — ფაშებისადმი. აქ განმარტებულია მათი სრული დამოკიდებულება სულთანზე. ფაშას, საბოლოო ანგარიშში, კერძო საკუთრებად (ამ სიტყვის სრული გაგებით) არაფერი

---

[1] იქვე, გვ. 52.

[2] იქვე, გვ. 85—86.

გააჩნია. მისი ქონება სულთნისაა, რადგან ფაშის სიკვდილის შემთხვევაში მისი მემკვიდრედ რჩება მხოლოდ სულთნის და, ქალიშვილი, ან სულთნის სხვა ნათესავი ქალი. ნათესაობრივი ურთიერთობა და საერთოდ მემკვიდრეობის საკითხი ძალზე თავისებურია. ამ თავისებურებიდან გამომდინარეობს სამეფო ტახტის მემკვიდრეობაც. ავტორის აზრით ამით აიხსნება ტახტზე ახლად ასულ სულთნის მიერ ყველა თავისი ძმის დახოცვა—„მოვლენა, რომელიც არ ხდებოდა ბაიაზეთამდე, მან პირველმა შემოიღო ეს გაწამების ჩვეულება; მაგრამ როდესაც სულთანს მცირერიცხოვანი ძმები ჰყავს, და მისი ბუნება უფრო წყნარია, ვინემ მწვალებლის, კმაყოფილდება მხოლოდ მათი უშიშარ ადგილზე მოთავსებით. და ჩააბარებს მათ სანდო პირებს, რომ მეთვალყურეობის ქვეშ ამყოფოს ისინი, რის გამოც მათსა და მონებს შორის სხვაობა აღარ რჩება, ვინაიდან მათ არ აძლევენ სხვასთან ლაპარაკის საშუალებას. ასეთ მდგომარეობაში არიან ახლანდელი მეფის სულთან მაჰმუდის ორი ძმა, რომლებიც ისეთ სიბნელეში ცხოვრობენ და მათზე ზრუნვა იმდენად ნაკლებია—თითქოს ისინი ამ ქვეყნად სრულებით არ არსებულიყვნენ“[1].

ავტორს იმპერიის შემდგომი არსებობის შენარჩუნების მიზეზად მიაჩნია: 1) ის, რომ დამნაშავე პირები გარბიან თავიანთ სახელმწიფოდან და თავს აფარებენ ოსმალეთში სარწმუნოების გამოცვლის საშუალებით, რის გამოც ოსმალეთის მოსახლეობა იზრდება, 2) მოსახლეობის რიცხვს ზრდის აგრეთვე თათრების მიერ კონსტანტინოპოლში ჩამოყვანილი ტყვეები, რომლებიც უმთავრესად რუსებისაგან შედგებიან და რომელთა ყოველწლიური რაოდენობა 20,000-მდე აღწევს. ტყვეთა რაოდენობა და დატყვევების სისტემური ხასიათი, ტყვეების სარწმუნოების აუცილებელ შეცვლასთან ერთად, იმდენად სახიფათო გახდა მეზობელ სუსტ ქვეყნებისათვის, რომ მათი მცხოვრებნი იძულებული იყვნენ თავიანთი ბავშვების მონათვლასთან დაკავშირებით მათთვის დაღი დაესვათ ჯვრების გამოხატულებით. მაგალითად: სამეგრელოში, ავტორის აზრით, ბავშვებს მონათვლისას ხელზე ჯვარის დაღს ასმევდნენ, სერბები კი, თავიანთ ბავშვებს რომელიღაც ბალახის წვენით თავზე დაუხატავდნენ ჯვარს და ეს ნახატი მერე აღარ გადადიოდა“ (გვ. 109).

შრომაში განხილულია აგრეთვე ოსმალეთის სახელმწიფო აპარატის (სერალის) მიერ ელჩების მიღების წესები და ელჩებისადმი დამოკიდებულება. საილუსტრაციო მაგალითად მოყვანილია ვენე-

[1] იქვე, გვ. 97.

ციელ ბაილოს თავგადასავალი ოსმალეთში ელჩად ყოფნის დროს და საფრანგეთის წარმომადგენლის, რომელსაც ალი ჩაუშმა უზენაეს ვეზირის ქოფრულუს განკარგულებით კბილები ჩაუმტვრია. ამასთან ერთად ავტორი მოგვითხრობს, რომ ოსმალეთი ყველა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის საკითხებში თანაბარი პატივისცემით არ ეპყრობაო. პოლონეთი, რუსეთი და სპარსეთი უფრო მეტი ყურადღებით სარგებლობენ ამ მხრივ. თურქებთან დადებულ ხელშეკრულებებს, მისი აზრით, არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ, რადგან ხშირად ისინი მათ პირნათლად არ ასრულებენ.

ავტორი მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის მუფთის უფლებრივ მდგომარეობაზეც. მისი აზრით მუფთის თანამდებობა ძველად უფრო მნიშვნელოვანი ყოფილა. ავტორის დროს კი მას ნიშნავს სულთანი, და თუ აზრთა სხვადასხვაობა შეიქმნა სულთანსა და მუფთის შორის, პირველს შეუძლია უკანასკნელი გადააყენოს და სიკვდილით დასაჯოს კიდეც. მიუხედავად ამისა, სულთანი მაინც დიდ ანგარიშს უწევს მუფთის, რომელსაც უამრავი თანხით ასაჩუქრებს და თანამდებობიდან გადაყენების შემთხვევაშიაც კი მას არფალიკს უნიშნავს.

ამასთან დაკავშირებით აღწერილია მეჩითების მდგომარეობა, სასულთანო და კერძო მეჩითების მოღვაწეობა, მათი შემოსავალი და ვაკუფების რაობა. იქ, სადაც ავტორი ეხება მაჰმადიანობის ორ მიმდინარეობას: სუნიტობასა და შიიზმს, მოცემულია მუფტი აზად ეფენდის გამკიცხავი წერილი, მიმართული სპარსეთის შაჰისა და საერთოდ შიას მიმდევართა წინააღმდეგ. ეს წერილი ამოღებულია, როგორც ავტორი აღნიშნავს, კონსტანტინოპოლში არსებულ ერთ-ერთ წიგნიდან. მუფტი აზად ეფენდის ამ მიმართვას ნაშრომის ოთხი გვერდი უჭირავს (158—162), წარმოადგენს ისტორიულ წყაროს და მნიშვნელოვანია იმით, რომ აქ მოცემულია დეტალური სხვაობა, არსებული ამ ორ მიმდინარეობას შორის, რაც კი მისმა ავტორმა თავის დროზე შეამჩნია. აქვეა მოცემული ოსმალეთში არსებული სხვადასხვა მწვალებლური მიმდინარეობა: კადრიე, კალენდარი, ბეკტაშობა, მევლევი და სხვ. თავიანთი მოძღვრებითა და წესდებით. რაფიზილიკობის შესახებ ნათქვამია: „... ეს იყო წარმომადგენელი სპარსული მწვალებლობისა, რომელსაც თურქები რაფიზობას უწოდებენ, რადგან ეს არის მწვალებელი, ვინაიდან აბუბექირს, ომარს და ოსმანს სთვლის ურწმუნოებათა შემქმნელებად და მათ წმინდანებს შესაფერ თაყვანს არ სცემს ისე, როგორც ამას თურქები სჩადიან[1].

[1] იქვე, გვ. 191.

ავტორის თქმით ბეგტაში ისეთი კარგი იეომარი იყო, როგორც კარგი სასულიერო პირი. ის მსახურობდა სულთან მურადთან ხაზინადრად იმ დროს, როცა მურადი სერბიაზე ლაშქრობდა და მოკლულ იქნა ვინმე სერბიელ ვილიოს მიერ. ბეკტაშმა იენიჩარებს მისცა უფლება—არ დაიცვან ზუსტად ლოცვებისათვის განკუთვნილი დრო, ამიტომ იენიჩარები, ავტორის აზრით, მაინცდამაინც დიდად ხვთის მორწმუნე ხალხი არ არიან.

„ზოგიერთ სიმღერებში, რომლებიც ბეკტაშმა შეადგინა, ბევრგან ნათქვამია, რომ არავინ არ იცოდა ღმერთი, რადგან არ იყო ისეთი პიროვნება, რომელსაც ის ენახოს. ეს გარემოება აიძულებს მართლმორწმუნე მუსლიმანებს, იენიჩარებს ქიაფირები უწოდონ, რადგან ისინი ურწმუნონი არიან“[1].

შრომის დასასრულს განხილულია ოსმალეთის ჯარების წყობილება. ცალკე არიან მოცემული სიფაები, იენიჩარები, ეგვიპტის ფეოდალური შეიარაღებული ნაწილები, ჩაუშები, არტილერია, დელიები და სხვა. მაგრამ, როგორც ნაშრომიდან ჩანს, თურქეთის სამხედრო წყობაში წამყვანი ადგილი მიკუთვნებული ჰქონდათ სიფაებს, რომლებიც თიმარისა და ზიამის მფლობელებისაგან შედგებოდნენ... ამიტომაა, რომ რიკოტი, სანამ ჯარების სხვადასხვა ნაწილის სტრუქტურასა და სიძლიერეს განიხილავდეს, არკვევს თიმარებისა და ზიამების რაოდენობას ცალკეულ სანჯაყებისა და სხვა რაიონულ დანაყოფების მიხედვით. ავტორი ჯარების რაოდენობრივი მაჩვენებლის გამოკვლევის შემდეგ იძლევა აგრეთვე ხარისხობრივ მაჩვენებლებსაც. იენიჩარების ნაწილები აღნიშნულ პერიოდისათვის, ავტორის თქმით, უკვე ხრწნის პროცესში იყვნენ.

რიკოტის აღნიშნული ნაშრომი, როგორც ზევით ნათქვამი იყო, უაღრესად საინტერესო და მრავალფეროვან მასალას შეიცავს, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ავტორი ბევრს ცდილა სანდო წყაროები გამოენახა თავის დებულებათა დასამტკიცებლად (უმთავრესად ეს ითქმის მწვალებლობაზე და ოსმალეთის შეიარაღებულ ძალთა ზუსტად დადგენის საკითხზე), მაინც ნაშრომში არ არის მოცემული ოსმალეთის ისტორიიდან საკმაო რაოდენობის პირველადი წყაროები.

ამ მხრივ შედარებით უფრო მაღლა დგას XVIII საუკუნის განთქმული ორიენტალისტის მურაჯა დ'ოსონის ფრანგულ ენაზე ორ ტომად გამოცემული საყოველთაოდ ცნობილი შრომა — Полная картина Оттоманской империи. პირველი ტომი ითარგმნა

[1] იქვე, გვ. 196.

რუსულ ენაზე და გამოიცა 1795 წელს. აღნიშნული შრომა შეიცავს ოსმალეთის იმპერიის ისტორიას საერთოდ მუსლიმანურ სამყაროს შესწავლასთან დაკავშირებით. მურაჯა დ'ოსონი (1740—1807) ეროვნებით სომეხი იყო; 1784 წლამდე ცხოვრობდა ოსმალეთში, შემდეგ წავიდა პარიზში, სადაც პირველად გამოაქვეყნა ზემოაღნიშნული შრომა, რაზედაც ის 22 წლის განმავლობაში მუშაობდა. ის კარგად იყო დაუფლებული აღმოსავლურ ენებს, კარგად იცნობდა თავისდროინდელ ოსმალეთის ყოფა-ცხოვრებას და ამიტომ მეტი შესაძლებლობაც გააჩნდა მრავალი პირველადი წყაროების გამოყენებისათვის.

სამწუხაროდ, დ'ოსონი ეკუთვნოდა იმ მკვლევარებს, რომლებიც აღმოსავლურ ქვეყნების ყოფა-ცხოვრების შესწავლის საქმეში ძირითად მომენტად ამ ქვეყნების სარწმუნოების თავისებურებას აღიარებდნენ და ფიქრობდნენ, რომ ისლამი, ბუდიზმი, ბრახმანიზმი და სხვა წარმოადგენდნენ სახელმწიფოსა და სოციალ-ეკონომიური წესწყობილების მთავარ დასაყრდენს. სწორედ ამიტომ დ'ოსონმა თავისი შრომის პირველი ტომი დაუთმო უმთავრესად ისლამის გადმოცემას, ყურანის ცალკე მუხლების დეტალურ განხილვას, სასულიერო წოდების მდგომარეობას, ისლამში წარმოშობილ სხვადასხვა მწვალებლურ მიმდინარეობას, მეჩითებს და, ბოლოს, მათთან დაკავშირებულ ვაკუფების შესწავლის საქმეს; ქვეყნის სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური ვითარება კი, როგორც შედარებით ნაკლები მნიშვნელობის მქონე ისტორიისათვის, მოათავსა მეორე ტომში.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, როგორც მოსალოდნელი იყო, ავტორმა ყურანის ცალკე დებულებების განხილვასთან ერთად ზოგიერთ სოციალ-ეკონომიურ და პოლიტიკურ საკითხს გვერდი მაინც ვერ აუარა. ოსმალეთში არსებულ საგადასახადო სისტემაზე შრომაში ნათქვამია: „ზიმები, სულთნის ქვეშევრდომი ქრისტიანები, ებრაელები და კერპთაყვანისმცემელნი სახელმწიფოს უხდიან საბეგრო ხარკს, რომელსაც ჯიზიეს უწოდებენ, სხვანაირად — კარადაგს, რომელსაც არცერთი მაჰმადიანი არ ექვემდებარება". შემდეგ ავტორი განაგრძობს: „ჰარბიტები, წარმოშობილია სიტყვიდან—ჰარბი, ე. ი. ომი, ნიშნავს მაჰმადიანების მტრებს, სხვანაირად—ხალხები, რომლებიც მათთან არ არიან დაკავშირებული მეგობრული დადგენილებებით"[1].

---

[1] დ'ოსონი. Полная картина Оттоманской империи, стр. 37—38.

ავტორის აზრით პირველი ომი, რომელიც მოხდა სპარსელებთან 1514 წელს, დაიწყო სულთან სელიმ I-მა იმის გამო, რომ სპარსეთში გაბატონდა ოსმალეთის საწინააღმდეგო მიმართულების რელიგია შიიზმის სახით. ამის დამადასტურებელ ფაქტად ავტორს მოჰყავს სელიმ პირველის მიმართვა შაჰ ისმაილისადმი, რომელსაც ნაშრომის რამდენიმე გვერდი უჭირავს და წარმოადგენს მართლაც მნიშვნელოვან დოკუმენტს, თუმცა ეს მიმართვა უფრო მეტად ადასტურებს ბრძოლის ეკონომიურ და პოლიტიკურ ხასიათს. აქ ნათქვამია: „...ემირ ისმაილ! ასეთი ნეტარება არასოდეს არ იქნება შენი ხვედრი, რადგან პირი იბრუნე ღვთის კანონების სიწმინდისაგან; რადგან აცდი ხსნის გზას; რადგან არ იზიარებ ღვთის მცნებას; რადგან ამახინჯებ მუსლიმანების დოგმატებს, ამცირებ, შეურაცხჰყოფ, ანგრევ ნამდვილ ღვთისმსახურებას. დაიტაცე აღმოსავლეთის ქვეყნები უსამართლოდ და გაწაძებით; გამოდი რა ცოდვებით არარაობისაგან, ამაღლდი უმსგავსო ხერხებით უდიდებულესობის ტახტზე... შეგაგონებ შენ, თანმიმდევრობით დაარწმუნე შენი თავი: განსდეგ შენი შეცდომებისაგან, მტკიცე ნაბიჯით იარე ხსნის გზაზე. ამის გარდა გიბრძანებ შენ, ნულარ დაეუფლები მიწებს, რომლებიც წინათ ჩემს წინაპრებს ეკუთვნოდა, დაჰგმე შენი ყოველივე უმართებულო მოთხოვნანი და გადაეცი მათი მმართველობა ჩვენს ნაცვლებს და სხვა მოხელეებს. შეასრულე ეს ყოველივე დაყოვნების გარეშე და ამის საშუალებით დაეხმარე საკუთარ თავს მართლმადიდებელ სარწმუნოებისაკენ მობრუნებაში, შენს ნეტარების მოპოვებაში“[1].

ოსმალეთში დერვიშიზმის წარმოშობისა და განვითარების მიზეზად ავტორს ოსმალეთში და ისლამის სხვა ქვეყნებში არსებული ცრუმორწმუნეობა მიაჩნია. „ასეთი ცრუმორწმუნეობა დამღუპველი იყო ბევრ მაჰმადიან სახელმწიფოსათვის არა მარტო აზიაში და აფრიკაში, არამედ თვით ოტომანების იმპერიაშიც მათი პირველი მეფეების დროს. მაწანწალებისა და ეშმაკის მიმდევართა ჯგუფი, უმთავრესად დერვიშები, სახელდობრ: ჯელალი სელიმ პირველთან, იაჰია მუჰამედ სეინამი მურად მესამესთან, ახმედ-შეიხ-საკარღია მურად მეოთხესთან, და ბევრი კიდევ სხვა თავიანთ თავს ასაღებდნენ მეჰდიად, აკეთებდნენ ყველაზე განთქმულ საქმეებს და მდაბიო ხალხის აჯანყებითა და ცრუმორწმუნეობით მხარგამაგრებულნი, ანადგურებდნენ და აოხრებდნენ ბევრ ქვეყანას“[2].

---

[1] იქვე, გვ. 37—38.

[2] აღნიშნული შრომა, გვ. 103. შიიზმის მოძღვრების მიხედვით ალის სისხლითი ნათესაობის ხაზით მეთორმეტე და უკანასკნელი იმამი მეჰდია იყო,

ცრუმორწმუნეობის, როგორც დამღუპველი ფაქტორის, დასასაბუთებლად შრომაში მოცემულია აგრეთვე თავისთავად დიდი მნიშვნელობის მქონე ისტორიული ფაქტი ვოლგა-დონის არხის გათხრისა სელიმ მეორის დროს. „უნდოდათ გაეერთიანებიანათ მდინარეები დონი და ვოლგა გათხრით. ვინმე ჩერქეზმა სახელად ჩერქეზ-ყასიმ-ბეიმ, სახელმწიფოს მეორე ხაზინადარმა (შიკ-სანეს დეფთერდერმა) წამოაყენა ასეთი აზრი. ამისათვის საჭირო იყო უამრავი თანხა და მუშახელის უთვალავი რაოდენობა. მშვიდობიანობის დროს, ამტკიცებდა ის, არხის გათხრა სასარგებლო იქნებოდა ვაჭრობისათვის; ომიანობის დროს კი რუსებისა და სპარსელების საწინააღმდეგოდ ჯარისათვის ყველა საჭირო საგნის მოხერხებულად მიწოდებისათვის; გარდა ამისა, კონსტანტინოპოლიდან კასპიის ზღვამდე გაიხსნებოდა სამდინარო მიმოსვლა; ამგვარად, იმპერიის ამ ქვეყნების საზღვრები სრულიად დაცულნი იქნებოდა“[1].

დიდმა ვეზირმა თავილ მუჰამედ ფაშამ ყასიმ ბეის კიაფის სანჯაყის მმართველის ხარისხი უბოძა და დაავალა წასულიყო ყირიმში ამ საკითხის შესასწავლად და სათანადო გეგმის შესადგენად. ეს დავალება შესრულებულ იქნა, რის შემდეგ კონსტანტინოპოლიდან მუშები და ჯარის ნაწილებიც ხომალდებით გაიგზავნენ. მუშაობის ხელმძღვანელობა დაევალა თვით ყასიმ ბეის. ამავე დროს სელიმმა უბრძანა ყირიმის ხანს დევლეთ გირეის შეეგროვებია საჩქაროდ შეიარაღებული თათრები, წასულიყო ასტრახანზე, დონისა და ვოლგის სანაპიროებიდან განედევნა რუსები და ჩერქეზები და დაეცვა აღნიშნული სამუშაო თავდასხმისაგან.

ავტორის თქმით 60 ათასზე მეტი თათარი და 15 ათასამდე თურქი დაიძრა ასტრახანისაკენ. მუშაობა დაიწყო ცარიცინის მახლობლად, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ვიღაცამ გაავრცელა ხმა—თითქოს ამ ადგილებში ძალიან მალე დღე იმდენად შემცირდება, რომ მაჰმადიანები ვეღარ მოასწრებენ დღის განმავლობაში ყურანით გათვალისწინებული რაოდენობით საჭირო ლოცვების თქმას, რაც თავისთავად მაჰმადიანისათვის დიდი დანაშაული იყო. ამ ხმების გავრცელებას თითქოს მოჰყვა მაჰმადიანების ამ ადგილებიდან გაქცევა და დასახული სამუშაოც აღარ იქნა შესრულებული.

რომელმაც 5 წლის ასაკში მიიღო მემკვიდრეობით იმამის წოდება. მეთერთმეტე წელს შევიდა სერმენ რეის გამოქვაბულში და ამგვარად აღარ ენახება საზოგადოებას. მაგრამ დადგება დრო და ის, როგორც მესია, მოევლენება სამყაროს და მას გადააქცევს მთლიან ისლამის სავანედ. ასეთ მეჰდის შესახებაა ზემოთ ლაპარაკი.

[1] აღნიშნული შრომა, გვ. 258—259.

შედარებით უფრო კარგად ავტორს განხილული აქვს ვაკუფეობის საკითხი. „ყოველგვარი ქონება, რომელიც ეძლევა მეჩითებს, ანდა სულის საცხონებელ რაიმე საწარმოს, საერთოდ ვაკფი ეწოდება, მდაბიო ხალხი კი ვაკუფს ეძახის. ეს სიტყვა იგივე მნიშვნელობისაა და გულისხმობს დათმობას, გადაბარებას, გაცემას, გირაოს, მხოლოდ იმ გაგებით, რომ იგულისხმება შეწირული საგანი ღმრთისადმი და კაცობრიობის სასარგებლოდ“[1]. ავტორის აზრით ეს შეწირულებები გამოწვეულია იმით, რომ კანონიერმა შთამომავლობამ მამულები არ გაფლანგოს; იმის შიშით რომ, თუ ვინიცობაა სულთანი მაღალი თანამდებობის პირს განურისხდა, ამ მოხელის მამული არ გადაეცეს სულთანს და სხვა. „ამგვარად, ვინმეს სიკვდილის წინ, ან სულთნის მასზე განრისხების შემთხვევაში, მამულის ჩამორთმევისას, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში იღებდნენ ხომ არ ჰქონდა მას ვაკუფები და თუ ჰქონდა როგორი ხასიათის. ყველა დანარჩენს აუწერენ სულთნისათვის, ხოლო მათ ნაწილს კი გადასცემენ მეჩითებს სულის საცხონებელი ხარჯების დასაფარავად“[2].

საერთოდ, ვაკუფების ყიდვა-გაყიდვა ან გასაჩუქრება აკრძალულია წესით, ვინაიდან არსებული კანონების მიხედვით ვაკუფები ეკუთვნის მხოლოდ „ღმერთს“ და ადამიანთა შთამომავლობას კი ენიჭება უფლება ამ ვაკუფებით სარგებლობისა. მეჩეთებს შეუძლიათ გასცვალონ სავაკუფო მამული სხვა მამულებზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელნი თავიანთი ღირებულებით ნაკლები არ არიან პირველზე. ასეთ გაცვლას ეწოდება ისტიბდალი, რომელიც უსათუოდ დადასტურებული უნდა იქნეს სულთნის ფირმანით ან წერილობითი ბრძანებით.

ხშირ შემთხვევაში მიწის პატრონი, ჯერ კიდევ თავის სიცოცხლეში, საკუთარ მამულს ვაკუფად აქცევდა. ამისათვის წინასწარ იდებოდა სათანადო ხელშეკრულება მიწის პატრონსა და ვაკუფის მმართველს შორის. „როცა დამთავრდებოდა წერილობით ხელშეკრულების დადება და მიწის პატრონის მიერ მამულის ვაკუფად გადაცემა მეჩითზე, პირველი უკვე იქცეოდა მეორის მიმართ დამქირავებლად მუტასარიფის სახელით... ვადის გასვლის შემდეგ მიწის წინანდელი პატრონი ჰკარგავდა მასზე ყოველგვარ უფლებას და მიწა მეჩითის მამულად იქცეოდა“[3].

---

[1] იქვე, გვ. 410.

[2] იქვე, გვ. 413.

[3] იქვე, გვ. 423.

ამგვარად, მეჩითების მამულები დღითი დღე იზრდებოდა და ექმნებოდა ოსმალეთში მსხვილი მიწათმფლობელობა. მაგრამ მეჩითების მსხვილი მიწათმფლობელობის ზრდა ხდებოდა სხვა გზითაც. „ძველ დროში მდიდარი მეჩითები თავიანთ ჯარბ შემოსავალს იყენებდნენ უძრავი ქონების გამრავლებისათვის შესყიდვის საშუალებით, რისთვისაც მამულის ღირებულების მხოლოდ ნახევარს იხდიდნენ; დანარჩენი კი დამოკიდებული იყო თვით გამყიდველებზე, რომელნიც ყოველწლიურად ღებულობდნენ ნაწილ-ნაწილად, იმის მიხედვით, თუ როგორი იქნებოდა წინასწარი მოლაპარაკება მუტავალიებსა და მათს შორის“[1].

მეჩითების შემოსავალი მეტად მნიშვნელოვანი იყო. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ სულთნების მეჩითები. „არ არსებობს სულთნის ისეთი მეჩითი, დასძენს ავტორი, რომ მას არ ჰქონდეს ყოველწლიური შემოსავალი ოთხმოცი ათასიდან ოთხმოცდაათ ათას ჰიასტრამდე. სულთან ახმედისას—ას ორმოცდაათი ათასამდე; სულთან სელიმისას—ორასი; სულთან სულეიმანისას—ორას ორმოცდაათი; ბაიაზეთისას — სამასი ათასი, ხოლო აიასოფიისას—მილიონ პიასტრზე მეტი“[2]. აქედან გამომდინარე ავტორი კანონიერად დაასკვნის, რომ ოსმალეთის ეკლესიასა და სასულიერო წოდებას მეტად ძლიერი ეკონომიური საფუძველი აქვსო.

ოსმალეთის ისტორიას და, კერძოდ, მიწათმფლობელობის სისტემას მოკლე, მაგრამ ძალზე საგულისხმიერო ნაშრომი მიუძღვნა ოსმალეთის მსხვილმა მიწათმფლობელმა ტიგრან არსლანიანმა, რომელიც კარგად იცნობდა ოსმალეთის მიწათმფლობელობის საკითხს და რომელმაც ნაშრომს საფუძვლად დაუდო პირველი წყაროები, უმეტესად ფონ ჰამერის გამოკვლევებიდან. ეს შრომა გამოვიდა გერმანულ ენაზე და შემდეგ (1932 წელს), ძალიან პატარა ტირაჟით (100) სთარგმნა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებამ სათაურით: Система сельского землевладения в Оттоманской империи.

შრომა იწყება თურქების დაპყრობებით და მის საფუძველზე ოსმალეთის ძლიერ ცენტრალიზებული ხელისუფლების დამყარებით. როგორც ავტორი აღნიშნავს, ამას მოჰყვა სახელმწიფოს მმართველის გადაქცევა ერთ და იმავე დროს რელიგიის მეთაურადაც. ასეთ სულთნად დასახელებულია სელიმ II (1512—1520). დაპყრობილი ადგილების მნიშვნელოვანი ნაწილი სულთანმა მიისაკუთრა. „ასე წარმოიშვა უზარმაზარი საუფლისწულო მამულები, რომლებიც განუ-

[1] აქვე, გვ. 423.
[2] აქვე, გვ. 416.

სხვისებელნი იყვნენ და ემსახურებოდნენ ნაწილობრივად მეფის პირად მოთხოვნილებებს, ნაწილობრივად კი უკანასკნელის ცალკეულ ადამიანთა დაჯილდოებას"[1].

ავტორი ამტკიცებს, რომ ახლად დაპყრობილ ადგილებში: არაბეთსა, მესოპოტამიასა, ეგვიპტესა და ჰერცოგოვინაში თურქების დაპყრობამდე და მის შემდეგაც მიწაზე არსებული უფლებრივი სისტემა არ შეცვლილა და იმდენად, რამდენადაც აღნიშნული ადგილები ოსმალეთის იმპერიის დიდ ნაწილს წარმოადგენდა, ავტორის აზრით, უნდა ვიფიქროთ, რომ იმპერიის სხვა მხარეებშიაც მიწით სარგებლობა ხელუხლებელი დარჩა. „მხოლოდ მაჰმუდ II (1451—1484) გადააქცია ლენური ურთიერთობა კანონმდებლობის საგნად, რაც დაკავშირებული იყო ლენური ურთიერთობის შეკვეცის მიზანთან; მემკვიდრეობა უკუგდებულ იქნა, შემდეგ მიწების გამოყოფა დაექვემდებარა უშუალოდ სულთანს, იმ დროს, როცა წინათ ლენის გამოყოფა შეეძლოთ პროვინციების მმართველებსაც"[2].

როგორც ავტორი გადმოგვცემს, მთელი საიმპერიო, მმართველობის მხრივ, დაყოფილი იყო ორად: ევროპად და აზიად, ანუ რუმელიად და ანატოლიად. ორივე ესენი ნაწილდებოდა 25 პროვინციად და თვით კონსტანტინოპოლი თავისი მიდამოებით გამოყოფილი იყო ცალკე. არქიპელაგის პროვინცია ემორჩილებოდა საადმირალოს. თითოეული პროვინციის ხელმძღვანელს უწოდებდნენ მირ-ლივა-ს, რომელიც ღებულობდა საუფლისწულოს 1—1.200.000 ასპრის შემოსავლით; პროვინცია თავის მხრით იყოფოდა სანჯაყებად, რომელთა მმართველებადაც ბეგები ინიშნებოდნენ. მათ შემოსავალს (გამოყოფილ მამულიდან) შეადგენდა 100—500.000 ასპრი; სანჯაყები აერთიანებდნენ რამდენიმე ზიამეტსა და თიმარებს. თიმარებს უწოდებდნენ გამოყოფილ მამულებს, რომელთა შემოსავალი 20.000 ასპრამდე აღწევდა, ზიამისა კი—20—100.000 ასპრამდე. ამ მიწების მფლობელი ფეოდალები ომიანობის დროს ვალდებული იყვნენ პირადად გამოცხადებულიყვნენ ომში მონაწილეობის მისაღებად თავიანთი შეიარაღებული ძალებით. მშვიდობიან პირობებში კი ჰკრეფდნენ მათთვის მიკუთვნებულ გადასახადებს და ასრულებდნენ როგორც სასამართლოს, ისე ადმინისტრაციულ ვალდებულებებს.

---

[1] Тигран Арсланиан. Система сельского землевладения в Оттоманской империи, გვ. 2.

[2] იქვე, გვ. 7.

ბოძებული მამულების მმართველობის სათავეს წარმოადგენდა ფინანსთა სამინისტრო, რომელიც თავის მხრით თორმეტი განყოფილებისაგან შედგებოდა და დამოუკიდებელი იერარქიული ორგანიზაცია ჰქონდა; მისი მოხელეები ღებულობდნენ განკუთვნილ ხელფასს. მინისტრი, როგორც წესი, ღებულობდა 3%, რომლითაც უნდა დაეკმაყოფილებია აგრეთვე თავისი უშუალო თანაშემწეებიც. საკარგავი მამულები ექვემდებარეობდა მინისტრს, რომელიც თვალყურს ადევნებდა საკარგავების მქონე ფეოდალების ერთგულებას მეფის მიმართ და წინააღმდეგობის შემთხვევაში ფეოდალს ჩამოართმევდა საკარგავს და გამონახავდა სხვა სათანადო კანდიდატს, საკარგავის გადასაცემად. ასე იყო XVII საუკუნემდე, სანამ ოსმალეთში ფართოდ შემოჭრებოდა წესი გადასახადებისა და, საერთოდ, მამულების შემოსავლის აკრების უფლების წინასწარი შესყიდვისა ცალკე პირების მიერ.

ავტორის თქმით საკარგავები თიმარისა და ზიამის სახით სიფაის გარდაცვალების შემთხვევაში სამემკვიდრეოდ გადადის მის შვილებზე, მხოლოდ იმ პირობით, რომ ისინი წავლენ რომელიმე ომში მონაწილეობის მისაღებად და მის შემდეგ მიიღებენ განსაკუთრებულ მიწერილობას საკარგავის მფლობელობის უფლებაზე. ავტორს თავის შრომაში მოჰყავს ისტორიული ხასიათის დოკუმენტი, სადაც ნათქვამია: „თუ სიფაი მოხუცებულების გამო თავის თიმარს გადასცემს ერთ რომელიმე თავის შვილთაგანს, რომელიც მოკვდება, მაშინ ეს თიმარი არ შეიძლება გადაცემული იქნეს მამის სიცოცხლეში სხვა რომელიმე მის შვილთაგანზე ჩემს განსაკუთრებულ განკარგულების გარეშე“[1].

იმ შემთხვევაში თუ მოკვდებოდა გლეხი, რომელსაც შვილები, ან სხვა ნათესავები არ დარჩებოდა, მისი მიწა უნდა სიფაის გადაეცა ამავე სოფლის სხვა გლეხისათვის. თუ ასეთის მსურველი აღნიშნულ სოფელში საერთოდ არ აღმოჩნდებოდა, მაშინ სიფაის უფლება ჰქონდა ეს მიწა სხვა სოფლის მცხოვრებზე გადაეცა. როგორც აქედან ჩანს, თითქოს ჯერ კიდევ დაცული იყო თემური წესწყობილების ზოგიერთი ნაშთი. მიწის ნაკვეთების დაქუცმაცება მისი დაყოფის საშუალებით ორ შვილზე უფრო მეტს შორის, სიფაის სპეციალურ ნებართვას მოითხოვდა. ნებართვა საჭირო იყო აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ მიწის მფლობელი მიწის ნაკვეთზე რაიმე ხეხილის დარგვას მოისურვებდა. მცირეწლოვანი მიწისმფლობელი, რომელსაც არ შეეძლო პირადად ყანების დამუშავება, არ იყო ვალ-

[1] აღნიშნული შრომა, გვ. 9.

დებული გადასახადები გაეღო. ამ შემთხვევაში სიფაი ვალდებული იყო მოენახა პირი, რომელიც დაამუშავებდა ამ მიწის ნაკვეთებს და ამის შემდეგ შეეძლო გადასახადის აღება.

აღნიშნულ ნარკვევში მოცემულია მიწათმფლობელობის სისტემა, რომელიც თავის მხრით მოყვანილი ჰქონდა მურაჯა დ'ოსონს თავის შრომაში—Полная картина Оттоманской империи. იგი დაყოფილია შემდეგნაირად:

I. კერძო: ა) საბეგარო და ბ) სამეათედო;

II. საეკლესიო (ვაკუფები);

III. სახელმწიფო (განუსხვისებელი):

ა) საუფლისწულოები, რომელთა შემოსავალი სახელმწიფო სალაროში მიდის,

ბ) დაუმუშავებელი მიწები,

გ) სულთანის კერძო საუფლისწულოები (ხას ჰუმან),

დ) საიმპერიო საუფლისწულოები (ემლაქ ჰუმან),

ე) მიწები, რომლებსაც სიცოცხლის განმავლობაში სულთანის დედა ჰფლობს (ხას უზერა),

ვ) ვეზირთა საკარგავები (ხას უზერა),

ზ) ფაშების საკარგავები (ხას უმერა),

თ) საკარგავები, რომლებიც გაცემულია მირლივა. მინისტრებზე და სასახლის სარდლობაზე (არფალიკი),

ი) სამხედრო საკარგავები (ზიამათები და თიმარები).

მაგრამ ავტორი აღნიშნავს, რომ თურქი მსაჯულები მაჰმუდ II დროს, მეთხუთმეტე საუკუნის მეორე ნახევარში, ამბობენ: „მიწები თანახმად კანონისა ნაწილდება სამ ჯგუფად:

1) დაპყრობების დროს მაჰმადიანებზე საკუთრებად გადაცემული სამეათედო მიწები წარმოადგენენ ნამდვილ საკუთრებას, მფლობელს შეეძლო თავის სურვილისამებრ გაეყიდა ისინი, ან გაესაჩუქრებია. ასეთია გეჯასის და ბასრის მიწები.

2) საბეგრო მიწები, რომლებიც დაპყრობისას ეძლეოდა არა მაჰმადიან მესაკუთრეებს მათი საკუთრების დამტკიცებით, იმ პირობით, რომ მათ, სულად გადასახადის გარდა, კიდევ უნდა გადაეხადათ მიწის გადასახადი და გადასახადი ჭირნახულიდან. ეს უკანასკნელი სამეათედოსაგან განსხვავდება იმით, რომ ყოველწლიური ჭირნახულის მეათედ ნაწილზე მეტია და, ნიადაგის მდგომარეობის მიხედვით, შეუძლია მის ნახევრამდე მიაღწიოს. ეს მიწები წარმოადგენენ მფლობელის საკუთრებას, ისე როგორც ზემოთ ხსენებულნი. ასეთია სევადოლ-ირაყის მიწები.

5) საკარგავი მამულები, რომლებიც სახელმწიფოს მიეკუთვნებიან, მაგრამ კერძო პირების მემკვიდრეობით მფლობელობაშია.

მათი გაყიდვა შეიძლება მხოლოდ სათანადო ნებართვის მიღების შემდეგ... გადასახადი წარმოადგენს მეათედს, თუმცა შეიძლება მეტიც იყოს. თვითონ სიფაის არ შეუძლია გაჰყიდოს ასეთი მიწა, რადგან იგი სახელმწიფოს ეკუთვნის. ასეთია ოტომანთა იმპერიის მიწები"[1].

როგორც შემდეგშია აღნიშნული, რუმელიის მიწები არ წარმოადგენენ არც სამეათედოს... და არც საბეგაროს, ვინაიდან ავტორის აზრით დაპყრობისას ისინი არ განაწილებულა დამპყრობელთა შორის ზემოაღნიშნული პირობების მიხედვით და სახელმწიფოს საკუთრებად დარჩა. მათი გირაოდ გაცემა და მით უმეტეს გაყიდვა აკრძალული იყო, ისე როგორც ვაკუფებისა.

ამის შემდეგ მოცემულია სხვადასხვა გადასახადის სახეობანი. ავტორი, როგორც ჩანს, განსაკუთრებით ილაშქრებს გადასახადების აკრეფის უფლებების სახელმწიფოს მიერ წინასწარ გაცემის წინააღმდეგ. საქმე ის იყო, რომ იჯარა იცემოდა საჯარო ვაჭრობით. იჯარის ასეთი გაცემის სისტემა ძალზე რთული და მოუქნელი იყო. ხშირად ეს გრძელდებოდა რამდენიმე თვე მანამ, სანამ სახელმწიფო საჯარო ვაჭრობით არ მიაღწევდა გადასახადების აკრეფის იჯარაზე სათანადო ფასს. თუ მიკიღებთ მხედველობაში იმასაც, რომ მოიჯარადრის მოსვლამდე გლეხობას არ ჰქონდა უფლება თავისი ჭირნახულის აკრეფისა, გასაგები გახდება ოსმალეთის სოფლის მეურნეობის კრიტიკული მდგომარეობა.

შრომის უკანასკნელ ნაწილში ავტორი ეხება მის დროს არსებულ სამიწათმოქმედო სისტემასაც. ამ შემთხვევაში აშკარად ჩანს მისი მისწრაფება მსხვილი მიწათმფლობელობის განვითარებისაკენ კაპიტალისტურ საფუძველზე. მისი აზრით წვრილ-გლეხურ მეურნეობას არავითარი ნაყოფიერება არ მოაქვს. ოსმალეთის მთელ რიგ რაიონებში მონახევრეობის გავრცელება ძირს უთხრის სოფლის მეურნეობას, რადგან მონახევრე გლეხები, რომელთაც საკუთარი საწარმოო საშუალებანი აქვთ და რომელნიც მიწის ნაკვეთს სანახევროდ ღებულობენ, მის განოყივრებაზე სრულებით არ ფიქრობენ, ვინაიდან იციან, რომ შემდეგი წლისათვის მიწის ნაკვეთის პატრონი ამ ნაკვეთს სხვას მისცემს იჯარით. ამის შედეგად მიწის ექსპლოატაცია, ავტორის აზრით, მხოლოდ მტაცებლურ ხასიათს ღებულობს.

1872 წელს „სახალხო განათლების სამინისტროს ჟურნალში" (ნაწილი CLXIII) მოთავსებულია ვ. მ ა კ უ შ ე ვ ი ს ნარკვევი სათა-

---

[1] იქვე, გვ. 15.

ურით—Болгария под турецким владычеством, преимущественно в XV и XVI веках. ეს შრომა იმითაა მნიშვნელოვანი, რომ ის იხილავს ბულგარეთის სოციალ-ეკონომიურ და პოლიტიკურ ყოფა-ცხოვრებას ოსმალეთის ისტორიასთან დაკავშირებით.

ავტორის აზრით ოსმალეთის გაძლიერება ხდებოდა მაშინ, როცა პარალელურად დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა შორის თავს იჩენდა გადაულახავი წინააღმდეგობანი, დაქსაქსულობა და ამ ნიადაგზე აღმოცენებული ცალკეულ მათგანის პოლიტიკური შესუსტება და დეგრადაცია. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო ოსმალეთის მიერ ევროპის ტერიტორიის დაპყრობას. ბულგარეთი ოსმალებმა დაიპყრეს XIV საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც თურქების შეიარაღებული ძალები საკმაოდ გაიზარდა. შრომაში ოსმალეთის შეიარაღებულ ძალთა რაოდენობის სურათი მოცემულია ვენეციელ დიპლომატის ნიკოლოზ საგუნდინოს ცნობების მიხედვით. იქ ნათქვამია, რომ პირადად სულთნის განკარგულებაშია 12,000 ქვეითი და 8,000 კაცისაგან საგანგებოდ შერჩეული ცხენოსანთა რაზმები. ჯარის ამ ნაწილების შევსება ხდებოდა მთლიანად დაპყრობილი ქვეყნების ქრისტიან მოსახლეობიდან.

„ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მთელს იმპერიაში მოსახლეობის $^1/_{10}$ რაოდენობით, დაწყებული 7 წლის ასაკიდან აგროვებდნენ ქრისტიანეთა ისეთ ბავშვებს, რომლებიც ლამაზნი, ჯანმრთელნი და მოხერხებული იყვნენ“[1]. ავტორი დაწვრილებით იხილავს იენიჩარების ორგანიზაციის საკითხს და დასძენს, რომ XVI საუკუნის ნახევრამდე იენიჩარებს არ ჰქონდათ უფლება საკუთარი ოჯახის შექმნისა, მეთექვსმეტე საუკუნის ნახევრიდან კი ცოლის შერთვის უფლება მიეცათ იმ პირებს, რომლებიც მოსაზღვრე რაიონებში იყვნენ დაბანაკებულნი. XVII საუკუნის ნახევარში იენიჩართა რაზმების შესავსებად მცხოვრებთა შორის ბავშვების შეკრება შეწყდა. ბულგარეთის დაპყრობის დღიდან თურქების დამოკიდებულება ბულგარელებისადმი შედარებით უფრო ლმობიერი აღმოჩნდა. დუბროვანელი პავლე ჯორჯიჩის ცნობით, რომელმაც ოსმალეთის იმპერიაში იმოგზაურა და იქ 15 წელი დაჰყო, ჯერ კიდევ 1580 წელს ქრისტიანეთა მდგომარეობა ოსმალეთში ძალიან კარგი იყო, რადგან ისინი თავს შევიწროებულად არ გრძნობდნენ, სარგებლობდნენ თავისუფლებით და ამიტომ მათ სულთანი თავის მხსნელადაც კი ჰყავდათ მიჩნეული. ამის

[1] Журная Министерства народного просвешения, часть, CLXIII, 1872. стр. 305.

დასასაბუთებლად შრომაში მოყვანილია 1595 წელს სტეფანე ბატორისადმი წარდგენილ თვით პავლე ჯორჯიჩის მოხსენებითი ბარათი, სადაც ის წერს: „ქრისტიანეთა მდგომარეობა ძალიან ბედნიერი იყო: ისინი სარგებლობდნენ თავისუფლებით და იყვნენ მდიდრები; თურქები, რომლებიც მაშინ საუკეთესო ზნისა იყვნენ, არ ავიწროებდნენ ქრისტიანებს და არც სხვას აძლევდნენ მათი შევიწროების უფლებას; სასამართლო მიუდგომელი იყო“. მაგრამ ქრისტიანეთა მდგომარეობა სულ რაღაც ათეული წლის განმავლობაში საფუძვლიანად შეიცვალა. ამის შესახებ იგივე ჯორჯიჩი განაგრძობს: „1590 წელს ქრისტიანები სრულებით სხვა მდგომარეობაში დამხვდნენ: ისინი დაბეჩავებული იყვნენ საშინელი სიღარიბით, რაც გამოწვეული იყო მძიმე გადასახადებით, რითაც ისინი ახლად დაბეგრეს და შედეგად შევიწროებისა იენიჩარების მიერ, რომლებითაც ახლა სავსეა ბულგარეთის ყველა სოფელი. წინათ აქ ისინი ცოტანი იყვნენ: მაგალითად, მე მახსოვს, რომ პროვატოში, სადაც ვცხოვრობდი, მხოლოდ 4 იენიჩარი იყო, ახლა კი იქ 80 არის“[1].

ამგვარმა გარემოებამ მოსახლეობა აღშფოთებამდე მიიყვანა. ბულგარეთის მთელ რიგ ადგილებში დაიწყო მოსახლეობის გამოსვლები თურქების ბატონობის წინააღმდეგ. ავტორის აზრით, ბულგარეთის მოსახლეობა შველას რუსეთისაგან ელოდა. ეს გარემოება კი ოსმალეთის სულთანს აიძულებდა რუსეთთან კარგი დამოკიდებულება დაემყარებია, რათა უკანასკნელს არ დაეწყო ბრძოლა ოსმალეთის წინააღმდეგ. ამ მოვლენის დასასაბუთებლად შრომაში გამოყენებულია ისეთი ისტორიული წყარო, როგორსაც წარმოადგენდა მურად III-თან ყოფილ ვენეციელი ელჩის იაკობ სარანცოს მიერ 1576 წლის 8 ნოემბერს წაკითხული რელაცია, რომელშიც აღნიშნული იყო:

„ორი მიზეზისა გამო ერიდება სულთანს რუსების:—პირველი იმიტომ, რომ მათ ჰყავთ სასტიკი ცხენოსანი ჯარი, რომელიც 400 ათას თავგანწირულ, ძლიერ და მორჩილ ადამიანისაგან შედგება; მეორე იმიტომ, რომ ბულგარეთის, სერბიის, ბოსნიის, მორეისა და საბერძნეთის ყველა ხალხი ძალზე ერთგული არიან მოსკოვის დიდი მთავრისა, რომელთანაც მათ აკავშირებს სარწმუნოების ერთიანობა, და მთლიანად მზად არიან აიღონ ხელში იარაღი და აჯანყდნენ, რათა განთავისუფლდნენ თურქეთის მონობისაგან და მის ძალა-უფლებას დაექვემდებარონ“[2].

---

[1] იქვე, გვ. 318—319.

[2] იქვე, გვ. 320.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მიუხედავად შრომის პატარა მოცულობისა, იგი ფრიად საყურადღებოა პირველადი წყაროების გამოყენებით და დამაჯერებელი დასკვნებით.

ოსმალეთში არსებული საგადასახადო სისტემა და გადასახადებს სხვადასხვა სახე მოცემულია სოკოლოვის ნარკვევში, რომელიც მოთავსებულია ჟურნალში «Новый Восток» (книга 8—9-ая) სათაურით: Земельное обложение в Турции.

ავტორის აზრით თურქეთში სულთან სულეიმან პირველამდე საგადასახადო სისტემა არ იყო საბოლოოდ ჩამოყალიბებული და იურიდიულად გაფორმებული, ამიტომ მანამდე, უმთავრესად, არსებული ჩვეულებებითა და წესებით ახდენდენ გადასახადების აკრეფას. სულთან სულეიმანმა ეს სისტემა საბოლოოდ კანონმდებლობით დამტკიცა 1530 წ. მისი განკარგულებით ჩატარდა აღწერა სახელმწიფოში. ასე წარმოიშვა ეგრეთწოდებული „ძველი“ საგადასახადო დავთარი, „ახალი“ კი დაიწერა მისი შვილის, სულთან სელიმ II-ის, დროს. საერთოდ კი, როგორც ავტორი აღნიშნავს, გადასახადები ოსმალეთში იკრიბებოდა ყურანისა და შარიათის მიხედვით: ამგვარი გადასახადები კანონიერ გადასახადებად ითვლებოდა. ასეთები იყო, მაგალითად: ხარაჯა, რომელიც ნიშნავდა სულზე გადასახადს და განკუთვნილი იყო მხოლოდ არამუსლიმანთათვის და მეათედი, რომელიც ვრცელდებოდა ქრისტიანებზე და მუსლიმანებზეც. მაგრამ, ამასთან ერთად, არსებობდა ისეთი გადასახადებიც, რომლებიც არ იყო გათვალისწინებული არც ყურანით და არც შარიათით, არამედ ხელისუფლების ნება-სურვილიდან გამომდინარეობდა.

ხარაჯას არ იხდიდნენ: ქალები, ბავშვები 12 წლამდე, ინვალიდები, მოხუცებულნი და ყველა ის პირი, რომელთა ომში მოკვლა დანაშაულად ითვლებოდა. ამდენად ხარაჯა წარმოადგენდა თითქოს დამარცხებულ პირთა მიერ თავიანთი სიცოცხლის გამოსყიდვას. როგორც ავტორი გადმოგვცემს, ხარაჯას ჰკრეფდნენ სიფაების სასარგებლოდ და ის სახელმწიფო შემოსავლად არ ითვლებოდა, თუმცა იყო მთელი რიგი ისეთი შემთხვევები, როცა სახელმწიფო ხარაჯის აკრეფის უფლებას ჰყიდდა. მეათედებიდან გადასახადის ნაწილი, რომელიც თიმარების მიწებიდან იკრიფებოდა, სიფაების განკარგულებაში გადადიოდა, ხოლო დანარჩენი ადგილების გადასახადები კი სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენდა.

შემდეგ, შრომაში განხილულია სახელმწიფოში არსებული გადასახადების კონკრეტული სახეები:

თაფუ, ავტორის აზრით, თანაბარია სიტყვა ტოპოს-ისა, რაც ადგილს ნიშნავს. ეს ერთდროული გადასახადი იყო და ახდევინებ-

ლნენ იმ შემთხვევაში, როცა მიწა გაყიდვის, გასაჩუქრების, ან მემკვიდრეობის გამო ერთი მფლობელობიდან მეორეზე გადადიოდა. ასეთი გადასახადის გადახდის შემდეგ მიწის მყიდველი ღებულობდა ეგრეთწოდებულ ნასყიდობის ბარათს, რომელიც თაფუს სახელწოდებით იყო ცნობილი. რესმ ჩიფთი, ანუ ჩიფთლიგი, რაც თანაბარი იყო 100—150 დონუმისა. ერთი დონუმი კი უდრიდა 10 ოყა ხორბლით დასათეს ადგილის ფართობს. ამ გადასახადს იხდიდა ის უშუალო მწარმოებელი, რომელიც არ იყო მიწერილი თიმარზე, მაგრამ სიფაის საგადასახადო რაიონში იმყოფებოდა და ამიტომ ვალდებული იყო ეს გადასახადი სიფაის სასარგებლოდ გაეღო.

ასეთივე წესით შრომაში განმარტებულია კიდევ გადასახადების ისეთი სახეობანი, როგორიც იყო: ნებაქი, სალარიე, რესმ ოთლაკი, რესმ კიშლაკი, რესმ იაილაკი, რესმ აგილი, ბიდაათი ხინზირი, რესმ დეგირმანი, რესმ არუსან, ბადჰავა (ამ უკანასკნელს ავტორი ათანაბრებს ბიზანტიაში არსებულ აერიკონის გადასახადთან), რესმ დუხანი, რესმ კოვანი და სხვები.

დასასრულ, ავტორი დასძენს, რომ გადასახადთა სახეობანი იმდენად მრავალფეროვანი იყო, რომ ყველა მათგანის ჩამოთვლა შეუძლებელი ხდებაო. გადასახადების დიდმა რაოდენობამ ოსმალეთის ფართო მოსახლეობა დაღუპვამდე მიიყვანა. მაგრამ გლეხობისათვის ყველაზე აუტანელი იყო ილთიზამი—გადასახადების აკრეფის უფლების გაყიდვა უცხო პირებზე, რადგან უფლების შემსყიდველი ადიდებდა გადასახადებს გლეხობაზე არა მარტო იმით, რომ ზრდიდა უკვე არსებული სახეობის გადასახადს რაოდენობრივად, არამედ ხშირად გადასახადების კიდევ ახალ სახეობებს იგონებდა.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ნარკვევი პატარა მოცულობისაა, იგი მაინც მნიშვნელოვანია იმით, რომ მკითხველს უწევს სათანადო დახმარებას ოსმალეთში არსებული გადასახადების სახელწოდებათა და მათ რაობათა გარკვევის საქმეში.

ამავე ავტორის საკმაოდ მნიშვნელოვანი გამოკვლევა მოთავსებულია 1924 წლის ზემოხსენებული ჟურნალის მეექვსე წიგნში სათაურით: Земельные отношения в Турции до Танзимата. ამ გამოკვლევაში ოსმალეთში არსებულ სამიწათმოქმედო ურთიერთობის განხილვასთან ერთად მოცემულია თურქების მიერ თესალიის დაპყრობისა და მასში მათი შემდგომი ბატონობის სურათიც.

თურქების პირველი შესევა თესალიაში მოხდა 1396 წელს სულთან ბაიაზეთის დროს. ბაიაზეთმა ალყა შემოარტყა კონსტანტინოპოლს და აქ სამხედრო ოპერაციები ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული, რომ მან ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდე-

გობის გაუწევლობის პირობებში დაიპყრო ლარისა, იპატა, ტრიკალი, დამოკი, ლომიო და სხვა გამაგრებული ადგილები. ეს ადგილები საბოლოოდ დაიმორჩილა თურხან-ბეის ჯარებმა 1423 წელს, რის შემდეგაც თესალიაში ფეხი მოიკიდა თურქულმა თიმარიოტმა.

ვინაიდან თესალიის მოსახლეობამ თავიდან წინააღმდეგობა არ გაუწია ოსმალეთს მთელ რიგ ადგილებში, ამიტომ ადგილობრივი არისტოკრატია, ავტორის აზრით, თურქებმა ხელუხლებლად დასტოვეს. „პირველხანებში მათ შეუნარჩუნეს პირვანდელი საკუთრება მიწაზე, ხოლო შემდეგ, თანდათანობით სამხედრო და პოლიტიკური უფლებების დაკარგვასთან ერთად, მოხდა არისტოკრატიის მთელი მიწების კონფისკაცია, რამაც გამოიწვია მათი სარწმუნოების შეცვლა მაჰმადიანობით. ამგვარად, მაჰმადიანობა ადგილობრივ მოსახლეობიდან პირველყოვლისა გაბატონებულმა კლასმა მიიღო. „სამხედრო-ადმინისტრაციული და თიმარიოტული მიწათმოქმედების სისტემის გაბატონების პირობებში, მსხვილ ქრისტიანულ მიწათმფლობელობას არ ჰქონდა ადგილი, და მხოლოდ სულთნის კეთილმსურველობის განსაკუთრებული გამოვლინება უზრუნველჰყოფდა თესალიის ქრისტიანე მესაკუთრეების ცოტად თუ მეტად მნიშვნელოვან მიწისმფლობელობას, და ასევე ისლამიზაცია უნარჩუნებდა ბერძნებს მათ ძველ შეძლებულ ქონებას“[1].

თესალიაში არსებობდა სამი კატეგორიის მიწები:

I. ხას ჰუმაიუნ, რომელიც ითვლებოდა სახელმწიფო საკუთრებად და ახალი დპყრობების საშუალებით იზრდებოდა. დაპყრობისას ყველა ნადავლის $^1/_5$ სახელმწიფო ქონებად ითვლებოდა, საიდანაც სულთანი ურიგებდა ბოძებას ამა თუ იმ პირებს. ამავე ფონდს შეადგენდა ეგრეთწოდებული „ემლაქი ჰუმაინი“, რაც შედეგი იყო ან მიწების კონფისკაციისა (ცალკე პირებისაგან), ანდა მემკვიდრის არყოლის პირობებში მამულის სახელმწიფოზე გადაცემისა.

II. ვაკუფები, ანუ შეწირული მიწები. შეწირული მიწების ზრდას, უპირველეს ყოვლისა, ხელს უწყობდა მთავრობის მიერ მიწების ხშირი კონფისკაცია. ამით დაშინებული მემამულეები ამჯობინებდნენ მიწების ვაკუფად გადაქცევას, რადგან ვაკუფის კონფისკაცია შეუძლებელი იყო. თიმარების ვაკუფებად გადაქცევა აიკრძალა მხოლოდ სულთან აჰმედ I-ის დროს.

მიწების III კატეგორიას ეკუთვნოდა ის ნაკვეთები, რომლებიც სრულ საკუთრებას წარმოადგენდა, და ნახევრად-საკუთარი, უფრო სწორად—ფეოდალური უფლებით აღჭურვილი თიმარები.

---

[1] „Новый Восток“, 1924 წ. წიგნი, მე-6, გვ. 99—100.

თიმარების გავრცელება ოსმალეთში, ავტორის აზრით, იწყება XV საუკუნიდან და გრძელდება 1844 წლამდე. თიმარების მფლობელთა უფლებისა და მოვალეობის განმარტების შემდეგ ავტორი დასძენს, რომ თიმარი ერთსა და იმავე დროს წარმოადგენდა ძირითად რგოლს, რომელზედაც დამყარებული იყო ოსმალეთის მმართვა-გამგეობის სისტემა, რადგან თიმარების განსაზღვრული რაოდენობის გაერთიანება ჰქმნიდა სანჯაყს (სანჯაყი—დროშა), რომლის მეთაურიც სანჯაყის ბეგი იყო. რამდენიმე სანჯაყი ბეგლარ-ბეგის მეთაურობით წარმოადგენდა ვილაიეთს. თავდაპირველად ოსმალეთი დაყოფილი იყო 25 ვილაიეთად. რუმილიის ვილაიეთი, რომლის ბეგლარ-ბეგის რეზიდენცია სოფიაში იმყოფებოდა, შედგებოდა 24 სანჯაყისაგან; მასში შედიოდა 914 დიდი და 8,360 პატარა თიმარი.

ყველა ამ მოცემულ ცნობას ავტორი ადასტურებს ნაწილობრივ პირველ წყაროებით, უმთავრესად კი ჰამერისა და იორგას ნაშრომებით.

თურქეთის მიერ დაპყრობილ ზოგიერთი ქვეყნის ყოფა-ცხოვრებას გადმოგვცემს და ამ ქვეყნების ოსმალეთთან დამოკიდებულების საკითხს აშუქებს პროფესორი ᲘᲝᲒᲝᲓᲘᲜᲘ თავის შრომებში: „История Сербии“ და „История Болгарии“. ორივე შრომა იწყება ამ ხალხთა წარმოშობიდან. შემდეგ ავტორი იხილავს მათ მდგომარეობას ოსმალეთის ბატონობის პირობებში და იძლევა დასკვნას, რომლის მიხედვითაც ოსმალეთის ბატონობა სერბიასა და ბულგარეთში იმდენად აუტანელი გახდა, რომ მისი შემდგომი გაგრძელება შეუძლებელი იყოვო.

თავდაპირველად, ავტორის აზრით, თურქების დამოკიდებულება დაპყრობილი ქვეყნების მიმართ უფრო ლმობიერი და მისაღები იყო. „არ უნდა დავივიწყოთ,—ამბობს ავტორი,—რომ თურქები ბევრგან სტოვებდნენ ძველ ადმინისტრაციულ ორგანიზაციას, კმაყოფილდებოდნენ რა იმით, რომ ოლქის ცენტრალური დაწესებულებების სათავეში თურქეთის ხელისუფალნი იდგნენ“[1]. ისინი დაპყრობილ ადგილებს უტოვებდნენ ერთგვარ დამოუკიდებლობას, რაც ადგილობრივ მოსახლეობისათვის თავისებურ შეღავათს წარმოადგენდა. ისინი ქრისტიანობისადმი მომთმენობასაც იჩენდნენ.

„ამ მხრივ თურქები თანამედროვე სახელმწიფოებზე უფრო ლიბერალები იყვნენ; თვით მაჰმედ სოკოლოვიჩი იყო მუსლიმანი, მაგრამ მას არავინ უსაყვედურებდა. იმას, რომ სერბიის პატრი-

[1] Погодин. История Сербии, стр. 92.

არქობა აღადგინა. უფრო მეტიც, აღდგენილ ფეჩეს საპატრიარქოს პირველ პატრიარქად იყო მაჰმუდ სოკოლოვიჩის ძმა მაკარი"[1].

ამგვარად, პირველ ხანებში თურქები კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ ხარკის აკრეფით და ქვეყნის შინაურ ცხოვრებაში არ ერეოდნენ. „ასიმილაციის ამოცანები, რომლებიც ასე ძალიან ართულებს თანამედროვე დაპყრობითი პოლიტიკას, არ შედიოდა მათ ანგარიშში. სერბებს, ბულგარელებს, ბერძნებს შეეძლოთ თავისუფლად დარჩენილიყვნენ იმათვე, როგორებიც იყვნენ, შეეძლოთ ესწავლათ თავიანთ ენაზე და ეკლესიის მხრივ ინარჩუნებდნენ თავისებურებას და თვითმართველობას; პირიქით, თურქები სცდილობდნენ არ დაახლოვებოდნენ მათ, სახლდებოდნენ ქალაქებში, სოფლებს ერიდებოდნენ, მშვიდობიან დროს არ იღებდნენ ქრისტიანებს თავიანთ ჯარებში და სხვა"[2].

ავტორი შემდეგ თავის ნაშრომში ხაზგასმით აღნიშნავს იმას, რომ თურქებმა თანდათანობით გაავრცელეს მონებით ვაჭრობა და მონური შრომის გამოყენება წარმოებაში. მოჰყავს ადგილი ოსმალეთში ერთ-ერთი პირის მოგზაურობის (1480 წ.) ჩანაწერებიდან, სადაც ნათქვამია: „მთელს სამეფოში არიან სპეციალური ვაჭრები, რომლებიც ადამიანებს ჰყიდიან და ყიდულობენ... ეს ვაჭრები გართული არიან თავის საქმით არა მარტო თურქეთის იმპერიის ქალაქებში, არამედ ჯარებს თან მიჰყვებიან ბრძოლის ველზე, გაიყოლებენ ხოლმე ჯაჭვებსა და თოკებს, რომ შეისყიდონ მონები უშუალოდ იმ პირებისაგან, რომელნიც მათ ატყვევებენ. ისინი (ჯარისკაცები და მძარცველები) ხელთ იგდებენ ხოლმე იმდენ ტყვეებს, რომ არ იციან სად მოათავსონ და გააჩერონ ისინი, ისე რომ ტყვეების პატრონები მზად არიან გაჰყიდონ ისინი ადგილობრივ ყოველგვარ ფასში, რომელიც ცვალებადობს მონების რაოდენობის მიხედვით. ხანდახან მათი რიცხვი იმდენად დიდია, რომ, როგორც იტყოდნენ ხოლმე, ადამიანს ერთ ქუდად ჰყიდდნენ. შესყიდულ მონებს ვაჭრები შეჰკრავენ ერთი ჯაჭვით 10—20 კაცს ერთად და ასე ერეკებიან მათ ბაზრისაკენ"[3].

ბულგარეთში თურქების ბატონობის დროს არსებულ მიწათმფლობელობის თავისებურების გადმოცემისას ავტორი მოგვითხრობს იმის შესახებ, რომ ბულგარეთის დაპყრობის შემდეგ ოსმალებმა ადგილობრივ მოსახლეობისაგან შეჰქმნეს სამხედრო დასახ-

---

[1] იქვე, გვ. 95.

[2] Погодин. История Болгарии, стр. 131.

[3] იქვე, გვ. 141.

ლებული პუნქტები. მათ მცხოვრებლებს უწოდებდნენ ვოინიგებს, რომლებიც ჩვეულებრივ გლეხებისაგან იმითაც განსხვავდებოდნენ, რომ უფრო პრივილეგიურ პირობებში იყვნენ. მათ ჰქონდათ მიცემული მიწები. „მიწა მემკვიდრეობით გადადიოდა უფროს შვილზე, რომელსაც ამ „სამეფო მიწის“ გაყიდვა, ან განაწილება არ შეეძლო, მასზე ის არავითარ ვალდებულებას არ იღებდა, და თუ მასთან ერთად ამუშავებდა სხვა მიწის ნაკვეთსაც, მაშინ ამ უკანასკნელისათვის მას უნდა გაეღო ისეთივე გადასახადები, როგორსაც იხდიდნენ ჩვეულებრივი მიწის მუშაკნი“...[1].

ან. სკაჩკოვის გამოკვლევა, რომელიც საინტერესოა თავისი ორიგინალობით და ოსმალეთის ფეოდალურ ურთიერთობის საკითხს შეეხება, მოთავსებულია ჟურნალში: „Крестьянский интернационал“ (1924 წ. № 5—6). გამოკვლევის სათაურია: Аграрный вопрос в Турции.

ამ ნარკვევში ფეოდალური ურთიერთობა თავისებურადაა განმარტებული. ავტორს ჰგონია, რომ იენიჩარები იდგნენ ფეოდალური საზოგადოებრიობის გარეშე და ამიტომ მათი გაძლიერება თავისთავად ფეოდალიზმის მოსპობას ნიშნავდა. იენიჩარების წარმოშობა, მისი აზრით, იწყება 1350 წლიდან, „რადგან თურქული ფეოდალიზმის წარმოშობა იწყება მხოლოდ ოსმალების მიერ ბიზანტიის დაპყრობის შემდეგ, ე. ი. XV საუკუნეში, და იენიჩარების არმია კი XVI საუკუნის ბოლოს უკვე წარმოადგენდა საგრძნობ ძალას, ამიტომ თურქული ფეოდალიზმიც დასუსტდა და ვერ მოასწრო აყვავება. შეიძლება ითქვას, რომ იგი მოკვდა XVI საუკუნეში სულთან მურად III-ის დროს, როცა ადმინისტრაციული ძალა-უფლება და ადგილებზე გადასახადების აკრეფის უფლება ჩამოერთვათ ფეოდალებს—ბეგლარ-ბეგებს, დერე-ბეგებს და გადავიდა ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლების—ფაშების ხელში, რომელთაც მხარს უჭერდნენ იენიჩართა ნაწილები“[2].

ამის გამო თიმარები რჩება საკარგავებად და არ იქცევიან მამულად—ფეოდად. ამასთან ერთად XIX საუკუნემდე ოსმალეთში მონური შრომის ბატონობის არსებობამ არ შეუწყო ხელი ყმობის გავრცელებას. ამიტომ ოსმალეთმა არ იცოდა ბატონ-ყმობა და არც შთამომავლობითი დიდგვარიანობა. რადგან ოსმალეთში თიმარი არ გადადიოდა მემკვიდრეობით და საერთოდ არ არსებობდა მემკვიდრეობა, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული გვართან, ამიტომ იქ არ ხმარობენ გვარს და ნაცვლად ამისა მიმართავენ სახელსა და მამის სახელს.

[1] იქვე, გვ. 141.

[2] „Крестьянский интернационал“, 1924 წ., №.5—6, გვ. 62.

ასეთი დებულებების წამოყენების შემდეგ ავტორი გადადის მიწებზე არსებული საკუთრების სხვადასხვა ფორმის განხილვაზე. ამ შემთხვევაში შრომაში მოცემულია საკუთრების სამი ფორმა.

I. მულქი—მიწის ნაკვეთი, რომელიც პიროვნებას ეძლეოდა სრულ კერძო საკუთრებად. თავისუფლად შეიძლებოდა მისი ყიდვა-გაყიდვა, გასაჩუქრება და მემკვიდრეობით გადაცემა. მულქის გავრცელება ოსმალეთში მთელ რიგ წინააღმდეგობას ხვდებოდა. ხშირი კონფისკაციების შედეგად მისი რაოდენობა თანდათანობით კლებულობდა და ნაწილი იქცეოდა ვაკუფად, ან მეჰრიედ.

II. მეჰრიე—სახელმწიფოს კუთვნილი მიწები, რომლებიც ეძლეოდათ ცალკე პირებს დროებით. ამ მიწების მიღება შეეძლო ყველას, ვინც დაამუშავებდა მათ და წესიერად გაიღებდა გადასახადს. ოსმალეთში არსებობს კანონი: „ვინც დარგავს ხეს თავისუფალ სახელმწიფო მიწაზე, ის იქცევა მფლობელად ამ ნარგავისა და მიწისა ამ ხიდან ხუთი ნაბიჯის (გარშემო) დაცილებით“; „ვინც გასწმენდს ქვებისაგან თავისუფალი მიწის ნაკვეთს და მათ დაალაგებს ღობეებად გარშემო, ის არის მფლობელი ამ მიწისა“. მეორე მხრით, ვინც სახელმწიფო მიწას არ დაამუშავებდა სამი წლის განმავლობაში იგი ჰკარგავდა უფლებას მიწაზე და ეს უკანასკნელი სხვას გადაეცემოდა.

III. ვაკუფი—საეკლესიო მიწები. დაპყრობების პირველ ხანებში ვაკუფებს მთელ სახელმწიფოში მიწების $^1/_3$-ზე ნაკლები ეკავა. სულეიმან II-ის კანონმდებლობიდან დაწყებული თანზიმათის ჩატარებამდე ვაკუფების რაოდენობა თანდათან იზრდებოდა და 1840 წლისათვის მან მთელი მიწების $^3/_4$-ს მიაღწია.

როგორც დასახელებულ შრომიდან ჩანს, ავტორს სურს მიწათმოქმედების წესების საფუძველზე გაარკვიოს ოსმალეთის საზოგადოებაში არსებული საწარმოო ურთიერთობანი, მოგვცეს საზოგადოებაში არსებულ სხვადასხვა კლასისა და წოდების ნამდვილი სურათი, მაგრამ, როგორც ზევით აღვნიშნეთ მისი მეთოდოლოგიური მხარე არ არის გამართლებული და არ ეყრდნობა ნამდვილ მეცნიერულ საფუძვლებს, თუმცა ფაქტიური მასალა, ზოგიერთების გამოკლებით, მნიშვნელოვანია და მიღებული უნდა იქნეს მხედველობაში. საერთოდ კი, ოსმალეთის ნამდვილ მარქსისტულ შესწავლისათვის ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. მარქსიზმის ფუძემდებლები აღმოსავლური ქვეყნების ისტორიის ნამდვილ მეცნიერულ შესწავლას დიდ აქტუალობას ანიჭებდნენ და ამიტომ საჭიროა ამ საქმის უფრო ფართოდ დაყენება და შეუნელებელი მუშაობის გაშლა ამ მიმართულებით.

ს ი ა

შუასაუკუნეების ოსმალეთის შესახებ არსებული ლიტერატურული წყაროებისა, რომელნიც სხვადასხვა მიზეზის გამო არ მოჰყვა მიმოხილვაში

1. ს. ჯ ი ქ ი ა. გურჯისტანის ვილაიეთის დავთარი.
2. К о л л а с. Турция.
3. Новейшие известия о Турецкой империи, СПБ, 1789.
4. А. Т ы р к о в а. Старая Турция и младотурки.
5. М е л и к - Х а н у м. Тридцать лет в турецких гаремах. Автобиография жены великого визиря Кипризли-Мегемет-паши, пер. с англ.
6. Г о л о б о р о д ь к о. Турция.
7. И. Ф. Б л а р а м б е р г. Обозрение Турции.
8. И. З а б е л и н. Посольские путешествия в Турцию в XVII столетии.
9. История о возмущении Али-бея против Оттоманской порты с различными новыми известиями о Египте, Палестине, Сирии и Турецком государстве. Москва 1789.
10. Я. Д. Л а з а р е в. Появление Оттоманских турок в Малой Азии и завоевание ими Константинополя.
11. М и н ь о т. История Турецкая.
12. П ч е л к и н. Завоевание Константинополя турками в 1453 году.
13. А. Ч е м е р з и н. Турция, ее могущество и распадение. Исторические и военные очерки.
14. А. Г. Ш и р я е в. Турки—османы. Исторический очерк.
15. А л ь ф р е д де Б о с с е. Турецкая империя.
16. А. О ч к и н. Два года в Константинополе и Морее (1825—1826) или исторические очерки Махмуда, янычар, новых войск, Ибрагима-паши, пер. с фр.
17. А. К о л у б а к и н. Азиатская Турция.
18. В. Т е п л о в. Представители Европейских держав в прежнем Константинополе. Исторический очерк.
19. Ф. Е. Ш е л я г о в с к и й. Падение Константинополя. Исторический очерк.
20. В. Б а р т о л ь д. Теократическая идея и светская власть в мусульманском государстве.
21. П. В. А н т а к и. Сборник постановлений шариата по семейному и наследственному праву. О наследовании у мусульман сунитов.
22. В. В. Б а р т о л ь д. Ислам.
23. Д. Н. Е г о р о в. Идея турецкой „реформации“ XVI века. (Напечатана в „Русской мысли“ 1907, отд. II).

24. История мусульманства, ч. III. Москва, 1912.
25. Жуковский. Земледельческая Турция
26. Завриев. Восточная Анатолия.
27. Статьи из Энциклопедии, принадлежащие к Турции, СПБ, 1769, т. I.
28. Лазарев. Священное знамя Магомета при блокаде Багдада монголами в 1258 г.
29. Лэн-Пуль. Мусульманские династии.
30. Стасюлевич. Осада и взятие Византии турками (1453 г.) Сиб., 1854.
31. Успенский. Очерки из истории Трапезундской империи.
32. Григорьев. Караханиды в Мавераннагре по Тарихи Муҳеджим-Баши.
33. Мустафа Кемаль. Путь новой Турции, Л., 1929.
34. Ерицов. Наполеон III и армяне в Турции, 1870.
35. Колюбакин. Азиатская Турция.
36. М. Карнаухов. Кавказ, Турция и Персия.
37. А. Новичев. Очерки экономики Турции до мировой войны, 1937.
38. И. И. Калфоглы. Голая правда опровержение искажителям истории о населении трапезундского вилайета.
39. Г. Казбек. Три месяца в турецкой Грузии.
40. Хуршид-Эфенди. Описание путешествия по турецко-персидской границе.
41. Минорский. Турецко-персидское разграничение, 1916.
42. А. Гиппиус. Статист. таблицы вилайетов турецкой империи.

Академия Наук Груз. ССР
Фундаментальная Библиотека

ხელმოწ. დასაბეჭდ. უკ. ფ. 15.1.43
ბეჭდურ ფორმათა რაოდენობა 9
ანაწყ. ზომა 6×10,5; ქაღ. ზ. 62×94
შეკვეთის № 509; ტირაჟი 1000 ც.
უე 0415

საქართვ. სსრ მეცნ. აკადემიის გამომც.
სტამბა, თბილისი, ა. წერეთლის ქ. № 7.